გიორგი მალაშხია

უ ქ მ ი ეკონომიკა

კაცობრიობის ცხოვრების უკეთურობა

ეკონომიკური თეორიის კრიტიკიდან

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2014

UDC(უაკ) 330.1
მ-205

ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მეოთხე წიგნს კრიტიკული ეკონომიკური თეორიისადმი, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ხარვეზების ანალიზისა და მათი დაძლევის გზების ძიებისადმი მიზღვნილი კვლევების სერიიდან. ადრე გამოცემულია: ,,სოციალური ენერგია. სიმდიდრე. კეთილდღეობა“ (ქართულ და ინგლსურ ენაზე); ,,მოგების მეტათეორია. ახალი ხედვა'' (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე); ,,ზომიერი ადამიანი. გადამრჩენელი, ჰუმანური“ (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე). განზრახულია ამ სერიის კიდევ რამდენიმე ნაშრომის გამოცემა, მათ შორისაა: ,,სიმდიდრე: ვისი მონაგარია ის?“; ,,დამოუკიდებელი ადამიანი“; „არასაბაზრო ეკონომიკა“ და ,,როგორ მდიდრდებიან ადამიანები და ხალხები“; ,,მომავალი ჰუმანური რევოლუცია“.

რედაქტორები : ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **იგორ კვესელავა.**
ეკონომიკურ მცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **პაატა კოღუაშვილი.**

რეცენზენტები: ეკონომიურ მცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გიორგი შუბლაძე.**
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **შოთა ვეშაპიძე**.

ყდის დიზაინი დია შალაშის.

© გ.მალაშხია, 2014

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-242-9

Giorgi Malashkhia

THE IDLE ECONOMY

The Iniquity of Mankind

Criticism of the Economic Theory

შინაარსი

შესავალი 5
მოხმარების პოლიფორმიზმი 12
უქმი ეკონომიკის სახეები. უქმი ეკონომიკა როგორც მფლანგველობა.....32
უქმი ეკონომიკის არსებობის მიზეზები.....50
უქმი ეკონომიკის გაქრობა. მფლანგველობისგან დისტანცირება 72
მთავარი დასკვნები მომავალ სოციალურ ცვლილებათა შესახებ 84
დამატება:
კეთილდღეობის ახალი თეორიის კონცეპტისათვის 99

CONTENTS

Introduction 5
Polylithism of Consumption.....12
Types of the Idle Economy.Wastefulness of the Idle Economy.....32
Causes of Existence of the Idle Economy 50
Disappearance of the Idle Economy. Escape from Wastefulness.....72
The Main Conclusions regarding the Future Social Changes 84
Appendix:
For the Concept of a New Welfare Theory 99

შესავალი

ჭეშმარიტებას დრო გამოავლენს
სენეკა

ნაშრომის „ზომიერი ადამიანი“ ცალკე წიგნად 2013 წელს გამოცემის შემდეგ (ადრე სტატიის სახით გამოქვეყნებული იყო საზღვარგარეთ 2005 წელს) მისი ძირითადი იდეების გარშემო კვლავ და კვლავ დაფიქრებამ მიმიყვანა დასკნამდე, რომ **ეკონომიკა სრულად არ ემსახურება საზოგადოების წევრთა რეალურ კეთილდღეობას.** ნებისმიერ ადამიანის ყურადღებით დაკვირვების შედეგად თავის ირგვლივ შეუძლია ადვილად იპოვოს საგნები, რომლებიც **სრულიად გამოუყენებლად ძევს, ნაწილობრივ ან კიდევ სულაც არასწორად, ადამიანთა საზიანოდ გამოიყენება.**[1] ისინი შესაბამისი ზომით კარგავს თავისი სარგებლობის (სიკეთის) პოტენციალს. ასეთი დოვლათი სხვადასხვა რაოდენობით გვხვდება მოსახლეობის სხვა-

[1] არაფერი რომ არ ვთქვათ, მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებულ ტ. ვებლენის მეტად საინტერსო გამოკვლევაზე („უქმი კლასის თეორია“), მოხმარების გაუკუღმართებულ წესს მეცნიერებაში ყურადღება განსაკუთრებით მიექცა მე-20 ს. 70-იანი წლებიდან უმთავრესად სოციოლოგთა ჰ. მარკუზეს, ჟ. ბოდრიარის, ე. ფრომისა და სხვათა შრომებში. ამასთან, მათში, არაა დასმული საკითხი გონივრული (ჯანსაღი) და არაგონივრული (არაჯანსაღი), ზომიერი, ზედმეტი და უკმარი მოხმარების, უქმი ეკონომიკის არსებობის, სამართლიანობათან, ცხოვრების ხარისხთან მისი კავშირის, საბოლოოდ საყოველთაო კეთილდღეობაზე ზეგავლენის შესახებ. სათანადოდ არაა ახსნილი მოხმარების ტექნოლოგიური ასპექტების ეკონომიკური და სოციალური შინაარსი. ამდენად, ჩვენი აზრით, არასრულადაა ასახული მოხმარების მანკიერი ფორმების ნეგატიური შედეგები საზოგადოებისთვის, კერძოდ, ზიანი ფუჭად დოვლათის მოხმარების, არასწორი და არარაციონალური გამოყენების გამო. ეს მომენტები კი საკვანძოა საზოგადოების ცხოვრებაში.

დასხვა ფენის წარმომადგენელთა ქონებაში იმისდა მიხედვით,[1] თუ რამდენ სიმდიდრეს ფლობენ ისინი. ეს დოვლათი წარმოგვიდგება **კეთილდღეობის დანაკარგად.** ჩატარებული ანალიზის მიხედვით, წარმოებული საქონლისა და მომსახურების მხოლოდ ერთი მესამედი ხმარდება ადამიანთა აუცილებელ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, დანარჩენი კი – არააუცლებელს, ე. ი. მოიხმარება არაჯანსაღი ჩვევების არსებობის გამო წამოქმნილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის, ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობისთვის, სხვა ადამიანთა წინაშე პრესტიჟის (უპირატესობის) დასასტურებლად, სხვადასხვა დევიანტური (ნორმისგან გადახრილი) სურვილების მოსაკლავად და ა.შ. ეს ეხება **პირად მოხმარებას.** მაგრამ ყველაფერი ამით არ ამიწურება.

საზოგადოების მოთხოვნილებები გარკვეულ დოვლათზე წარმოიშვება არასწორი, არაჯანსაღი მისწრაფებების, მიზნების გამო, რომლებიც შეიძლებოდა არ ყოფილიყო ჭეშმარიტი ცნობიერებისა და ჰუმანური ურთიერთობების პირობებში (მაგალითად, თავდახმისა და თავდაცვის საშუალებებზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და სხვა). ყოველივე ჯანსაღი აზრის, ადამიანურ ურთიერთობათა პირობებში ეს მართლაც პარადოქსია: გონიერ არსებებს ერთმანეთზე თავდახმისა თუ ერთმანეთისაგან თავის დაცვისთვის სჭირდებათ იარაღი. მაგრამ ეს უგუნურება რეალობაა. ასე ჩნდება დოვლათის მოხმარების გაუკუღმართებული სარგებლობა აგრესორისთვის და ხელოვნურად წარმოქმნილი ზიანი მხვერპლისთვის.

ზემოთ აღნიშნული მომენტები ადასტურებს, რომ ეკონომიკაში არსებობს **უქმი ნაწილი. უქმი ეკონომიკა წარმოგვიდგება იმ დოვლათის (სიმდიდრის) წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროდ, რომელიც არ ემსახურება ადამიანთა ჯანსაღ (გონივრულ) მოთხოვნილებათა**

---

[1] Ильин В. И. Потребление как дискурс. СПБ. Интерсоцис, 2008 . С.361—380.

დაკმაყოფილებას, სადაც დოვლათი სრულიად ან ნაწილობრივ გამოუყენებლად, უქმად არსებობს, სულაც ან ნაწილობივ ფუჭდება ეკონომიკურ სუბიექტთა არარაციონალურობის გამო.ასევე უქმს, ფართო გაგებით, შეიძლება მივაკუთვნოთ ის დოვლათი, რომელიც მოიხმარება ზიანის მომტან ან იძულებით წარმოქმნილ მოთხოვნილებათა დასამაყოფილებლად. დოვლათის უქმი ნაწილი არასწორი თუ არასრული გამოყენების გამო რაღაც ზომით კარგავს ან არ შეიცავს ადამიანებისთვის რეალური სარგებლობის (სიკეთის) პოტენციალს ან კიდევ საზიანოა. ის არ ხმარდება ადამიანთა ნამდვილ კეთილდღეობას, მათი ილუზიური ან ყალბი სიკეთისთვის, მომხმარებლური ჟინების, მახინჯი, აგრესიული მიზნების, სურვილების დასაკმაყოფლებლად არსებობს. იგი, ამ აზრით, ფაქტობრივად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც **შეფარდებით ან აბსოლუტურად ზედმეტი**. ცხოვრების მოვლენებზე დაფიქრება და დაკვირვება ამაში ნათლად გვარწმუნებს, თუმცა ზოგიერთი ადამიანისთვის ეს გაუგებარიც შეიძლება იყოს, თითქოს წარმოუდგენელია შექმნილი დოვლათი ზედმეტი აღმოჩნდეს.

ამრიგად, აღნიშნულ გარემოებათა საფუძველზე, მივდივართ იმ მოსაზრებამდე, რომ საზოგადოებისთვის რეალური სიკეთის მოტანის ნიშნის მიხედვით, ეკონომიკა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: პოზიტიურ ეკონომიკად, რომელიც ემსახურება საზოგადოებისთვის რეალურ სარგებლობას (სიკეთეს) და არასწორი, არასრული გამოყენების მიზეზით უქმ ანუ რეალური სარგებლობის (სიკეთის) არმომტან ეკონომიკად.

სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ უქმი ეკონომიკა, რომელიც ცივილიზაციის დასაბამიდან ყოველთვის არსებობდა, ამჟამად უზარმაზარ მასშტაბებს იღებს, ეკონომიკის დიდი ნაწილი ხდება. მისი არსებობა, ეკონომიკის სხვა ხარვეზებთან უსამართლობასთან, ზღვარსგადასულ უთანასწორობასთან და სხვა უკეთურობებთან არის დაკავშირებული, ამცირებს საზო-

გადოების კეთილდღეობის დონეს, ცხოვრების ხარისხს. ფუჭი დოვლათის, უქმი ეკონომიკის არსებობა წარმოგვიდგება **შექმნილი დოვლათის გამოყენების სიმახინჯედ და არარაციონალურობად, საზოგადოების მხრივ მფლანგველობად,** რაც დოვლათს აკარგვინებს თავის სარგებლობის პოტენციალს. ეს მანკიერების ერთ-ერთ მძიმე ფორმად გვევლინება, რომელიც მუდამ აყენებდა საზოგადოებას აუნაზღაურებელ ზიანს და თანამდროვე საზოგადოებასაც აყენებს.

სწორედ აღნიშნულის გამო განვიზრახე ამ საკითხის წამოწევა. საჭიროდ ჩავთვალე ჩავღრმავებოდი ამ თემას, კვლევა წარმემართა უქმი ეკონომიკის არსებობის მიზეზების, პირობების, მასშტაბებისა და შედეგების დადგენის მიზნით. ვცადე ზოგად ხაზებში მეჩვენებინა მასთან, როგორც ნეგატიურ მოვლენასთან, დაკავშირებული დიდი მატერიალური და მორალური დანაკარგები საზოგადოებისთვის და ინდივიდებისთვის. კვლევის პირველი შედეგები გამოვაქვეყნე ჟურნალ ,,ეკონომისტში“ 2013 წელს (№ 7-8).

ვგრძნობ, რომ თეორისა და პრაქტიკის თვალსაზრისით, ეს უზარმაზარი პრობლემაა, რასაც სათანადო ყურადღება არ ექცევა და რომელზეც აუცილებელია მასშტაბური კვლევების გაშლა. ეს თემა, ჩემი აზრით, უნდა იქცეს ეკონომიკურ და სხვა სოციალურ მეცნიერებათა ინტენსიური კვლევის საგნად. უნდა გამოიკვეთოს **დოვლათის სასარგებლო გამოყენების** პრობლემატიკა. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ **საბოლოო (არასაწარმოო) მოხმარების რაციონალურობას.** ჩემი მცდელობით ამ ასპექტის ირგვლივ რიგი საკვანძო საკითხი გადმოცემულია ნაშრომშიც ,,ზომიერი ადამიანი“ (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.2013).

აქვე შევნიშნავ, რომ აქამდე ეკონომიკურ თეორიას თითქმის გვერდზე დარჩა **მოხმარების სფეროში დოვლათის გამოყენების ეფექტიანობა,** მისგან სარგებლობის მაქსიმალურად ამოღება. თეორია რამდენადმე ეხება მომხმარებლის არჩევანს ბაზარზე, სარგელიანობის (ნებისმიერი მოხოვნილების დაკმა-

ყოფილების) მაქსიმიზაციის თვალსაზრისით. მაგრამ ეს არ გულისხმობს მომხმარებლისთვის **რეალური სარგებლობის (რეალური კეთილდღეობის) ანუ მოხმარების უმთავრესი მიზნის გახილვას, რაც ამ შემთხვევაში საკვანძო საკითხი უნდა იყოს.**

ეკონომიკური თეორიის ძალსხმევა წარმართულია საწარმოო დანიშნულების რესურსების (ტექნიკა, ენერგია, ნედლეული და მასალები) უკეთ გამოყენებისკენ, რაც ბიზნესის ინტერესებშია და, ცხადია, აუცილებლია. ამასთან, საზოგადოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია დოვლათის ეფექტიანი გამოყენება არასაწარმოო (პირადი თუ კოლექტიური) მოხმარების სფეროში, რამდენადაც ეს ეხება მისი ყველა წევრის ინტერესებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, საზოგადოების ნებისმიერი რესურსის გამოყენების პრობლემა მწვავეა, რადგან ადამიანები მათ ხელმისაწვდომ ბუნებრივ თუ ანთროპოგეურ სახეებს მეტად არასაკმარისად იყენებენ, განსაკუთრებით თავიანთ უნარებს, მფლანგველობას იჩენენ. ეს დიდი პრობლემაა. ჩვენ აქ ვიხილავთ მხოლოდ საქმიანობის პროდუქტების საბოლოო, არასაწარმოო მოხმარების პროცესში გამოყენებას, მის ეფექტიანობას, მნიშვნელობას საყოველთაო კეთილდღეობისთვის.

მოხმარების სფეროში დოვლათის ეფექტიანი გამოყენების კონცეფცია, ჩვენი წარმოდგენით, საერთოდ, შემდეგში მდგომარეობს. **საზოგადოების მიერ შექმნილი დოვლათის ყოველი ერთეული შეიცავს სარგებლობის (სიკეთის) გარკეულ პოტენციალს, რომელიც გამოყენების პროცესში შეიძლება გადაიქცეს რეალურ სარგებლობად (სიკეთედ) ან იყოს ზიანის მომტანიც, იქცეს დანაკარგად საზოგადოებისთვის და ინდივიდუუმებისთვის. დოვლათის რეალური სარგებლობის ზომა** დამოკიდებულია იმაზე, თუ, რამდენად სასარგებლო მიზნით და რა ზომით იქნება იგი გამოყენებული. სწორედ **დოვლათის არადანიშნულებით, არასრულად, ზომიერზე (გონივრულ მოთხოვნილებაზე) ზედმეტად ან უარყოფი-**

თი მიზნით (ადამიანთა საზიანოდ) გამოყენება უნდა განვიხილოთ მისი სარგებლობის (სიკეთის) პოტენციალის დანაკარგად, უქმ დოვლათად. მისი წარმოება, განაწილება და მოხმარება კი წარმოგვიდგება უქმ ეკონომიკად.

ასეთი დანაკარგი წარმოშვება, დოვლათის უქმი ხასიათის, არასწორი და არასრული, ზომიერ (გონივრულ) მოთხოვნილებებზე ზევით, ფუჭად, ფუფუნებისთვის, უაზროდ გამოყენების, უფუნქციოდ შენახვის მიზეზი ხდება როგორც ინდივიდთა, ისე საზოგადოების ცხოვრების ხარვეზები. ისინი მეტნაკლები ზომით ახასიათებს ცალკეულ ადამიანებს და საზოგადოებებს. მათი არსებობისას დოვლათი შეიძლება იქცეს ნაწილობრივ ან სრულ დანაკარგად, არაფრის მომცემად, უქმ ობიექტებად.

უქმი ეკონომიკის არსებობა კაცობრიობის ცხოვრების დიდი უკუღმართობაა, რომელშიც თავს იყრის მრავალი ხარვეზი. იგი უშლის ხელს ხალხებისა და მთელი კაცობრიობის საარსებო პრობლემათა – სიღარიბის მოსპობის, საყოველთაო მატერიალური უზრუნველყოფის დონის ამაღლების გამოწვევათა გამკლავებას. მისი გაქრობა, მის გამო არსებული დანაკარგების მოსპობა დიდი წვლილი იქნება კაცობრიობის ცხოვრების გაუმჯობესებაში. მაგრამ უქმი ეკონომიკის გაქრობის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. ის გავლენას მოახდენს საზოგადოების ცხოვრების სხვა მხარეებზე, **მთლიანობაში ცხოვრების ადამიანურად მოწყობაზე, ხარისხზე. ის იქნება ჭეშმარიტად სამართლიანი, ზნეობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, ჰუმანურ ურთიერთობათა დამკვიდრების ერთ-ერთი პირობა, რის გარეშე ადამიანთა მოდგმა ვერ გახდება ბედნიერი, რისკენაც ის მიისწრაფის.** ეს ის საკითხია, რომლითაც უნდა დაინტერესდეს თითოეული ადამიანი რიგითიდან მეცნიერამდე, პოლიტიკოსამდე, ძალაუფლების უზენაეს მფლობელამდე.

უქმი ეკონომიკისაგან გათავისუფლება მჭიდრო კავშირშია **ახალი ცბობიერების, ჭეშმარიტებაზე, საყოველთაო ფა-**

სეულობებზე მყარად დაფუძნებული ახალი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებასთან. უქმი ეკონომიკის ამოძირკვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება წარმოვიდგინოთ იმითაც, რომ ამის შედეგად, **ეკონომიკის ზრდის, დამატებითი რესურსების გარეშეც კი, შესაძლებელი გახდება მსოფლიოში სიღარიბის სრულად დაძლევა, მხოლოდ საჭირო იქნება შესაბამისი მშვიდობიანი ინსტიტუციური რევოლუცია.**

დღევანდელი და მომავალი საზოგადოებისთვის აუცილებელია უტყუარი ობიექტური ცოდნა თანამედროვე ცხოვრების ავ-კარგზე, მისი პირუთვნელი ანალიზი, მომავალი ცხოვრების მოდელის გააზრება. **ყველას მიერ უნდა იქნეს გათავისებული, რომ საზოგადოების უპირველესი ორიენტირება მოხმარებისკენ, მოხმარების პრიმატი, თითქოს მოხმარება იყოს არსებობის თვითმიზანი, სწორი გზიდან ადამიანთა გაცდენაა. ჭეშმარიტი მიდგომა გვკანახობს, რომ მოხმარება მხოლოდ საშუალებაა ადამიანთა ცხოვრების საზრისის, ადამიანის დანიშნულების, მისი თვითრეალიზაციის, თვითდამკვიდრებისთვის, მის მიერ ამ ქვეყნად თავისი ფუნქციის შესრულებისთვის. ისიც უნდა გახდეს საყოველთაოდ გაცნობიერებული, რომ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსთვის სრულიად მიუღებელი მახასიათებელია ადამიანთა და ხალხთა კეთილდღეობის ისეთი უთანასწორიობა, შერჩევითობა, როგორიც არსებობს. ამ მახინჯი სურათის შეცვლა გარდაუვალია.**

ამ ნაშრომში წამოჭრილი საკითხები აღნიშნულ პრობლემებს ეხმიანება. ამდენად, ვვარაუდობ, რომ მკითხველი ამ სახის მეცნიერულ კვლევას ინტერესით შეხვდება.

ვფიქრობ, წარმოდგნილი ნაშრომი ბიძგსაც მისცემს ამ პრობლემის გარშემო კვლევებს და კონკრეტულ სუბიექტთა დაფიქრებას **ფუჭი, ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვების აბსურდულობის და მისი დაძლევის გზების გარშემო.**

მოხმარების პოლიფორმიზმი

კაცობრიობა ცხენზე მჯდარ კაცსა ჰგავს,
რომელიც ხან მარჯვნივ გადაიხრება,
ხან მარცხნივ.
ერაზმ ნოტერდამელი

მოხმარება სიცოცხლის განუყრელი ატრიბუტია, ყოველი ცოცხალი არსების ცხოველმოქმედების ნიშანი და ყოფის აუცილებელი პირობაა. იგი, ისევე როგორც ყველა აუცილებელი პროცესი, ნაცნობია ნებისმიერი ადამიანისათვის. მოხმარების რაობაზე ღრმად მაინც ცოტა ვინმე თუ დაფიქრდება. იგი მეტწილად ბანალურად ესმით, როგორც ობიექტების მიმართ უბრალო მოქმედება მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გამოყენების მიზნით. მას ტექნოლოგიური თვალსაზრისით, რაც სოციალური შინაარსის მატარებელიცაა, განიხილავენ მარტივად ამ პროცესში შექმნილი დოვლათის მოსპობის აქტად.

ფართოდ განხილვისას, მთლიანობაში კი მოხმარება, მეტად ღრმააზროვან მოვლენად წარმოგვიდგება. ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ჟან ბოდრიარი, გახმაურებული წიგნის „მომხმარებლური საზოგადოება“ ავტორი, რომელმაც თავისი სანეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი დაუთმო მოხმარების ფილოსოფიის საკითხებს, მოხმარების არსებით მხარეებს მიაპყრობს ყურადღებას, თუმცა არასრულად. მისი აზრით, მოხმარება არის მორალიც, იდეოლოგიურ ფასეულობათა სისტემაც, კომუნიკაციების სისტემაც და ურთიერთობათა სტრუქტურაც.[1]

ვფიქრობთ, მოხმარებას, როგორც სოციალური უნივერსუმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, უფრო ღრმა წვდომა და ანალიზი, განსაზღვრება (დახასიათება) სჭირდება.

---

[1] Жан Бодрийяр . Общество потребления М., 2006. გვ.12.

ეს უნდა დაიწყოს მისი ტექნოლოგიური მხარის, შემდგომ ეკონომიკური და სოციალური შინაარსის (საზრისის) გარკვევით.

უწინარესად უნდა აღინიშნოს, რომ მოხმარების აქტის დროს ადგილი აქვს ბიოქიმიურ, ფიზიკურ პროცესებს სინთეზს, დაშლას, მექანიკურ გარდაქმნებს და სხვა, რის შედეგად დოვლათი გადადის ახალ მდგომარეობაში, გადაიქცევა უფრო მაღალი, სოციალური ორგანიზმის ელემენტად. ამასთან, ეს არაა მხოლოდ ტექნოლოგიური გარდაქმნა. მოხმარებული საგნები თუ არამატერიალური ობიექტები (მომსახურების სახით) უერთდება ადამიანთა ცნობიერებაში მოცემულ მოთხოვნილებათა, ინტერესების, მიზნების, იდეალურ ფორმებს. ყოველივე ამის შედეგად მოხმარებული ობიექტი საბოლოოდ გარდაისახება ახალ კონკრეტულ სოციალურ შინაარსში, იქცევა ,,სოციალურ ობიექტად" სიკეთედ ან ზიანად (ბოროტებად) ადამიანებისთვის. სხვანაირად, ეს არის მათი გარდაქმნა ფიზიკურ და ინტელექუალურ ენერგიად, ადამიანთა სხეულის ნაკვთების, ინტელექტის ,,აგურაკებად", ესთეტიკურ სიამოვნებად და სხვა, რაც შეესაბამება მომხმარებლის საჭიროებას, მიზანს, იდეალს, არსებობისა და განვითარების პირობებს. ამ აქტს განვიხილავთ **ეკონომიკური დოვლათის სოციალურ ობიექტად (სიკეთედ) ტარნსფორმაციად.**[1] ეს არის აგრეთვე მოხმარების პროცესში მეტი სოციალური ,,წონის" (,,ფასის") მქონე ობიექტის წარმოქმნა.

---

[1] ეს ცნება ჩვენს მიერ შემოღებულია მონოგრაფიაში ,,მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია", ასევე ნაშრომებში: ,,ეკონომიკის ჰუმანიზაციისა და დეჰუმანიზაციის ტენდენციები" (რუს. ენაზე), ,,მოგების მეტათეორია. ახალი ხედვა" (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე) და ა. შ. ფართო აზრით, მოხმარების ობიექტების ფორმათა ტრანსფორმაცია ბუნებრივიდან ენერგეტიკულისკენ და ეკონომიკურისკენ, საბოლოოდ სოციალურისკენ, ამ პროცესში მათი სარგებლობის პოტენიაციალის ზრდა, როგორც სოციალური უნივერსუმის ფუძემდებლური მოვლენა, გადმოცემულია ჩვენს აღნიშნულ მონოგრაფიაში.

ამ მხრივ, მოხმარება სოციალური უნივერსუმის ურთუ-ლესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. მოხმარების, როგორც ადამიანის საქმიანობის (დოვლათის კვლავწარმოების) საბო-ლოო აქტში, თავს იყრის და აისახება ადამიანთა ინდივიდებისა და საზოგადოების ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა მხა-რე. მასში ვპოულობ იმას, თუ რა დონზეა ადამიანის განვითა-რება, მისი ინტელექტუალური პოტენციალი, ცნობიერება, რო-გორია საკუთრებითი, განაწილებითი, ყოფითი და სხვა ურთი-ერთობები, კულტურა, როგორი ფასეულობითი სკალა, ორიენ-ტაცია მოქმედებს საზოგადოებაში და ა.შ. მოხმარების ხასია-თის, ძირითადი ნიშნების მიხედვით, შეიძლება შევაფასოთ სა-ზოგადოების წევრთა ზნეობრივი იმპერატივები, სამართლიანო-ბის, პროგრესის, ცივილიზაციის მიღწეული დონე, დიაგნოზი დავუსვა არსებულ მანკიერებებს.

პირუთვნელი ანალიზით, რეალობის ფესვების წვდომით ძნელი არაა დავინახოთ მოხმარების არაერთგვაროვნება თვით პროცესის შინაარსისა და შედეგების მიხედვით. ცხოვრების წე-სისა და საზრისის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როგორც მოხმარების პროცესი, ისე მისი შედეგები განვიხილოთ ცალკე აღებული სახით და მთლიანობაში.

ამ მხრივ მოხმარება არაა ერთგვაროვანი. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საჭიროა დავინახოთ მისი რელევანტური მხარე, რაც მის პოზიტიურ დანიშნულებაში და მნიშვნელობაში გამოი-ხატება. ბანალური ფაქტია, რომ მოხმარების გარეშე არ არსე-ბობს ცოცხალი სამყაროს არც ერთი წარმომადგენელი, თვით სიცოცხლე, მისი კვლავწარმოება. ამ სფეროში არ მიმდინარე-ობს არც ზრდა, არც განვითარება. მაშასადამე, მოხმარებაშია მოქცეული სიცოცხლის არსებობის შინაარსის დიდი ნაწილი. ამასთან, მასში აისახება დოვლათის წარმოების, გაცვლის, გა-ნაწილების ურთიერთობების ხასიათი. ეს ეკონომიკური თვალ-საზრისით. სოციალური ასპექტით მოხმარებაში ვპოლულობთ ზნეობის, ინტელექტის, კულტურს ასახვას, სულიერების თვალსაზრისით – მენტალიტეტის, სათნოების, საბოლოოდ

ადამიანთა ცნობიერების, მოვლენათა ჭეშმარიტი გაგების, ქცევის, ცხოვრების წესის განსახიერებას.

მეორე მხრივ, მოხმარებასთან დაკავშირებულია ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ხელს უშლის ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობას, მათი იდეალის – ბედნიერების, ცხოვრებით ტკბობის, მშვენიერების დამკვიდრებას. მოხმარების ნეგატიურობა – ესაა უწინარესად ადამიანთა ცხოვრების ხარისხზე მის თანმხლებ უარყოფით მოვლენათა გავლენა, მაგალითად, პროდუქტის გამოყენება ადამიანთა საზიანოდ, მისი ნეგატიურად ასახვა ადამიანის ჯანმრთელობაზე, მთლიანად ყოფაზე. ჯანსაღი აზრის თვალსაზრისით, გვაქვს პარადოქსული შემთხვევები, როცა **ადამიანები თავიანთთვის საზიანო პროდუქტების წარმოებისთვის ხარჯავენ რესურსებს და შემდეგ მოიხმარენ ამ პროდუქტებს, რომლებიც ხშირად მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის.** კერძოდ, ამისი მარტივი მაგალითია რესურსების გამოყენება, ვთქვათ, თამბაქოს პროდუქტების წარმოებისთვის, რომელიც იწვევს სარგებლობის (სიკეთის) თვალსაზრისით ორმაგ დანაკარგს. ასევე გვაქვს პროდუქტის **გამოყენების წესის შედეგად** მისი მოხმარების უშუალო უარყოფითი გავლენა ადამიანთა ჯანმრთელობაზე, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელის, თვით კვების ძვირფასი პროდუქტების ზედმეტად მიღებისას და სხვა. საბოლოოდ ეს ამა თუ იმ სახით გამოვლინდება ეკონომიკურ და სოციალურ დანაკარგებში.

ორივე ეს მხარე დაკავშირებულია თვით ადამიანთა უდიდეს ნაწილში ჩამოყალიბებულ ცნობიერებასთან, ქცევასთან, შექმნილ გარემოსთან, ყოფით კულტურასთან, ე.ი. სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებთან. მაშასადამე, ბევრი რამ ადამიანებზეა დამოკიდებული, ბევრიც მათი ნების გარეშე არსებულ მიზეზებთან.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ **უხსოვარი დროიდან დღემდე მთელი შექმნილი დოვლათი ადამიანთა რეალურ კეთილდღეობას არ ხმარდება.** აქამდე ეს ფაქტი სათანადო თეორიული განსჯის საგანიც არ გამხდარა. ამასთან, იგი უაღრე-

სად საყურადღებოა. **განსხვავება წარმოებული დოვლათის რაოდენობასა და მის ზრდას, ერთი მხრივ, და ადამიანთა კეთილდღეობას, მის ამაღლებას შორის, მეორე მხრივ, დიდია.** ამდენად ამ საკითხის სპეციალური თეორიული გამოკვლევა და სათანადო დასკვნების გაკეთება აუცილებელია მეცნიერებისა და პრაქტიკისთვის.

აქ პირველ რიგში საჭიროა ვიმსჯელოთ ამ ფაქტის მიზეზებზე. კერძოდ, იმაზე, თუ რატომ ამ და არა სხვა მიზნით, დანიშნულებით იწარმოება მოცემული პროდუქტი, როგორ, რამდენად რაციონალურად გამოიყენება ის საბოლოოდ ჭეშმარიტი შედეგის – ადამიანებისთვის რეალური სიკეთის მისაღებად. როგორც ტ. პარსონსი აღნიშნავს, ეკონომიკის მიზანია არა წარმოების მაქსიმიზაცია ზოგადად, არამედ **წარმოების მაქსიმიზაცია საზოგადოების ფასეულობითი სისტემის შესაბამისად.** ეს მნიშვნელოვანი მომენტია. მაშასადამე, მოხმარება, თუ ღრმად დავაკვირდებით, ორიენტირებული უნდა იყოს საბოლოოდ არა საგნებისკენ, არამედ არსებულ ფასეულობით სისტემასთან შესაბამისობისკენ. შეიძლება, გარკვეული აზრით, ვთქვათ: **როგორიცაა საზოგადოების ფასეულობითი სისტემა (სკალა), ისეთია მოხმარების წესი.**

სწორედ ეს სისტემა გვიჩვენებს, თუ **რამდენად შეესაბმება წარმოება და შემდეგ მოხმარებაც ადამიანთა რეალურ ინტერესებს.** საქმე ისაა, რომ დღემდე ამ ორ პროცესს შორის საზოგადოების, მის წევრთა რეალური ინტერესების (კეთილდღეობის) **თვალსაზრსით, საკმარისი თანხვედრა არაა.** ეს ვინმეს სუბიექტური ნების მიზეზით კი არ ხდება, არამედ ისტორიული განვითარების „ცოდვაა“. კაცობრიობამ დღემდე ვერ მიაღწია ამ თანხვედრის ისეთ მიჯნას, რაც აუცილებელი და სასურველია ადამიანთა ცხოვრების ნორმალური პირობებისთვის.

მოხმარების **პოზიტიური თუ ნეგატიური შედეგები** დიდაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორაა ადამიანთა ცნობიერებაში ასახული დოვლათის (სიმდიდრის) დანიშნულება, რო-

ლი, მისი გამოყენების რაციონალურობა. ეს თავისთავად ცხადი როდია, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია. სწორედ აქ იჩენს თავს საზოგადოების ფასეულობითი სისტემა, თუ რას თვლის ის ნამდვილ სიკეთედ ინდივიდუუმებისთვის და მთლიანად საზოგადოებისთვის, რამდენადაა აუცილებელი და დასაშვები დოვლათის ამა თუ იმ სახისა და მიზნით გამოყენება, მაგალითად, ატომური ენერგიისა ადამიანთა მოსპობისთვის ან თუნდაც დაშინებისთვის თუ ელექტროენერგიის წარმოებისთვის და სხვა.

სუბიექტური ფაქტორის როლი მოხმარების ხასიათის, წესის ჩამოყალიბებაში გამოიხატება მომხმარებელთა მოთხოვნილებებით, მათი შინაარსით, დონით, სტრუქტურით, რაც თავის მხრივ, ცივილურობის, ცნობიერებისა და მენტალობის ფუნქციაა. ამას კი ისტორიული განვითარების საფხური და სხვა (კუტურული, ეთნოლოგიური, რელიგიური და ა.შ.) პირობები განსაზღვრავს.

განსხვავება დოვლათის (სიმდიდრის) წარმოების თუ მარაგებისა და საყოველთაო კეთილდღეობის დონეს შორის წარმოდგება იქიდან, რომ მთელი შექმნილი დოვლათის საკმაოდ დიდი ნაწილი არასამართლიანი განაწილების, საზოგადოების გარკვეული ფენების არაჯანსაღ, არაგონივრულ, ზომიერზე მეტ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებისთვის არარაციონალურად მოიხმარება, ასევე დიდი ნაწილიც არასრულად გამოიყენება ან ძევს გამოუყენებლად, ან კიდევ მოიხმარება ადამიანთა საზიანოდ . მნიშვნელოვანია სუბიექტური ფაქტორები, რომელთა გამო დოვლათის ფლობა (მოხმარება) შეიძლება სხვადასხვანაირად აღიქმებოდეს ნამდვილ სიკეთედ.

ამრიგად, დოვლათის რეალური სარგებლობა წარმოგვიდგება მისი საგებლობის (სიკეთის) პოტენციალისა და მისი გამოყენების, ასევე ამ პოტენციალის აღქმის ფუნქციად. საბოლოო ანგარიშით, დოვლათის (სიმდიდრის) მხოლოდ ერთი ნაწილი წარმოადგენს პოზიტურ ეკონომიკას, რომელ-

საც მოაქვს რეალური სარგებლობა (სიკეთე) ადამიანებისთვის. მეორეა ამაზე, ე.ი ზომიერზე მეტად მოხმარებული ან დაგროვილი, არასწორად, მ.შ. თვით ადამიანთა საზიანოდ გამოყენებული ნაწილი, რომელსაც არ მოაქვს არავითარი სარგებლობა (სიკეთე) ან მოაქვს ზიანი. ეს უკანასკნელი წარმოგვიდგება დანაკარგებად ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის. სწორედ იგი გვევლინება უქმ ეკონომიკად. უქმი ეკონომიკის მასშტაბების შესაბამისად მცირდება საყოველთაო კეთილდღეობა იმასთან შედარებით, როგორიც ის შეიძლებოდა ყოფილიყო აღნიშნული დანაკარგების გარეშე.

ამასთან, წარმოების პროდუქტის სასარგებლო პოტენციალი და მასზე გაწეული დანახარჯები შეიძლებოდა მოხმარებოდა ადამიანთა გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ამგვარი უქმი დოვლათი შეიძლება ჩავთვალოთ კეთილდღეობის **ამაღლების განსაკუთრებულ პოტენციურ რესურსად.** ამ საკითხებზე გვექნება მსჯელობა ქვემოთ.

ზემოთ მოტანილი მსჯელობებიდან გამომდინარეობს, რომ **არასწორია ყოველგვარი მოხმარება, მისი ზრდა თავისთავად მივიჩნიოთ სიკეთედ.** ამაზე მიუთითებდა ჯ. გელბრეიტი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს, სამართლიანად აკრიტიკებდა რა ცხოვრების ნეოკლასიკურ მოდელს, თითქოს მოხმარება ეს უპირობოდ კეთილმყოფელი რამაა ... საჭიროა ყოველგვარი პატიოსანი სოციალური ხერხებითა და საშუალებებით მისი მაქსიმიზაციაა. ამასთან, ეს უმაღლესი ზომით დამამძიმებელი სიამოვნება არაა, მხოლოდ საჭიროა დაფიქრება დოვლათისა და მომსახურების შერჩევაზე.[1]

მოხმარების როლს ადამიანთა კეთილდღეობაში ჟ. ბოდრიარი უკავშირებს ადამიანთა სუბიექტურ შეხედულებებს, განწყობას, მოთხოვნლებათა ხასიათს. მისი აზრით, თანამედ-

---

[1] ჯ. გელბრეიტის წიგნის რუსული გამოცემიდან: Дж. Гэлбрейт. Экономическиее теории и цели общества. Перевод с англ. М., гл IV.

როვე განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანთა მოთხოვნილებების შეუზღუდავი ხასიათისას საქმე გვაქვს სიღარიბის იშვიათ ზრდასთან. სწორედ სოციალური ლოგიკა გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ პრიმიტიულ ხალხებში არსებობდა პირველი ერთადერთი სიუხვის საზოგადოება. ხოლო ჩვენი სოციალური ლოგიკა ჩვენ გვხდის ფუფუნებით სანახაობით ღარიბებად“. [1]

ამ აზრთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, სიუხვე შეიძლება, გარკვეული აზრით, განვიხილოთ როგორც შეფარდებითი სიდიდე, დოვლათით დაკმაყოფილების დონე (დოვლათის შეფარდება მოთხოვნილებეთან), მაგრამ ამ მხრივ განუვითარებელ საზოგადოებაში უკეთესი მდგომარეობის არსებობა საეჭვოა. თანაც სიუხვე მისდევს განვითარების დონეს, რაც გვიჩვენებს იმას, თუ რა ხასათის მოთხოვნილებები კმაყოფილდება.

არ შეესაბამება სინამდვილის ლოგიკას სიუხვის მოვწყვეტა პროგრესისაგან, ცხოვრების შინაარსისაგან, მაშასადამე, მოხმარების მასშტაბებისგან, თუმცა მას ის სრულად არ ემთხვევა. ეს გადახრა არ ნიშნავს, რომ სიმდიდრის რაოდენობასა და სტრუქტურას არ ჰქონდეს მნიშვნელობა სიუხვის, ცხოვრებაზე მისი გავლენის მხრივ. მეტი სიმდიდრე, საერთოდ, ნიშნავს მოხოვნილებათა უკეთ, უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფლებას. უფრო განვითარებულ საზოგადოებაში უთუოდ სიუხვის მეტი დონე არსებობს. მიუხედვად ამისა, ჟ. ბოდრიარის კრიტიკულ პასაჟში მაინც არის სიმართლის მარცვალი. თავისთავად თანამედროვე საბაზრო ინსტრუმეტებით (კონკურენცია, რეკლამა და მასობრვი ინფორმაციის საშუალებათა პროპაგანდა) მოთხოვნილებათა გაღვივება არ მიუთითებს ცხოვრების შესაბამის გაუმჯობესებაზე, აუცილებელია სიმდიდრის ზრდა უფრო მეტად ემსახურებოდეს საზოგადოების რეალურ კეთილდღეობას.

---

[1] ჟ. ბოდრიარი. დასახელებული წიგნი. გვ. 67. ჟ. ბოდრიარი აქ უძველესი ხანის (ჰესიოდე და სხვა) და განმანათლებლებთა (ლოკი, რუსო) მხრივ წარსულის იდეალიზაცის იმეორებს.

გასარკვევია, თუ შექმნილი დოვლათის რა ნაწილები ფაქტობრივად ვერ ხმარდება კეთილდღეობას და რა მიზეზებით. ამის დადგენასთან დაკავშირებით აუცილებლად მიგვაჩნია ზოგიერთი ცნების შინაარსის დაზუსტება მათი სწორად, დაუმახინჯებლად გაგების მიზნით. მათში ხშირად სხვადასხვა აზრს დებენ ხოლმე. კერძოდ, ასეთია: ,,რეალური სარგებლობა (სიკეთე)", ,,გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილება", ,,კეთილდღეობა", ,,რაციონალური მოხმარება", ,,რაციონალური ქცევა", ,,რეალური დანაკარგები" „მომხმარებლის სუვერენიტეტი" და სხვა.

ცნებათა ადეკვატურად გაგება მეტად მნიშვნელოვანია. ნებისიერი ცნების შინაარსის დამახინჯეული გაგება, რაც ხშირად გვხვდება, ხელს უშლის სწორად აზროვნებასა და ქცევას.

მოხმარების აზრს, ხასიათსა და შედეგებში ღრმად გარკვევისთვის პირველ რიგში განვსაზღვროთ **რეალური სარგებლობა (სიკეთე).** ესაა მოხმარების ის შედეგი, რომელიც ადამიანის ნორმალურად აღიარებული ბიოსოციალური და სულიერი არსებობისა და განვითარების აუცილებლობას წარმოადგენს. საგულიხმოა ,,სარგებლობა" განვახსხვავოთ ,,სარგებლიანობისგან ". სარგებლობა ეს ნამდვილი სიკეთეა, ხოლო **სარგებლიანობაში გულისხმობენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას საერთოდ,** რომელთა ნაწილი სულაც არ არის სიკეთე და ზოგჯერ საზიანოცაა. ამდენად ეს განსხვავება მნიშვნელოვანია ცხოვრების მოვლენათა სწორად ახსნა-გაგებისთვის. მოთხოვნლებები ობიექტურად, მათი დაკმაყოფილების მიხედვით, მართებულია დავყოთ **ჯანსღ, გონივრულ ანუ რეალური სარგებლობის (სიკეთის) მომტან, მოთხოვნილებებად**[1] **და არაჯანსაღ, არაგონივრულ მოთხოვნილებებად, რომელთა დაკმაყოფილებას არ ახლავს ნამდვილი სიკეთე ადამიანე-**

[1] მოთხოვნილებათა გონივრულობაზე ჯერ კიდევ ჯონ ლოკი მიუთითებდა: ,,ყოველგვარი სათნოებისა და ყოველგვარი ღირსების საფუძველი მდგომარეობს ადამიანის უნარში, შეძლოს უარი თქვას თავის სურვილებზე, როცა მათ არ იწონებს გონება. "

ბისთვის. ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილება გაუმართლებელია. ისინი თავისთავად ორგვარია: ჯერ ერთი, **მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება უშუალო ბოროტებას წარმოადგენს ადამიანებისთვის და, მეორე, უაზრო, ფუჭი, ფუქსავატური მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება არაფრის მომცემი, ან ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის მომტანია. ორივე ეს საზიანოა ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის.**[1] სამწუხაროა, რომ ეკონომიკური თეორია, სოციალური მეცნიერებები, საერთოდ, მეტწილად გვერდს უვლის ყალბი, მოჩვენებითი კეთილდღეობის, კიდევ მეტი, ადამიანთა მიერ თავისი და სხვების საზიანო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დოვლათის მოხმარების (დაგროვების), მაშასადამე, არარაციონალურად გამოყენების ფაქტს. გაურკვევლობაა, რომ ადამიანთა საზიანო დოვლათი (ჯამრთელობის დაკარგვის, სიცოცხლის მოსპობის საშუალებები, მაგალითად, თამბაქოს ნაწარმი, საომარი იარაღი და საშუალებები, უაზრო მოთხოვნლებათა დაკმაყოფლებისთვის განკუთვნილი ნივთები და მომასახურება) განიხილება საზოგადოერივი დოვალთის ნაწილად. ეს ხდება მაშინ, როცა მათ დიდი ზიანი მოაქვთ კაცობრიობისთვის. ვფიქრობთ, ეს თეორიისა და პრაქტიკის დიდი ნაკლია.

კეთილდღეობის ჭეშმარიტი გაგების შესახებ საჭიროა აღნიშნოს ისიც, რომ იგი მეტწილად არადეკვატურად ესმით თეორიაში და ყოფით დონეზე. **კეთილდღეობა გაგებულია როგორც საერთოდ ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება საქონლითა და მომსახურებით.** აქედან გამომდინა-

---

[1] ეს უძველეს დროში (ძვ. წ. ა. მე-6 მე-5 საუკუნეშიც) კარგად ესმოდა ლაო ძის, რომელიც წერდა: ,,სამეფო კარი თუ ბრწყინავს, მინდვრები კი გახრიოკებულია, ბეღლები დაცრიელებული. დიდებულნი თუ ძვირფასეულობით შემოსილან, ბრწყინვალე საჭურჭლით შეჭურვილან, უკადრისობენ მდაბიურ სუფრას და ფუფუნებაში ყელამდე ჩაფლულან, ეს ავაზაკობა და ზვიადობაა. "ლაო ძი. დაო დე ძინი. თბილისი 1990. გვ.123..

რეობს, რომ თითქოს ყოველგვარი მოხმარება სიკეთეა (იხ. თეორეტიკოსები ა. პიგუ, ი. ლიტლი, ა. ბერგსონი. კ. ეროუ, ს. კუზნეცი და სხვ.).[1] ასეთ გაგებას უკავშირდებენ ადამიანის უფლებებს, მომხმარებლის ინტერესებს, სუვერენიტეტს. სინამდვილში ეს ასე არაა და არ შეიძლება იყოს. ტრივიალური ჭეშმარიტებაა, რომ ყოველგვარ დაკმაყოფილებას არ მოაქვს სიკეთე, რადგან ადამიანებს **ბევრი გაუკუღმართებული მოთხოვნილებები** აქვთ.

მომხმარებლის სუვერენიტეტად განმარტავენ მისი ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების უფლებას, მის უნარს თითქოს თავად სავსებით სწორად და ყველაზე უკეთ შეეძლოთ განსაზღვროს თავისი მდგომარეობა (კეთილდღეობა). ვ. ს. ანტონომოვი თვლის: ,, ეკონომიკური ადამიანის არჩევანი არის რაციონალური, იმ აზრით, რომ ცნობილი ვარიანტებიდან აირჩევს იმას, რაც, მისი აზრით ან მოლოდინით, უდიდესი ზომით პასუხობს მის მჯობინებებს.“[2] ცხადია, საერთოდ მომხმარებლის სუბიექტური აზრის (მჯობინების) მიჩნევა უტყუარ, საუკეთესო ვარიანტად არ შეესაბამება სინამდვილეს. რამდენი ვინმე მოისურვებს ისეთ რამეს, რაც ობიექტურად შორსაა მოხმარებით მიღებული უდიდესი სარგებლობისაგან. **მომხმარებელთა სუვერენიტეტსა და ინტერესებს** რეალურად შეესაბამება ის, რომ კმაყოფილდებოდეს **მათი ჯანსაღი და არა ყოველგვარი მოთხოვნილება. არაჯანსაღ მოთხოვნილებათა** დასაკმაყოფილებლად დოვლათის

---

[1] იხ. Macmillan Dictionary of Modern Economics. London and Basingstoke. 1992. ,,Economic welfare “, and ,, Social welfare Function“.

[2] Антономов В. С. Модель человека в экномичесой науке. Санкт Петрбург. !994. С. 12. უპრიანია აღინიშნოს, რომ ეს აზრი, რომელსაც ბევრი იზიარებს, ვფიქრობთ ჯანსაღი განსჯის თვალსაზრისით, არის მომხმარებლის სუვერენიტეტის ვულგარული გაგება და ეწინააღმდეგება კაცობრიობის კულტურის შემოქმედ საუკეთესო წარმომადგენელთა , ასევე რელიგიების მოძღვრებებს, რომელთა შესახებ კარგად უწყის განათლებულმა საზოგადოებამ.

მოხმარებას განვიხილავთ როგორც არარაციონალურს, ხოლო ამგვარად მოხმარებულ დოვლათს, სრულიად გამოუყენებლად არსებულთან ერთად, რაც არაიშვიათად გვხვდება, **როგორც ზედმეტს ინდივიებისთვის. იგი გადაიქცევა შეფარდებით ზედმეტად საზოგადოებისთვისაც გამოუყენებლობის ან არასწორად, არასრულად გამოყენების გამო.**[1] **ის, რაც არ ხმარდება რეალურ სარგებლობას ადამიანებისთვის, სიკეთეს ან ხმარდება ადამიანებისთვის ზიანის მიყენებას, უქმია.** შექმნილი დოვლათი ამ შემთხვევებში, მისი წარმოების რესურსები არ შეესაბამება, არ ემსახურება **თავის ნამდვილ დანიშნულებას რაციონალურ მოხმარებას, მაშასადამე, ის რეალური დანაკარგებად გვევლინება.**

ადამიანებისთვის რეალური სარგებლობის მისაღებად გამოყენება კი, როგორც უკვე აღინიშნა, წარმოგვიდგება **ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთედ ტრანსფორმაციად (სოციალური სიკეთეში გადასვლად).** სწორედ ამაში გამოიხატება **რაციონალური მოხმარება.** მასში და მის ზომაში გამოვლინდება წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საზრისი, საბოლოო შედეგი სარგებლობა (სიკეთე) ადამიანებისთვის, ამ პროცესის ეფექტიანობა. **ამაში ვლინდება დოვლათის გამოყენების წესის, ე.ი. დანიშნულებით (ადამიანებისთვის სასარგებლოდ) და სრულად გამოყენების მნიშვნელობა. ამ წესისაგან გადახრისას დოვლათი კარგავს თა-**

---

[1] ზედმეტისა და უკმარის კატეგორიებს საფუძველი ჩაუყარეს პლატონმა და არისტოტელემ. ,,ის, რაც აჭარბებს ზომიერ ბუნებას და ის, რაც მასზე მეტია სიტყვით და საქმით, ნამდვილად არის ზედმეტი. Платон. Соч. т. 3, ч. II,С. 45-47. არისტოტელე ზედმეტსა და უკმარს განიხილავდა, როგორც საშუალოდან, სასურველიდან გადახრას. Аристотель . Соч. , т. 4. Изд. ,, Мысль “. М., 1984. С. 88, 87б 118, 215..

ვისი სარგებლობის პოტენციალს გადახრის ზომის შესაბამისად ან იძენს უარყოფით (ზიანის) მნიშვნელობას. [1]

სუბიექტის ყოველგვარი ქცევა, რომლის შედეგია საზოგადოების რეალური პოტენციური დოვლათის (სარგებლობის, სიკეთის) დანაკარგები, უნდა ჩაითვალოს **არარაციონალურ ქცევად.**

მნიშვნელოვანია ადამიანთა განსაკუთრებული თვისების მოხმარების **ზომიერების განხილვა ეკონომიკური კატეგორიის რანგში.**[2]ადამიანთა (საზოგადოების) მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება **გონივრულ ფარგლებში, როცა მას მოაქვს რეალური სარგებლობა (სიკეთე),** ამ აზრით, წარმოგვიდგება **ზომიერებად, ხოლო ამაზე გადაჭარბებით მოხმარება (დაგროვება) ზედმეტობად.**

აქვე შევნიშნავთ, რომ აზრი, თითქოს შუძლებელია დავადგინოთ, თუ რა არის გონივრული, სად ძევს საზღვარი გონივრულსა და არაგონივრულს შორის, როგორ დავადგინოთ, თუ რა არის ზომიერი და რა არა და ა.შ. გამოგონილია, ადამიანთა შემეცნების უნარისადმი უნდობლობაა. **არ არსებობს მოვლენა, რომლის განსაზღვრება არ შეიძლება. სამყაროში, მ.შ სოციუში ყოველივე გაზომვადია, თუ არ იქნება ეს აბსოლუტურად ზუსტი, მიახლოებით მაინც.** გონივრულისა და არაგო-

---

[1] შევნიშნავთ, რომ ჩვენი კონცეფცია განსხვავდება მარჟინალისტურისაგან, რომლის მიხედვით ადგილი აქვს დოვლათის სარგებლიანობის (ნებისმიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უნარის) კლებას მოხმარების ყოველი ერთეულით ზრდისას, ე.ი. რაოდენობითი ფაქტორის მოქმედებით. ჩვენ ვთვლით, რომ დოვლათის რეალური სარგებლობა (და არა სარგებლიანობა) იკარგება არა თანდათანობით, მოხმარების რაოდენობის გადიდების კვალობაზე, არამედ ზომიერზე მეტად, ფუჭად ან ადამიანთა საზიანოდ გამოყენებისას, გამოუყენებლობის თუ უქმად არსებობის ზომის შესაბამისად.

[2] ამ მიდგომების შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი ზემოთ დასახელებული მონოგრაფია ,,მეტაეკონომიკა ეკონომიის ფილოსოფია“. თბილისი. 1995.

ნივრულის, საჭიროსა და ზედმეტს შორის განსხვავების კრიტერიუმები დაადგენილია კაცობრიობის მიერ ცხოვრების პრაქტიკით. საერთოდ, ადამიანებს შეუძლიათ განსაზღვრონ, თუ რის და რა ზომით მოხმარებას მოაქვს მათთვის სიკეთე და სად იწყება ზიანი ან უსარგებლო მოხმარება და ჩვეულებრივ ამას აკეთებენ კიდეც. **მთავარი კრტერიუმი არის ზომიერება,** რასაც ასე თუ ისე იცავენ ადმიანები. მაგრამ პრობლემა ჩნდება იმ შემთხვევებში, როცა ეს კრიტერიუმები სხვადასხვა მიზეზით ადამიანების მიერ ირღვევა, გარკვეული ნაწილისთვის ისინი გაუგებარი ან კიდევ სულაც მუღებელია.

ზედმეტი მოხმარება (დაგროვება) კაცობრიობის ცხოვრებაში დამანგრეველი ძალაა, რომელიც აპირისპირებს ადამიანებს ბუნებასთან და ერთმანეთთან. ეს **არარაციონალურობა,** რაც შედარებით ნაკლებად შესამჩნევია წარმოების სფეროში, მეტად დიდ ადგილს იჭერს დოვლათის გამოყენების (მოხმარების) სფეროში. იგი მრავალი ფორმით ვლინდება, რაც ქვემოთ იქნება ნაჩვენები. ნიშანობლივია, რომ ჩვენს დროში მოხმარება საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილისთვის ცხოვრების საზრისის ძირითადი მატარებელი გახდა. ,,ყველგან დასავლეთში წარმოების ეგზალტირებული გმირების ბიოგრაფიები შეცვალა მოხმარების გმირების ბიოგრაფიებმა“.[1] ეს არაფრით არაა საზოგადოების ცხოვრებისთვის სასარგებლო.

დოვლათის უაზრო, ფუჭი, არარაციონალური მოხმარება, საკუთარი და სხვების საზიანო გამოყენება, ფართოდ შეინიშნება ადამიანთა სხვადასხვა წრეში. მისი შემაფერხებელი გავლენა ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაზე დიდია. მნიშვნელოვანწილად ამ მიზეზების გამო საყოველთაო კეთილდღეობის პრობლემა ვერ წყდება და მთელი კაცობრიობისა და ცალკეული ხალხების ცხოვრებაში ადგილი აქვს აღმაშფოთებელ უკეთურობებს, ადამიანთა დიდი უმრავლესობის სიდუხჭირეს.

---

[1] ჟ. ბოდრიარის დასახელებული წიგნი, გვ .50.

ზომიერების დაცვა, სიხარბის დაძლევა, უქმი დოვლათის შემცირება და აღკვეთა მთელი კაცობრიობის ერთერთი მთავარი გამოწვევაა. ამრიგად, ზომიერება არაა მხოლოდ ყოფითი სიბძნის გამომხატველი ცნება, არამედ თეორიული კატეგორიის შინაარის მატარებელიცაა. ეს მომენტი კი ერთ-ერთი ცენტრალური უნდა იყოს კეთილდღეობის თეორიაში.

ადამიანების მოთხოვნილებათა დიდი ნაწილის არაჯანსაღი, არაგონივრული ხასიათი, რომ ადამიანები ეტანებიან ისეთ რამეებს, რაც **თვით მათაც აზიანებს და სხვებსაც ან სრულიად არაფრის მომცემია, უაზროა, პარადოქსია, მაგრამ რეალობაა. იგი ცნობიერებისა და ყოფიერების დიდი ნაკლია.** ადამიანებს ხშირად სურთ დაეუფლნენ საგნებს ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კი არა, არამედ პრესტიჟისთვის (იხ. ტ. ვებლენი, ჟ . ბოდრიარი, ე. ფრომი. ტ. ჯატი და სხვა), სხვებზე ძალაუფლების, უპირატესობის მოსაპოვებლად. ჯერ კიდევ მე19 საუკუნის ბოლოს ტ. ვებლენი წერდა, რომ მოგების წყურვილი ხელს უშლის სასარგებლო ნივთების წარმოებას... საზოგადოებაში თავიანთი გავლენა რომ დაამკვიდრონ, ადამიანები იძენენ ძვირფას, ფუფუნების საგნებს, რომლებიც ცხოვრებისთვის აუცილებელს არ წარმოადგენს. მდიდრები აღტაცებულნი არიან იმით, რომ ისინი მდიდრები არიან.[1] ეს მათი ისტორიულად თანმდევი ძირითადი მემკვიდრეობითი ნიშანთვისებების, ყოველგვარი, მათ შორის სოციალური გარემოსადმი ადაპტაციისა და გამორჩეულობისკენ (სხვების მიმართ უპირატესობისაკენ) მიდრეკილების გამოვლინებაა.

ადაპტირებისა და გამორჩეულობისაკენ მიდრეკილების თვისებები თავისთავად კი არაა ნეგატიური, საზოგადოების ცხოვრების მანკიერების მიზეზი, არამედ მაშინ, როცა იღებს უარყოფით, საზიანო ხასიათს. ამრიგად, მთავარი ისაა, თუ როგორ ხდება ადაპტირება და რა მიმართულების, შინაარსი-

[1] გამოცემიდან: Б Селигмен. Основные течения современной экономической мысли. Перевод с англ. М., 1964. С 70.

საა უპირეტესობისაკენ მიდრეკილება, ხომ არ აზიანებს ის თვით ინდივიდებს ან სხვა პირებს, საზოგადოებას. მისი საზიანო ხასიათი არსებულ სინამდვილეში ადამიანთა დიდი ნაწილის ერთ-ერთ დიდ უარყოფით თვისებად, სულქმნილების ნაკლად, ასევე საზოგადოებისთვის ზიანის მიზეზად უნდა იქნეს განხილული. **იგი ეფუძნება სიკეთის (სარგებლობის) არაჭეშმრიტ, გამრუდებულ გაგებას, არასწორად გაგებულ (მახინჯ) ინტერესებს, გაუკულმართებულ მენტალიტეტს. ცნობიერება და მენტალიტეტი განსაზღვრავს ქცევას.** გამრუდებული ცნობიერებიდან და მენტალიტეტიდან გამომდინარეობს ადამიანთა მეორე უარყოფითი თვისებაც მათი **არარაციონალურობა[1], ე.ი. ისეთი ქცევა, რომელიც რეალურ (ნამდვილ) საუკეთესო სასარგებლო შედეგს, სიკეთეს არ იძლევა ან რომელსაც უარყოფითი შედეგი მოაქვს.**

თეორიის მტკიცება, რომ **საერთოდ ადამიანები რაციონალურები არიან, რომ ინდივიდები ყოველთვის ყველაზე უკეთ აფასებენ თავიანთ მდგომარეობას, პრაქტიკაში არ დასტურდება.** ისინი უშვებენ ბევრ შეცდომას, ხშირად არ ფლობენ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების უნარს, ამისთვის საჭირო ცოდნას. ეს მათ მიერ დოვლათის არაგონივრული, არაჯანსაღი მოთხოვნილების დასაკმაყოფლებლად მოხმარებასა და დაგროვებაში, განუსაზღვრელი სიმდიდრისადმი (შემოსავლისადმი) მისწრაფებაში და სხვა ვლინდება. სხვანაირად ესაა **ადამიანთა არაზომიერება (ზომიერების პრინციპის დარღვევა).** ამის გამო გარკვეული დოვლათი ინდივიდთა ნაწილისთვის გადაიქცევა **ზედმეტობად, არსებითად არასაჭიროდ, უქმად.**

---

[1] დავაკონკრეტებთ: არარაციონალურობში ვგულისხმობთ იმას, რომ ადამიანთაგან არავის არ შეუძლია ყოველთვის მიიღოს საუკეთესო გადაყვეტილება მოქმედების შესახებ და შესაბამისი შედეგი, ზოგჯერ კი ისინი მიზანმიმართულად მოქმედებენ ნეგატიური, სხვისი და თავისავე (რაც უფრო არანორმალურია) საზიანო, შედეგის მისაღებად.

თეორია, როგორც ცნობილია, აღიარებს **მოთხოვნილებების განუსაზღვრელობას,** რაც არ შეიძლება მართებულად მივიჩნიოთ. გონივრული (ჯანსაღი) მოთხოვნილებები, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, მოცემულ მომენტში შეზღუდულია **ადამიანთა სამომხმარებლო ძალის განსაზღვრულობით.** ადამიანებს არ შეუძლიათ დოვლათი უზომო რაოდენობით მოიხმარონ, რასაც თეორია გვერდს უვლის. მოთხოვნილებათა უსაზღვრობის დოქტრინა ადამიანთა გარკვეული ნაწილის ინტერესებს პასუხობს, რომ გაყიდვების ზრდით ბიზნესში მოგების სასურველ ზრდას მიაღწიონ. სწორი იქნება ვთქვათ, **რომ მოთხოვნილებები იცლება, ვითარდება განუსაზღვრელად, ხოლო მათი რაოდენობითი განუსაზრვრელობა გონივრულობის ფარგლებში პრაქტიკას, მისწრაფება განუსაზღვრელი რაოდენობის სიმდიდრის ფლობისკენ კი ჯანსაღ აზრს ეწინააღმდეგება.**

აქვე შევნიშნავთ, რომ საყოველთაო კეთილდღეობაში არ **ვგულისხობთ ეგალიტარიზმს, ბანალურ გამთანაბრებლობას, ადამიანთა მიერ ერთნაირ მოხმარებას,** რაც გაუმართლებელია, რადგან მოთხოვნილებები განსხვავებულია. მოხმარებისა და შემოსავლების ერთნაირობა უსამართლობა და უწესრიგობა იქნებოდა. **საქმე ეხება გონივრულ, ჯანსაღ მოთხოვნილებათა თანაბარ დონეზე (თანაბარზომიერ) დაკმაყოფილებას, რაც აუცილებელია სამართლიანი, ჰუმანური საზოგადოებისთვის.**

საჭიროა ყველასთვის გასაგები იყოს კაცობრიობის პრაქტიკითა და შემცნებით დადასტურებული ჭეშმარიტება, **რომ მოხმარება და ქონების დაგროვება ზომიერების საზღვრებს იქით, ადამიანებისთვის არავითარ რეალურ სარგებლობას, სიკეთეს არ შეიცავს, შედეგი მხოლოდ ილუზიური სიკეთეა, ყალბი კეთილდღეობაა.** ეს ობიექტური კრიტრიუმი, რაც კაცობრიობამ შეიმუშავა უნდა ედოს საფუძვლად განსჯას ეკონომიკური დოვლათის რეალურ სოციალურ სიკეთედ ტრანსფორმირების შესახებ. სწორედ აქედან გამომდინა-

რეობს **შეფარდებით ზედმეტი** (ფაქტობრივად სასარგებლოდ გამოუყენებელი, უქმი) დოვლათის (სიმდიდრის), უქმი ეკონომიკის არსებობის ფაქტი.

ზედმეტი, უქმი დოვლათი **უკეთურობაა ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის, სხვა ნეგატიურ შედეგებს გარდა, იმის გამოც, რომ,** გარკვეულწილად ამ მიზეზით არსებობს **დოვლათის უკმარობა**. ადამიანთა დიდი ნაწილისთვის ეს უკმარობა შეიძლებოდა არ ყოფილიყო ჯანსაღი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მთელი არსებული დოვლათის, მისი წარმოების რესურსების რაციონალურად და სრულად გამოყენების შემთხვევაში.

შეიძლება ვთქვათ, რომ ცალკეული ადამიანების ხელში მათთვის საჭიროზე მეტი, უქმი, უსარგებლო სიმდიდრის არსებობა არის ადამიანსა და ნივთებს შორის აუცილებელი წონასწორობის ობიექტური კანონის დარღვევა. ადამიანთა განკარგვაში არსებული ნივთები არ უნდა აღემატებოდეს მათ სამომხმარებლო ძალას. სხვანაირად ნივთები ბატონობს ადამიანებზე. ადამიანები ეფლობიან ნივთებში, ისინი მძიმე ტვირთად აწვება მათ. ცხოვრებაში ნივთებისა და ნივთობრივ ურთიერთობათა როლის მეტისმეტი გაზრდა საფრთხედ იქცევა ინდივიდუუმებისა და საზოგადოებისთვის, რომელსაც აუცილებელია თავი ავარიდოთ. ჰ. მარკუზე ამასთან დაკავშირებით მწვავედ სვამს საკითხს. მისი აზრით, განვითარებული ინდუსტრიული ცივილიზაციის ადამიანი სუბლიმინირებულ მონებად წარმოგვიდგება, რამდენადაც მონობა განისაზღვება არა შრომის სიმძიმით, არამედ ყოფის სტატუსით, როგორც მარტივი ინსტრუმენტით, და ადამიანის ნივთის მდგომარეობაზე დაყვანით. ეს არის მონობის კერძო ფორმა, ნივთის ინსტუმენტის სახით არსებობა. ის, რომ ყველა გასულიერებულია და ვითომ ირჩევს თავის მატერიალურ და იტე-

ლექტუალურ საზრდოს, არ გრძნობს თავს მონად, რომ მომ-ხიბლველი და მოძრავია, არ ცვლის ასეთი არსებობის არსს.[1]

მართლაც, საკუთარი შრომის გამყიდველი, წამდაუწუმ სხვადახვა მასშტაბის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში ჩართული, ზოგჯერ თავად ასეთი ოპერაციების საგნად ქცეული (ფეხბურთელი, მოკრვე თუ შოუ ბიზნესის წარმომადგენელი) ბაზრის ატმოსფეროშია ჩაძირული. იგი ბაზრის კარნახით მოქმედებს, გონების გამაბრუებელი რეკლამის, ბაზრის აგენ-ტების მომაბეზრებელი, ტვინის გამლაყებელი შემოთავაზებ-ების, კომერციული ინტერესების დამცველი მასობრივი საშუა-ლებების გავლენის ქვეშაა მოქცეული. ეს ადამიანი ძნელია თავს სრულფასოვან თავისუფალ პიროვნებად აღიქვამდეს!

ეს მეტად მძიმე მდგომარობაა ცივილიზებული ადამი-ანისთვის, მიუხედავად იმისა, აცნობიერებს იგი მას თუ არა!

არსებული სიტუაცია, ზომიერების დაკარგვა, საერთოდ, ადამიანთა დამახინჯებული ცნობიერება, კეთილდღეობის ყალბი გაგება, ზედმეტი სიმდიდრის დაგროვებისაკენ, მოხმა-რებისკენ დაუოკებელი მიდრეკილება, მოხმარება სიმდიდრის მეშვეობით უპირატესობის დადასტურებისთვის დიდ დაბრკო-ლებას ქმნის ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესების გზაზე.

რეალობა კი ასეთია: ფუჭი, უაზრო მოხმარება, რომელ-საც არ მოაქვს ჭეშმარიტი სიკეთე, საერთოდ ადამიანთა ცხოვ-რების თანამგზავრი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამი-ანთა ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამცირებს საყოველთაო კე-თილდღეობას. ყოველივე ეს ისტორიის ობიექტური სინამდვი-ლის „ცოდვებია“ („შეცდომებია“). ვგულისხმობთ საზოგადოე-ბის ინტელექტუალური და კულტურული განვითარების არა-საკმარის დონეს. მათი გადალახვის გამოწვევის წინაშე დგას დღეს მთელი კაცობრიობა.

---

[1] გამოცემიდან: Г. Маркузе. Одномрный человек. Перевод с англ. М., 1994 . С. 43.

ჟ. ბოდრიარი ფართო ასპექტით ხედავს ადამიანთა მიერ დოვლათის მოხმარების არაწორ წესს თანამედროვე მაღალ-განვითარებული საზოგადოებებაში. იგი აღნიშნავს: ჩვენს ირ-გვლივ დღეს არსებობს მოხმარებისა და სიუხვის ფანტასტიკუ-რი რეალობა, რომელიც დამყარებულია სიმდიდრის, მომხახუ-რების, მატერიალური დოვლათის ზრდაზე და შეადგენს ადამი-ანთა მოდგმის ეკოლოგიის ღრმა მუტაციას...ადამიანები სიუხ-ვის საზოგადოებაში გარშემორტყმულნი არიან არა სხვა ადამი-ანებით, როგორც ეს იყო ყველა დროს აქამდე, არამედ მოხმა-რების ობიექტებით. მათი ყოველდღიური ურთიერთობა განი-საზღვრება არა მათ მსგავსებთან ურთიერთობით, არამედ დოვლათის გადაცემა – მიღების მანიპულაციების აღმნიშნელი სტატისტიკური მრუდით.[1] როგორც ვხედავთ, მწვავედაა მინიშ-ნებული ადამიანებისა და ადამიანურ ურთიერთობათა, მათი ნივთებთან დამოკიდებულებისა და ნივთობრივი ურთიერთო-ბის პროპორციის დარღვევა, რაც უთუოდ ნეგატიური ფაქ-ტია.

ზემოთ აღნიშნულიდან ნათელია, თუ რა გამოწვევის წინ დგას დღეს მთელი კაცობრიობა მოხმარების ზომიერებისა და უქმი ეკონომიკის ამოძრკვის გზით ადამიანთა ცხოვრების გა-უმჯობესების სფეროში.

[1] ჟ. ბოდრიარის დასახელებული წიგნი . გვ. 5.

უქმი ეკონომიკის სახეები.
უქმი ეკონომიკა როგორც მფლანგველობა

მდიდარი ადამიანები არიან
შეპყრობილნი და არა ნასიამოვნებნი.
ჰომეროსი

წარმომავლობის, ინდივიდთა და საზოგადოების ცხოვრებაზე გავლენის მიხედვით უქმი (ზედმეტი) დოვლათის რამდენიმე ძირითადი სახეობა შეიძლება გამოვყოთ.

უწინარესად აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ **ინდივიდები, როგორც მასობრივი მომხმარებლები,** იძენენ ნივთებს, ფლობენ ქონებას, რომელთა ამა თუ იმ (ხშირად დიდ) ნაწილს არ მოაქვს მათთვის რეალური სარგებლობა (სიკეთე). ისინი მხოლოდ მათ არაჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ყალბ სიამოვნებას, ილუზიურ სარგებლობას ხმარდება ან ზიანის მომტანიცაა მათთვის. თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოება აფართოებს მოხმარების არაჯანსაღ, მახინჯ, რეალური სარგებლობის არმომტან ფორმებს,[1] რომლებიც ამა თუ იმ ზომით განუყრელად თან სდევდა ადამიანთა ცხოვრებას მთელი ისტორიის მანძილზე, წარმოშობს ახალ ფორმებსაც.

უნდა განვასხვაოთ მოხმარების ობიექტური შედეგი და დამაყოფილების სუბიექტური აღქმა. ეს ის შემთხვევაა, როცა ისინი ერთმანეთს დიდად სცილდება. ყოველივე

[1] ცნობილია მომხმარებელთა არასწორი ქცევის მრავალი უკიდურესი ფორმა, მათ შორის ერთ-ერთია ე.წ. ონიომანია (სხვანაირად, შოპოჰოლოზმი – ნითების შესძენის დაუოკებელი წურვილი, რაც ზოგიერთ მომხმარებელს თვითმიზნად აქვს გადაქცეული. მაღაზიებში სიარული და ნივთების შეძენა მათ სიამოვნებას გვრის. ეს უაზრო და ზიანის შემცველი მოქმედება არც ისე იშვიათია მოხმარებელთა შორის.

ეს ჯანსაღად მოაზროვნეთათვის ცნობილია, მაგრამ ჩვენი მსჯელობის მეტი სიცხადისთვის რამდენიმე ამგვარ მკაფიო მაგალითს დავასახელებთ.

პირველ რიგში უნდა ითქვას **თამბაქოს ნაწარმზე.** მისი მომხმარებელია მსოფლიოში ყოველი მესამე მოზრდილი ადამიანი, ორ მილიარდზე მეტი, მ.შ. 200 მლნ ქალი. ყოველწლიურად მოწევას იწყებს 80-100 მლნ ადამიანი. მოზარდების 43 % მწეველია. ერთი მწეველი დღეღმეში ეწევა 15-18 სიგარეტს. თამბაქო ითვლება ერთადერთ ლეგალურად წარმოებულ, ადამიანისთვის ზიანის მომტან მოხმარების პროდუქტად. კოლოსალურია მის წარმოებაზე, (მცენარის მოშენება, ნედლეულის გადამუშავება), რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯები. თამბაქოს პლანტაციებს, რომლებიც განლაგებულია მსოფლიოს 125 ქვეყანაში, უჭირავს 4 მლნ ჰა, ანუ სასოფლოსამეურნეო სავარგულების 1 %. ევროკავშირის ქვეყნებში თამბაქოს მოყვანა სუბსიდირდება კიდეც ჰექტარზე 7,4 ევროთი (მოწევის საწინააღმდეგო პროპაგანდის პარალელურად. ესეც ადამიანის უფლებებზე ,,ზრუნვის“ კარგი მაგალითია!). მსოფლიოში იწარმოება 2 ტრილიონამდე სიგარეტი. ამასთან, თამბაქოს ნაწარმის მოხმარება ადამიანთა დიდი ნაწილის მიერ, რასაც მთელი ისტორიის მანძილზე აქვს ადგილი, მისი ზიანი ადამიანთა ჯანმრთელობაზე, თავი რომ დავანებოთ ეკონომიკურ ზიანს, რაც ზუტად დაუდგენელია, უზარმაზარი და საგანგაშოა. გლობალური სტატისტიკის მიხედვით, ყოველი მეათე ადამიანის სიკვდილის მიზეზი თამბაქოა. წელიწადში 5,4 მლნ ამ მიზეზით კვდება. მე-20 საუკუნეში თამბაქოს მოწევის შედეგად 100 მლნ ადამიანი გარდაიცვალა. ერთი სიგარეტის მოწევა 5 წუთითა და 30 წამით ამცირებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძივობას. მას მიეწერება მრავალი ავადმყოფობის გამოწვევა და ა. შ.[1] ეს მცირე ნაწილია იმ ინფორმაციისა, რომელიც

[1] www.Liker . info.

ადამიანის ჯანმრთელობისთვის თამბაქოს ზიანის შესახებ უხვადაა თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში.

ძნელია ავხსნათ, თუ რატომ ვერ უმკლავდება მწეველობას – ამ საშინელ სენს კაცობრიობა. ამის მიზეზთა შორის ადამიანთა, კერძოდ ბიზნესის წარმომადგენელთა, გარკვეული კომერციული ინტერესიც შეიძლება დავინახოთ.

აქვე შეიძლება ვიმსჯელოთ **სპირტიანი სასმელების ჭარბად** (ზომაზე მეტად) მოხმარებაზე ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილის მიერ, რაც მარტივ პრობლემებს როდი უქმნის მათ. ამისთვის კი იხარჯება დიდძალი რესურსები. ალკოჰოლიზმი ძველი სენია, მაგრამ მან განსაკუთრებული გავრცელება მეოცე საუკუნეში მიიღო. ამ შემთხვევაშიც, მოხმარების თვალსაზრისით, საქმე გვაქვს ზედმეტობასთან, რომელსაც ზიანი მოაქვს ადამიანებისთვის. ალკოჰოლიკების რაოდენობა ყოველ 1000 კაცში შეადგენდა: 0,3-ს 1900-1929 წელებში, 12,3-ს 1956-1976 წლებში, მათი რიცხვი 50-ჯერ გაიზარდა 1930-1965 წლებში. 2000 წელს მსოფლიოში იყო 140 მლნ აღრიცხული ლოთი. ცნობილია, რომ ალკოჰოლის ზედმეტი მომხმარებელი ყველა არ მიეკუთვნება ალკოჰოლიკებს. ამიტომ ალკოჰოლის ზედმეტად მოხმარება ბევრად მეტია, ვიდრე ამ მონაცემებშია ასახული. ეს მოხმარება უნდა მივაკუთვნოთ სარგებლობის არმომტან და საზიანო, ზედმეტ მოხმარებას, რაზეც გაწეული დანახარჯებიც, ცხადია, ადმიანებისთვის ფუჭი და ზარალის მომტანია.

ასევე გავრცელებულ არასასარგებლო მოხმარებას მიეკუთვნება **ზედმეტი საკვების** მიღება, რაც ადამიანთა მცირე რიცხვს როდი ახასაითებს. გურმანების დიდი ნაწილის პრობლემაა ჭარბი წონა. 2000 წლიდან ადამიანების რიცხვი, რომლებიც ჭარბ წონას უჩივიან გაიზრდა 2-ჯერ. 2004 წელს მსოფლიოში მოსახლეობის 35 % ჭარბწონიანი იყო, 11 % სიმსუქნით იყო დაავადებული. 2011 წელს კი 20 წლისა და მეტი ასაკის 1,4 მლრდ ადამიანს ჭარბი წონა აწუხებდა. 2000 წელს მოსახლეობის 65 % ცხოვრობდა ქვეყნებ-

ში, სადაც სიმსუქნე მეტ სიკვდილიანობას იწვევს, ვიდრე უკმარი წონა.[1] ჭარბი წონის მიზეზი მხოლოდ კვება არაა, მაგრამ მათ შორის კავშირი აშკარაა. ღარიბ მოსახლეობასა და ღარიბ ქვეყნებში ეს პრობლემა სულაც ან თითქმის არ აწუხებთ. ამრიგად, **ადამიანების სწორი კვება – ეს თითქოს ელემენტარული საკითხი – კაცობრიობამ თავად, ისე როგორც ბევრი სხვა რამ, გაიხადა დიდ პრობლემად.**

ზედმეტად მიღებული საკვები პროდუქტები არა მარტო უსარგებლო და ზიანის მომტანია ადამიანებისთვის, არამედ რესურსების ფუჭი დანახარჯია და ადამიანთა საკმაოდ დიდი რაოდენობისთვის კვების პროდუქტების უკმარობის მიზეზიცაა. ამდენად ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ უქმ ეკონომიკას.

უქმი ეკონომიკის შემაშფოთებელი მაგალითია **ნარკოტიკების** წარმოება არადანიშნულებით მოხმარებისთვის და მათი მოხმარების გავრცელების მასშტაბები თანამედროვე მსოფლიოში, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ესეც ადამიანთა უძველესი და უგუნური მავნე ჩვევაა. პარადოქსია, რომ ამ მიზნითაც უზარმაზარი სახსრები იხარჯება სავალალო მიზნით – ადმიანების მიერ ყალბი სიამოვნების მიღების, საბოლოოდ ჯანმრთელობის განადგურების, საკუთარი სიცოცხლის შემოკლებისთვის თუ მოსპობისთვის.

მსოფლოში 300-350 მლნ თავგზააბნეული ადამიანი იყენებს ამ გამანადგურებელ საშუალებას თავისი ნებით, რისთვისაც ხარჯავს უზარმაზარ სახსრებს. ისეთ მაღალცივილიზებულ სამყროში, როგორიც ევროკავშირის ქვეყნებია, ზრდასრული მოსახლეობის 10 % ნარკოტიკების მომხმარებელია. მეორე მხრივ, ნარკობიზნესი წარმოადგენს უკანონო საქმიანობის სფეროსა და შემოსავლების ერთ-ერთ უხვ წყაროს ცალკეული ადამიანებისთვის. ბოლო 12 წლის განმავლობაში ამ სფროში ინვესტიციებმა შეადგინა 3

[1] Информационный бюллетень. № 11, март 2013. С 17.

ტრილიონი დოლ. ნარკოფულის წლიური ბრუნვა კი 400 მლრდ დოლარამდე აღწევს. ყოველწლიურად ხდება 1,5 ტრილიონ დოლარამდე ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული ფულის ლეგალიზება.[1]

პარადოქსი ისაა, რომ ადამიანებისთვის საზიანო მოხმარების ფორმებს, რომლებზეც ზემოთ ვმსჯელობდით, ომებზე ნაკლები ზიანი როდი მიუყენებია კაცობრიობისთვის და აყენებს მას. საზოგადოება კი მათ მოთმინებით, გულგრილად უცქერის, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა ზოგ შემთხვევაში აქეზებს კიდეც მფლანგველობის ამ აშკარა ფორმებს.

უქმი ეკონომიკის წარმოქმნის განსაკუთრებული შემთხვევა დაკავშირებულია **პროდუქციის გაახლების მაღალ ტემპებთან.** საერთოდ მწარმოებლებისა და მომხმარებლებისთვის უდავოდ სასარგებლო ეს პროცესი შეიცავს დანაკარგების საფრთხეს. პირველ რიგში იგი ეხება **წარმოების საშუალებებს, ტექნიკას.** როგორც ცნობილია, ტექნიკური პროგრესი, პროდუქციის ახალი სახეობების ათვისება და ბაზარზე გაჩენა იწვევს არსებულ სახეობათა მორალურ ცვეთას მათ ფიზიკურ გაცვეთამდე. ამის შედეგად მწყობრიდან გამოდის წარმოების საშუალებათა საკმაო, ხშირად დიდი რაოდენობა. ამ შემთხვევაში სრულად გამოუყენებელი ხდება მათ წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ნაწილი. მართალია, ახალი ტექნოლოგიის გამოყენების ეფექტი გადაფარავს ამ დანახარჯებს, მაგრამ ის, როგორც დანაკარგი, მაინც არ ქრება. ზოგჯერ კი მისი გადაფარვაც ვერ ხერხდება.

ასევე ახალი **პროდუქციის ათვისების, წარმოებისა და ბაზარზე გამოჩენის შედეგად ფიზიკურად გაცვეთამდე მწყობრიდან გამოდის სამომხმარებლო საქონელი:** ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, საყოფაცხოვრებო ტექნი-

[1] www.dororhiller.com

კა და სხვა. ეს პროდუქტები ზედმეტ, ,,მკვდარ ქონებად“ იქცევა, გადასაყრელი ხდება ან მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენება სხვადახვა მიზნით, რაც ვერ აანაზღაურებს დანაკარგს. ასე უქმად, უსარგებლოდ ქცეული საქონელი საკმაოდ დიდ ადგილს იჭერს განვითარებული ქვეყნების ადამიანთა ყოფაცხოვრებაში. ამჟამად მოხმარებაშია მრავალი მილიონი სახეობის პროდუქტი. ყოველწლიურად ბაზარზე და მოხმარებაში შემოდის ათასობით ახალი სახეობა, ასევე მრავალი ათასი გადის მოხმარებიდან. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ამ მხრივ უნდა აღინიშნოს **მოდის** გავლენა მოხმარებაზე. მოდაზე გამოდევნებით ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მიმართავენ მრავალ უგუნურ, უაზრო საქმიანობას, ისეთ ჩაცმულობას, იმგვარი საგნების მოხმარებას, რაც ანგარიშს რა უწევს კლიმატს, ეროვნულ ტრადიციებს, ეთიკისა და ესთეტიკურ ნორმებს. ახდენენ საკუთარი ორგანიზმის ნაკვთების გადაკეთებას და ა.შ. კარგადაა ცნობილი, რომ არაჯანსაღი მოდა, მისი ბრმად გამოდევნება ზიანს აყენებს ადამიანთა ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს, აქვეითებს გემოვნებას, კულტურულ დონეს. ამის თაობაზე მედიცინის, ფსიქოლოგიის, რელიგიის, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მრავალი გაფრთხილება მძაფრად გაისმის. მიუხედავად ამისა, ბაზარზე გაყიდვებისა და მოგების გადიდების მიზნით იქმნება მრავალი ,,ახალი“, ფაქტობრივად უსახო პროდუქტი, რაზეც იხაჯება დიდძალი სახსრები. ისინი კი არაფერს მატებს მომხმარებელს, მხოლოდ გარეგნულად იზიდავს მას და მის ფულს. ყოველივე ამის შედეგად მომხმარებლისა და საზოგადოებისთვის წარმოქმნილი მატერიალური და სოციალური დანაკარგები მეტად დიდია. მაშასადამე, **უქმი ეკონომიკის ფარგლებში**

გაჩნდა არაჯანსაღი, დაბალი მოდისა და მის შემოქმედთა მხრივ საფრთხისგან ადამიანთა დაცვის მწვავე საკითხი.[1]

უქმი ეკონომიკა წარმოიქმნება იმის გამოც, რომ **წარმოებულ დოვლათს ადამიანები ყოველთვის სრულად არ იყენებენ დანიშნულებით, იძენენ ნივთებს, რომლებიც სულაც არ ჭირდებათ, რომლებსაც ნაწილობრივ გამოყენების შემდეგ აგდებენ ან კიდევ უფუნქციოდ ინახავენ, ასევე დიდი რაოდენობით აფუჭებენ.** ყოველივე ამის გამო ეს ნივთები **ზედმეტის, ამგვარი მოხმარება მფლანგველობის** სახეს იღებს. მას ოჯახების უმრავლესობაში შევხვდებით, ამ დროს მათ ხშირად აკლიათ სხვა უფრო საჭირო საგნები და მომსახურება.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **მდიდრთა მოხმარებისა და ქონების შესახებ.** ჩვეულებრივ მათ გააჩნიათ პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილი დიდი სიმდიდრე, რომლის ნაწილი ემსახურება არა გონივრული (ჯანსაღი), არამედ პრესტიჟის, უპირატესობის (გამორჩეულობის) დაასტურების, ზოგჯერ ფუქსავტური და ფუფუნებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. **ფუფუნების საგნებზე** მოთხოვნილება და მათი მოხმარება ისტორიის გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა და ისტორიის ერთ-ერთი ნეგატიური თანამგზავრია. მას, ჭეშმარიტი გაგებით, არ მოაქვს არავითარი რეალური სიკეთე. სიმდიდრე, რომელიც ხმარდება ფუფუნებას, ჯანსაღი აზრით, უნდა განვიხილოთ როგორც **ზედმეტი, რომელიც არსებობს უქმად.** მისი არსებობა არღვევს **ზომიერების ფარგლებს, აუცილებელისა და ზედმეტის ზღვარს. აქ აშკარად იჩენს თავს მფლანგველობის ერთ-ერთი ტრადიციული სახე .** უთუოდ გამართლებულია ვთქვათ, რომ ფუფუნებითი და მფლანგველური მოხმარება და დაგროვება ადამიანთა მიერ, როცა სხვებს ელემენტა-

[1] ამის შესახებ მწვავე და დამაჯერებლადაა გადმოცემული ჟ. ბოდრიარის, ჰ. მარკუზეს, ე. ფრომისა და სხვათა შრომებში.

რული საარსებო საშუალებები აკლიათ, ზნეობრივად მიუღებელი და ამ თვალსაზრისით დანაშაულიცაა. უპრიანია, ეს ესმოდეთ იმათ, ვისაც ეხება.

ჟ. ბოდრიარის მიხედვით, მფლანგველობის არსებობისას სიუხვე კარგავს თავის აზრს. იგი ამას შთამბეჭდავად ასაბუთებს: ცნობილია, რომ, რამდენადაც მდიდარ საზოგადოებათა სიუხვე დაკავშირებულია მფლანგველობასთან, შეიძლება ვისაუბაროთ ,,ნაგვის კალათის" შესახებ და კიდევაც შევთავაზოთ ,,ნაგვის კალათის სოციოლოგია" : მითხარი, რას ყრი და გეტყვი ვინ ხარ შენ. არც მფლანგველობა არც მისი ფუნქციები არ შეიძლება გავიგოთ, თუ მასში დავინახავთ მხოლოდ იმის ნარჩენს, რაც გაკეთებულია მოხმარებისთვის და არაა მოხმარებული. აქ გვაქვს გამარტივებული, მორალური დეფინიცია, რომელიც დოვლათის უპირობო სარგებლობას ემყარება... მფლანგველობა ყოველთვის განიხილებოდა როგორც უგუნურობის, გადარეულობის, ნგრევის ინსტინქტი, რომელიც სპობს ადამიანის რეზერვებს და პრაქტიკის ირაციონალობის შედეგად საფრთხეს უქმნის მისი გადარჩენის პირობებს[1].

ფუფუნების საგნებს რომ არ მოაქვს რეალური სიკეთე ადამიანებისთვის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნამდვილი შინაგანი ღირსების ადამიანები მათ არ ეტანებიან, ისინი მხოლოდ გარეგნული ეფექტის წყაროა. ფუფუნება პროგრესული აზრის მიერ აღიარებულია საზოგადოების ცხოვრების არასასურველ მოვლენად. სატირიკოსი იუბენალი ფუფუნებას მოიხსენიებს, როგორც ომზე საშიშს, რომელმაც რომი ვნებებსა და ცოდვაში ჩააგდო (ეს ზოგიერთ თანამედროვე ქვეყანასაც ეხება, რომლებიც ძალიან გაიტაცა მატერიალურმა სიმდიდრემ და სხვა ფასეულობებს ივიწყებს). კ. მარქსის აზრით, ფუფუნება ბუნებრივი აუცლებლობის საპირისპიროა. ჟ. ჟ. რუსო მას თვლიდა ზნეობრივი აღვირახსნილობის

[1] ჯ. ბოდრიარის დასახელებული ნაშრომი. გვ. 44.

მიზეზად, რასაც გემოვნების დაქვეითებამდე მივყავართ. ფუფუნება ზნეობრივად გაუმართლებელია. ,,ფუფუნებისადმი მიდრეკილება ვერასდროს ვერ შეეთვისება პატიოსნებას“ (ჟ.ჟ. რუსო). ასევე შეიძლება გვიხსენოთ ჟ. დალამბერის უარყოფითი შეხედულება ფუფუნებაზე: ,,ფუფუნება დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ, სანამ ერთი ადამიანი გაჭირვებულია“. იაპონელებმა ომის დროს გამოაცხადეს: ,,ფუფუნება ბოროტებაა“.

ფუფუნებას **ბოროტებად** მიიჩნევენ რელიგიები. ხალხის სიბრძნეში ის სწორედ ასეთადაა ასახული.

ფუფუნების შეფასებები შეიძლება შემდეგ ძირითად მომენტებად ჩამოვაყალიბოთ:

ჯერერთი, ფუფუნების საგნების ფლობა უკავშირდება მფლობელის მიერ საზოგადოებრივი დოვლათიდან კუთვნილზე მეტად მითვისებას, ე.ი. სოციალური უსამართლობის, ზედმეტი უთანასწორობის არსებობას.

მეორე, ფუფუნების საგნების წარმოება დიდძალ რესურსებს ჩამოაშორებს ადამიანთა საარსებოდ აუცილებელი დოვლათის შექმნას.ამ საგნებს არ მოაქვს რა რეალური სიკეთე მომხმარებლებისთვის, მათზე გაწეულ დანახარჯები ფაქტობრივად ფუჭ დანახარჯებს წარმოადგენს, რაც საბოლოოდ ამცირებს საზგადოების ნამდვილ დოვლათს და კეთილდღეობას: ეკონომიკური თვალსაზრისით ფუფუნება მფლანგველობას ნიშნავს.[1]

მესამე, ფუფუნებითი მოხმარების არსებობა აღრმავებს საზოგადოების ფენათა ზედმეტ სოციალურ განსხვავებას, მახინჯ დიფერენციციას, ამწვავებს დაპირისპირე-

[1] ცნობილმა გერმანელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა ვ. ზომბარტმა ფუფუნების გარკვეული თეორია შექმნა, რომლის ამოსავალი დებულებაა ფუფუნების, როგორც აუცილებელ ზღვარს გადაცილებული დანახაჯის, განსაზღვრება. იხ. Luxus und kapitalilsmus. Werner Zombart. Munchen und Leipzig. 1922. P. 5.

ბას, პოლარიზაციას საზოგადოების შიგნით, ძირს უთხრის მის ერთიანობას.

მეოთხე, ფუფუნება ხელს უწყობს სოციალური შეგნების გამრუდებას, ზნეობრივ არამდგრადობას საზოგადოებაში, ამპარტავნობის, პატივმოყვარეობის, ანგარების, სიხარბის, უფრო მეტიც კრიმინალური მოდრეკილებების ინიცირებას.

მეხუთე, როგორც სამედიცინო მეცნიერება ამტკიცებს, ფუფუნებით ცხოვრება ხელს არ უწყობს ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს, დღეგრძელობას.

მაშ, რისთვის დოვლათის ზედმეტი მოხმარება და ხარჯები, ფლანგვა? ფუფუნება ხომ ადამიანთა ქცევის არარაციონალურობის, ჯანსაღი აზრიდან გადახრის, დევიაციის აშკარა გამოვლინებაა. არაფერიც რომ არ ვთქვათ ფუფუნებასთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური მხარის შესახებ, თანამედროვე ცივილიზაციის ფონზე პარადოქსად ჩანს **ადამიანთა დიდი ნაწილის მიდრეკილება აზრს მოკლებული გარეგნული ეფექტისადმი,** რაც მათთვის არაფრის მომცემი და საზოგადოებისთვის მეტად საზიანოა მატერიალურად და ზნეობრივად.

მაშასადამე, სრულიად ნათელია ფუფუნების ბოროტება და მისი ზიანი ხალხის ცხოვრებისათვის. ეს კარგად ესმის საკაცობრიო გონებას და სვლა მისი დაძლევის მიმართულებით მიმდინარეობს კიდეც, მხოლოდ არასასურველი ტემპით. **ჯანსაღმა აზრმა საკმარისი გავლენა ვერ მოახდინა ადამიანებზე, რომელთა ცდუნებები და მიდრეკილება ფუფუნებისკენ კვლავ დიდია.** ამიტომაა, რომ ფუფუნება კვლავ ძალაშია. მრავალი ადამიანი ჩაფლულია ფუფუნებაში, მრავალი კიდევ ოცნებობს მასზე. საინტერესოა, თუ ვინ როგორ პასუხს გასცემს კითხვაზე: რა სიკეთე მოაქვს 4 მილიონად ღირებულ ბრილიანტების ხელჩანთას ქალბატონებისთვის, 20 მილიონიანი ბრილიანტის სამკაულის ფლობას? ზოგი იტყვის, რომ ეს დიდებული რამაა, ბედ-

ნიერებაა, ზოგიც კითხვას უადგილოდ მიიჩნევს, სხვა კიდევ გვიპასუხებს, რა თქმა უნდა, ეს ფუფუნებაა, არაფერის მომცემია. ასე განსხვავებულია ადამიანთა შეხედულებები.

გამრუდებულ აზრს მაინც თავისი გააქვს. მრავალი ფუქსავატური, მაგრამ უზარმაზარ ფასად ღირებული საგანი ადამიანთა უმცირესი წრისათვის საკმაოდ დიდ ადგილს იკავებს ბაზარზე. მდიდარ მომხმარებლებს ბაძავენ საშუალო და თვით დაბალი ფენის ცალკეული წარმომადგენლებიც, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომ შესაბამის ფუფუნების საგნებს ეტანებიან.

ფუფუნება ცხოვრების ეს ზედმეტი ბარგი ადგილს არ თმობს თვით ღარიბ და უღარიბეს ქვეყნებშიც, იქ გარკვეულ წრეებში, ის ნოყიერ ნიადაგს პოულობს. ამის მრავალი ფაქტი შეიძლება დავასახელოთ. ინდოეთში, სადაც ასეული მილიონობით ადამიანი შიმშილობს ან სიღარიბეში სულს ღაფავს, აგებულია მდიდრული მატარებელი. მასში ზღაპრული სიმდიდრე, მფლანგველობაა განსახიერბული. ვაგონები, კუპეები, რესტორნები, დასასვენებელი და გასართობი ადგილები თვალისმომჭრელი ძვირადღირებული საგნებითაა აღჭურვილი. საეჭვოა, მისი მგზავრობის სიამოვნება მგზავრობის ღირებულებასთან შესაბამისობაში იყოს. ვინ იტყვის, რომ ამას რეალურ კეთილდღეობასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს. ამ მატარებლის აგებასთან და მის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები კი ათეული ათასობით მშიერ ინდოელს გამოკვებავდა, შიმშილისაგან სიკვდილს გადაარჩენდა. ეს იმისი მხოლოდ ერთი ტიპური მაგალითია, რომ უსამართლობის სამყაროში ზღაპრული რესურსები იხარჯება სხვისი გაჭირვებისადმი გულგრილ ადამიანთა უაზრო სიამოვნებისთვის და არა ადამიანთა ნამდვილი კეთილდღეობისთვის.

ასეთია სინამდვილე. კაცობრიობის უდიდესი ნაწილის შიმშილით, სიცივით, ავადმყოფობისგან გამწარებულ ცხოვრებას გულგრილად შეჰყურებს ფუფუნებით გალაღებული

მცირე ნაწილი, მხოლოდ ცალკეული ადამიანის და საერთაშორისო ორგანიზაციის გულმოწყალება ოდნავ აადვილებს უბედურებაში მყოფთა ცხოვრებას. **ეს გულგრილობა** კი, რომელიც დღეს ბევრისთვის მხოლოდ ისტორიის მახინჯ მემკვიდრეობად აღიქმება, სხვა უკეთურობებთან ერთად, საბოლოოდ დიდ საფრთხეს შეიცავს ყველასთვის, მათ შორის მდიდრებისთვის, თუ ის დიდხანს გაგრძელდა. სამწუხაროა, რომ ეს ბევრს არ ესმის და არც შეუძლია გაიგოს. **გაუგებრობა კი ადამიანთა ცხოვრების დიდი მტერია.**

ჭეშმარიტი გაგებით, ობიექტური ადამიანური ურთიერთობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეფარდებით ზედმეტ, უქმ დოვლათად (სიმდიდრედ) წარმოგვიდგება **ადამიანთა მოსპობისა და ადამიანებზე ძალადობის საშუალებები.**

სამხედრო მიზნებისთვის და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად (ადამიანთა სხვა ადამიანების აგრესიისგან დაცვისთვის!) მსოფლიოსა და ცალკეულ ქვეყნებში კოლოსალური სახსრები და ადამიანური რესურსები იხარჯება, რაც საკმარისიც კი იქნებოდა სიღარიბესთან გასამკვლავებლად.[1] წარმოვიდგინოთ იარაღის უზარმაზარი მარაგები, მათ შორის ყველაზე საშინელი ატომური და ქიმიური იარაღისა, რომელიც კაცობრიობის უმაღლეს მეცნიე-

[1] სათანადო გამოკვლევები ადასტურებს, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში მხოლოდ 39,5 წელი იყო მშვიდონიანი. ომებში დაღუპულთა საერთო რიცხვს ვარაუდობენ 4 მლრდ ადამიანამდე. მათი რიცხვი ეპოქიდან ეპოქამდე იზრდებოდა. მაგალითად, მე-17 საუკუნეში იგი შეადგენდა 3 მლნ. ადამიანს, მე- 14-ში 5,1 მლნ-ს, მე-19-ში 5,5 მლნ-ს, მე-20-ში 70 მლნ. ზე მეტს. დაუთვლელია მოსპობილი მატერიალური სიმდიდრის რაოდენობა. მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დანახარჯებმა მაშინდელი 4 ტრილიონი დოლარი შეადგინა. napral.ru/ap/drugoe/kakogo. cvetavoina. ამრიგად, კაცობრიობის მცდელობა ადამიანთა მოსპობისთვის და შექმნილი სიმდიდრის განადგურებისთვის ბევრად არ ჩამორჩებოდა კეთილდღეობისთვის ზრუნვას. ასეთია ისტორია.

რულ-ტექნოლოგიურ მიღწევებზეა დაფუძნებული და **სახელმწიფოთა საწყობებში აწყვია. ისინი მთვლემარე მხეცივით მომართულია ადამიანების დასაშინებლად. კოლოსალური რაოდენობისაა სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტები: თავშესაფრები, ათასი ჯურის ნაგებობები და ა. შ.** თვალი გადავავლოთ პოლიციური ძალების აღჭურვილობას. დავაკვირდეთ ჯარში, პოლიციაში, სასამართლოში, პროკურატურაში მილიონობით ადამიანთა საქმიანობას. ჯანსაღი აზრისთვის ხომ ადვილი გასაგებია წვრთნებში თუ საბრძოლო ოპერაციებში, გამოძიებებში, სასამართლო პროცესებში და ა.შ. **დახარჯული შრომის, ოფლის, ნერვების, სისხლის აუცილებლობის უგუნურება. გასაგებია, რომ აქ მფლანგველობის განსაკუთრებულ, იძულებით, უხეშ ფარულ ფორმასთან გვაქვს საქმე.**

არ შეიძლება ყურადღების გარეშე დავტოვოთ უქმი ეკონომიკის ისეთი სახეობა როგორიცა **უმუშევრობა და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები. უმუშევარი უქმი რესურსია,** რომელსაც თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური უნარით (კვალიფკაციის მეშვეობით) გარკვეული რაოდენობის დოვლათი შეეძლო შეექმნა, ამისი სურვილიც აქვს, მაგრამ სათანადო სამუშაოს უქონლობის გამო ვერ ახორციელებს ადამიანის მთავარ ფუნქციას. ის არა მხოლოდ საარსებო საშუალებისთვის შემოსავალს ვერ გამოიმუშავებს, არამედ ვერ ახდენს თვითრეალიზაციას, ვერ ვითარდება, შრომით ტკბობას ვერ განიცდის, ცხოვრება აზრს კარგავს, რომ არა მდგომარეობის შეცვლის მოლოდინი, რაც ყოველთვის როდი ამართლებს.

სტატისტიკის მონაცემების გაცნობით შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად დიდ დანაკარგებთანაა დაკავშირებული უქმი სამუშაო ძალის (უმუშევართა) არსებობა მსოფლიოში და ცალკეულ ქვეყნებში. ამ მხრივ. შემზარავი სურათი იშლება. მსოფლიოში უმუშევართა აღრიცხული საერთო რაოდეობა ამჟამად 207 მლნ ადამიანს აღწევს (ზუს-

ტად არავინ იცის რამდენია). იგი შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდ ნაწილს, რიგ ქვეყნებს 10-20 და მეტ პროცენტსაც შეადგენს. მაგალითად, საბერძნეთში 25,7 %-ს. უმუშევრობა განსაკუთრებით მაღალია 24 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის, ასევე საშუალოზე მეტი ასაკის მოსახლეობაში და ზოგან კიდეც ნახევარს უახლოვდება. ერთ წელზე მეტი ხნით უმუშევართა წილი უმუშევართა მთელ რაოდენობაში განვითარებულ ქვეყნებში 35 %-მდეა.[1] ეკონომიკურად უაღრესად ჩამორჩენილ ქვეყნებში მოსახლეობის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი დაუსაქმებელია, კერძოდ, ნაურუში – 90,%, ვანატუაში – 74,2-%, თურქმენეთში – 70 %, ზიმბაბვეში – 60 %, და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში ამ ჯგუფის ქვეყნებში დაუსაქმებლობა 40%-ზე მეტია.[2]

უმუშევრობა და მასთან დაკავშირებული დანაკარგები შეფარდებით ნაკლებია განვითარებულ, გარკვეულად სტაბილური ეკონომიკის ქვეყნებში. ამასთან, მათი ეკონომიკის დიდი მასშტაბების და შრომის მაღალი მწარმოებლურობის გამო იქაც დანაკარგები რაოდენობრივად დიდია.

უმუშევრობის დანაკარგებზეც შესაძლებელია მიახლოებით ვიმსჯელოთ მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების მიხედვით. უმუშევართა რიცხვს თუ გადავამრავლებთ მუშაკთა საშუალო შრომის მწარმოებლურობაზე, მივიღებთ უმუშევრობის მიზეზით მთლიანი შინა პროდუქტის (ეროვნული შემოსავლის) დანაკარგის – არწარმოებული პროდუქტის სიდიდეს. იგი მსოფლიოში უმუშევართა ზემოთ დასახელებული ციფრის მიხედვით (რომელიც, როგორც ითქვა, არაზუსტია), ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშებით, შეადგენს 4 ტრილიონ ამერიკულ დოლარზე მეტს, ანუ მსოფლიო მთლიანი პრო-

---

[1] მონაცემები აღებულია გაეროსა და საქარველოს სტატისტიკის ერონული სამსახურის გამოცემებიდან. იხ აგრთვე http://www.gks/ ru.

[2] anaga.ru

დუქტის 5,7 %-ს. ადვილი წარმოსადგენია, რომ, კვების პროდუქტებზე გადაყვანით, დოვლათის ეს რაოდენობა მსოფლიოში შიმშილის აღმოფხვრისათვის სავსებით საკმარისი იქნებოდა (ერთ მშიერზე წელიწადში დაალოებით 4 ათასი დოლარის ანუ დღეში 11 დოლარის კვების პროდუქტი).

შრომითი პოტენციალის გამოყენებასთან დაკავშირებით არის კიდევ ერთი, უაღრესად დიდი მნიშნელობის მომენტი, რომელიც ყურადღების გარეშეა დარჩენილი. **შრომითი პოტენციალის არასაკმარისად გამოყენება გამოიხატება არა მარტო უმუშევრობაში, არამედ დასაქმებულთა უნარებისა და მათი სამუშაოს ერთმანეთთან შეუსაბამობაში.** დიდ ნაწილში დასაქმებულები ასრულებენ სამუშაოს, რომელიც გაცილებით ნაკლებ კვალიფიკაციას მოითხოვს, ვიდრე მათ გააჩნიათ. ამის შედეგად იკარგება უზარმაზარი რაოდენობის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა. ეს, ერთი; მეორე, უქმი ხდება ის დანახარჯები, რომლებიც გაწეულია კვალიფკაციის მისაღებად; მესამე, ეს სიტუაცია უარყოფითად აისახება სუბიექტების განწყობაზე, იწვევს მათ უკმაყოფილებას, შინაგან დაძაბულობას, რაც ამცირებს მათი ცხოვრების ხარისხს, კეთილდღეობას.[1]

როგორც ვხედავთ, უმოწყალოდ იფლანგება ადამიანთა ამ უპირველესი ეკონომიკური ფაქტორის პოტენციალი, რასაც უმძიმესი სოციალური დანაკარგები, ადამიანთა უფუნქციობა და სხვა მრავალი სიავე მოსდევს.

---

[1] ამისი მაგალითი მრავალია. შეიძლება მოვიტანოთ უკანასკნელ ხანს საქართველოში არსებული მდგომარეობა. მრავალი მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი, აგრონომი, ექიმი, პედაგოგი და სხვა იძულებულია სარჩოს საშოვნელად შეასრულოს სრულიად შეუსაბამო სამუშაო, მაგალითად, მენაგვის, მაღაზიის გამყიდველის, ტაქსის მძღოლის, ბავშვის მომვლელისა და სხვ. სავალალოა, რომ არავისგან ამ ფაქტს სათანადო შეფასება არ ეძლევა და ყურადღებაც არ ექცევა.

საბაზრო ეკონომიკის განუყრელი **თანამგზავრია ზედმეტი სიმძლავრეების** არსებობა ეკონომიკის დარგებსა და საწარმოებში. დაუტვირთავია მრეწველობის, მშენებლობის, სასტუმროების, რესტორნების და ა.შ სიმძლავრეების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს ეხება როგორც მსხვილ, ასევე საშუალო, მცირე და წვრილ საწარმოებს. ისინი ხშირად აწარმოებენ 20-30 %-ით ნაკლებ პროდუქციას ან მომსახურებას სიმძლავრეებთან შედარებით. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური კრიზისების (დაქვეითების) დროს. ამის მაგალითები მრავლადაა ნებისმირ ქვეყანაში. ჩვეულებრივ გვერდს უვლიან ამ სიმძლავრეთა არსებობას, როგორც დანაკარგებს, რომლებზეც დიდძალი რესურსები კაპიტალი, შრომა, მასალებია დახარჯული. **აქაც ხომ პირდაპირ თანამედროვე ეკონომიკური სისტემის მფლანგველობასთან გვაქვს საქმე!**

უქმ დოვლათზე მსჯელობისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ პროდუქტებს, **რომლებიც ზედმეტი აღმოჩნდება მოთხოვნილებათა და საბაზრო მოთხოვნის გაუთვალისწინებლად მათი წარმოების შედეგად.** ეს საქონელი, რომელიც ბაზარს ხშირად ავსებს, როგორც ცნობილია, მძინარე მხეცივითაა და გამოიღვიძებს რა დროდადრო, პერიოდულად საფრთხეს უქმნის ცალკეულ მწარმოებლებს და მთელი ქვეყნისა თუ მრავალი ქვეყნის ეკონომიკას ერთადაც, როცა **კრიზისის სახეს იღებს. აქ ძევს კოლოსალური რაოდენობის უქმი პროდუქტის მარაგები, რომლებიც ნაწილობრივ ან სრულიად გამოყენებელი აღმოჩნდება.** კრიზისების შესახებ ლიტერატურასა და ინფორმაციაში ამის შესახებ ცნობები მრავლადაა. იგი მძიმედ აწვება ხალხებს, ბიზნესის სუბიექტებს არა მარტო უზარმაზარი დანაკარგების სახით, არამედ ეკონომიკის დამანგრეველი საფრთხის სახითაც.

უქმი ეკონომიკის გარკვეულ ნაწილად გვევლინება მთავრობათა (სხვადახვა რანგის ხელისუფლების სტრუქ-

ტურების წარმომადგენელთა) მფანგველობა, ხალხის შექმნილი დოვლათიდან მიღებული სახსრების უყაირათო გამოყენება. ამის შედეგად სახსრების გაწეული დანახარჯებიდან მიღებული სიკეთე ნაკლებია შესაძლებელზე. ასე წარმოიშვება დანაკარგები, რაც საზოგადოებას ძვირი უჯდება. ამას ყურადღება ადამ სმითმა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მიაქცია, როცა სახელმწიფო ბიუჯეტების არსებობას დიდი ხნის ისტორია არ ჰქონდა, თუმცა ხელისუფლების მფლანგველობა ამ დროიდან არ იწყება, იგი უძველესი ხანიდან იღებს სათავეს. ა. სმითი აღნიშნავდა: ,,დიდი ერები არასდროს ღარიბდებიან კერძო პირების მფლანგველობითა და არაკეთილგონიერებით, მაგრამ ისინი არცთუ იშვიათად ღარიბდებიან სახელწიფო ხელისუფლების მფლანგველობისა და არაკეთილგონიერების შედეგად.“[1]

დღეისათვის ხელისუფლების ხელში ცენტრალიზებული შემოსავლების სახით თავს იყრის ქვეყნების ეროვნული შემოსავლის (მთლიანი შინა პროდუქტის) დიდი ნაწილი დაალოებით ერთი მესამედიდან ნახევრამდე და ზოგჯერ მეტიც. საზოგადოების მხრივ სუსტი კონტროლის გამო, მათი უყაირათო გამოყენების ფორმებიდან შეინიშნება: მილიტარისტული მიზნებით გადამეტებული ხარჯვა; ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი კეთილდღეობისთვის (მეტისმეტად მაღალი ხელფასები, პრემიები, დასვენების ხარჯები), ოფისის, ინფასტრუქტურისა და სხვა ზომას გადაჭარბებული ხარჯები; ბიზნესის უკანონო ლობირების ხარჯები; სოციალური პროგრამების არაპროპორციული დაფინანსება და ა.შ.

ყოველივე ამის შედეგად გადასახადის გადამხდელთა სახსრების ნაწილი გამოიყენება არასწორად, არაეფექტიანად, ჩამოსცილდება უფრო აუცილებლ საჭი-

---

[1] А. Смит. Исследование о природе и причинах наровов. Первод с англ. Москва., 1935. С. 220.

როებებს, არ ხმარდება რეალურ სიკეთეთა მიღებას. ამდენად ლოგიკურია ეს მოვლენა უქმ ეკონომიკას მივაკუთვნოთ იმ ზომით, რამდენადაცაა მასთან დაკავშირებული რეალური სიკეთის დანაკარგები საზოგადოებისთვის.

ვფიქრობთ, რომ ამ მოკლე მსჯელობებიდან ნათლად ჩანს უქმი ეკონომიკის – უკეთურობის ამ სპეციფიკური სახეობის ზიანი კაცობრიობისთვის, კონკრეტული ადამიანებისა და ქვეყნებისთვის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჯანსაღი აზრისთვის სავსებით გასაგებია უქმი ეკონომიკის ობიექტური შინაარსი, მისი მასშტაბები და დანაკარგები, იმათ საპირისპიროდ, ვინც, ცალკეულ შემთხვევებში, მახინჯი გაგებით და მიზნებით, მასში ეძებს და პოულობს კიდეც სარგებლობას – მანკიერი სიამოვნების თუ დიდი ფულის წყაროს. ეს კი ფაქტობრივად მათ რეალურ ბედნიერებას არ უქადის. ნათელია, რომ იგი საზოგადოების ცხოვრების საშიში მოვლენაა და მისი აღკვეთა აუცილებელია. ამდენად უნდა გავერკვეთ მისი არსებობის მიზეზებში.

უქმი ეკონომიკის არსებობის მიზეზები

ცხოვრება ადვილი იქნებოდა, ჩვენ რომ
არ ვართულებდეთ.

კონფუცი

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული ზედმეტობა ერთ მხარეს და უკმარობა მეორე მხარეს უკავშირდება ღრმა მიზეზებს, რომლებიც ძევს მთელი საზოგადოების ცხოვრების მოწყობის მანკიერებებში, დამკვიდრებულ სოციალურეკონომიკურ გარემოში, უფრო ღრმა ხედვით, ადამიანში, მის თვისებებში, ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების დონეში. ამ მხრივ წამყვანი როლი ეკუთვნის ადამიანთა ზნეობრივ ხარვეზებს, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, უსამართლობას, საერთოდ, და შემოსავლების (სიმდიდრის) განაწილებასა და გადანაწილებაში, კერძოდ. ყოველივე ეს უშუალოდ თავს იჩენს ადამიანთა შორის მეტისმეტ უთანასწორობაში, ცხოვრების წესის უკუღმართობაში. ეკონომიკური და სოციალური თეორიის დიდი ნაკლია, რომ სათანადოდ არ ითვალისწინებს ამ მომენტებს.

ზედმეტი, უქმი დოვლათის არსებობის უშუალო ძირეულ კონკრეტულ მიზეზებს პირველ რიგში უნდა მივაკუთვნოთ **ადამიანთა დამახინჯებული მოთხოვნილებები, ინტრესები, არარაციონალური ქცევა მათი გამრუდებული ცნობიერების, გემოვნების, ცდუნებებისა და ცდომილებათა, ჩვევების შედეგად. იგი წარმოიშვება ადამიანთა სიხარბის, დოვლათის არასამართლიანი მითვისების, არარაციონალური მოხმარების პირობებში. სიხარბეს აქ წამყვანი ადგილი უკავია.**

უწინარესად უნდა ითქვას ადამიანთა ისტორიული ცდუნების შესახებ, რაც ადამიანებს დაჰყვა დასაბამიდან – ზედმეტი დოვლათის ფლობისადმი მიდრეკილებაზე. ამას

კარგად გადმოსცემს ჟ. ბოდრიარი: ყველა საზოგადოება ყოველთვის ფლანგავდა, ანიავებდა, ხარჯავდა და მოიხმარდა მკაცრი აუცილებლობაზე ზედმეტად იმ მარტივი მიზეზით, რომ მხოლოდ ჭარბ მოხმარებაში, ზედმეტში ინდიდვიდი, ისევე როგორც საზოგადოება, თავს გრძნობს ჩვულებრივ არა მარტო არსებულად, არამედ ნამდვილ სიცოცხლისუნარიანად. ჭარბი მოხმარება კი შეიძლება მივიდეს ,,განადგურებამდე", ჩვეულებრივ ნგრევამდე, რაც მაშინ განსაკუთრებულ სოციალურ ფუნქციას ასრულებს.[1]

ამ მომენტს ყურადღება ადრე ტ. ვებლენმა მიაქცია, რომლის ნააზრევში წარმოჩენილია საზოგადოებრივი ცნობიერების ზედმეტი მოხმარებისადმი დამოკიდებულება. იგი აღნიშნავდა: დემონსტრაციული განსხვავებულის ევოლუციაში თვალნათლად იგულისხმება, რომ მომხმარებლის მაღალი სახელის შენარჩუნებისთვის მისი დემონსტრაციული განსხვავება უნდა იყოს ზედმეტობაზე მიმართული. პატივი რომ მოიტანოს, მოხმარება უნდა იყოს მფლანგველობითი. მხოლოდ საცხოვრელად აუცილებელი საგნებს მოხმარებისას არ წარმოიშვება არავითარი განმასხვავებელი ღირსება, თუ არა საწყალ ღარიბებთან შედარებისას, რომლებიც ვერ აღწევენ სახცოვრებელ მინიმუმსაც. ასეთი შედარების შედეგად ვერ მივიღებდით განსხვავების ვერავითარ სხვა ნორმას, გარდა თვით ნამდვილი პროზაული და არამიმზიდველი კეთილდღეობის დონესთან მიმართებით დადგენილისა.[2]

ნათელია, რომ ეს ეხება იმ საზოგადოებას, რომელშიც ჭეშმარიტი წარმოდგენა ადამიანურ ღირსებებზე არ არსებობს, ისინი მოხმარების მიხედვით ფასდება.

---

[1] იხ. ჟ. ბოდრიარის დასახელებული ნაშრომი,გვ .44.

[2] T. Veblen. *The Theory of Leisure Class, An Economic Study of Institutions*, 1899)

ადამიანთა **თავისივე საწინააღმდეგოდ ქცევის უქმი ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი და** უმარტივესი, გავრცლებული ფაქტის, მავნე პროდუქტებისა და საზიანო რაოდენობით პროდუქტების მოხმარების მიზეზია **არასწორი ცნობიერება, მახინჯი, არაგონივრული მოთხოვნილებები, ჩვევები.** ადამიანები თავიანთი მანკიერი, ზოგჯერ დამღუპველი მოთხოვნილებების მძევლები ხდებიან, რაც ბევრი მათგანის ინტელექტუალური უსუსურობისა და მენტალური დესტრუქციულობის ერთ-ერთი მასშტაბური გამოვლინებაა. ეს პარადოქსული მოვლენა ადამიანთა მთელ ისტორიას გასდევს (ისევე როგორც ბევრი სხვაც) მოუშორებელი სენის სახით, მიუხედავად მისგან გათავისუფლების გარკვეული მცდელობისა. ბრძოლა ამ ასპარეზზე ნაკლები წარმატებით გრძელდება ჯანსაღ და არაჯანსაღ აზრს შორის. ამგვარი მოხმარების არსებობა სარგებლის მომტანია კიდევაც ადამიანთა დიდი რიცხვისთვის, რაც, ცივილიზაციის მიღწევების ფონზე, ცხოვრების ერთ შემაშფოთეთბელ, სამარცხვინი სიმახინჯედ კვლავ რჩება.

ადამიანთა უმეტესობისთვის ზედმეტი (უქმი) დოვლათის ფლობის მასობრივი ხასიათი მეტწილად გამოწვეულია **არასწორი სამომომხმარებლო არჩევანით,** რაც ადამიანთა არარაციონალობის გავრცელებული სახეობაა.

არასწორი გადაწყვეტილებების, შეცდომების, ცდუნებების, მავნე ჩვევების, მანკიერი გემოვნების, მიმბაძველობის, გარე ზეგავლენის (რეკლამისგან და სხვა) შედეგად წარმოიქმნება უქმად (უფუნქციოდ) არსებული ქონების გარკვეული რაოდებობა ცალკეულ ინდივიდებთან, რომელიც მთლიანობაში გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევს მსოფლიოს მასტაბით.

ამგვარი მსჯელობის საფუძველს გვაძლევს ცხოვრებისეული ფაქტები, მიუხდავად თეორეტიკოსთა მტკიცებისა, თითქოს მომხმარებელთა არჩევანი, მჯობინება, უპირატესობის მიკუთვნება ამა თუ იმ პროდუქტისთვის მთლიანობაში

შეესაბამებოდეს მათ ინტერესებს. ჩვეულებრივ ადამიანები ხშირად ვერ იღებენ სწორ გადაწყვეტილებებს.

არასწორი სამომხმარებლო არჩევანის საფუძველზე გროვდება ნივთები, რომლებსაც ადამიანები სულაც არ ხმარობენ ან მხოლოდ ნაწილობრივ მოიხმარენ. ამიტომ ისინი ფუჭდება, მათ გადაყრიან და ა.შ. მომხმარებელთა არარაციონლური ქცევა, რაც გამოწვეულია შეცდომებით საქონლის შეძენისა და მომსახურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, მათი გემოვნების ცვალებადობის, მიმბაძველობის, გარე ფაქტორების გავლენის შედეგად მასობრივი ხასიათისაა. ამის გამო თითქმის ყოველი ინდივიდის ქონებაში მოიძებნება ზედმეტი ნივთების ესა თუ ის რაოდენობა, რომლებიც მათ დაიწუნეს, მობეზრდათ, ზოგჯერ დასანახადაც არ უნდათ. არაიშვიათად ადამიანები შეძენილ საგნებზე აზრს იცვლიან და მათ არ იყენებენ თავიდანვე ან ფიზიკურად გაცვეთამდე, ე.ი. ვიდრე სრულად ამოიღებდნენ მათი სარგებლობის პოტენციალს. ასეთი საგნები მით უფრო მეტი ოდენობითაა, რაც უფრო მაღალია ოჯახების მატრიალური მდგომარეობა, შემოსავლები, რადგან შემოსავლებს არ შეესაბამება ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა რაციონალურობა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თითოელი ჩვენგანი გავაკეთებთ შესაბამის (ჩვენივე თუ ახლობლების) მოხმარების ანალიზს. ამით ჩვენს ირგვლივ აღმოვაჩენთ მრავალ ამგვარ საგანს. ეს ზედმეტი (უქმი) პროდუქტი ქვეყნების და მსოფლიო მასშტაბით მძიმე დანაკარგად აწევს კაცობრიობას.

საგულისხმოა **ფუფუნების საგნების,** როგორც უქმისა და ზედმეტის, არსებობის მიზეზები. ფუფუნებისადმი მიდრეკილება ჩნდება იმ გამრუდებული ცნობიერების საფუძველზე, თითქოს გარეგნული მატერიალური სიმდიდრე, მფლანგველობა ადამიანთა სოციალურ სტატუსსა და ღირსებებს განსაზღვრავს, რის გარეშე ისინი თითქოს საზოგადოებრივ პატივცემას დაკარგავენ, ჩრდილში ექცევიან. ამგვარი

მცდარი გაგებით, ფუფუნების საგნების მოხმარება ადამიანის წარმატების დემონსტრირების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. თითქოსდა რაც მეტ და ძვირფას საგნებს მოიხმარს ადამიანი, მით უფრო ღირსეული და ბედნიერია იგი.[1]

უ. შექსპირის მიერ ტრაგედიაში ,,მეფე ლირი" დასმულია საჭიროებისა და სუბიექტის მოთხოვნილების ურთიერთმიმართების საკითხი, კერძოდ, სჭირდება თუ არა ნამდვილად ადამიანს ყოველივე ის, რისი მოთხოვნილებაც მას აქვს; სწორად შეუძლია თუ არა მას განსაზღვროს თავისი ნამდვილი საჭიროება; ჭარბი დოვლათის არსებობა, როგორ აღიქმება მის მიერ პრესტიჟის, უპირატესობის პირობად. ამ მართალაც სადავო საკითხების შესახებ ლირის თვალსაზრისი საინტერსოა და ემთხვევა დღევანდელ ადამიანთა დიდი რიცხვისას. იგი ამტკიცებს, რომ საჭიროების სიდიდის განსაზღვრა სუბიექტურია, მოთხოვნილებები კონკრეტული პიროვნების შეხედულების მიხედვით ყალიბდება, ისინი უნდა დაკმაყოფილდეს. ამას ეწინააღმდეგებიან მისი ქალიშვილები, რომელთაც მეფემ დაუტოვა თავის სამეფო და სიმდიდრე. მეფე მოითხოვს ზედმეტ ამალას, ვიდრე ჭირდება, ქალიშვილები კი თავაზობენ იმდენს, რამდენიც საჭიროა მისთვის (მათი აზრით)[2]. მაშასადამე, **აქ დგას გონივრული და ხელო-**

---

[1] ამგვარი გაგების აბსურდულობა ასახულია მრავალი ავტორის მიერ, მათ შორის მხატვრულ ლიტერატურაშიც ო. ბალზაკის, ე. ზოლას, რ. ერისთავის და სხვათა ნაწაემოებებში.

[2] მას ქალიშვილებმა შეუზღუდეს ამალა ასიდან ნახევრამდე, შემდეგ ოცდახუთამდე, ბოლოს უთხრეს ერთიც კი გეყოფა ან რაში გჭირდება საერთოდო, ჩვენ მოგივლითო. ამან ყოფილი მეფე შეურაცხყო და ერთერთ ქალიშვილს ეუბნება: ,,საჭიროებას ნუ ახსენებ, ასე თუ განსჯი, მათხოვარსაც კი აღმოუჩენ ზედმეტ რამეს... შენ ხომ ქალი ხარ, თუ ტანსაცმელს სითბოსთვის ვიცვამთ, ამდენი რამე რად ჩაგიცვამს, რადა გჭირდება... სულ სხვა რამ არი ჭეშმარიტი საჭიროება"... (უ, შექსპირი. ორ წიგნად. თარგმანი ვახტანგ ჭელიძის. თბილისი 1971. გვ. 7172). უ. შექსპირმა ზედმეტი

ვნური (არაჯანსაღი) მოთხოვნილებების საკითხი. უეჭველია რეალური საჭიროების დაკავშირება რეალურ სარგებლობასთან, გონივრულობასთან. ფორმალურობისაგან მისი ჩამოცილება დღეისთვის უდიდესი პრობლემაა **რეალურ საჭიროებას დაცილებულია ადამიანთა მოთხოვნილებები, რომლებიც გამოხატავს უზომო სიმდიდრის, ხელოვნურ უპირატესობათა ფლობის სურვილს.** მოტანილი მაგალითიდან ისიც ჩანს, რომ ეს ვითარება ისტორიის გადმონაშთია, ისტორიისგან გადმოცემული ზნეობრივი და სამართლებრივი ,,ზედმეტი ბარგია", რომელიც დიდად უშლის ხელს ნამდვილ ადამიანურ ცხოვრებას, საყოველთაო კეთილდღეობას.

ბევრი ადამიანი დღესაც ფიქრობს, რომ არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ჩავერიოთ ადამიანთა მოთხოვნილებებში, როგორიც არ უნდა იყოს ის, ეს ადამიანის უფლებებში ჩარევა იქნებოდაო. ეს ულტრალიბერალური აზრი, რომელიც ჯერ კიდევ მეფე ლირს აღმოაჩნდა, სრულიად ბანალურია. განა ადამიანების არასწორ ქცევებში ჩაურევლობა უნდა გავიგოთ მისი უფლებების დაცვად? ან განა შეუძლებელია გავმიჯნოთ არგონივრული და გონივრული მოთხოვნი-

---

მოთხოვნილებისადმი თავისი დამოკიდებულება უკვე მე16 საუკუნეში გამოხატა, დღეს კი არავინ არაფერს ამბობს, მაგალითად, ისეთ ფაქტზე, როცა უზბეკეთის პრეზიდენტის 34 წლის ქალიშვილი იძენს 54 მლნ დოლარდ ღირებულ ზღაპრულ სასახლეს სხვადასხვა პომპეზური გარე ნაგებობით (იხ. Международное информационное агентство «Фергана»). ბევრისთვის უადგილოდაც კი ითვლება მსჯელობა იმაზე, სჭირდება თუ არა ეს მას ნორმალური ცხოვრებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ ამ სახსრების წარმომავლობაზე. რა მიზანს ემსახურება ის, თუ არა მისნაირი მერკანტლური ხედვის ადამიანების წინაშე თავის გამოჩენისა და მახინჯი მიდრეკილების დაკმაყოფილებისა. ამგვარი მოთხოვნილებისა და მისი დაკმაყოფილების? უკეთურობაზე მეტწილად ტელევიზორებთან და პენსიონერთა თავშეყრის ადგილებზე თუ მსჯელობენ. ასეთია დღეს ვითარება.

ლებები, ამისი კრიტერიუმი არ არსებობს ზომიერების სახით?რა თქმა უნდა. არსებობს, როგორც ზემოთაც ითქვა, მაგრამ ეს არ შესაბამება ადამიანთა გარკვეული წრის ინტერესებს და არა მათივე სასარგებლოდაც.

შემდეგ უნდა ითქვას **ადამიანებისთვის საზიანო საგნების** მიზანმიმართულ წარმოებაზე, რაც ადამიანთა გარკვეული წრეების მიზნებისა და ინტერესების სფეროში შედის. ეს ადამიანთა მოდგმის უდიდესი უკეთურობა, მისი ცნობიერებისა და ქცევის უკიდურესი მანკიერება, უმძიმესი ცდომილებაა. კერძოდ, ეს ეხება ადამიანთა დაშინების, მათი სიცოცხლისა და ქონების მოსპობის, განადგურების საშუალებათა, ნარკოტიკული ნივთიერებების, ადამიანთა გონებისა და ზნეობის ამრევი ,,ლიტერატურის და ხელოვნების" ნაწარმოებების, გართობის სხვადასხვა უსარგებლო საშუალებათა შექმნას. ისინი ინტენსიურად ვრცელდება და ადამიანთა გარკვეული ჯგუფების უზარმაზარი შემოსავლების წყაროა. **ეს მოვლენა ცივილიზაციის აღმაშფოთებელი პარადოქსი, საზოგადოების გულგრილობის, გამრუდებული შეხედულებების, ზნეობრივი ბიწიერების ნიადაგზე კარგად ხეირობს.**

მათ დიდ ნაწილზე, საბრძოლო საშუალებებზე მოთხოვნილება წარმოიშვება **ადამიანთა ბუნებრივი და შეძენილი მანკიერი თვისებების, გამრუდებული ცნობიერების** გამო. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ **ადამიანთა აგრესია, ხალხთა კონფლიქტები, უნდობლობა და სხვა,** რომლებიც განაპირობებს იარაღებისა და ადამიანთა მოსპობის, დაშინების, მატერიალურ და არამატეიალურ ფასეულობათა განადგურების საშუალებათა შექმნას, წარმოებას, გასაღებას, რამდენადაც თავდაცვის აუცილებლობას თავდასხმა წარმოშობს. საუბედუროდ, **აგრესიულობა, დესრტუქციული** მოქმედება ადამიანებს დასაბამიდან დაჰყვათ და ეს გრძელდება დღესაც ყოფით დონეზე თუ ხალხების ურთიერთობებში. იგი სათავეს იღებს ადამიანთა ბუნებიდან – ამპარ-

ტავნობიდან, სიხარბიდან, ამბიციურობიდან, თავდაჯერებულობიდან, თავგასულობიდან, ყალბად გაგებული ინტერესებიდან საერთოდ.

ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები არსებობს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ზ. ფროიდის, ე. ფრომის კ.იუნგის, ჰ. კაუფმანის, ე.კრისის, კ. ლორენცისა და სხვათა მიერ.[1] ჩვენ მათ განხილვას არ შევუდგებით, ხაზი გვინდა მხოლოდ გავუსვათ ადამიანთა აგრესიის ზიანს, რასაც ის აყენებს საზოგადოების ცხოვრებას. ის არ შეიძლება ადამიანთა ერთ-ერთ მძიმე ნეგატიურ თვისებად არ ჩაითვალოს. მასში თავს იჩენს ადამიანთა ერთი ნაწილის განწყობა და მოქმედება, რომელიც მიმართულია არამართლზომიერი მიზნების განხორციელებისკენ, სხვაზე ბატონობისკენ, სხვისთვის რაღაცის წართმევისკენ. უკეთურობათა და სხვათა უბედურებების ეს ერთ-ერთი სათავე, ძალადობრივი მოქმედების საწყისია. კაცობრიობა ცდილობს მას სხვადასხვა საშუალებებით გზა გადაუკეტოს ადამიანთა მოდგმის არსებობის ახალ წესზე გადავლისთვის, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ აღევს.

ომები და საერთოდ ადამიანთა აგრესიული ქმედებები ერთმანეთის წინააღმდეგ, მათი კეთილდღეობის უდიდესი დანაკარგის მიზეზი იყო და ასეთად რჩება. ცხადია, რომ ობიექტურად, **თუ ცხოვრების მოვლენათა სწორი გაგება იარსებებდა, ადამიანებსა და ხალხებს შორის კონფლიქტის მიზეზებს ადგილი არ ექნებოდა. ისინი ვერ აღმოცენდება სუბიექტური მიზეზებით, გაუკუღმართებული ცნობიერე-**

[1] განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის აგრესიულობის, როგორც უდიდესი მანკიერების, საკითხი საფუძვლიანადაა განხილული ერიხ ფრომის წიგნებში: The Heart of Man, its gnius good and evil" (1964): The Nature of Man" (1964) და სხვა. ასევე მას ეხება სოციალური ფსიქოლოგიის თემებისადმი მიძღვნილი მრავალი სხვა გამკვლევა.

ბისა და ინტერესების გარეშე.[1] მაშასადამე, ყოველგვარი იარაღი, რომელიც ადამიანთა მოსპობისთვის გამოიყენება, სახელმწიფო სტრუქტურები (ჯარი, პოლიცია, ადმინისტრაციული ორგანოები) ყოველივე ეს ცივილიზებული, ჰუმანური საზოგადოების პირობებში სრულიად არასაჭირო და ზედმეტია.[2] **აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი ბოროტება და დანაკარგები ძევს ადამიანთა ერთი ნაწილის აგრესიულ ბუნებაში და დანარჩენ ნაწილთან დაპირისპირებაში, მათ მიერ თავიანთი ინტერესების გამრუდებულ გაგებაში.**[3] **ეს მიზეზები როცა ჭეშმარიტი გაგებითა და ნამდვილი ადამიანური ქცევით შეიცვლება, უქმი ეკონომიკის ეს თვით ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი საძირკველი დაინგრევა, კაცობრიობას უზარმაზარი რეზერვი გაუჩნდება კეთილდღეობის ამაღლებისთვის.**

---

[1] კაცობრიობის მოწინავე ნაწილი დიდი ხანია ცდილობს ამ უგუნურებათაგან გათავისუფლებას. მაგლითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ომების თავიდან აცილების, სახელმწიფოთა ნებაყოფილობითი განიარაღების, საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების მიზნით შეიქმნა. მაგრამ წარმატება ამ მიმართულებით სრულიად შეუმჩნეველია. ადამიანები, ხალხები ამ მხრივ კვლავ თითქმის ისეთებად რჩებიან, როგორნიც მანამდე იყვენენ. პროგრესი ძალიან მცირეა.

[2] ,, ომი ჯოჯოხეთია, ხოლო ეშმაკია ის, ვინც კალმის ერთი მოსმით იგი გამოიწვია“ აღნიშნავდა გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი ოტო ბისმარკი მე19 საუკუნეში. ამ დასკვნამდე მივიდა კაცი, ვინც, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,რკინითა და სისხლით“ აღწევდა მიზნებს. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ პოლიტიკოსები მაინც ვერ მივიდნენ ომის უარყოფის სიკეთის შესაბამის გაგებამდე.

[3] აბა, რაში დასჭირდებოდა გონიერ, ცივილზებულ კაცობრიობას, ხალხებს ატომური იარაღი, თუნდაც კალაშნიკოვის ავტომატები. ამგვარი ზედმეტობის სხვა კონკრეტულ ფაქტებზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით. ისინი ურიცხვია და შეგვეძლო მოგვეტანა, მაგრამ ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ. მათ განათლებული საზოგადოება კარგად იცნობს.

ასეთი სიტუაცია არ შეიძლება ფანტაზიის ნაყოფად ჩავთვალოთ. მსოფლიოში, სადაც ბევრი რამ სრულიად მოულოდნელად და ჩვენთვის წარმოუდგენელი მიმართულებით იცვლება, ასეთი ცვლილებაც განუხორციელებლად არ უნდა წარმოვიდგინოთ. ამისი მოლოდინი გულუბრყვილო პაციფიზმის ნაყოფი კი არაა, არამედ კაცობრიობის კეთილგონიერებისადმი, ინტელექტისადმი რწმენისა. ამიტომაც მას მომავლის უტოპიურ ხედვად არ მიიჩნევენ საზოგადოებრივი განვითარების კანონებში ღრმად მწვდომი პიროვნებები, რომლებიც ამ მიმართულებით მოქმედებათა აქტივიზაციისაკენაც მოუწოდებენ. ამისი შტამბეჭდავი მაგალითია ნობელის პრემიის ლაურეატის, მაიამელი პოლიტიკოსი ქალბატონის, აუნ სან სუ ჩჟის მოწოდება: ,,მოდით ხელი ხელს ჩავჭიდოთ და ავაშენოთ მსოფლიო ომების გარეშე, რომელშიც შიშისგან გათავისუფლებულებს შეგვეძლება დავიძინოთ და გამოვიღვიძოთ ბედნიერებმა.[1] **ამგვარი ვითარება არ სცილდება რეალობის ფარგლებს, ასეთი იქნება კიდეც მომავალი ნამდვილი ადამიანური მსოფლიო.**

ძნელი არაა წარმოვიდგინოთ ასეთი, ხალხთა შორის ომების, კონფლიქტების, კონკრეტულ სუბიექტებს შორის ქიშპის, დარისპირების, ერთმანეთის საზიანო მოქმედებების გარეშე არსებული მსოფლიო, სადაც ცხოვრებას, წარმატებას, მიზნების რეალიზაციას ადამიანთა აგრესიულობა, ურთიერთდაპრისპირება, მცდარი, ანგარებითი, ამბიციური მიზნები, ბოროტი ზრახვები არ უდევს საფუძვლად! ყველაფერი ეს რომ არა, რამდენი მატერიალური, ფინანსური, ადამიანური რესურსი გამოთავისუფლდება ყველას კეთილდღეობისთვის და, რაც მთავარია, როგორი სიმშვიდე, ბედნიერების შეგრძნება დაისადგურებს ყველგან და ყველაფერში! მაგრამ მისგან თავის დაღწევა დღემდე განუხორციელებელ სურვილად რჩება კაცთა მოდგმის კეთილგონიერი ნაწილის-

[1] იხ. ООН. Доклад о развтии человека. 2013. С. 104.

თვის. იმის გამო, რომ აგრესიულობა ვერ ჩამოშორდა ადამიანებს, დიდი ნაღმი ძევს კაცობრიობის ცხოვრების წიაღში, რომელიც წამდაუწუმ ფეთქდება და აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ადამიანთა მოდგმას.

ამ ფაქტების არსებობის შემდეგ **განა შეიძლება ვინმე შეგვედავოს ადამიანთა შორის არარაციონალურობის, მათ მიერ სიკეთის მცდარი გაგების არესბობის მტკიცებისას ანდა იმაში, რომ ეკონომიკური (კომერციული) ინტერესი და საბაზრო წესები ხშირად ეწინააღმდეგება ადამიანებისთვის რეალურ სარგებლობას და უქმი ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი მიზეზია.**

კეთილგანწყობილი ადამიანებისთვის გამაოცებელია, თუ როგორ არსებობს ადამიანებში ამდენი ურთიერთდაპირისპირება და ბრძოლა სრულიად გაუმართლებელი მიზნებისთვის, მატერიალური თუ სოციალური უპირატესობისათვის, ,,გონიერ არსებათა“ არასწორი აზროვნებისა და ქცევის გამო. ყოველივე ეს ხომ სულაც არაა აუცილებელი, ბუნებრივი ადამიანური, ხელოვნურია!

ამასთან, ვფიქრობთ, სულაც **არ გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ეს მარადიული მდგომარეობაა.** იგი შესაძლებელია შეიცვალოს, ადამიანები დაემშვიდობნენ აგრესიულობას,[1] როგორც მათთვის სიკეთის არმომტან, მავნე თვისებას,

---

[1] ალბად არ არსებობს საფუძველი გავიზიაროთ ე. ფრომის ზ. ფროიდის და სხვათა თვალსაზრისი საერთოდ ადამიანთა აგრესიული ბუნების შესახებ. კითხვის პასუხად ,,ადამიანები უფრო ცხვრები არიან თუ მგლები?“ ე. ფრომი ეთანხმება ძველისძველ გამოთქმას Homo Homini Lupus est ადამნიანი ადამიანისთის მგელია. ის ამას ასაბუთებს იმით, რომ სხვადასხვა დროის ტირანები თავიანთ მიზნებს ახორციელებდნენ ადამიანთა დიდი რიცხვის მათ განზრახვათა შესრულბაში ჩაბმით. იხ. მისი The Heart of Man, its genius for good and evil (1964), თავი I. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ადამიანები თავიანთი ნებით კი არ იყვნენ ამ მოვლენათა თანამოაწილენი, არამედ იძულებით. ადამიანები უთუოდ უფრო მეტად მერყევნი, დამყოლნი და სხვისი

დადგნენ ცდუნებებზე, ფუჭ ამბიციებზე მაღლა (არაა საუბარი ერთეულ გამონაკლისებზე, რომლებიც გავლენას ვერ მოახდენენ საერთო ვითარებაზე მთელ საზოგადოებაში).

ზედმეტის ფლობისა თუ მოხმარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ძევს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში, გამრუდებულ გარემოში, დოვლათის (შემოსავლების) უსამართლო განაწილებაში, რაც ტრადიცილულად თან სდევს ცივილიზაციის ისტორიას. ჩვეულებრივ დიდი სიმდიდრე არაა და არ შეიძლება იყოს იმ სუბიექტების მონაგარი, რომლებიც მას ფლობენ. ეს დიდი ხანია ბევრმა უწყის.[1] სრულიად გაუმართლებელია ასეული ათასობით, მილიონობით ან მილიარდობითაც ღირებული დოვლათის შექმნა ერთეულებს მივაწეროთ, როცა ადამიანთა საშუალო შრომის მწარმოებლურობა შეუდარებლად ნაკლებია მასზე (მაგალითად, მთელ მსოფლიოში ის საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 20-22 ათასი დოლარის ფარგლებშია, მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ამაზე 5-6-ჯერ მეტი). ცალკეული ადამიანების შემოსავლები კი წელიწადში მილიონებს, ათეული მილიონს და ზოგჯერ მეტსაც აღწევს. უნარის მიხედვით ადამიანებს შორის განსხვავება ისეთი არაა, როგორიც შემოსავლების (სიმდიდ-

---

ნების შემსრულებლები არიან, ვიდრე აგრესიულები და ბოროტები. ამიტომ საერთოდ ადამიანთა აგრესიულობის მტკიცება, ჩვენი აზრით, მათი ბუნების მიმართ მეტისმეტი სკეპსის მაჩვნებელია.

[1] ფ. ბასტია ადამიანთა კუთვნილად მათ მიერ შრომით შექმნილ დოვლათს მიიჩნევს. იგი აღნიშნავს: ,,საკუთრება მე მესმის, როგორც მშრომელი ადამიანის უფლება იმაზე, რაც მან შრომით შექმნა“. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში დოვლათის შექმნაში ადამიანთა წვლილისა და მითვისებაში წილის ერთმანეთისგან დაცილება უხსოვარი დროიდან დამკვიდრდა ცხოვრების უდიდეს მანკიერებად, რომელიც ჯერ კიდევ არაა აღკვეთილი. ამის შეახებ უფრო კონკრეტულად იხ. ჩვენი: ,,მეტა-ეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია“, ,,მოგების მეტათეორია“, ასევე ,, სიმდიდრე: ვისი მონაგარია და ვინ ფლობს მას “.

რის) მიხედვით.[1] მაშასადამე, ლოგიკურია ვთქვათ, რომ **არსებული განსხვავებები ადამიანთა შემოსავლებს (სიმდიდრეთა) შორის სრულიად არაობიექტურია, არასამართლიანია.** ამის მიხვედრა ძნელი არაა, მაგრამ ადამიანებისთვის საერთოდ კარგად გარკვეული არაა, თუ რატომ და როგორ ხდება ეს. სხვანაირად რომ ვთქვათ, არაა **ნათელი ის, თუ შემოსავლების განაწილებისა და გადანაწილების მექანიზმი რატომ მოქმედებს ასე უსამართლოდ.** ეკონომიკური თეორიები კი მეტწილად ამტკიცებს, რომ ეს სრულიად მართლზომიერია, ასეც უნდა იყოს. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მაინც, სხვა დროს რომ თავი დავანებოთ, თითქოს ყველა იღებს თავის კუთვნილს. სინამდვილეში თეორიებს შეცდომაში შეყავს კაცობრიობა.

ჩვენ შევეცადეთ და დავასაბუთეთ, რომ აღნიშნული უსამართლობა აიხსნება შემდეგი გარემოებებით:[2] **ჯერ ერთი, ირღვევა განაწილების ობიექტურობის საფუძველი, ის, რომ საზოგადოების დოვლათი (სიმდიდრე) ან მისი ნამატი ნაწილი შეიძლება შეიქმნას არა წარმოების ცალკეულ ფაქტორთა, არამედ მხოლოდ მათი ერთობლივი მოქმედებით, ადამიანების მიერ ბუნების ძალების, კაცობრიობის მთელი დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული მიღწევების გამოყენებით. ეს ნიშნავს დოვლათის წარმოებაში ბუნებისა და ისტორიისგან უსასყიდლოდ (მუქთად) მიღებული წყაროების მონაწილეობას. ამას უნდა შეესაბამებოდეს დოვლათის განაწილება. მეო-**

---

[1] ამაზე ჯერ კიდევ ადამ სმითი მიუთითებდა (იხ. მისი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბ., 2007. გვ. 137) . მას ადასტურებს ადამიანთა ინტელექტუალობის კოეფიციენტის შესახებ თანამედროვე გამოკვლევებიც. ეს ისედაც გასაგებია ამ საკითხში ჩახედული ნებისმიერი პირისათვის.

[2] იხ. ჩვენი ,,მეტაეკონომიკა-ეკონომიკის ფლოსოფია“, ,,მოგების მეტათეორია. ახალი ხედვა“, ,,სოციალური ენრგია. სიმდიდრე, კეთილდღეობა“.

რე, ისტორიის მიერ ჩამოყალიბებული დოვლათის განაწილების მექანიზმი კი, არსებული გარემოს წყალობით, ცალკეულ პირებს უქმნის შესაძლებლობას იღებდნენ და ფლობდნენ მეტს აღნიშნული უსასყიდლო (მუქთი) წყაროების დახმარებით მიღებული დოვლათიდან, ვიდრე მათ დოვლათის შექმნაში შეტანილი წვლილით ეკუთვნით. ამის ნიადაგზე აღნიშნულ პირთა ხელში თავს იყრის მათთვის გონივრულ ფარგლებში საჭიროზე ზედმეტი დოვლათი (სიმდიდრე). ეს ზედმეტი კი ობიექტურობისა და სამართლიანობის პირობებში მთელი საზოგადოების ხელში უნდა გადასულიყო მისი საერთო მიზნებისთვის და დაბალშემოსავლიანი ნაწილის სასარგებლოდ გამოსაყენებლად.

ამრიგად, დოვლათის (შემოსავლების) განაწილების პრინციპები უნდა იყოს: დოვლათის შექმნაში შეტანილი წვლილის მიხედვით წილის მიღება და ალტრუიზმის საფუძელზე დოვლათის მიცემა მათთვის, ვისაც არ შეუძლია მისი შექმნის პროცესში მონაწილეობა. ეს პრინციპები მხოლოდ ნაწილობრივ ამა თუ იმ ზომით სრულდება. სწორედ ამაში მდგომარეობს განაწილების უსამართლობა, არაობიექტურობა, რაც ისტორიას გასდევს და ჯერ კიდევ არაა გადალახული.

კუთვნილზე მეტის მითვისების შესაძლებლობა დოვლთის განაწილების არსებულმა სისტემამ ეკონომიკური ძალაუფლების (საკუთრება, ორგანიზაციული ფაქტორი) მფლობელთ, ასევე განაკუთრებულ ხელსაყრელ გარემოში მოქმედ სუბიექტებს მისცა. განაწილების ამგვარი მექანიზმის წყალობით შექმნილი დოვლათიდან მიღებული (მითვისებული) წილი სცილდება დოვლათის შექმნაში მათ წვლილსა და, მაშასადამე, ობიექტურად კუთვნილ წილს (მეტია მათზე).

სწორედ წმინდა (დანახარჯებზე მეტი) პროდუქტი მისი წარმოქმნისა და დოვლათის განაწლების არსებული მექანიზმის პირობებში მისი დიდი ნაწილის ადამიანთა გარ-

კვეული ჯგუფის მიერ მითვისების შესაძლებლობაა ზედმეტი მოხმარების და ზედმეტი სიმდიდრის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი. დოვლათის განაწილებისა და გადანაწილების **მექანიზმით განაპირობებული დოვლათის შექმნაში სუბიექტთა წვლილისა და მის მითვისებაში მათ წილს შორის განსხვავება რელური წინააღმდეგობაა.** ამ პირობათა შედეგად წმინდა პროდუქტის ნაწილი იქცევა ზედმეტად მოხმარებულ თუ დაგროვებულ პროდუქტად, ე.ი ფაქტობრივად **არასწორად გამოყენებულ, სასარგებლო შედეგის (სიკეთის) არმომცემ, უქმ დოვლათად.** ადვილი გასაგებია, რომ აქ საბოლოოდ აშკარავდება **დოვლათის განაწილების მეტისმეტი უთანასწორობის უსამართლობა, როგორც უქმი ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი.**

ფაქტების ანალიზის შედეგად მივდივართ დასკვნამდე, რომ განილული მიზეზების გამო **ყოველთვის ბევრად სცილდებოდა და სცილდება ამჟამადაც ერთმანეთს საყოველთაო კეთილდღეობის და დოვლათის (სიმდიდრის) ზრდა.** მაშასადამე, ერთმანეთს **არ მისდევს საზოგადოების განკარგულებაში არსებული სიმდიდრის (დოვლათის) სარგებლობის ანუ სიკეთის პოტენციალი, ერთი მხრივ, და საყოველთაო კეთილდღეობა, მეორე მხრივ,** ეს უკანასკნელი საგრძნობლადაც ჩამორჩება პირველს. აღნიშნული გარემოება კი, საზოგადოების ცხოვრებზე, კეთილდღეობაზე მისი უდიდესი უარყოფითი გავლენის მიუხედავად, ყურადღების გარეშეა დატოვებული თეორიისა და პრაქტიკის მიერ.

ხაზი უნდა გაესვას **ადამიანთა არასწორი სოციალური ცნობიერების, ქცევის ხასიათის ერთ-ერთ გამსაზღვრელ როლს დოვლათისა და შემოსავლების უსამართლო, მეტისმეტად უთანაბრო, უწესრიგო განაწილებაში.** მასში ვლინდება ადანიანთა ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების **არასაკმარისი დონე, რასაც ეფუძნება საზოგადოების მოწყობის უდიდესი მანკიერება, რომელიც მთელ ის-**

ტორიას გასდევს. იგი ვერ სწორდება საზოგადოების მიერ გამოყენებული **დოვლათის (შემოსავლების) გადანაწილების** სისტემებით, რომლებიც ამა თუ იმ ზომით ნებისმიერ ქვეყნაში მოქმედებს, უმთავრესად სახელმწიფოს მეშვეობით, ადამიანთა გარკვეული წრის კეთილი ნებით (ქველმოქმედებით). აქ უფრო ღრმა სოციალური ცვლილებებია აუცილებელი.

საგულისხმოა, რომ ადამიანთა დიდი ნაწილისთვის, ვინც დოვლათს (სიმდიდრეს) არასამართლიანად ფლობს, მისი მისაკუთრებისა და მოხმარების არსებული დამახინჯებული გარემო ხელსაყრელი და სავსებით მისაღებია. მათთვის ცვლილებები მიზანშეწონილი არაა (მათი გაგებით). აღნიშნული დაბრკოლებები საზოგადოების ცხოვრებაში სამართლიანობისა და სოციალური წესრიგის დამკვიდრების გზაზე ძლიერი და მყარია, რომელთა გადალახვა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ქვემოთ მათზე გვექნება მსჯელობა.

უქმი ეკონომიკის ერთ-ერთი დიდი ნაწლის და საზოგადოების დიდი დანაკარგების მიზეზის უმუშევრობის შესახებ მოცემულ კონტექტსში შეიძლება ითქვას შემდეგი. თანამედროვე ეკონომიკური სისტემა თავის წიაღშივე ინახავს **უმუშევრობის მიზეზებს:** ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების დაუბალანსებლობას ანუ სხვანაირად საზოგადოების მოთხოვნილებათა და დოვლათის წარმოების მასშტაბებისა და სტრუქტურული ურთიერთშეუსაბამობას, წარმოების დაქვეითებას ეკონომიკურ კრიზისს გამო და სხვა. მისი მიზეზია ასევე ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ნოვაციების შედეგების (სიკეთის) საზოგადოების წევრთა და ფენებს შორის განაწილების უსამართლობა (ისინი ერთი ნაწილისთვის სარფიანია, მეორე ნაწილს ზიანს აყენებს, აკარგვინებს სამუშაოს). ცხადია, ეს ხდება **სიკეთის თანაბარზომიერი განაწილების მიმართ სისტემის გულგრილობის პირობებში.** ბაზრისთვის სულერთია, თუ ვინ რომელი მყიდველი თუ გამყიდგველი, რომელი დაქირავებუ-

ლი თუ მეწარმე რა მდგომარეობაში ჩავარდება. ის მხოლოდ საბოლოო შედეგს ნოვაციათა მიერ მოტანილ მოგებას (დამატებით შემოსავლებს) ითვლის. ეს გულგრილობა უწინარესად ეხება მუშაკებს, თუმცა არც მეწარმთა ხვედრია ამ მხრივ სახარბიელო. ტექნიკური პროგრესის შედეგად ისინიც ხშირად ზარალდებიან კონკურენციულ ბრძოლაში. **მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სიკეთე საბაზრო ურთიერთობათა პირობებში გვერდს უვლს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს ან კიდევ ზიანად იქცევა ადამიანთა ცალკეული წრეებისთვის.** იგი შეიძლებოდა გამხდარიყო ყველასთვის სასარგებლო, მის სიკეთეს ყველა გაინაწილებდა რომ არა ბაზრის აღნიშნული ,,გუგრილობა". ასე იქნებოდა, ვთქვათ, თუ სამუშაო დროის შემცირებით სამუშაო ადგილები შენარჩუნებოდა ხელფასის ფონდს კი მუშაკები შესაბამისად გაინაწილებდნენ. მით უფრო, რომ ტექნიკური სიახლეები, როგორც წესი, ზრდის შრომის ინტენსიობას (მუშაკის დაღლილობას). ასევე, თუ, საერთოდ, ნოვაციები ნებიმიერი მეწარმისთვის თანბრად ხელმისაწვდომი იქნებოდა, როგორც საყოველთაო სიკეთე, მაშინ ტექნიკური პროგრესის ეს ზიანი ცალკეული მათგანისთვის არ იარსებებდა. მაგრამ ბაზრის კონკურენციული მექანიზმი გამორიცხავს საერთო ინტერესებს, ის კერძო ინტერესებისაკენ იხრება. ამაში ვლინდება მისი ,,გულგრილობა" სამართლიანობისადმიც, საყოველთაო კეთილდღეობისადმი. ამისგან თავის დასაღწევად სხვა სოციალურეკონომიკური სისტემა და გარემოა საჭირო.

უმუშევრობა კაპიტალიზმის (საბაზრო ეკონომიკის) უკურნებელი სენია, რომელზეც არაერთხელ აუტეხიათ განგაში მეცნიერებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებს. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია კაპიტალიზმის გამოჩენილი

,,მკურნალის“ ჯ. მ. კეინზისა[1] და მის მიმდვართა მოძღვრება და ,,რეცეპტები“. მათ გარკვეული როლი შეასრულეს კიდეც ამ სენის შესუსტებაში, მაგრამ ვერ შეძლეს მისი სრულად დამარცხება. ეს გასაგებია, მათი ,,რეცეპტები“ არ ეხება **კაპიტალიზმის იმ წინააღმდეგობას, რომელიც მუდმივად აკვლავწარმოებს ეკონომიკური არასტაბილურობის, კრიზისის მიზეზებს – წინააღმდეგობას წარმოების კერძო ეკონომიკურ და საერთო სოციალურ შედეგთა შორის, ეკონომიკური შედეგის პრიორიტეტს სოციალურის წინაშე. ეს ხდება მაშინ, როცა სწორედ საბოლოო საყოველთაო სოციალური შედეგი უნდა იყოს დომინირებადი. ყოველივე ამას ემატება მეწარმეობრივი თავისუფლებისა და ეკონომიკური საქმიანობის დერეგულირების აბსოლუტიზაციის ზღვარს გადასული პოლიტიკის როლი.**

ერთგვარი პარადოქსია, რომ ტექნოლოგიური პროგრესი, ინოვაციები – განვითარების ძირითადი წყარო – უქმი ეკონომიკის მიზეზი ხდება სხვა მხრივაც. **პროდუქციის გაახლება უქმ ეკონომიკას წარმოქმნის** მაშინაც, როცა ახალი პროდუქტები უმეტესად გარეგნულად წარმოადგენენ ახალს, არსებითად ბევრს არაფერს ან სულაც სასარგებლოს არაფერს აძლევს მომხმარებელს, შეიცავს ისეთ ფუნქციებს და თვისებებს, რომლებიც სულაც გამოუყენებელია ან მომხმარებელთა მცირე ნაწილის მიერ გამოიყენება. ამის მაგალითები მრავლადაა, მათ შორის საყოფაცხოვრებო ტექნიკის, მედიკამენტების სახით და სხვა. ბაზარზე არჩევანს რომ აკეთებს, გულუბრყვილო და გაუვითცნობიერებელი მომხმარებელი (ასეთი ბევრია) ვერ იჩენს საკმაო რაციონალურობას და ხდება ცრუ (ყალბი) ,,სიკეთის“ მიმწოდებელთა მსხვერპლი, რომლებიც გაყიდვებისა და მოგების გადიდების მიზნით

[1] ყველაზე დიდი როლი შეასრულა ჯ.მ. კეინზის ნაშრომმა: *J. M. Keynes* ,, General Theory of Employment, Interest and Money“, (1936) დასაქმების , ფულისა და პროცენტის ზოგადი თეორია“.

ქმნიან ზედმეტ, ფაქტობრივად არაფრის მომცემ, ფიქციურ სიახლეებს, რომელთა გასაღებასაც ახერხრბენ კიდეც მყვირალა რეკლამისა და მაცდური მარკეტინგული საშუალებებით. მოდა აუფასურებს, დევნის არა მარტო მოხმარებაში მყოფ და გაუცვეთავ, არამედ ხშირად ჯერ კიდევ გაუყიდავ საქონელს. აქ თავს აშკარად იჩენს ადამიანთა მომბაძველობა, შეჯიბრი, ცდუნებები, არარაციონალური ქცევა, ფასეულობათა ვულგარიზაცია, ჭეშმარიტი მშვენიერებისგან დისტანცირება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გონების ამრევი გავლენა მომხმარებლურ ფსიქიკაზე.

ეს ფაქტი საკმაოდ ძვირად უჯდება საზოგადოებას, ამცირებს მის რეალურ კეთილდღეობას. ეს ის შემთხვევაა, როცა საბაზრო მექანიზმის მოქმდებას, კონკურენციას საბოლოოდ თან სდევს **წარმოებისა და გონივრული მოხმარების ურიერთდაცილება, ფაქტობრივად უქმი ეკონომიკის გაფართოება, ადამიანთა კეთილდღეობის დანაკარგები.**

მეორე ასეთ შემთხვევად შეიძლება განვიხილოთ საერთოდ **ადამიანთა მოთხოვნილებების, საბაზრო მოთხოვნის და წარმოებული დოვლათის ურთიერთშეუსაბამობა სტრუქტურის, ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.** საბაზრო მექანიზმი, კონკურენცია და ფასწარმოქმნის სისტემა ვერ უზრუნველყოფს **საზოგადოების მოთხოვნილებათა, საბაზრო მოთხოვნებისა და წარმოების რაოდენობის, სტრუქტურის, საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გარდაუვალ ურთიერთშეუსაბამობას.** ეს გამოწვეულია ეკონომიკის დეცენტრალიზაციის პირობებში ეკონომიკურ სუბიექტთა საქმიანობის სათანადო კოორდინაციის არარსებობის, ბაზრის შესახებ ინფორმაციის ასიმეტრიულობის, უკმარობის, არასაკმაო სანდოობის, ასევე საბაზრო სუბიეტების მხრივ სწორ გადაწყვეტილებათა მიღების უნარის უკმარობის, სამეწარმეო რისკებისა და ქაოსის ელემენტების არსებობის მიზეზით **.** ამის გამო ჩნდება მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთდაცილება, რომ არაფერი ვთქვათ წარმოების შეუ-

საბამობაზე საზოგადოების ჯანსაღ მოთხოვნილებებთან, ხშირადაც საქონლის მრავალ სახეობათა მიხედვით. ეს იწვევს ე.წ. შეფარდებით ჭარბწარმოებას, გაუყიდავი საქონლის დიდი რაოდენობით არსებობას, რასაც პერიოდულ ეკონომიკურ კრიზისამდე მივყავართ. ამის გამო მიმართავენ საქონელის ე.წ. ჩამოფასებებს, გაიაფებას თვითღირებულებაზე დაბლადაც. საბოლოოდ წარმოიშვება დიდი რაოდენობით **მოხმარების გარეშე დარჩენილი ზედმეტი საქონელი, მაშინ როცა მოსახლეობის მოთხოვნილებები,მეტწილ შემთხვევაში მათი დიდი ნაწილი, დაუკმაყოფილებელი რჩება.** ეს საქონელი და ყველა ის დანახარჯი, რომელმაც არ მოგვცა სასურველი შედეგი ადამიანთა კეთილდღეობად არ ტრანსფორმირდა, ცხადია, **უნდა მივაკუთვნოთ უქმ ეკონომიკას.** სამწუხაროდ, იგი საზოგადოებისთვის დიდ დანაკარგად გვევლინება. ამგვარი უქმი ეკონომიკა საბაზრო, დეცენტრალიზებული, არაკოორდინირებული სისტემის ერთ-ერთი მძიმე წყლულია, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობასა და სოციალურ გარემოს ბევრად ვნებს.

არ უნდა გამოგვრჩეს უქმი ეკონომიკის მიზეზთა ერთი ნაწილიც, **ზედმეტი სიმძლავრეების არსებობის პირობები.** ისინი წარმოიშვება საზოგადოების მოთხოვნილებათა და საქონლისა და მომსახურების მიწოდების გეგმების უთიერთშეუსაბამობის შედეგად. საბაზრო გაურკვევლობა, დამოუკიდებელ ეკონომიკურ სუბიექტთა გადაწყვეტილებები და ქცევა გადახრილი აღმოჩნდება ცალკეულ საქონელზე მომავალი საერთო მოთხოვნისაგან. თვით კონკურენცია და მეწარმეთა ავტონომიურობა წარმოშობს ზედმეტ საწარმოო სიმძლავრეებს, მათ შორის მრეწველობაში, მომსახურების სფეროში და სხვა, რაზეც დიდი ინვესტიციებია გაწეული, ისინი კი უდავოდ **უქმი დანახარჯების ანუ დანაკარგების სახეს იღებს.**

საბოლოოდ, ვფიქობთ სასარგებლო იქნება მთლიანობაში წარმოვიდგინოთ უქმი ეკონომიკის გავლენა საზოგადოების კეთილდღეობაზე. შესაძლებლად მიგვაჩნია გავიანგარი-

შოთ ტექნიკის მარგი მოქმედების კოეფიციენტის ანალოგი ეკონომიკის ,,მარგი მოქმედების კოეფიციენტი". მასში ვგულისხმობთ იმას, ეკონომიკის მუშაობით შექმნილი რეალური კეთილდღეობის პოტენციალი თუ რამდენადაა რეალიზებული ადამიანთა ფაქტობრივ კეთილდღეობაში, მის რესურსებად. კეთილდღეობის პირდაპირი რაოდენობითი მაჩენებლები რადგან არ არსებობს, უნდა მივმართოთ ირიბ მეთოდს, კერძოდ, ეკონომიკური სიდიდეების გამოყენებას. სახვანაირად, ვარკვევთ, თუ შექმნილი დოვლათის რა ნაწილი მოხმარდა ადმიანთა რეალურ კეთილდღეობას და რა ნაწილი წარმოგვიდგება უქმ დოვლათად (ეკონომიკად). მიღებული სიდიდე შეიძლება გავიგოთ როგორც ეკონომიკური დოვლათის რეალურ სოციალურ სიკეთეში ტრანსფორმაციის მაჩვენებელი.

ზემოთ აღნიშნულდან გამომდინარე, ვიყენებთ მარტივ ფორმულას:

$$qI = \frac{\Omega f - \sum \Omega I i}{\Omega f},$$

სადაც: q I არის ეკონომიკის ,,მარგი ქმედების კოეფიციენტი ", Ωf შექმნილი დოვლათის (სიმდიდრის) რაოდენობა, ΩIi უქმი დოვლათის i ური სახეობის რაოდენობა, ∑ ჯამის ნიშანი. ცხადია, ეს სიდიდე შეიძლება პროცენტობითაც გამოვხატოთ 100-ზე გამრავლებით.

საკუთრივ დანაკარგების კოეფიციენტი იქნება 1-q I. წარმოდგენილი მარტივი მათემატიკური გამოსახულება მოითხოვს საკმაოდ დიდ და ძნელად მოსაპოვებელ ინფორმაციას, რაც გაართულებს გათვლებს. მიღებული შედეგები კი უთუოდ მნიშვნელოვანია ეკონომიკური და საერთოდ სოციალური განვითარების ანალიზისთვის, ასევე გამოსადეგია თეორიული და პრაქტიკული დასკვნების მისაღებად. **საზო-**

გადოების (კაცობრიობის) ნამდვილი სიმდიდრე უნდა შეფასდეს უქმი (უსარეგებლო და ადამიანებისთვის საზიანო) დივლათის გამოკლებით. მაშინ გამოჩნდება, თუ როგორ ემსახურება ეკონომიკა თავის ნამდვილ დანიშნულებას – ყველასი და თითოეულის კეთილდღეობის უზრუნველყოფას. ამდენად, მოტანილი მაჩვენებლების გაანგარიშების ჩატარება უთუოდ მიზანშეწონილია, რისთვისაც სათანადო წანამძღვრების შექმნაა საჭირო.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, საბოლოო ანგარიშით, **ეკონომიკის ფუნქციონირების ეფექტიანობა** უნდა შეფასდეს არა შექნილი დოვლათის და დაგროვილი სიმდიდრის თუ კომერციული წარმატების მიხედვით, რაც **მხოლოდ შუალედურ შედეგებს წარმოაგენს, არამედ იმის მიხედვით, თუ როგორია და როგორ იზრდება საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა რეალური შინაარსით.** საამისოდ აუცილებელია, სათანადო მეთოდიკის შექმნა, რასაც არ ექცევა ყურადღება. **მთელი საზოგადოება და ეკონომიკა ორიენტირებული უნდა იქნეს სწორედ საბოლოო რეალურ სოციალურ შედეგებზე, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტები კი მასში რაც შეიძლება მეტი წვლილის შეტანაზე. ესაა ჰუმანური და ცივილიზებული საზოგადოების არსებობის წესი, პირად ინდივიდუალურ წარმატებებზე და სიმდიდრეზე მზრუნველი წევრებისაგან შემდგარი საზოგადოებისაგან განსხვავებით.**

უქმი ეკონომიკის გაქრობა. მფლანგველობისაგან დისტანცირება

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია
რუსთაველი

თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში ძირეულ ცვლილებათა, ზომიერებაზე გადასვლის, ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვებისაგან ადამიანთა გათავისუფლების, **უქმი ეკონომიკის გაქრობის ფაქტორების** სირთულეს თვით ცხოვრება ადასტურებს. ამასთან, ის უნდა გახდეს უმნიშვნელოვანესი პროცესი საზოგადოების განვითარებაში.

საყურადღბოა, რომ უქმი დოვლათის ერთი ნაწილი თავისი ხასიათით, გარკვეული აზრით, შეიძლება **განვიხლოთ საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსად,** რამდენადაც სრულიად არ საჭიროებს ან თითქმის არ საჭიროებს დამატებით დანახაჯებს შესაქმნელად, საქმე ეხება შექმნილი დოვლათის სრულად, რაციონალურად გამოყენებას, დანაკარგის თავიდან აცილებას. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, დგება საკითხი ჯანსაღი მოთხოვნილებებისა და მოხმარების თვალსაზრისით ზედმეტი, უსარგებლო ან სულაც საზიანო დოვლათის (ფუფუნების ფუჭი საგნების, ადამიანთა დახოცვის, დაშინების, არსებული სიმდიდრის განადგურების საშუალებათა და სხვა) შესაქმნელად გამოყენებული რესურსების წარმართვის შესახებ გონივრული მოხმარებისათვის საჭირო დოვლათის წარმოებისკენ. **აქ არ შეიძლება არ დავინახოთ მფლანგველობისაგან ამ დიდად მავნე სენისაგან თავის დაღწევის პროცესი. ეს იქნება რესურსების გადანაცვლება უსარგებლო და უაზრო ან ზიანის მომტანი სფეროდან სარგებლობის სფეროში, რაც ბევრად წაადგება საერთო კეთილდღეობას.**

საგნების რაციონალური მოხმარება შეიძლება, გარკვეული აზრით, **შევადაროთ საწარმოო რესურსების** გამო-

ყენებას. ცხადია, თუ შექმნილ საწარმოო სიმძლავრეებს უფრო სრულად გამოვიყენებთ, მეტ პროდუქციას მივიღებთ, ხოლო თუ არასრულად ვიყენებთ, ან ვიყენებთ არაჯანსაღი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ან სულაც საზიანო (რაც არაიშვიათად ხდება) პროდუქტების წარმოებისთვის, გაწეული კაპიტალური დანახარჯები და შექმნილი სიმძლავრე, ასევე სხვა **რესურსები უქმია, დანაკარგია.** ანალოგიურად, თუ სამომხმარებლო რესუსებს გამოვიყენებდით რეალურად სასარგებლო მიზნით, შეიძლება ვთქვათ, რომ **შესაბამისად შევამცირებდით დოვლათის უკმარობას, ავამაღლებდით ადამიანთა კეთილდღეობას დამატებითი რაოდენობის დოვლათის (სიმდიდრის) შექმნის გარეშე.**

უეჭველია, რომ მსოფლიოში, განსაკუთრებით მდიდარ (განვითარებულ) ქვეყნებში, მოხმარების სფეროში არაჯანსაღი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ფაქტობრივად **უსარგებლო, უქმი დოვლათის (სიმდიდრის) სახით არსებული რეზერვი უზარმაზარია.** მასში დიდი ნაწილი მდიდარ ადამიანთა ის ქონებაა, რომელიც ფაქტობრივად გამოუყენებელია **რეალური სარგებლობის** მისაღებად ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო (ფეშენებელური მრვალსართულიანი სასახლეები, ჭარბი სატრანსპორტო და გართობის საშუალებები, ფუფუნების სხვადასხვა საგნები და ა.შ.).[1]

---

[1] მათ ზედმეტობაზე მიუთითებს ზოგიერთი ძალიან მდიდარი ადამიანების მოკრძალებული მოხმარების მაგალითი, როგორიცაა ამერიკელი მუტიმილიარდერი ჩაკ ფინი, რომლის ქონება 7,5 მილარდს შეადგენს (ასეთები სხვებიცაა). იგი არ ფლობს ძვირადღირებულ მანქანებს, თვითმფრინავებს, გადაადგილდება თვითმფრინავით ეკონომკლასის სალონში, ქირაობს ბინას და ატარებს 15 დოლარიან საათს. თავის სიმდიდრეს სხვებს უფრო ახმარს, 30 წლის განმავლობაში ქველმოქმედებისთვის დახარჯა 6 მილიარდი დოლარი. იგი უთუოდ თავს კმაყოფილად და ბედნიერად გრძნობს. ასე ყველა მდიდარი თუ მოიქცეოდა, მსოფლიოში ბევრი პრობლემა მოიხსნებოდა.

მაშასადამე, თეორიულად საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსად წარმოგვიდგება ზომიერ, გონივრულ მოთხოვნილებებზე ზევით მოხმარებული, ილუზიური (ყალბი) სარგებლობის, ასევე ზიანის მომტანი და, ჯანსაღი აზრით, უსარგებლოდ და უმიზნოდ მოხმარებული და დაგროვილი დოვლათი (სიმდიდრე). იგი ადამიანთა გონივრული მოთხონილების დაკმაყოფილებისთვის გამოყენების **შემთხვევაში დანაკარგიდან კეთილდღეობის რესურსად, ანუ უქმი დოვლათიდან რეალურ დოვლათად გარდაიქმნება მხოლოდ გამოყენების წესის, მართებული დანიშნულების, განაწილებით ურთიერთობათა სამართლიანობის, მოხმარების რაციონალურობის პირობებში, რაც დამატებით ინვესტიციას არ ან თითქმის არ საჭროებს.**

შევნიშნავთ, რომ უქმი, **არასწორად გამოყენებული დოვლათის (სიმდიდრის) არსებობა ზოგადად კაცობრიობის არსებობაში დიდი პარადოქსია, მაგრამ მას ძირითად საფუძვლად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საზოგადოებრივი გავითარების არასაკმარისი დონე და ადამიანთა ფსიქოლოგიური ხარვეზები უდევს.**

საკითხი დგება კეთილდღეობის რესურსების მთლიანად გამოყენების შესაძლობლობის შესახებ. **ასეთი შესაძლებლობა არსებობს. ის დაკავშირებულია აღნიშნული მიზეზების დაძლევასთან**, რაც თავის მხრივ სხვადასხვა პირობას ეყრდნობა.

უქმი დოვლათის (ეკონომიკის) შემცირებისა და აღკვეთის ერთ-ერთი, მეტად გადამწყვეტი პირობაა **ზომიერების დამკვიდრება.** მხოლოდ ამ გზით უქმი დოვლათის არსებობის **დაძლევაში ძევს საყოველთაო კეთილდღეობის ამაღლების ერთობ დიდი რეზერვი.**

ზომიერების დამკვიდრებაზე თავიდან აქ უნდა ითქვას შემდეგი. საერთოდ, მისი დასაყრდენია ადამიანთა ცნობიერების მაღალი დონე, კულტურა, ჰუმანური ურთიერთო-

ბები, გარემო. უფრო კონკრეტულად იგი გამოიხატება შემ-
დეგში: ჯერ ერთი, ესაა **მომხმარებელთა ქცევის გონიე-
რების არეში მოქცევა, რაციონალიზაცია . აქ წამყვანი
ადგილი ეკთვნის მოთხოვნილებათა ხასიათს. მომხმარე-
ბელთა მიერ დოვლათის შეძენას მხოლოდ გონივრულ,
ჯანსაღ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თუ ექ-
ნებოდა ადგილი, თუ ისინი არ გასცდებოდნენ ზომიერე-
ბის ფარგლებს დოვლათის დაგროვებისას, საზოგადოების
მთელი დოვლათის ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოყენე-
ბის პრობლემაც გადაიჭრებოდა, არ იარსებებდა ზემოთ
განხილულ დანაკარგები.** ეს მომენტი ადამიანთა რაციო-
ნალურობის ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ასპექტია.

მეორე, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით
და საერთოდაც **ადამიანების შესაბამისი კონტინგენტის
ცხოვრების წესისთვის დიდად სასარგებლოა გათავისუფ-
ლება მათ ხელში ზედმეტად თავმოყრილი ქონებისაგან,
ყოველივე იმისი მოიშორება, რაც საჭირო არაა ნორმა-
ლური, გონივრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფი-
ლებლად. ასეთი რამ შეძენილია ან დაგროვილია არასწო-
რი სამომხმარებლო არჩევანის, არარაციონალური დაგ-
როვების შედეგად.** ასეთი ქონების მოშორება რაციონალუ-
რი ქცევის ხარისხის ამაღლების საგულისხმო მომენტია. ბევ-
რისთვის ძნელი წარმოსაგენია, მაგრამ იგი შეიძლება გან-
ხორციელდეს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ადამიანთა
ერთი ნაწილის სათნოების (სიქველის) საფუძველზე სხვე-
ბისთვის **სიმდიდრის (ქონების) მნიშვნელოვანი ნაწილის
უანგაროდ გადაცემის გზით.** ცალკეულ პირთა ხელთ **არსე-
ბული ზედმეტი დოვლათის სხვისთვის გადაცემის** მაგალი-
თები ცნობილია წარსულიდანაც და დღევანდელ სინამდვი-
ლეში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს. ეს ხდება **ადა-
მიანთა ჯანსაღი ცნობიერების, შეგნების, ჰუმანური ბუ-
ნების ნიადაგზე.** არიან ადამიანები, რომელთაც კარგად ეს-
მით, რომ ,,დიდებულია ადამიანი, რომელიც გასცემს“ (არის-

ტოტელე). ასევე რელიგიური მოძღვარნი ქადაგებენ: ,,სიმდიდრე და ქველმოქმედება განუყრელი უნდა იყოს“, ან კიდევ: ,,შენ იმიტომ გეძლევა სიმდიდრე, რომ გასცემდე“: ,,რამდენი სიმდიდრეც არ უნდა მოვიპოვოთ, მაინც სამარეში ჩავალთ, სადაც მეფეს გლახაკისგან ვერ გაარჩევ“ და ა.შ.

მთელ მსოფლიოში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში, კერძოდ აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში, ფართოდაა გავრცელებული ქველმოქმედება.[1] ქველმოქმედების აქტს დიდი წვლილი შეაქვს უპოვარ ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაში.[2] ამ მიმართლებით ცნობილია საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა. ქველმოქმედების შთამბეჭდავი მაგალითი მრავალია. მათ შორის ერთ-ერთია ამერიკელი 38 გამორჩეული მილიარდერის გადაწყვეტლება უორენ ბაფეტისა და ბილ გეითსის მეთაურობით შექმნან ფონდი სახელწოდებით ,,ჩუქების ფიცი“. იგი გულისხმობს მათი ქონების ნახევრის საქველმოქმედო მიზნით გადაცემას.

---

[1] ამის შესახებ იხილე: Waldemar A. Nielsen. The Big Foundetions. New York – London 1972. მასალები ქველმოქმედების ირგვლივ მრავლადაა ინტერნეტში – პორტალი ,,ქველმოქმედება“ და სხვ.

[2] 2010 წელს აშშში ქველმოქმედების მასშტაბმა 291 მილიარდ დოლარს მიაღწია, მათგან 212 მლრდ კერძო პირებისა, დანარჩენი საზგადოებრივი ორგანიზაციებისა იყო. რამდენიმე ამერიკელმა მილიარდერმა უარი თქვა თავისი ქონების მემკვიდრეობით გადაცემაზე. ბუნ პიკინსი აცხადებს: ,,მე არა ვარ სიმდიდრის მემკვიდრეობით გადაცემის მომხრე. ასეთ მემკვიდრეობას მხოლოდ ბოროტება მოაქვს“. http://ambebi.ge/boocs/ 6017rogor azrovneben_mdidrebi html. საკვირველია და გაუგებარია ლიბერტარიანელების გადაბრუნებული აზრი, რომ ქველმოქმედება ადამიანთა ბუნებრივ ინსტიქტებს აუკუღმართებს და არღვევს ტრადიციულ სოციალურ კავშირებს. ეს ხომ ანტიჰუმანური შეხედულებაა? განა ადამიანთა შორის ურთიერთდახმარება გაუკუღმართებული სოციალური კავშირია? არსებული მახინჯი სოციალური კავშირები კი დიახაც რომ დასარღვევია!

არიან ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა, მათ შორის მათთვის ზედმეტ, ე.წ მეორად საგნებს გადასცემენ ხელმოკლეებს უსასყიდლოდ ან იაფად. ცალკეულ შემთხვევებში ორგანიზებული წესითაც ხდება ასეთი საგნების შეგროვება და ხელმოკლეებისთვის მიწოდება ქვეყნის შიგნით ან გარეთ უსასყიდლოდ ან სიმბოლურ ფასად.

მართალია, ქველმოქმედება მხოლოდ ჭარბი შემოსავლების მქონეთა მხრივ არ ხორციელდება, მაგრამ მისი დიდი ნაწილი ამგვარ შემოსავლებსა და მათ მფლობელთა სიქველეს ემყარება.

აქ ნათლად იკვეთება, რომ **გონიერ, თავდაჭერილ ადამიანთა მოთხოვნილებები სულაც არაა უსაზღვრო: ადამიანებს არც ისე ბევრი სჭირდებათ, რომ არა სიხარბე, აღვირახსნილობა.** სიკეთე უფრო მაღალი ფასეულობა და ბედნიერების განცდის მომტანია, ვიდრე ნივთიერი სიმდიდრე. ამდენად არჩევანი სწორედ ზომიერების, სიკეთისაკენ უნდა იყოს და არა ნივთების ოკეანეში ცურვისკენ.

ამათან, **ქველმოქმედება სულაც არაა საკითხის სრულად გადაწყვეტა.** ცალკეულ ადამიანთა, თუნდაც მათი ჯგუფების ზემოთ განხილული ჰუმანური ქცევები მხოლოდ ნაწილობრივ შველის ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტი დოვლათის, როგორც ასეთის, შემცირებას ან გამორიცხვას, უქმი დოვლათის (სიმდიდრის) გადაქცევას საყოველთაო კეთილდღეობის იაფ (მუქთ) რესურსად.

საერთოდ ის, თუ რა გზით განხორციელდეს ზედმეტი მოხმარებისაგან და დაგროვებისაგან ადამიანთა გათავისუფლება, უშუალო კავშირშია ადამიანთა საყოველთაო ცნობიერებასთან, შეგნებასთან, ზნეობასთან, ტრადიციასთან ერთად, ინტერესებთან, ადამიანების ბუნების ღრმა ცვლილებებთან, შეიძლება ვთქვათ, საღი აზრის გამარჯვებასთან, ნამდვილ მენტალურ რევოლულუციასთან.

მაშინ, როცა **ადამიანები სრულად გააცნობიერენენ ზომიერების სიკეთეს, ზედმეტი მოხმარებისა და დაგრო-**

ვების უაზრობასა და ზიანს, მათ შორის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღისთვის, ისინი შინაგანი რწმენით იმოქმედებენ ადამიანური სიკეთის, საკაცობრიო ფასეულობათა – მაღალი ზნეობის, სამართლიანობის, კაცთმოყვარეობის პრინციპებით. უქმი ეკონომიკის გაქრობის პრობლემა ამით თავისთავად გადაწყდება.

შეიძლება სხვანაირადაც ვთქვათ: უქმი ეკონომიკის აღკვეთის და ცხოვრების ჰარმონიზაციის პირობა თეორიულად სულაც მარტივია: **ყველამ თავისი ნებით, შინაგანი რწმენის კარნახით უნდა თქვას უარი ზედმეტ მოხმარებაზე და ზედმეტის ფლობაზე, თითოეულმა შინაგანი მოწოდებით დაიცვას ზომიერება, არ მოისურვოს სხვისი კუთვნილს მითვისება.** ეს თავის მხრივ ნიშნავს კეთილგონიერებით, ჯანსაღი აზრით, მაღალი კულტურით რეგულირებულ მოთხოვნილებებს. გასაგებია, რომ საუბარია მომხმარებლის ქცევის თვითრეგულირებაზე, შინაგანი რწმენით მოთხოვნილებათა და მათი დაკმაყოფილების კონტროლირებაზე და არა ძალადობრივად გარედან რეგულირებაზე. პრაქტიკულად კი ეს ურთულესი საქმეა და მრავალი დიდი წინააღმდეგობის გადალახვას უკავშირდება. პრობლემა სწორედ ამ წინააღმდეგობის დაძლევის პირობათა შექმნაშია, რადგან **ამჟამად ადამიანთა მხოლოდ ნაწილს ახასიათებს ამისთვის საჭირო მაღალი თვისებები, ისიც სხვადახვა ზომით.**

ამასთან, რაც ზოგჯერ შეუძლებლადაც არის მიჩნეული, ასეთი სულაც არაა, თუკი არსებობს **ხელშემწყობი ფაქტორებიც.** ამ შემთხვეაში, ჩვენი წარმოდგენით, ისინი უდავოდ არსებობს. კერძოდ, ესაა შემდეგი:

1. **მატერიალური სიმდიდრე თანდათან შეფარდებით უფასურდება, უფრო მაღალი სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის გვერდით.** ამით გარკვეულად სუსტდება მისდამი ადამიანთა მიდრეკილება, რომელიც, გარკვეულ ფარგლებს იქით, აბსურდში გადადის. ადამიანთა საერთო განათლებულობა, ცივილიზებულობა ანელებს ზედმეტ მიდ-

რეკილებას მატერიალური ნივთებისადმი. ჩვეულებრივ განათლებლი, მაღალი შინაგანი ღირსებების ადამიანები მატერიალურ სიმდიდრეს უფრო ნაკლებად ეტანებიან, ვიდრე დაბალი განათლებისანი და გაუნათლებლები. იცვლება ადამიანთა ფასეულობითი ორიენტაცია, მათ მიდრეკილებებში მეტ ადგილს იკავებს მაღალი სულიერი და სოციალური ფასეულობები, ვიდრე დაბალი, მატერიალური.

2. ჭარბი (ზომიერზე მეტი) მატერიალური სიმდიდრე სულ **უფრო მეტად ხდება ტვირთი ადამიანებისთვის** და მისგან მიღებულ კმაყოფილებას აჭარბებს უსიამოვნება, საზრუნავი, რაც მას უკავშირდება მძიმე, დამთრგუნველ ხასიათს იძენს.[1]

3. **დიდია საზოგადოების ელიტური ნაწილის, პროგრესული იდეოლოგიის, მათ შორის პოლიტიკურის როლიც.** ძალადობის გარეშე, მათ მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნიათ ადამიანთა რაციონალური ქცევის, ზომიერების დამკვიდრების საქმეში, რომლის გამოყენება ბევრადაა დამოკიდებული პროგრესულ ლიდერებზე, საზოგადოების ელიტაზე, მათ მოქმედებებზე, მათი ყოფის პირად მაგალითზე და ა.შ. ასეთი ელიტის როლის ზრდას ხელს უწყობს განვითარების პროცესი.

---

[1] სიმდიდრის თანმხლებ უკეთურობებზე ბევრი რამაა ნათქვამი, რაც მის ნეგატიურ მხარეს ასახავს. აქ მოვიტან ორ მოსაზრებას: ,,სიმდიდრე მხოლოდ გარკვეულ საზღვრამდე ხდის ადამიანს შედარებით დამუკიდებელს და უფრო თავისუფალს. კიდევ ერთი ნაბიჯი და ქონება ხდება ბატონი, ხოლო მფლობელი მონა. როგორც მონამ, უნდა მიუძღვნას მას დრო, აზრები, უნდა გააძლიეროს გარკვეული კავშირები საზოგადოებაში, მიეჯაჭვოს გარკვეულ ადგილს, შეეზარდოს გარკვეულ სახელმწიფოს. და ყველაფერი ეს შესაძლოა საკუთარი შინაგანი და ყველაზე უფრო არსებითი სურვილის საწინააღმდეგოდ.“ (ფ. ნიცშე). დიდი ხნით ადრე კი აღნიშნული იყო, რომ ,,დიდი სიმდიდრე დიდი მონობაა“(სენეკა).

4. არც თუ ისე მცირეა **შიშის ფაქტორის,** იმ საფრთხის გაცნობიერების როლი, რომელიც ელოდება ადამიანებს (კაცობრიობას) არაზომიერების, სიხარბის სამყაროში.

5. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **სოციალური გარემოს ცვლილებას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემის სრულყოფას, სამართლიანობას, ჰუმანიზაციას.** ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ თანდათანობით აღიკვეთება, დოვლათის უსამართლო განაწილება, როგორც საზოგადოების განვითარების ახალ პირობებთან შეუსაბამო, საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის ერთ-ერთი დაბრკოლება და კოლიზია; უფრო მყარად დაფუძნდება დოვლათის განაწილების სფეროში სამართლიანობისა და ალტრუიზმის პრინციპები; გაფართოვდება დოვლათის ნებაყოფილებითი უანგარო გადანაწილების პრაქტიკა. ეს ისტორიული და გარდუალი ტენდენციაა, კანონზომიერებაა, რომლის სათავე ძევს პროგრესის კანონში. [1]

6. ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს **ზნეობის ფაქტორს.** სოციოლოგიის ფუძემდებლის ა. კონტის აზრით, საზოგადოების მორალური სრულყოფა შესაძლებელია ალტრუისტული გრძნობის გაძლიერებით.

7. მეტად მნიშვნელოვანია ადამიანთა აზროვნების (ცნობიერების) შეცვლა, ამ სფეროში **ჭეშმარიტებისაკენ მობრუნება.** ადამიანები უფრო ღრმად ჩაწვდებიან რა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, საკაცობრიო ფასე-

---

[1] შემოსალების (სიმდიდრის) სამართლიანი განაწილების უზრუნველყოფის პრობლემა ერთ-ერთ უდიდესი და ურთულესია კაცობრიობის ცხოვრებაში, რომლის სრულად გადაწყვეტის გზები კაცობრიობას ჯერ კიდევ არა აქვს ნაპოვნი. იგი ცალკე მსჯელობის საგანია. მის გარშემო მოსაზრებები ჩამოყალიბებული მაქვს რიგ ნაშრომში და ვაპირებ მომავლშიც გავაგრძელოთ გზების ძიება მორგ გამოკვლევებში, კერძოდ, წიგნში ,,სიმდიდრე: ვისი მონაგარია ის?“ და სხვა.

ულობათა როლს თითოეულის ყოფაში, ცხოვრების ნამდვილ საზრისს, ხელს აიღბენ დოვლათს არსებითად უაზრო მოხმარებაზე და დაგროვებაზე, ყალბ კეთილდღეობაზე. მათ მეტი მიდრეკილება გაუჩნდებათ ერთმანეთისადმი ჰუმანური დამოკიდებულების, მეგობრობის, თანადგომის მიმართ, ვიდრე მოხმარებაში მეტოქეობის, მდაბლური მომხმარებლური ჟინის დაკმაყოფილებისადმი, გარე ფაქტორების მეშვეობით სხვების წინაშე და საზოგადოებაში უპირატესობათა მოპოვებისადმი. გუსტავ ლებონის აზრით, დიად გარდაქმნათა, ცივილიზაციების შეცვლის წინაპირობა იყო აზროვნების წესის კარდინალური შეცვლა.[1]

4. საგულისხმოა **გადაღლის ფაქტორი.** როგორც სამშენებლო ტექნიკაში მზიდი კონსტრუქციები შეიძლება ,,დაიღალნენ" ზედმეტი სიმძიმის დაწოლისაგან, ადამიანები იღლებიან ზედმეტი მოხმარების თუ ქონებისგან. ისინი ხდება არა თუ სასიამოვნო, არამედ მომაბეზრებელი, დამღლელი, ამაფორიაქებელი, ტანჯვის მომგვრელიც კი და სხვა. პრაქტიკაში ბევრია ამ მიზეზით ფსიქიკური აშლილობის, უფრო უარესი, სუიციდის ფაქტებიც.

ამრიგად, **უქმი ეკონომიკის აღკვეთა, გარკვეული აზრით, შეიძლება ჩავთვალოთ საკვანძო პუნქტად კაცობრიობის ინტელექტუალურ-კულტურული, ზნეობრივი პროგრესის უცილობელ გზაზე**. მასში თავს იყრის საზოგადოებრივი განვითარების პირობათა მთელი წრე. ამიტომაც აუცილებელია ის ყურაღების ცენტრში იყოს.

უქმი ეკონომიკის შემცირების მიმარულებით არა, მაგრამ ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან სფეროში და მთლიანობაში, კაცობრიობამ გაიარა პროგრესის დიდი გზა, რაც კარგადაა ცნობილი. ესეც ადასტურებს იმის შესაძლებლობას, რომ **უქმი ეკონომიკის აღკვეთის მხრივაც სასურველი მდგომარეობის მიღწევა უიმედო მიზანი არაა.** ეს აუცილე-

[1] Gustav Le Bon . The Crawd . N. Y. Voling Prss. 1962. P. 13.

ბელი და გარდაუალიცაა იმ წინააღმდეობათა დასაძლევად, რომელთაგან კაცობრიობას საფრთხე ემუქრება.

აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ **ამაოა ველოდოთ სწრაფ გადასვლას ზომიერების, ცივილიზებულობისა და ჰარმონიული, ჰუმანური ცხოვრების მაღალ სამყაროში.** მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი თვითდინებაზე უნდა იყოს მიშვებული, რომ საზოგადოება, კაცობრიობა ბუნებრივი სვლის მოლოდინში იყოს და მიზანმიმართულად არ მოქმედებდეს ამ პროცესის დაჩქარებისთვის. ეს იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც **ზომიერების დამკვიდრებაში, ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტის ფლობისაგან, მფლანგვლობისგან ადამიანთა გათავისუფლებაში, უქმი ეკონომიკის აღკვეთაში ძევს საზოგადოების პროგრესისთვის, ცივილიზებულობისთვის უდიდესი მნიშვნელობის შედეგები.** კერძოდ, ესენი შეჯამებულად შემდეგში შეიძლება გამოიხატოს:

1.მოხმარების ზედმეტობასთან, უქმი ეკონომიკის აღკვეთასთან ერთად **მცირდება ან ქრება დოვლათის უკმარობა, მაშასადამე, მაღლდება საყოველთაო კეთილდღეობა.** ეს მიიღწევა გამოუყენებელი, უქმი იაფი (მუქთი) რესურსების ,,გაცოცხლებით," დანაკარგების, მფლანგველობის აღმოფხვრით, დოვლათის ნებაყოფლობითი სამართლიანი გადანაწილების გზით, დამატებითი დანახარჯების გარეშე ან მცირე დანახარჯებით.

2. **აღმოიფხვრება დაცილება ეკონონიკურ ზრდასა და კეთილდღეობის ამაღლებას შორის** უდიდესი წინააღმდეგობა საზოგადოების განვითარებაში.

3. **ამაღლდება ადამიანთა თავისუფლების ხარისხი,** ერთნი გათავისუფლდებიან ზედმეტი სიმდიდრის ტვირთისგან, მეორენი უკმარობისაგან, გაჭირვებისაგან.

4. ხელი შეუწყობა ხალხების გათავისუფლებას იმ უმძიმესი, **ეკონომიკური, განსაკუთებით მორალური სამარ-**

ცხვინო ტვირთისაგან, რაც მათ აკიდებული აქვთ ადამიანთა დახოცვის, დაშინების, შექმნილი სიმდიდრის განადგურების საშუალებათა წარმოებისა და გამოყენების სახით.

5.კაცობრიობა თავს დააღწევს ბუნებასთან მწვავე კონფლიქტის მიზეზთა დიდ ნაწილს, მაშასადამე, აღიკვეთება ეკლოგიური საფრთხის რიგი ძირითადი მიზეზი გარემოსათვის მავნე ტექნოლოგიების გამოყენება, არასაჭირო, ჯანსაღი გაგებით, ფიქციური დოვლათის წარმოება და გასაღება, რაც ბუნების დაზიანებას უკავშირდება და სხვა.

6.**უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი,** აღმოიფხვრება უსამართლობა, უზომო, გაუმართლებელი ქონებრივი უთანასწორობა ადამიანთა შორის, ადამიანთა დიდი ნაწილის სიდუხჭირე: საზოგადოების, ხალხების, კაცობრიობის ცხოვრებაში მყარდება ჰარმონია, ცხოვრება ხდება უფრო, ჰუმანური, სასიამოვნო ყველასათვის, ურთიერთობები ადამიანური, ზნეობრივი ესთეტიკურად მომხიბლველი.

ყოველივე ეს ნიშნავს ახალ, სიხარბისაგან თავისუფალ, ნამდვილად ჰუმანურ, ზომიერ ადამიანთა საზოგადობის დაფუძნებას. კაცობრიობის გზა აქეთკენ ან კატასტროფისკენაა.

მთავარი დასკვნები მომავალ სოციალურ ცვლილებათა შესახებ

დრო ბრძენია ყველაფერს აღმოაჩენს.
თალესი

უქმი ეკონომიკის ზემოთ გადმოცემული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება მისი მოსალოდნელი გაქრობა ჩავთალოთ ახალი ეპოქის დასაბამად საზოგადოების ცხოვრებაში, ამასთანავე საბაზრო ურთიერობათა დომინირების დასასრულად და სუფთა პირველად ადმიანურ ურთიერთობათა დამკვიდრების დასაწყისად. სხვანაირად, ეს პროცესი წარმოგვიდგება ე.წ. ეკონომიკური ადამიანის ეპოქიდან ადამიანური, მაღალი შეგნების, ანგარებისგან, სიხარბისგან, ამპარტავნობის, ცდუნებათა და ყოფით ცდომილებათგან, ცხოვრების სიკეთეებზე გამრუდებული წარმოდგენებისგან თავისუფალი ადამიანის ეპოქაზე გადასვლად.[1] ადვილი გასაგებია, რომ ეს იქნება **ფუნდამენტური (თვისებრივი, ძირეული) სოციალური ცვლილება, რევოლუცია.**

ამ ცვლილების შესახებ კონკრეტული სპეციალური ცოდნა ჯერჯერობით არაა ჩამოყალიბებული. საერთოდ, სოციალური ცვლილებების საკითხს უძველესი დროიდან მიექცა ყურადღება სხვადასხვა მოაზროვნის მხრივ, მაგრამ მისი სათანადო წვდომა, ჩვენი შეხედულებით, ჯერ კიდევ არ არსებობს. ძირითადი დამსახურება სოციალური ცვლილებათა არსებულ ახსნაში სოციოლოგებსა და ეკონომისტებს ეკუთვნით. ამასთან, არ ვიზიარებ მათ ძირითად თეორიულ

---

[1] ეს პროცესი დაწვრილებით გადმოვეცით ნაშრომში ,,От экономического человека к человечному.“ сборник философских трудов ,,Перспективы человека в глобализирующемся мире.“ Санктперербургское философское общество. Санкт –Петербург. 2003.

დოქტრინებს.[1] მსჯელობის საგანს რომ არ გავცდე, მათ შესახებ მოსაზრებებს აქ ადგილს ვრცლად ვერ დავუთმობ (ისინი ჩემი განხილვის საგანი შეიძლება გახადეს სხვა შემთხვევაში). მოკლედ შევჩერდები მხოლოდ მარქსისტულ თვალსაზრისზე, რომელსაც დავუპირისპირებ ჩემს მიერ შემუშავებულ კონცეფციას. აქვე შევნიშნავ, რომ ვეხები მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირეულ (გარდამტეხ) სოციალურ ცლილებებს.[2]

კ. მარქსის მიხედვით, სოციალურ ცვლილებებში (ერთი ისტორიული ეპოქიდან მეორეზე გადასვლაში) **გადამწყვეტი როლი ცხოვრების მატერიალურ პირობებს, უფრო ზუსტად ე.წ. საწარმოო ძალებს ეკუთნის, რომელთა განვითარება იწვევს ცხოვრების სხვა სფეროთა გარდაქმნებს.** საწარმოო ძალებში ყველაზე ცვალებად, დინამიურ შემადგენლად მიჩნეულია შრომის იარაღები, ტექნიკა. უფრო კონკრეტულად, კ.მარქსის მიხედვით, ეს ასე ხდება: ,,თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ უთიერთობას, რომელიც მათ მატერიალურ მწარმოებლურ ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ამ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა შეადგენს საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურას, რეალურ ბაზისს, რომელზედაც იურიდიული

---

[1] ეს ეხება კ. მარქსის, ო. კონტის, სპენსერის, ა. ვებერის, ჯ. მილის და სხვათა, ასევე თანამედროვე თეორიებს, რომლებიც უმთავრესად ზედაპირულ სიახლეებს და გარდაქმნათა კერძო მიზეზებს განიხილავს.

[2] აქ მიზნად არა მაქვს კონკრეტული ასპექტების შესახებ შეხედულებების გადმოცემა. ცხოვრების ახალ წესზე, სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლის მექანიზმი და ახალი სისტემის მოდელის ჩამოყალიბება მოითხოვს ჩაღრმავებულ და ვრცელ მსჯელობას, რასაც შემდგომისათვის ვიტოვებ. აქ ძირეულ სიციალურ ცვლილებათა მხოლოდ უმთავრეს მომენტებს მოკლედ შევეხები.

და პოლიტიკური ზედნაშენი აღიმართება და რომელსაც საზოგადოების ცნობიერების განსაზღვრული ფორმები შეესაბამება. მატერიალური ცხოვრების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების სოციალურ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს. ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფიერებას, არამედ, პირიქით, ყოფიერება განსაზღვრავს მათ ცნობიერებას. "[1]

ამ მსჯელობის საფუძველზე მარქსი აყალიბებს ძირეული სოციალური ცვლილების თავის კონცეფციას, რომელიც საფუძვლად უდევს სოციალური რეოლუციის მარქსისტულ მოძღვრებას. ,,თავიანთი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, – წერს მარქსი, – საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები ვარდება წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან, ანუ, რაც ამის მხოლოდ იურიდიულ გამოსახულებას წარმოაგენს, საკუთრების ურთიერთობებთან, რომელთა შიგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობანი მათ ბორკილად იქცევა. მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიკური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მეტი თუ ნაკლები სისწრაფით ხდება გადატრიალება მთელ უზარმაზარ ზედნაშენში (ე. ი., როგორც მარქსს მიაჩნია, იურიდიულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ სფეროებში გ.მ)". [2]

კ. მარქსის მიხედვით, საზოგადოების ცხოვრებაში ძირეული ცვლილებები მატერიალურ პირობებში ცვლილებების, მათი განვითარების გარეშე ვერ მოხდებოდა. ,,არც ერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ ისპობა მანამდე, ვიდრე არ განვითარებულა ყველა მწარმოებლური ძალა, რომელთათვისაც იგი საკმაოდ გასაქანს იძლევა. და ახალი უმაღ-

---

[1] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტკისათვის. თბილისი. 1953. გვ.10.

[2] იქვე, გვ. 10.

ლესი წარმოებითი ურთიერთობანი არასდროს არ ჩნდება მანამდე, ვიდრე მათი არსებობის მატერიალური პირობები თვით ძველი საზოგადოების წიაღში არ მომწიფებულა. კაცობრიობა მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაწყვეეტა მას შეუძლია ... თვით ამოცანა მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა მატერიალური პირობები მისი გადაწყვეტისთვის უკვე არსებობს ან, ყოველ შემთხვევაში, წარმოშობის პროცესში იმყოფება. [1]“

კ. მარქსის შეხედულების შესახებ ასე ვრცელი ამონარიდები იმიტომ მოვიტანე, რომ ჩემი თვალსაზრისი მინდა მასთან მიმართებაში ჩამოვაყალიბო. უწინარესად მარქსის იმ დებულების შესახებ, რომ თითქოს პირველადი ყოფიერებაა და მეორადი ცნობიერება, რაც მთელი ისტორიული მატერიალიზმის ქვაკუთხედად არის მიჩნეული. საზოგადოების ცხოვრება (ყოფიერება) ადამიანის საქმიანობის პროდუქტია. იგი იქნება ადანიანის მოქმედებით, რომლის **საწყისია მიზანი, ცოდნა, გამოცდილება, შემოქმედებითი (კრეატიული) იდეა** და ა.შ., რაც მიეკუთვნება ცნობიერების სფეროს. მატერიალური და სულიერი სიმდიდრე მათ საფუძველზე იქმნება. **ამდენად არ არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ პირველადი მატერიალური პირობები, წარმოებაა და მეორადი ცნობიერება.** [2]

ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კ. მარქსის დოქტრინის საპირპიროდ, სოციალური ცვლილებათა, მათ შორის ძირეულთა, ანუ **ახალი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების წარმოქმნის საფუძველი უნდა ვეძებოთ ადამიანის განვითარებაში, მისი ინტელექტუალური და კულტურული, შემეცნებითი განვითარების**

---

[1] იქვე, გვ. 11.

[2] ამის ირგვლივ ჩემი თვალსაზრისი და არგუმენტები ჩამოვაყალიბე მონოგრაფიაში ,,მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია.“ (თბილისი, 1995). სხვა საკითხია ბუნების ადამიანზე, მის ცნობიერებაზე ადრე არსებობა, რაც აქ განხილვის საგანი არაა.

დონეში, რომელიც, თავის მხრივ, მატერიალური ცხოვრების პირობებთან, მათ შორის ბუნებრივ გარემოსთან უკუკავშირშია. ამასთან, ამოსავალი მაინც ადამიანი, მისი ცნობიერებაა. მარტივი მაგალითის სახით შეიძლება მოვიტანოთ ადამიანის საქმიანობის პროცესი. შრომის პროდუქტი ჯერ აზრობრივი მოდელის სახით არსებობს, შემდეგ იქცევა რეალურ საგნად. ასევეა ტექნიკური სიახლე და სხვა. მეცნიერება და განათლება, აზროვნებაა საზოგადოებრივი განვითარების პროცესების ამოსავალი წყარო. მათ საუძველზე ვითარდება ცხოვრება. მარქსის მსჯელობა ლოგიკური და მყარია, მაგრამ საფუძველი არ შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ საბოლოოდ ეს თეორია არ შეიძლება ჭეშმარიტებად ჩავთვალოთ.

შრომის იარაღების, ტექნიკის, როგორც მწარმოებლურ ძალთა ყველაზე რევოლუციური, ცვალებადი ნაწილის, შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი ადამიანთა მიერ, მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებათა შედეგად იქმნება და, მაშასადამე, ადამიანის ფაქტორის განვითარების, მეცნიერულტექნოლოგიური პროგრესის (მიღწევების) პროდუქტს წარმოადგენს. ამრიგად, საწარმოო ძალთა ყველაზე რევოლუციურ ნაწილად ისევ ადამიანისეული ფაქტორი გვევლინება და არა მის მიერ შექმნილი საგნები, თუნაც შრომის იარღები თუ ტექოლოგია.

აქვე აღვნიშნავ, რომ კავშირი საზოგადოების ცხოვრების მატერიალურ მწარმოებლურ ძალებსა და ეკონომიკურ ურთიერთობებს (წყობას) შორის, რასაც ხაზს უსვამს მარქსი, უთუოდ არსებობს, მაგრამ ის არაა ისეთი მყარი, როგორადაც მარქსს მიაჩნია. მას იგი კანონის რანგში აქვს აყვანილი. პრაქტიკა კი ადასტურებს, რომ მწარმოებლურ ძალთა განვითარების ერთსა და იმავე დონის პირობებში ეკონომიკურ ურთიერთობათა დიდად განსხვავებული სისტემები არსებობს. არ შევჩერდები ამ თეორიის სხვა ხარვეზებზე და ჩამოვაყალიბებ კონცეპტუალურ დებულებას კარდინალურ

სოციალურ ცვლილებათა, ანუ ახალ ეპოქაზე გადასვლის მექანიზმის შესახებ.

სოციალურ ცვლილებებათა მიმდინარეობაში უპირველესი და ამოსავალი ისაა, რომ ისინი ემყარება **ბუნების ფუნდამენტურ კანონს, რომლის მიხედვით ნებისმიერი ობიექტი თავის არსებობაში გაივლის აუცილებელ სტადიებს: წარმოშობა, აღმასვლა, პიკი, დაღმავლობა, მოსპობა. საზოგადოების ცხოვრებაში ეს კანონი შემდეგნაირად ვლინდება: ისევე როგორც ინდივიდი, საზოგადოებრივი სისტემა გადის ბავშვობის, სიყმაწვილის, ზრდასრულობის, შუახნის, ხადაზმულობის, სიბერის პერიოდებს, რის შემდეგ ადგილს უთმობს ახალ სისტემას; საზოგადოების ცოდნისა და გამოცდილების მარაგი იზრდება, იცვლება ცნობიერება, წარმოდგენები ცხოვრების მოვლენებზე, საზრისზე, ადამიანის თვისებებზე; ცოდნა ყოველივე ამის შესახებ სულ უფრო სრული ხდება, უახლოვდება ჭეშმარიტებას; საზოგადოების ცოდნის მარაგის, ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების კვალობაზე, რასაც თან ახლავს ტექნოლოგიებისა და დოვლათის წარმოების განვითარება,ასევე ზნეობრივი იმპერატივების თვალსაზრისით პროგრესი, ცხოვრების ძველი წესი მიუღებელი, აუტანელი, ახალ პირობებთან შეუსაბამო ხდება; ძველი სისტემის შინაგანი ძალები ვერ უზრუნველყოფს ახალი პრობლემების გადაყვეტას; საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული განვითარება უსწრებს უფრო კონსერვატიულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სრულყოფას, მათთან წინააღმდეგობაში მოდის; დგება მათი ახლით გარდუალი ჩანაცვლების დრო; ამით ახალი ეპოქა იწყება, რომელიც საზოგადოების განითარებაში წარსულზე მაღალი საფეხურია; ეს არაა მხოლოდ საწარმოო ძალთა და ეკონომიკურ ურთიერთობათა ცვლილება და პროგრესი, არამედ ადამიანთა ყოფიერების ყველა კომპონენტსა და მხარეში ძირეული გადატრიალებაა.**

ამასთან, აღნიშნული პროცესის ფარგლებში შესაძლებელია წყვეტა ნებისმიერ სტადიაზე, თვით მიღწეული დონის მოსპობამდე, როგორც ადამიანის გარდაცვალება ბავშვობის თუ სხვა ნებისმიერ ასაკში, როცა სათანადო მიზეზი წარმოიქნება.

როგორც ზემოთ ვნახეთ, უქმი ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი უკეთურებაა, სხვა მანკიერებათა შორის და მათთან კავშირში. მისი დიდი მასშტაბები საბაზრო ეკონომიკის დაძველებას, ,,სიბერეს", **ახალი დროისათვის შეუთავსებლობას განაპირობებს**, მაშასადამე, მონაწილეობს ძირეულ სოციალურ ცვლილებებში, ცხოვრების წესის გადატრიალებებში.

აღნიშნული შეუთავსებლობა, რაშიც კონკრეტდება რადიკალურ სოციალურ ცვლილებათა შინაარსი, საერთოდ, შემდეგში გამოიხატება. **საზოგადოების განვითარების ძირითად კანონი – ტენდენცია ცხოვრების, მისი ყველა მხარის ჰუმანიზაციისაკენ, ადამიანთა ცხოვრებაში მათი პირველადი თვისებების სიკეთისკენ, ერთმანეთთან მეგობრობისა და ურთიერთპატივცემის, თანადგომისკენ მიდრეკილებების დომონირების მოთხოვნილება ვერ ეგუება საპირისპირო, დეჰუმანიზაციის ტენდენციას, რომელიც ცხოვრებას თან ახლავს ადამიანთა არასაკმარისი განვითარების, მასზე დამოკიდებულ ზნეობრივ მანკიერებათა გამო.**[1] ძირეული სოციალური ცვლილება, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ წყობაზე გადასვლა სწორედ **ჰუმანიზაციის ტენდენციის უპირატესობაში გამოიხატება. მისი გამსაზღვრელი აქტორი, საზოგადოების ცხოვრებაში**

---

[1] იხ. ჩვენი ,, Тенденции гуманизации и дегуманизации экономики . Сборник статей .,Отчуждение человека в перспективе глобализации мира". Изд. ,,Петрополис." Санкт Петербург. 2001 ადამიანთა მოდგმის ცხოვრების ძირითადი კანონი სხვა არ შეიძლება იყოს, თუ არა ადამიანურ პირობებში, გარემოში, ადამიანური ურთიერთობებით ცხოვრება, ისტორიაც ამ გზით სვლად წარმოგვიდგება.

ყველა დადებითი და უარყოფითი მოვლენის მიზეზი, შემოქმედი ადამიანია. იგი ქმნის ტექნოლოგიებს, კულტურას, ზნეობის ნორმებს, სამართალს და ა. შ. მისი უნარებიდან და კეთილშობილური თვისებებიდან იღებს სათავეს ერთმანეთის თანადგომის, კაცთმოყვარეობის, მეგობრობის გრძნობა და შესაბამისი სასარგებლო ქცევა. ასევე ადამიანის მანკიერი თვისებებიდან წარმოდგება მისი მოქმედება საკუთარი თავისა და სხვების საზიანოდ, ანგარება, ეგოიზმი, ამპარტავნობა და სხვა, რაც ბევრად აბრკოლებს საყოველთაო კეთილდღეობას**.** ეს დაბრკოლება კი იმდენად არსებობს, რამდენადაც ადამიანთა ქცევა არ ემთხვევა მათ ჭეშმარიტ ინტერესებს, ადამიანურ ბუნებას, ფასეულობებს. მათგან დაცილება კი ნიშნავს **განვითარების დონის ჩამორჩენას.**

ცნობილია, რომ თვით ადამიანია საკუთარი განვითარების ძირითადი პირობა სწავლის, შრომის, სხვა ადამიანებთან, ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობის მეშვეობით. **ამიტომ სწორი ისაა, რომ ნებისმიერი მასშტაბის და ნებისმიერი ხასიათის სოციალური ცვლილებები, მათი ხასიათი მივაწეროთ შემოქმედ ადამიანს, მის განვითარებას, საქმიანობის, კრეატიული უნარის შედეგებს, ზნეობრივ თვისებებს, მანკიერებებს და არა უწინარესად წარმოების მატერიალურ პირობებს – შრომის იარაღებს, ტექნოლოგიებს და სხვა. ამასთან, ცხადია, რომ ამ უკანასკნელთა როლის დაკნინება დაუშვებელია, თუმცა ისინი ამ შემთხვევაში მეორადია.**

საზოგადოების განვითარების ცალკეულ ეტაპზე არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, მისი ტექნოლოგიური, ეკონომიკური და კუტურული განვითარება მთლიანობაში ადამიანთა ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების, ზნეობრივ დონეს შეესაბამება. ამასთან, ეს დონე ცალკეულ ეტაპზე ამა თუ იმ ზომით დაცილებულია სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების კანონის – ჰუმანურობის ადამიანთა ცხოვრე-

ბის კეთილშობილურ ურთიერთობებზე დაფუძნების იმპერატივებისაგან. მათში კი საკაცობრიო (საერთო-ადამიანური) მეტაფასეულობები – ზნეობა, სამართლიანობა, თავისუფლება, მშვენიერება და სხვა არის ასახული და კონცენტრირებული.

ისტორიის ცალკეულ ეტაპზე **ცხოვრების წესის გადახრა საკაცობრიო ფასეულობათა ჭეშმარიტი შინაარსისაგან წარმოგვიდგება ცხოვრების პროგრესის ძირითად კანონთან კოლიზიად.** ეს კოლიზია დასაბამიდან უზამაზარია ადამიანთა განივთარების დაბალი დონის გამო და მცირდება თანდათან ამ დონის ამაღლებით, რის შედეგად იკლებს აღნიშნული გადახრა. საბოლოოდ ადგილი აქვს პროგრესს. ეს ხორციელდება იმის შედეგადაც, რომ **არსებულ დონეზე საზოგადოებაში თანდათან გროვდება ადამიანის სრულყოფილების ნიშნები ცხოვრების გარდამქმნელი, მიღწეული საფეხურის თვითუარყოფის ძალები. ისინი საბოლოოდ უკუაგდებს ძველს და ამკვიდრებს ახალ სისტემას. იგი შესაბამისობაში მოვა ადამიანის ინტელექტუალურ კულტურული განვითარების, ზნეობრივი სრულქმნილების ახალ დონესთან. ეს პროცესი უპირატესად საზოგადოების შინაგანი ძალების მოქმედებით, სპონტანურად, გრადუალისტური წესით მიმდინარობს. ამასთან, იგი ღრმა თვისებრივ, რადიკალურ გადასვლებს გულისხმობს, რომლებსაც შეიძლება რევოლუციები ვუწოდოთ. სულაც არაა აუცილებელი ეს იყოს მყისიერი და სისხლიანი, რადიკალურობა გამოიხატება ეტაპებს შორის შინაარსობრივ განსხვავებაში.**

რეტროსპექტული ხედვა გვრწმუნებს, რომ ძირეული სოციალური გარდაქმნები ისტორიის მანძილზე წარმოადგენდა ეტაპობრივ გადასვლას ჰუმანიზაციის – ზნეობის, სამართლიანობის, თავისუფლების დაბალი საფეხურიდან მომდევნო, უფრო მაღალ საფეხურზე, თუმცა ეს საფეხურები დღემდე არასდროს ყოფილა ადამიანთა იდეალიების შესატ-

ყვისი. ასე იყო მონობიდან ბატონყმობაზე და იქიდან კაპიტალისტურ ურთიერთობებზე გადასვლისას. ნამდვილი ადმიანური ცხოვრების წესის დამკვიდრება კი უნდა მოხდეს **რეალურად დამოუკიდებელი ადამიანის** არსებობის საფუძვლების შექმნის ანუ ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობათა საბოლოოდ გამტკიცების შედეგად.[1]

ეს ცვლილებები კაცობრიობის პროგრესის გრადუალისტურ – იმანენტური გზაა. ამასთან, **ისტორიას ახსოვს ძალადობრივი ჩარევა ბუნებრივი განვითარების პროცესში (სისხლიანი რევოლუციები),** რომლებიც კატაკლიზმებით სრულდებოდა. ამიტომ ისტორიულ **პროცესში ჩარევა დაჩქარების მიზნით მიზანშეწონილია მხოლოდ არაძალადობრივი საშუალებებით.**

დღემდე პრაქტიკაში შეიმჩნევა საზოგადოების ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თვალსაზრისით ერთი, ძლიერი **უმცირესობის მხრივ საზოგადოების უმრავლესობაზე თავისი მიზნების, სურვილების, წესების თავს მოხვევა, გადახრა ისტორიის ძირითადი კანონიდან.** ძლიერი ერთი, მცირე ფენა არაიშვიათად ახერხებს განახორციელოს თავისი სურვილები, მიზნები, ინტერესები. მეორე, მცირე და სუსტი ფენა ეწინააღმდეგება ამ ძალადობას, მაგრამ მას არ შესწევს ძალა რაიმე შეცვალოს. ადამიანთა უმრავლესობა ინდიფერენტულია, მერყევია, მიჰყვება დინებას. ის ვერ ერკვევა კონკრეტულად, თუ რა ხდება ან სხვანაირად **როგორ უნდა იყოს მოწყობილი ცხოვრება. ძირეული შემოტრიალება ცხოვრების წესში მანამ არ ხდება, სანამ ეს უმრავლესობაც ღრმად არ გაერკვევა სინამდვილის უკეთურობებში. როცა ის გააცნობიერებს ყოველივე ამას, ჩაებმება კიდეც ცვლილებათა განხორციელების პროცესში.**

---

[1] უფრო დაწვრილებით ამის შეხახებ იხილეთ ჩვენს ნაშრომში: ,,От экоеомического человека к человечному “ .

ცვლილებები მით უფრო პროგრესული იქნება, რაც უფრო უახლოვდება მთელი საზოგადოების ცნობიერება ჭეშმარიტებას სამართლიანობისა და ზნეობის, ადამიანურ ურთიერთობათა შესახებ. საზოგადოებრივი საერთო ცნობიერების მაღალი დონე იმისი წინაპირობაა, რომ დამყარდეს ცხოვრების ისეთი წესი, რომელიც ყველას ინტერესების, კეთილდღეობის, ბედნიერების წინანელთან შედარებით მაღალი დონის წანამძღვრებს შექმნის. ამგვარი პირობების მომზადება ისტორიის მთავარი მომენტია. მას ისტორია ნელ-ნელა ამწიფებს. ეს საერთო ინტელექტუალურ რევოლუციადაც შეიძლება ჩაითვალოს, რისკენაც მიემართება კაცობრიობა. ისტორიის ძირითადი კანონი თანდათან და გადახრებით იკვლევს გზას ყოფიერების სამყაროში. ამით დასტურდება ამ კანონის არამკაცრად დეტერმინებული ხასიათიც.

საბაზრო ეკონომიკა ისტორიული განვითარების ეტაპია. იგი არაა გამონაკლისი არც მარადიული და არც უზადო. იგი თავად ამზადებს თავის შემცვლელ საზოგადოებას, როგორც ოჯახის მეთაური მომავლ მემკვიდრეს.

დღემდე მან გაიარა განვითარების ხანგრძლივი ეტაპი, დღეისათვის კი მწვავე წინაარმდეგობებათა ქსელშია გახვეული. მაღალი ინტელექტუალური და კულტურის დონის საზოგადოება ვერ შეეგუება ცხოვრების უკეთურობებს, რომლებიც ახლავს საბაზრო ურთირთობებს, როგორიცაა: სოციალური უსამართლობის აღმაშფოთებელი გამოვლინებები; ყოველგვარ ზღვარს გადასული უთანასწორობა ადამიანებს შორის: დოვლათის უზარმაზარი უქმი რაოდენობა; ადამიანთა ერთი ნაწილის მოხმარების მახინჯი ფორმები, როცა მათი მეორე, მეტი ნაწილისთვის დოვლათის მწვავე უკმარობა არსებობს: დემოკრატიის არასაკმარისი ხარისხი; ზნეობრივი დეგრადაციის გამოვლინებები და ა.შ. საზოგადოება უარს ეტყვის ცხოვრების ამგვარ წესს.

ამდენად **საბაზრო ეკონომიკის დროის საათი მის მიერ ასპარეზის დატოვების მიმართულებით მუშაობს.** ეს კაცობრიობის მოწინავე ნაწილმა კარგად უწყის.[1] **ამასთან ადამიანთა არც ერთი ფენისთვის – არც მდიდრებისთვის, არც საშუალო ფენისთვის და არც ღარიბებისთვის არაფერი საგანგშო ამაში არ არის. პირიქით, ამ სოციალური რევოლუციიდან უნდა მოველოდეთ საერთო სიკეთეს ყველასთვის, იმ დროის უკან დატოვებას, როცა ყოველი სიკეთე ნაწილდებოდა არათანაბარზომიერად, უსამართლოდ, განვითარებას გამორჩევით მოჰქონდა სარგელობა ადამიანთა ცალკეული ფენებისთვის. ამ ცვლილებებს კი, როგორც ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრების სამყაროში გადასვლას, უნდა მივესალმოთ.**

ყველაზე მოკლე განსაზღვრებით, ახალი ეპოქა იქნება მაღალი ზნეობის, ზომიერი, სამართლიანი, ანგარების, სიხარბისა და ეგოიზმისგან, ამპატავნობისგან თავისუფალი, საყოველთაო კეთილდღეობისთვის მზრუნველი, სიკეთესა და მშენიერებას, ჭეშმარიტებას მოწადინებული, ინტელექტუალურად ძლიერი ადამიანების საზოგადოება, სადაც ინდივიდები პირად ბედნიერებას ჭეშმარიტ საყოველთაო ბედნიერებასთან ერთიანობაში ხედავენ. ეს იქნე-

---

[1] ამ საკითხის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა არსებობს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმმიერი მკითხვლისათვის მრავალ ენაზე. მოვიტანთ მხოლოდ ამონარიდს მსოფლიოს ქვეყნების მეთაურთა რიო დე ჟანეიროს სამიტის (1992 წ.) დოკუმენტიდან: ,,ეკონომიკური ზრდის პროცსებს, რომელთაც შექმნეს კეთილდღეობის უპრეცენდენტო დონე და ძლიერება მდიდარი უმცირესობისა, საზოგადოება იმავდროულად მიჰყავს განხეთქილბამდე და დისბალანსამდე, რომლებიც ერთნაირად ემუქრება მდიდრებსაც და ღარიბებსაც... გზა, რომლითაც თავიანთ კეთილდღობამდე მივიდნენ მდიდარი ქვეყნები, მიუღებელია მთელი კაცობრიობისთვის... ჩვენ არ შეგვიძლია უზრუნველვყოთ პლანეტის ეკოლოგიური უსაფრთხოება სოციალური უსამართლობის მსოფლიოში.“

ბა, კანტის მიხედვით რომ ვთქვათ, ,,მიზანთა საუფლო“, სადაც ცხოვრება წარმოგვიდგება როგორც ,,გონიერ არსებებს შორის კავშირი საერთო კანონების საფუძველზე“. საძირკველი გამოეცლება ცხოვრებას ჰობსიანური პრინციპით: ,,ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“, რაც მეტ-ნაკლები სიმძაფრით დღემდე ახასიათებს მთელ ისტორიას, სადაც: ,,სუსტები არსებობენ ძლიერთა საზრდოდ (შესაჭმელად)“ (ნიცშე). ისტორიის ეს კარი დაიხურება, სხვანაირად კრახი გარდუვალია!

კმარა, დამთავრდეს!

ყოფილა თურმე საგნები,
რომლებიც მე სულ არ მჭირდება.
სოკრატე

უსასრულოს აქ ირგვლივ რას ხედავთ?
სრულდება წლები და საუკუნე;
მოგონებები გარდასულ დღეთა
შუერთდება უცნობ უკუნეთს!
მთავრდება ყველა ძირფასი განძი,
ბარდება წარსულს, რამაც დაგვღალა;
სასრული არის სიმაღლე ანძის,
ყველა მზაკვრული თუ სათნო ძალა!..
კმარა ცდუნება ოქროს ბრჭყვიალით
და უსულგულო საგანთ ტყვეობა,
ბევრს რომ ჩაუქრო სინათლე თვალის,
წაბილწა ყველგან წმინდა ზნეობა;
რითაც გულებში ჩადგა ყინული,
მგლური მადა და გაუმაძღრობა,
ცივ ნივთებში ღრმად ჩამძვრალი სული
ასცდა ცხოვრების გემოთი ტკბობას!
გონის ამრევი მილიარდები
ვერ დააოკებს უძღებთ არმიას,
ვით წყალს დამჭკნარი გირლიანდები,
დროს ელვარება მათი თან მიაქვს !
ბედნიერება სიმდიდრისაგან,
აბა, შევხედოთ, ვისთან, სად არის?
ბევრსაც გაუჩნდა, შეხედეთ, მისგან
გულში უქრობი ჟინის ხანძარი:
ზოგსაც კი ტანჯავს ცრუ აბსურდების
ავად შეყრილი მელანქოლია,

სულის მპრობელი წადილთ ხუნდებიც,
თვით სამარემდე რომ გაჰყოლია!
კმარა ურგები საგნების გროვა,
უძღებთ, ვით სვავთა, მათზე ოცნება,
ტვირთთა აკიდოდ, უქმად რომ გორავს
პრესტიჟის ალმად მკვდარი ქონება!
დამთავრდეს, გვიჯობს მავნე სიხარბე,
ჩვენ არც თუ ისე ბევრი გვჭირდება,
რაც ნამდვილად გვნებს ან არასა გვრგებს,
უარი იმ უქმ ავლადიდებას!

დამატება

კეთილდღეობის ახალი თეორიის კონცეპტისათვის

შინაარსი

შესავალი 100

კეთილდღეობის არსებული აღქმა-გაგება..... 103

როგორი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს? (მოხოვნილებათა გაწმენდა) 126

რა მიგვიყვანს საყოველთაო კეთილდღეობამდე? 142

რა პერსპექტივა აქვს როგორია რეალური საყოველთაო კეთილდღეობის ?..... 165

CONTENTS

Introduction..... 100

Existing Understanding of Welfare 103

What are the Needs that has to be Fulfilled? (Clarification of Needs) 126

How can We Achieve Common Welfare? 142

What are the Prospects of the Common Welfare? 165

შესავალი

ჭეშმარიტება თავად იცავს თავის
თავს, ჭეშმარიტება იმარჯვებს.
ციცერონი

ადამიანთა კეთილდღეობა ბევრ ვინმეს მარტივად ესმის, თითქოს ამისთვის საკმარისია დოვლათის სიუხვე და სხვა არაფერია საჭირო. ფართო გაგებით, კი იგი მრავალწახნაგოვან სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენად წარმოგვიდგება, რომელიც ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს მატერიალურს, სოციალურს, სულიერს. მასზე მოქმედებს და აისახება წარმოების განვითარება, დოვლათის განაწილებითი, საკუთრებითი ურთიერთობები, ადამიანთა ფსიქიკის თავისებურებანი, ზნეობა, ხასიათი და ა.შ. ამდენად კეთილდღეობის თეორია, ეკონომიკურ მეცნიერებასთან ერთად, სოციალურ მეცნიერებათა მთელი სისტემის ნაწილად გვევლინება. ის, ცხადია, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერება, განვითარებადია. დაგროვილი ცოდნა და პრაქტიკის ახალი მოვლენების ანალიზი ამ თეორიის განვითარებისთვის ჭეშმარიტებისაკენ სვლის შესაძლებლობას იძლევა.

ჩვენი წარმოდგენით, დღეისთვის არსებული კეთილდღეობის თეორია, არ პასუხობს შემეცნების თანამედროვე დონეს, მისი ცალკეული დებულებები, მართალია, ასახავს კეთილღეობის ამა თუ იმ მხარეს, მაგრამ საბოლოოდ კეთილდღეობის ჭეშმარიტი ჰოლისტური (მთლიანობითი), ობიექტური თეორია ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. ამასთან, მისი აუცილებლობა მეტად მწვავეა. მას შეუძლია უტყუარი ორიენტირები დაუსახოს პრაქტიკას, კეთილმყოფელი ზეგავლენა მოახდინოს ადამიანების მსოფლხედვაზე, მენტალიტეტზე, ურთიერთობებზე, საერთოდ, ცხოვრების გაუმჯობესებაზე. ამდენად მაღალცივილიზებული, პროგრესული საზოგადოებისთვის, მისი შემეცნებითი და პრაქტიკუ-

ლი ინტერესებისთვის კეთილდღეობის ირგვლივ ჭეშმარიტი ცოდნა საარსებოდ აუცილებელია. საზოგადობის ცხოვრების ყველა მწვავე პრობლემათა გადაწყვეტა ასეთი თეორიის გარეშე სრულიად შეუძლებელია. საზოგადოების სვლა პროგრესისაკენ უამისოდ დანიშნულების ადგილისაკენ უკომპასო მცურავი საშუალების მოძრაობას დაემსგავსება.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ვგრძნობ რა ამ თეორიის შექმნის საკითხის სიმწვავეს და მაქვს რა დაგროვილი მრავალი წლის ნაფიქრალი ცალკეულ პრობლემათა გარშემო, **შევცდები მოკლედ და მარტივად ჩამოვაყალიბო ცალკეული კონცეპტუალური მოსაზრებები კეთილდღეობის ახალი თეორიის ზოგიერთ ძირითად დებულებასთან დაკავშირებით.** ამ საქმეში ვემყარები მეცნიერებაში არსებულ თეორიას, მის კრიტიკულ განხილვას, კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა და ხალხში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს, საკუთარ კვლევებს ჩემს მიერ შემოღებული მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენებით. ამ უკანასკნელებში ვგულისხმობ: ანთროპოცენტრულ მიდგომას საზოგადოების ცხოვრების მოვლენათა განხილვას ადამიანის ბუნებისა და თვისებების, ინტერესების ურთიერთკავშირის გათვალისწინებით, აქსიომეტრული (ფასეულობითი) და ევდემონისტური (ბედნიერების) ასპექტით მოვლენათა ანალიზს და შეცნობას, ასევე გენეტიკურ ხედვას – სინამდვილის პროცესების კვლევისას გავლილი ისტორიული გზის (წარსული განვითარების) როლის გარკვევას და სხვა.[1] ამასთან ვვარაუდობ, რომ ამ მიმართულბით მუშაობაში ჩაებმებიან სხვა მკვლევარები ეკონომისტთა, სოციოლოგთა, ფილოსოფოსთა და სხვა მეცნიერებათა წრეებიდან. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ხაზი მინდა გავუსვა **ცხოვრების მოვლენათა რეალური (ნამდვილი) არსის ადეკ-**

[1] ამ მიდგომათა შესახებ იხ. ჩვენი „მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია.“

ვატური გაგებისა და მისგან გადახრილი, ყალბი, მოჩვენებითი (ილუზიური) წარმოდგენის დაძლევის მნიშვნელობას. არაჭეშმარიტი შეხედულებები სოციალური სფეროს მოვლენებზე, საერთოდ, ფართოდაა გავრცელებული და ადამიანებს ხელს უშლის სწორი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, საბოლოოდ სწორად, ნამდვილად სასარგებლო ქცევაში. ეს ეხება ადამიანთა მიერ კეთილდღეობის გაგებასაც.

კეთილდღეობის არსებული აღქმა – გაგება

ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როცა
ამდენი უსარგებლო ნივთი გვჭირდება.
ოსკარ უალდი

უწინარესად მიზანშეწონილად მიგვაჩნია კეთილდღეობის სადღეისოდ არსებული აღქმა-გაგება **სამ დონეზე** განვიხილოთ: თავიდან შევეხოთ ინდივიდთა (მომხმარებელთა) შორის მის შესახებ არსებულ შეხედულებებს, შემდეგ კი გადავიდეთ კეთილდღეობის მეცნიერულ თეორიაზე და ბოლოს ვიმსჯელოთ მთლიანად საზოგადოებრივ ცნობიერებაში კეთილდღეობის შესახებ არსებულ წარმოდგენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის კეთილდღეობის გაგებათა შორის გარკვეული განსხვავება არსებობს. ადვილია დავინახოთ, რომ, საერთოდ, ისინი წინააღმდეგობრივია, მეტწილად გადახრილია ჭეშმარიტებისგან, კეთილდღეობის ნამდვილი შინაარსისაგან. აშკარაა, რომ ასეთი შეხედულებები უარყოფითად აისახება ცალკეულ ადამიანთა და მათი ჯგუფების მსოფლხედვაზე, წარმოდგენაზე ცხოვრების საზრისის, ზნეობის, სამართლიანობის, ადამიანთა ურთიერთობების შესახებ, რაც იწვევს დაბნეულობას და საბოლოოდ მათ არასწორ მოქმედებებს. მასზე კი დამოკიდებულია ცხოვრების წესი, მისი ხასიათი, ჰუმანურობის დონე.

კეთილდღეობის **პრაქტიკული თვალსაზრისი** საერთოდ ასახულია ხალხური შემოქმედების (სიბრძნის) ნიმუშებში: ანდაზებში, ზღაპრებში, ლეგენდებში, ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრის ნაწარმოებებში, ყოფით ცნობიერებაში. მათში მეტწილად დაგმობილია კეთილდღეობის გაიგივება მატერიალურ უზრუნველყოფასთან, მისი მიღწევა გაუმართლებელი გზებით სხვის ხარჯზე, ასევე სიძუნწე, ანგარება, ამპარატვნობა, სიმდიდრით თავმომწონება, უხეში ინდივი-

დუალიზმი (კარჩაკეტილობა). ბედნიერების აუცილებელ პირობად, ნორმალურ მატერიალურ პირობებთან ერთად, ხალხის მიერ მიჩნეულია ჯანმრთელობა, განათლება, მაღალი სულიერება, კაცთმოყვარეობა, პატიოსნება, სიცოცხლის სიყვარული, შრომა, შემოქმედებითი საქმიანობა, სამშობლოსადმი ერთგულება, ურთიერთთანადგომა, კოლექტივიზმი, საერთოდ, ნამდვილი ადამიანური ღირსებები. ხალხის შემოქმედებაში მუდამ იმარჯვებენ ზნეობრივი, კეთილი, ზომიერი, გონიერი გმირები. ამის მაგალითები შეიძლება მოვიტანოთ ქართული და სხვა ხალხების შემოქმედებიდან.კერძოდ, ქართული ზღაპარი ხელმწიფსა და მის შვილზე მოგვითხრობს ხალხში ფესვგადგმულ დამოკიდებულებაზე სიმდიდრის მიმართ. სიკვდილის მოლოდინში მყოფმა მამამ დაავალა შვილს სახელმწიფოს სხვდასხვა მხარეში სიმდიდრე გაეზარდა. რამდენიმე ხნის შემდეგ შვილმა დავალების შესრულების შესახებ მოახსენა მამას, ყველგან მშვენიერი სახლები ავაშენე და სიმდიდრე შევქმენიო. ხელმწიფემ უპასუხხა: მე გითხარი ყველგან მეგობრები გაგეჩინა, ხალხისთვის თავი შეგეყვარებინა, ის იქნებოდა უკეთესი სიმდიდრეო[1]. ეზოპეს ზღაპრი გლეხისა და მისი შვილების შესახებ იმაზე გვმოძღვრავს, რომ უძვირფასესი განძი მხოლოდ შრომაა[2]. ამრიგად, ამ ბრძნული აზრების მაგალითებიდან ჩანს, რომ ადამიანებს მართებთ ნამდვილ სიმდიდრეზე დაფიქრება და მისი სწორად გაგება. ყველაფერი, რაც მიჩნეულია კეთილდღეობის წყაროდ, ასეთი რამ არაა.

---

[1] ზღაპრები. ხალხური ლექსები. წიგნი 1. თბილსი. 204 გვ.115116.

[2] ეზოპე. იგავარაკები. თბილისი. ნაკადული. 1964. გვ.16. აქ მოთხრობილია იმაზე, რომ გლეხმა შვილებს სიკვდილის წინ უთხრა, რომ მათ ვენახში დიდი სიმდიდრეა, გადაბარეთ და იპოვითო. შვილებმა ვენახი კარგად დაამუშავეს, იქ განძი ვერ იპოვეს, მაგრამ ზღვა მოსავალი მოიწიეს. შრომამ ნამდვილი განძი მოუტანა გლეხის შვილებს.

მაგრამ ადამიანთა შეხედულებები მთლიანობაში ერთიანი არაა, ცხოვრებაში დამკვიდრებული ინდივიდთა წარმოდგენები კეთილდღეობაზე ერთობ განსხვავებულია. უპრიანია განვიხილოთ ისინი.

უფრო კონკრეტულად თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება გამოვყოთ ინდივიდთა ერთი ნაწილი, რომლისთვისაც კეთილდღეობა გამოიხატება **ეკონომიკურ უზრუნველყოფაში, მის ერთადერთ წყაროდ მიჩნეულია მატერიალური საშუალებები, ფული.** თითქოს მათი მეშვეობით შესაძლებელია კეთილდღეობის ყველა სხვა პირობის შექმნა. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა წარმოშობისაა სიმდიდრე, ფული, როგორაა ისინი მოპოვებული. მაშასადამე, ამ თვალსაზრისით კეთილდღეობის პირობებიდან გამორიცხულია საზოგადოებრივი გარემოს ხასიათი, ურთიერთობები, ზნეობა, სამართლიანობა და სხვა. ამ გამარტივებული შეხედულების მატარებლები ფიქრობენ, რომ, რაც უფრო მეტადაა ადამიანი მატერიალურად უზრუნველყოფილი, მით მაღალია მისი კეთილდღეობა. ასეთია ადამიანთა ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილის, კრედო. ამისი მაგალითია გამონათქვამები: ,,თუ ფული გაქვს ყვლაფერი გაქვს“ : ,, თუ ფული გაქვს, ცხოვრება მშვენიერია“: ,,ჩემი მთავარი მოტივატორი ფულია“: ,,თუ ფული არა გაქვს, უნდა მოკვდე !“ ,, ფულს სუნი არ აუდის“ და ა.შ.

ინდივიდუუმთა მეორე ნაწილს ესმის, რომ **ამ ,,მატერიალისტთა“ აზრი არ შეესაბამება სინამდვილეს.** შესაძლებელია გქონდეს დიდი სიმდიდრე, ბევრი ფული, მაგრამ შენი ცხოვრება არ იყოს სახარბიელო, სიამოვნების მომგვრელი, სიცოცხლით ტკბობა, თუ არა ხარ კარგ, უსაფრთხო და კეთილგანწყობილ საზოგადოებრივ გარემოში, ცხოვრობაში სამართლიანობა არაა დამკვიდებული, ადამიანთა შორის ურთიერთობა ისეთია, როგორც ძველისძველი გამონათქვამი გვამცნობს: ,,ადამიანი ადამიანისთვის მგელია“; ფული

შეიძლება უკეთურობასთან იყოს დაკავშირებული , ,,ფული ხელის ჭუჭყია“ და ა. შ.

მესამე ჯგუფის აზრით, **კეთილდღეობისთვის არაა საკმარისი გარე ფაქტორებიც, აუცილებელია ადამიანის შინაგანი თვისებები: კეთილშობილება, ზომიერება (სიხარბისაგან გათავისუფლება), ბუნებრივი ჯანმრთელობა, მაღალი ინტელექტი, ჭეშმარიტი მსოფლგაგება, სწორი ფასეულობითი ორიენტაცია, თანამოძმეთა მიმართ თანაგრძნობის მოთხოვნილება და სხვა.** ადამიანთა ამ ჯგუფისთვის მატერიალური სიკეთენი არაა უცხო და უარყოფილი, მაგრამ ზომიერების ფარგლებში და მხოლოდ სხვა ფასეულობებთან ერთად მიიჩნევა კეთილდღეობის წყაროდ.

მეოთხე გჯუფად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა დიდი ნაწლი, რომელსაც **არა აქვს თავისი მყარი პოზიცია და ადვილად იხრება იმათკენ, ვინც მეტ ზეგავლენას მოახდენს მათზე რაიმე საშუალებით.** მათ ახასიათებთ მიბაძვა, სხვისი აზრების, ქცევების გამეორება, სხვისი თაყვანისცემა, მორჩილება, გარემოსთან ადვილი ადაპტაცია.

აღნიშნული შეხედულებები ნათლად იჩენს თავს ადამიანთა ქცევებში, სამომხმარებლო წესებში, ცხოვრებისეულ პოზიციაში, ადამიანთა შორის ურთიერთობებში.

კეთილდღეობის სხვადასხვა გაგება უძველესი დროიდან მოდის. რომის გამოჩენილი იმპერატორი და ფილოსოფოსი მარკ ავრელიუსი კი ფიქრობს, რომ ადამიანები უნდა უადვილებდნენ ერთმანეთს ცხოვრებას: ,,ადამიანები დაბადებულნი არიან იმისთვის, რომ დაეხმარონ ერთმანეთს როგორც ხელი ეხმარება ხელს, ფეხი ფეხს და ზედა ყბა ქვედა ყბას“. ,,იმიტომ ღირს ადამიანურად ცხოვრება, რომ ყველაფერი ღირებული მისგან იქმნება“, გვამცნობს შუა საუნეების გამოჩენილი შვეიცარიელი ექიმი და მეცნიერი თეოფრასტე. შეიძლება ვთქვათ, რომ მთლიანობაში ადამიანებში დომინირებს გაგება, რომ ადამიანებს ერთმანთის, ურთიერ-

თდახდახმარების გარეშე არ შეუძლიათ განკერძოებულად კეთილდღეობა მოიპოვონ.

მეცნიერების მიერ შემუშავებული ცოდნა კეთილდღეობის შესახებ **თეორიის** სახეს იღებს, რომელიც შექმნილია პრაქტიკაზე დაკვირვების მასალების განზოგადებით. შემეცნების მეთოდების მეშვეობით იგი ასახავს თვით მკვლევართა მსოფლხედვას, უნარს ჩაწვდნენ ჭეშმარიტებას რეალური მოვლენების შესახებ, მათ სუბიექტურ თვისებებს, გარემოს გავლენას, ეყრდნობა წინამორბედთა მიერ დაგროვილ ცოდნას და სხვა. როგორც დღეისთვის არსებული მეცნიერული შემეცნების დონე გვიჩვენებს, თეორია ვერ გვაწვდის სრულ ობიექტურ ცოდნას კეთილდღეობის შესახებ. ეს გამოიხატება ფუძემდებლურ ცნებათა გაგების, საყოველთაო კეთილდღების პირობების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა კარდინალურ მოვლენებთან და პროცესებთან კეთილდღეობის კავშირის არასრულად, არაადეკვატურად ასახვაში. არსებული რიგი ძირითადი თეორიული შეხედულება არ ესადაგება შემეცნებისა და პრაქტიკის თანამედროვე გამოწვევებს.

მეცნიერება სხვადასხვა ეპოქაში გვთავაზობდა და დღესაც გვთავაზობს კეთილდღეობის კონკრეტულ გაგებას. **ადამ სმიტი,** მაგალითად, კეთილდღეობის სინონიმად თვლიდა **სიმდიდრეს, ე.ი. მატერიალურ დოვლათს.** მართალია, იგი, ადამიანის ფსიქოლოგიის – გრძნობათა თეორიის დიდი მკვლევარი იყო, განსაკუთრებით ეკონომიკურ ურთიერთობებთან კავშირში, მაგრამ კეთილდღეობის სხვა მხარე თავის მთავარ ნაშრომში მას საკმარისი ყურადღების მიღმა დარჩა.

უტილიტარიზმის წარმომადგენელი **ი.ბენტამი,** რომელიც დიდ ადგილს უთმობდა ადამიანთა ბედნიერების საკითხებს, ბედნიერებას კეთილდღეობის სინონიმად თვლიდა. ამასთან, ამ ცნებებს იგი სუბიექტური აღქმის კუთხით განიხილავდა, უკავშირებდა **გონივრულ ეგოიზმს.** მისი თვალსაზრისი კეთილდღეობის შესახებ სარგებლიანობის, სიამოვ-

ნების ფენომენიდან გამომდინარეობს, რაც ცხადია, ყოველთვის ადამიანთათვის სიკეთეს, სასურველს, სასარგებლოს როდი ნიშნავს.

კეთილდღეობის თეორიაში ავტორიტეტულ ფიგურად მიჩნეულმა **ვ. პარეტომ** კეთილდღეობის რაოდენობითი (კარდინალისტური) გამოსახვის ნაცვლად **ორდინალისტური (რიგობითი) მიდგომა გამოიყენა.** მან კეთილდღეობა დაუკავშირა რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, მაგრამ გამოყენების შედეგიანობის კუთხით არ განუხილავს მისი კავშირი საერთოდ საზოგადოების წევრებისთვის მოტანილი სიკეთის თვალსაზრისით. ის ისევ **დაკმაყოფილების (სუბიექტური) აღქმიდან გამოდის,** დაკმაყოფილება კი თავისთავად არ შეიძლება ყოველთვის კეთილდღეობად მივიჩნიოთ, რამდენადაც ადამიანებს ხშირად აქვთ ირაციონალური, მათივე და სხვისი საზიანო მოთხოვნილებები. ასევე მდგომარეობის გაუმჯობესება პარეტოს მიხედვით, არის ერთის მიერ მეორისთვის სარგებლიანობის გადაცემა, როცა ის იწვევს ორივე მხარის დაკმაყოფილების შეგრძნებას, მაგრამ არაა გათვალისწინებული, **თუ რა ხასიათისაა ეს დაკმაყოფილება ობიექტურად.**

არტურ პიგუმ დიდი წვლილი შეიტანა კეთილდღეობის თეორიაში. მის იდეებს წამყვანი ადგილი უჭირავს ეკონომიკური თეორიის ამ მიმართულებაში.[1] **კეთილდღეობას პიგუ განიხილავს ორი კუთხით: როგორც საერთო საზოგადოებრივ მოვლენად და ეკონომკური შინაარსით. ამ უკანასკნელს აიგივებს ეროვნულ შემოსავალთან (მისი ტერმინოლოგიით, „ეროვნულ დივიდენდთან“).** ამრიგად, პიგუსთან კეთილდღეობა მოწყვეტილია დოვლათის გამოყენების ხასიათის (რაციონალურობის) ფაქტორისაგან, არაა დაკავშირებული უშუალოდ დოვლათის სამართლიან განაწილებას-

[1] ვგულისხმობთ ა. პიგუს წიგნს A. Pigou. Economics of Welfare. London. 1932.

თან, ეფექტიანად გამოყენებასთან. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ამ მომენტებს კი დიდი როლი აკისრია საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

ა. პიგუს ჰუმანური მიზანი იყო საერთო კეთილდღეობის დამკვიდრება, ადამიანთა სხვადახვა ფენის კეთილდღეობის განსხვავების შემცირება. ამასთან, **ჰ. სიჯვიკთან** ერთად, ამის მიღწვის გზად მას მიაჩნია შემოსავლების გადანაწილება გადასახადებისა და ტრანსფერტების მეშვეობით. ეს მიდგომა კიდევაც აისახება მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის მდგომარეობის შემსუბუქების ღონისძიებებში, რაც პრაქტიკულად გამოიყენებოდა კიდეც მთავრობათა მიერ მანამდეც და გამოიყენება დღესაც. ამასთან, ეს პროცესი **საბოლოოდ არ წყვეტს საყოველთაო კეთილდღეობის საკითხს, რადგანაც არ ეხება იმ უსამართლობას, რაც ძევს დოვლათის პირველად განაწილებაში, ასევე გვერდზე ტოვებს დოვლათის რაციონალურად გამოყენებას.**

არც ფ. უიკსტიდის აზრია სწორი, რომ ,,მოხმარებისგან დაკმაყოფილების ხარისხი იზრდება ან მცირდება იმის შესაბამისად, დოვლათის რა რაოდენობა არის მომხმარებლის განკარგულებაში[1]“. ეს დამოკიდებულება არაა მთელი პროცესის გამომხატველი. სინამდვლეში კი **გამოყენების ფაქტორის გავლენით კეთილდღეობის დონე სცილდება არსებული დოვლათის რაოდენობას, ჩვეულებრივ ჩამორჩება მას. ამდენად დოვლათის რაციონალური გამოყენების ფაქტორის, რაც დაკავშირებულია იმასთან, თუ ვის ხელში რამდენია იგი – საკმარისი თუ ზედმეტი, უგულებელყოფა დიდად გვაშორებს ამ საკითხში ჭეშმარიტებისაგან.**

---

[1] ციტირებულია წიგნიდან : Б. Селигмен. Основные течения современной экономической мысли. Перевод с англ. М ., 1964. С. 233.

ბერგსონ – სამუელსონის კეთილდღეობის საზოგადოებრივი ფუნქცია ინდივიდუალურ სარგებლიანობათა კომბინაციას ემყარება, რაც შემოსავლების განაწილების თაობაზე ფასეულობითი განსჯის საფუძველზე ყალიბდება. ამ ავტორთა თვალსაზრისით, **საზგადოებრივი კეთილდღეობა არის ინდივიდების სარგებლიანობის დონეთა ფუნქცია.** ამასთან, ბერგსონ – სამუელსონის ფუნქციაში ასევე შეიძლება შევიტანოთ სხვა პარამეტრები, მას შევხედოთ კანონმდებლობის პოზიციებიდან. ადვილი მისახვედრია, რომ ინდივიდუალურ სარგებლიანობათა კარდინალისტური (რაოდენობითი) მნიშვნელობების დადგენა ძნელია ან, ალბათ, მიუღწეველიც. ამასთან, აქ ისევ სუბიექტურ სარგებლიანობასთან გვაქვს საქმე, რომელიც ხშირად არ წარმოადგენს კეთილდღეობის წყაროს (მაგალითად, თამბქოს მოხმარება და სხვა) და არა ობიექტურ სარგებლობასთან (სიკეთესთან). სუბიექტების აღქმა არ ემთხვევა იმას, რაც ობიექტური სიკეთეა მათთვის.

კეთილდღეობის თანამედროვე გაგების ერთ-ერთი მთავარი ნაკლი, ჩემი აზრით, არის **მისი დაყვანა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სუბიექტურ შეგრძნებებამდე.** ეს გაგება გამომდინარეობს იქიდან, რომ თითქოს ადამიანებს შეუძლიათ ყოველვის უტყუარად შეაფასონ თავიანთი მდგომარეობა. თითქოს მათი მოთხოვნილბები ყოველთვის გამართლებულია რეალური სიკეთის თვალსაზრისით. პრაქტიკა ადასტურებს, რომ **ეს აზრი მიუღებელია. საერთოდ, ცალკეული ადამიანების მიერ თავისი მდგომარეობის (კეთილდღეობის) შეფასება სისწორისა და სიზუსტის თვალსაზრისით ჩვეულებრივ არ შეესაბამება რეალობას, გადახრილია მისგან. ადამიანებისთვის დამახასიათებელია შეცდომები,** როგორც ამას უძველესი სიბრძნე გვასწავლს. არისტოტლე აღნიშნავდა, ,,ადამიანების უმეტესობა ემორჩილება საჭიროებას და არა გონიერებას.“ როცა თეორეტიკოსები გვიმტკიცებენ, რომ თითქოს ყოველი ადამიანი თავისი

ბედნიერების საუკეთესო მსაჯულია, უნდა გავითვალისწინოთ თავის თავზე ადამიანების სუბიექტური შეხედულებათა გადახრა ჭეშმარიტებისგან. ხშირად ისინი არ ემთხვევა მათზე სხვების და საზოგდოების აზრს და მას არ შეიძლება დავეყრდნოთ. უფრო სანდო და ობიექტური ამა თუ იმ პიროვნების შესახებ საზოგადოებრივი აზრია. ეს შეიძლება შევადაროთ ექიმის დიაგნოზს ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ეფუძნება ანამნეზსაც, მაგრამ უფრო მეტად ობიექტური მონაცემების გამოკვლევას. აქ ლ. ტოლსტოის ხატოვანი ფრაზაც შეიძლება მოვიშველიოთ: ,,ადამიანი წილადია, რომლის მრიცხველი არის ის, რასაც მასზე სხვები ფიქრობენ და მნიშვნელი ის, რასაც ის თავის თავზე ფიქრობს.“ ადამიანების მდგომარეობის შეფასებისთვის ობიექტური კრიტერიუმის უგულებელყოფა და სუბიექტურზე დაყრდნობა არ შეიძლება სასარგებლო იყოს თეორიულად და პრაქტიკულად. ადამიანები თავისი მდგომარეობისა და საკუთარი თავის შეფასებაში უფრო ცდებიან, ვიდრე სხვისაში, რადგან ხელს უშლით სუბიექტური მიდგომა.

ლიბერალიზმის წარმომადგენელი თეორეტიკოსების აზრით, **ადამიანების სუვერენიტეტი** ნიშნავს იმას, რომ არ ჩავერიოთ მის ცხოვრებაში. **ამასთან, თუ მოვლენებს ღრმად ჩავუფიქრდებით, ადამიანთა მოქმდებებში სრული ჩაურევლობა თვით მათ ინტერესებს არ შეესაბამება და ადამიანის დამოუკიდებლობის ფორმალური, არაარსებითი გამოხატვაა.** პრაქტიკულადაც სრული ჩაურევლობა არ გამოდის, რადგან საჭიროა ადამიანებს ავაცდინოთ შეცდომები, როცა ეს შესაძლებელია. მაშასადამე, **ჩარევა გამართლებულია, როცა ის სასარგებლოა, ადამიანებს ააცდენს შეცდომებსა და ზიანს. ამასთან, ეს არ უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როცა ის რეალურად ინდივიდის საზიანოა. სწორედ ასეთ შემთხვევაში გვაქვს მომხმარებლის ნამდვილი სუვერენიტეტი.**

ნეოკლასიკური თეორიული პოსტულატი თითქოს **ადამიანები საერთოდ რაციონალურები არიან, ყველა ეკონომიკური აგენტი ნათლად აცნობიერებს მიზანს და საშუალებებს, რომ მას შეუძლია შეარჩიოს საუკეთესო გადაწყვეტილება მიზნის მიღწევისთვის, ასევე არ დასტურდება პრაქტიკით.** ინდივიდთა, მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში ყველა უბედურების უდიდესი ნაწილი სწორედ **ადამიანთა არარაციონალურობით, შეცდომებითა და ცდუნებებით, არასწორი ქცევით, საკუთარი თავისა და სხვისი საზიანო მოქმედებებითაა გამოწვეული.**

განიხილავენ სრულ და შეზღუდულ რაციონალურობას. ბეტრან რასელმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ადამიანთა რაციონალურობის საკითხს სახელწოდებით: ,,შეიძლება თუ არა ადამიანი იყოს რაციონალური?“ იგი აღნიშნავდა, რომ ,,პრაგმატიზმი ხაზს უსვამს რაციონალურობას, ფსიქოანალიზი ხაზს უსვამს ქცევის ირაციონალურობას. ორივე თეორიამ ადამიანების დიდი რაოდენობა მიიყვანა იმ აზრამდე, რომ არ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა რაციონალურობის იდეალი, რომელსაც მთლიანობაში შეესაბამება აზრი და ქცევა.“ ეს შეხედულება, ვფიქრობთ, ასახავს რაციონალურობის სირთულეს. ამდენად ცალკეული ინდივიდების, თუნდაც საზოგადოების სრულ რაციონალურობაზე მსჯელობა გაუმართლებელია.

რაციონალურობის თვისება გვესმის როგორც ისეთი უნარი, როცა ადამიანები არ დაუშვებდნენ, თუნდაც პრაგმატული თვალსაზრისით, არც ერთი არასწორი გადაწყვეტილების მიღებას, ზიანის მომტან ქმედებას. არარაციონალურობა თვით ადამიანების თვისებებით – ცოდნის უკმარობით, ბუნებრივი ნიჭის ნაკლებობით, გაუმართლებელი ინტერესებით, მიდრეკილებებით, მენტალიტეტით არის გამოწვეული. არარაციონალურობა ეს, საერთოდ, ჭეშმარიტებისაგან გადახვევაა, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით.

ამ მომენტებს კეთილდღეობის თეორია შესაბამისად არ ითვალისწინებს.

კეთილდღეობის თანამედროვე თეორიების დიდი ნაკლი, ჩემი აზრით, **დაკავშირებულია მარჟინალისტურ** დოქტრინასთან**,** რომ თითქოს დოვლათის ყოველი მოხმარებული მომდევნო ერთეულის სარგებლიანობა მცირდება წინა ერთეულის სარგებლიანობასთან შედარებით (ეს კი მეცნიერული, ვთქვათ ბიოლოგიის, სამედიცინო მეცნიერებათა, არც ფუნდამენტური ფსიქოლოგიის არანაირი ობიექტური არგუმენტებით არ მტკიცდება). ამ თვალსაზრისის მიხედვით კი, ეკონომიკური დოვლათის შეფასებისთვის უნდა ავიღოთ მისი ბოლო ერთეულის ანუ **ზღვრული მახასიათებლები.** ეს მთელ ეკონომიკურ თეორიაში მიღებულია ეკონომიკურ მოვლენათა ახსნის ძირითად პოსტულატად. ამ თვალსაზრისს ვუპირისპირებ ადამიანებისთვის **დოვლათის გამოყენების ხასიათის, ზომის როლის შესახებ ადვილად გასაგებ და ცხად კონცეპტს**. ამას უნდა დაემყაროს დოვლათის სარგებლობის სათანადო შეფასებებიც. **ამასთან, გამოვდივართ არა სარგებლიანობიდან (მოთხოვნილების დაკმაყოფილებიდან, საერთოდ), არამედ რეალური სარგებლობიდან (სიკეთიდან),** რომელიც შეიძლება მოუტანოს ადამიანებს დოვლათმა მოხმარების შედეგად. სწორედ იგი გამოხატავს დოვლათის ნამდვილ სიკეთეს, რაც შეადგენს დოვლათის, მაშასადამე, ეკონომიკის ძირითად დანიშნულებას. **ეს ნიშნავს, ნებისმიერი დოვლათის გამოყენების (მოხმარების) სარგებლობა იმდენად მეტია მისი პოტენციური საგებლობის ფარგლებში, რაც უფრო სრულად და რაციონალურადაა იგი გამოყენებული. დოვლათის, მისი წარმოების რესურსების არასრულად, არასათანადო მიზნით, მათ შორის ადამიანთა საზიანოდ გამოყენება ნიშნავს საზოგადოებისთვის სარგებლობის შესაძლო პოტენციალის შესაბამის დანაკარგს.** დოვლათის ყოველი ერთეული კარგავს

მასში მოცემულ სარგებლობას **არასწორად და არასრულიად გამოყენების შესაბამისად, რაც მთელი საზოგადოების მასშტაბით ქმნის კეთილდღეობის ჯამურ დანაკარგს.** აქ არაფერ შუაშია სადილობისას რიგით რომელი ლუკმა გადავყლაპეთ, ან მკურნალობისას რიგით რომელი აბი მივიღეთ. ძნელი სათქმელია მათგან პირველი იყო უფრო სასარგებლო თუ მეხუთე ან მეათე.[1] **დანაკარგი წარმოდგება მხოლოდ დოვლათის გამოუყენებლობიდან ან ნაწილობრივ თუ ადამიანთა საზიანოდ გამოყენებიდან.** შეიძლება დოვლათის სარგებლობა უდრიდეს ნულსაც, როცა იგი სრულიად გამოუყენებელი აღმოჩნდება ან მოგვცეს მისი შესაძლო სარგებლობის ნახევარი, როცა სანახევროდ ვიყენებთ. მისმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანებისთვის ზიანი საზიანო პირტენციალისა და მისი გამოყენების ზომის მიხედვით. მაშასადამე, იღებს უარყოფით მნიშვნელობას.

ამრიგად, დოვლათის რეალურ სიკეთეს განვიხილავთ ორი სიდიდის – დოვლათის სარგებლობის პოტენციალისა და სასარგებლო გამოყენების ზომის ფუნქციად:

$$Wu = f(Wp, Qu),$$

Wu არის დოვლათის (სიმდიდრის) მოხმარების ნამდვილი სარგებლობა (სიკეთე), Wp დოვლთის (სიმდიდრის) სარგებლობის პოტენციალის სიდიდე, Qu მისი სასარგებლო პოტენციალის გამოყენების ზომა, ე.ი. ხასიათი, თუ რისთვის, რა დანიშნულებით, როგორ გამოიყენება და რამდენად (რა ზომით) ამოიღება მისი სარგებლობის რესურსი. ამას სხვანაი-

---

[1] აქ ამ საკითხთან დაკავშრებით მხოლოდ შემდეგს ვიტყვით: რატომ უნდა იყოს ძნელი დავემშვიდობოთ გოსენის და ჯევონსის, მენგერისა და სხვათა საუკუნენახევრის წინანდელ იდეას, ან ეჭვი შევიტანოთ მაინც მასში. მეცნიერებას ხომ არაერთი გაბატონებული თეორია დაუთმია ისტორიისთვის, როცა ისინი არ შეესაბამება სინამდვილეს.

რად ვუწოდებ **ეკონომიკური დოვლათის სოციალური სიკეთედ ტრანსფორმაციას. ამრიგად, გამოყენების მიხედვით, შეიძლება გვქონდეს:**

$$Wu = (\overline{0, \max}),$$

ე.ი. დოვლათის სარგებლობა შეიძლება იყოს გამოყენებული 0-დან მაქსიმუმამდე. პრაქტიკულად გამოყენების სრული სიდიდე მიუღწეველია ობიექტური პირობების გამო. ამდენად, არსებობს ნებისმიერი **დოვლათის** (და არა მარტო ენერგეტიკული ტექნიკის) **„მარგი ქმედების კოეფიციენტი“** და ბუნებრივი დანაკაგები, რაც შეუძლებლია თავიდან ავიცილოთ. იგი დამოკიდებულია მოხმარების არსებულ ობიექტურ სოციოგენურ და ტექნოლოგიურ პირობებზე.

უდავოა, რომ საზოგადოების მიზანი უწინარესად უნდა იყოს მის მიერ წარმოებული ყოველი დოვლათისაგან ადამიანებისთვის სარგებლობის მიღება, ე.ი. ის უნდა შეიცავდეს სარგებლობის (სიკეთის) რაღაც რაოდენობას. ადამიანები ჩვეულებრივ ესწრაფიან რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მიღებას. სასარგებლო დოვლათი კი, თუ არ იქნა სრულად ათვისებული, მაშინ ადგილი აქვს შესაბამის, ხელოვნური წარმოშობის, ე.ი ბუნებრივზე მეტ **დანკარგს.**

სხვა საკითხია ისეთი პროდუქტების წარმოება, რომლებიც უშუალოდ ადამიანისთვის საზიანოა, მაგრამ მაინც მოიხმარება სხვადასხვა მიზეზით. ამ შემთხვევაში გვაქვს კეთილდღეობის **ორმაგი დანაკარგი:** ჯერ ერთი, **წარმოების რესურსებისა** (სოციალური ენერგიისა), რომელიც შეძლებოდა გამოყენებულიყო საჭირო, სარგებლობის მომტანი დოვლათის წარმოებისთვის, ე.ი შესაბამისი **კეთილდღეობის დანაკარგი,** და, მეორე, ადამიანთა **კეთილდღეობის გაუარესება** მავნე დოვლათის მოხმარების შედეგად.

მაშასადამე, კეთილდღეობის ახსნისას უნდა გამოვიდეთ არა მაჟინალისტური დოგმიდან, არამედ დოვლათის **გა-**

მოყენების ფაქტორიდან, მისი, ხარისხიდან, მოხმარების რაციონალურობის დონიდან, რაშიც იგულისხმება მისი დანიშნულება, ხასიათი, ზომა (რამდენად სრულადაა გამოყენებული).

ამრიგად, გამოყენების ხასიათის მიხედვით, დოვლათი შეიძლება იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარგებლო, საზიანო ან არაფრის მომცემი, ე.ი. ჯანსაღი აზრით, შესაბამისად ფაქტობივად შეფარდებით ზედმეტი. დოვლათის გამოყენების ზომის (ხარისხის) მიხედვით, მისი სარგებლობის პოტენციალი პრაქტიკულად შეიძლება ათვისებული იყოს რაღაც დონემდე. ჯანსაღი აზრით, ადამიანთა საზიანოდ გამოყენებული, ასევე სრულიად ან ნაწილობრივად გამოუყენებელი დოვლათი შესაბამისი ზომით წარმოგვიდგება **უქმ დოვლათად. ეკონომიკას კი, რომელიც ემსახურება მის წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას, ვუწოდე უქმი ეკონომიკა[1].** აქვე შევნიშნავ, რომ კეთილდღეობის თეორიის ერთ-ერთი დანიშნულება უნდა იყოს **უქმი ეკონომიკის შემცირება და გაქრობა,** რაც კეთლდღეობის დანაკარგის შემცირებასა და მოსპობას, მისი დამატებითი რესურსის წარმოქმნას განაპირობებს.

გაუმართლებელია ყურადღების გარეშე იყოს **ზომიერების საკითხი, რომელიც** მნიშვნელოვანია კეთილდღეობის თეორიისა და პრაქტიკისთვის. ამას კი ადგილი აქვს დღევანდელ სინამდვილეში. **ზომიერებაში ვგულისხმობთ ადამიანთა მიერ დოვლათის მოხმარებას, სიმდიდრის დაგროვებას იმ ფარგლებში, რომელიც შეესაბამება მის სამომხმარებლო ძალას და გონივრულ მოთხოვნილებებს. ორივე ეს სიდიდე კონკრეტულ პერიოდში შეზღუდულია კონკრეტული მომხმარებლისთვის. ამრიგად, გაუმართლებელია პოსტულატი, რომლის მიხედვით, ადამიანის**

---

[1] ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ჩვენი ,,უქმი ეკონომიკა“ ამავე გამოცმაში.

მოთხოვნილებები განუსაზღვრელია. იგი განსაზღვრულია სწორედ მოთხოვნილებათა გონივრულობით და ადამიანთა სამომხმარებლო ძალით. ადამიანს არ შეუძლია გონივრულ ფარგლებში მოიხმაროს უზომო რაოდენობის პროდუქტები და მომსახურება (განადგურება და განიავება კი არ გაუჭირდება). გონივრულობისა და ზომიერების ფარგლებში დოვლათი თუ სრულადაა გამოყენებული, უქმი სიმდიდრე გამორიცხულია. არსებულ სინამდვილეში ადგილი აქვს **მოხმარების ხელოვნურ დანმახინჯებას, რაციონალურობისგან დაცილებას ადამიანთა მიზეზით.** უფრო ზუსტად ეს ხდება ადამიანთა მანკიერი ცნობიერების, მოხოვნილებების, შეცდომებისა და ცდომილებათა გამო. აქ საქმე გვაქვს ამ მიზეზით კეთილდღეობის უზარმაზარ დანაკარგებთან. **ზომიერება საგრძნობლად გაზრდის მოხმარების რაციონალურობას, შეამცირებს დოვლათის სარგებლობის პოტენციალის დანაკარგებს. ამდენად ზომიერების პრობლემა უნდა იქცეს კეთილდღეობის თეორიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად.**[1]

ამ საკითხზე აქ საბოლოოდ უნდა აღინიშნოს, რომ **სამომხმარებლო დოლათის გამოყენების ფაქტორის, მისი განხილული მომენტების გაუთვალისწინებლობა არის კეთილდღეობის თეორიის უდიდესი ნაკლი.**[2] **ამის გამო კეთილდღეობის წყაროები გადაჭარბებით არის შეფასებული, კერძოდ, ეს ეხება მთელი შექმნლი დოვლათის მიკუთვნებას კეთილდღეობის წყაროებისთვის.** როგორც ნახეთ, მას უნდა გამოაკლდეს ის ნაწილები, რომლებიც უქმი დოვლათის სახით არსებობს, არ ხმარდება ჯანსაღი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, გამოიყენება ადამიანთა

---

[1] იხ, ჩვენს ნაშრომში: ,,ზომიერი ადამიანი. გადამრჩენელი. ჰუმანური“ . (ქართულ და ინგლისურ ენებზე) . თბ., 2013.

[2] ამ მხრივ განსხვავებულია საწარმოო დანიშნულების რესურსებისადმი მიდგომა, მათ ეფექტიანად გამოყენებას, როგორც ცნობილია, დიდი ყურადღება ექცევა, რაც კანონზომიერია.

საზიანოდ ან წარმოადგენს არასრულად გამოყენებულ ნაწილს. მხოლოდ მაშინ დავადგენთ კეთილდღეობის რეალურ წყაროს სიდიდეს შექმნილი დოვლათის სახით. **კეთილდღეობის თეორიამ უნდა გაითვალისწინოს ეს ხარვეზი.**

სოციალური პრაქტიკის, საზოგადოების ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მეცნიერების მიერ შემუშავებული თეორიის გავლენით ყალიბდება **საზოგადოებრივი ცნობიერება კეთილდღეობის საკითხებზე შეხედულებათა სისტემად,** რომელიც უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან, ვიდრე ინდივიდუუმების, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების თვალსაზრისი და მეცნიერული დებულებები. მასში ვგულისხმობთ საზოგადოების მოწინავე ნაწილის შეხედულებათა ერთობლიობას მხატვრულის, რელიგიურის, პოლიტიკურის ჩათვლით. ცხოვრებისეული პრაქტიკა თავისი ლოგიკით აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი, **რომელიც ცხოვრების არსებული წესის საერთო ნიშნების შესაბამის თვალსაზრისად გვევლინება. ამ შემთხვევაშიც მსჯელობა ეხება საზოგადოებრივი ცნობიერებაში კეთილდღეობის შინაარსის უფრო სრულ და უკეთ ასახვის აუცილებლობას და მის რეალიზებას.** კერძოდ, მარტივად და ცხადად, ბუნდოვანი დებულებების გარეშე, იგი ითვალისწინებს იმ სიკეთეებს, რომლებიც ქმნიან კთილდღეობის საფუძვლებს.

საგულიხმოა მართლმადიდებლური მოძღვრების დამოკიებულება მაღალი მატერიალური მდგომარეობის მიმართ. იგი მას არ მიიჩნევს კეთილდღეობის უცილობელ გარანტიად. იგი გვეუბნება: ,,დაბალ მდგომარეობაში ცხოვრობენ მშვიდად და კეთილდღეობით“. ასევე: ,,რა სიმდიდრესაც არ უნდა ფლობდეს ადამიანი, მუდმივად ჩაესმის მწუხარე ხმა: რამდენ ხანს გასტანს ყოველივე ეს?“ ან ,,ბევრს აქვს სიმდიდრე, მაგრამ არ აბადია ჯანმრთელობა, სიმშვიდე და კეთილი სახელი“ და ა.შ. ანალოგიური ხედვა შეიძლება დავინახოთ მსოფლიოს სხვა რელიგიურ დოქტრინებშიც. ცხადია, ეს

აზრები უნდა გვესმოდეს არა საერთოდ კეთილდღეობისადმი, არამედ მატერიალური დოვლათისადმი ზედმეტი მიდრეკილების დაგმობად.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ საბაზრო, კომერციული ურთიერთობების დომინირება, კერძო ეგოისტური ინტერესების გაფეტიშება გარკვეულ გავლენას ახდენს კეთილდღეობის ფენომენის საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასახვაზე, უბიძგებს ადამიანებს მატერიალური ფაქტორის გადაჭარბებით შეფასებისკენ, გარკვეულად **ამახინჯებს წარმოდგენას კეთილდღეობაზე.**

საბაზრო ურთიერთობათა, კანონების ამგვარი გავლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა თანამედროვე ეტაპზე. გავრცელებას პოულობს ჭარბი მოხმარების დამახინჯებული ფორმები, საქონლისა და მომსახურების შეძენის დაუოკებელი ჟინი, ზღვარს გადაცილებული მიდრეკილება მოხმარებისადმი, ნივთების კულტი, საგნებისა და მომსახურების შეძენისა და მოხმარების პროცესების სიმბიოზი (შოპინგი), ადამიანთა უზომო გატაცება ძვირფასი საგნების ფუქსავატური, ფუფუნებითი მოხმარებით. ამას ხელს უწყობს მოდა, რეკლამა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და გაყიდვების გადიდების, როგორც მოგების ზრდის პირობათა, სხვადასხვა გზები.

ყოველივე ეს ფართოდაა ასახული მეცნიერულ ლიტერატურაში და პრაქტიკაში. ჩამოყალიბდა **მომხმარებლური ფსიქოლოგია,** მოხმარებისკენ მიდრეკილება, ნივთებისა და მომსახურების ყიდვა, როგორც თვითმიზანი (შეძენა შეძენისთვის და არა გონივრულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად). მოხმარება ხდება პრესტიჟის, უპირატესობის გამოვლენის პირობა, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნის წინ მეცნიერულად განიხილა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა, ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთმა ფუძემ-

დებელმა ტ. ვებლენმა.[1] ხალხის სიბრძნის, რელიგიის, უდიდეს მოაზროვნეთა მიერ იგი მანამდეც დიდი ხანია დაგმობილი იყო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლური ცნობიერება იყო და კვლავ ფართოდ არის გავრცელებული. იგი ასახული და წაქეზებულია ლიბერალ და ულტრალიბერალ მეცნიერთა, საერთოდ, საბაზრო იდეოლოგიის მიერ. საღი აზრისთვის კი გასაგებია, თუ რა მატერიალურ და მორალურ ზიანს აყენებს იგი საზოგადოებას, კაცობრიობას. ამის შესახებ ქვემოთაც გვექნება მსჯელობა.

შემეცნებითი თვალსაზრისით, აქ საქმე გვაქვს კეთილდღეობის შესახებ ცოდნის ხარვეზებთან, მის გადახრასთან ჭეშმარიტებისგან. ეს შესაბამისად ნეგატიურად აისახება ცალკეულ ადამიანთა, მთელი საზოგადოების ქცევაზე და, ცხადია, ცხოვრების წესზე. ასე იჩენს თავს ცნობიერების ნაკლის არასასურველი გავლენა მთელ სოციალურ სინამდვილეზე.

ხაზი უნდა გაესვას მატერიალური ინტერესის გაზვიადებით, კერძო საკუთრების გაფეტიშებით **ინდივიდუალიზმის ზედმეტად გაღვივებას.** ეს უკანასკნელი ეწინააღმდეგება ადამიანურ ურთიერთობებს, ადამიანთა სოციალურ ბუნებას, მეგობრობის, კაცთმოყვარეობის გრძნობებს, საერთოდ, ჰუმანიზმის ტენდენციებს.

სოციალური პრაქტიკის დამოკიდებულება კეთილდღეობის მიმართ ასახულია ინდივიდთა მასობრივ ქცევებში. ნებისმიერ საზოგადოებაში ის არაა ერთგვაროვანი, მაგრამ ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ ინდივიდთა **დომინირებადი ტიპები.** პირველ რიგში შეიძლება განვასხვავოთ **მომხმარებლური ცნობიერება ქვეყნების განვითარების დონის და სოციალურეკონომიკური სისტემების მიხედვით.** თანამედროვე მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ურთიერთო-

[1] მხედველობაშია: *Veblen T. B. The Theory of Leisure Class, An Economic Study of Institutions*. 1899

ბათა გავლენით ჩამოყალიბდა კეთილდღეობისადმი დამოკიდებულების გამოკვეთილი ტიპი, რომელსაც შეიძლება **ვუწოდოთ მომხმარებლური.** არსებობს კიდეც ე.წ. **მომხმარებლური საზოგადოების** თეორიული კონცეფცია. იგი განსაკუთრებით გაბატონებული გახდა კლასიკური კაპიტალიზმის ქვეყნებში. მისთვის დამახასიათებელია კეთილდღეობის განსაზღვრა მოხმარებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობით. იგი კეთილდღეობას წარმოგვიდგენს სხვა ადამიანური სიკეთეებისგან, მაღალი ადამიანური ფასეულობებისგან, ცხოვრების საზრისისგან მოწყვეტილად, ამდენად აღარიბებს ადამიანის ცხოვრების შინაარსს.

დღეისთვის ქვეყნების ერთ ნაწილში, განვითარების მაღალი დონის სიკეთეებთან ერთად, ყველას თვალწინაა ადამიანთა არასასურველი ქცევები, მეტისმეტი დაინტერესება მატერიალური სიმდიდრით, მახინჯი ჰედონისტური მიდრეკილებები, ყოფის ტოტალური კომერციალიზაცია, მერკანილისტური ფსიქოლოგიის დომინირება. ამას თან ახლავს უსამართლობა სიკეთეთა განაწილებაში, საზოგადოების პოლარიზაცია, მეტისმეტი უთანასწორობა, ზნეობრივი ხარვეზების გაფართოება, ბუნებისადმი არასწორი, მტაცებლური დამოკიდებულება, საბოლოოდ, ეკოლოგიური და სოციალური კატაკლიზმების საფრთხე.

მუდმივად ხდება კეთილდღეობაზე არასწორი შეხედულების გავრცელება – გაბატონება, ადამიანურ ურთიერთობათა შეკვეცა – შეზღუდვა, სიმახინჯეთა ინიცირება, ნივთების ფეტიშიზაცია, ადამიანთა მოქცევა ნივთებისგან დამოკიდებულებაში, სამომხმარებლო მიდრეკილების დეფორმირება, რასაც ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობათა ლოგიკა. ნივთები მართავენ ადამიანებს. ამაზეა ნათქვმი ,,ადრე ადამიანები ბატონობდნენ ნივთებზე, ახალ ნივთები ბატონობენ ადამიანებზე.“ ეს გამანადგურებელი მორალური ზიანია ადამიანებისთვის. ისინი სცილდებიან თავიანთ ბუნებრივ არსს, საწყისებს, ხდება მათი გაუცხოება ერთმანეთისაგან, ურთიერთო-

ბის ხელოვნურ, ცივ, თითქმის მექანიკურ წესზე გადაყვანა, სოციალური, ადამიანური შინაარსისაგან დაცლა.[1] საზოგადოების პროგრესული ძალები, იდეები, მართალია, ეწინააღმდეგება ყოველივე მას, მაგრამ ისინი სათანადოდ არაა შეიარაღებული კეთილდღეობის ჭეშმარიტი თეორიით. ეს კი საგრძნობი დაბრკოლებაა ცხოვრების წესის გაუმჯობესების გზაზე.

ამასთან, იმ ქვეყნებში, სადაც **ეროვნული ტრადიციები, ისტორიული ფესვები უფრო მეტად მყარია, ჰუმანური იდეები მეტადაა ფესვგადგმული ადამიანთა შეგნებაში,** მომხმარებლური ფსიქოლოგია, ონიომანია, გამძაფრებული ინდივიდუალისტური ბუნება ფესვს შედარებით ნაკლებად იკიდებს, თუნდაც ეკონომიკური განვითარების მაღალი დონისას, მაგალითად, იაპონიაში.

ეკონომიკური განვითარებისა და საბაზრო ურთიერთობათა უფრო დაბალი დონის ქვეყნებში, კეთილდღეობის კომპონენტებზე შეხედულებათა და ქცევის მიხედვით, ერთი თავისებურება შეიმჩნევა. აქ ჩვეულებრივ უფრო ნაკლებადაა ფესვგადგმული მომხმარებლური მიდრეკილებები, მაღალგანვითარებული ქვეყნებისგან გარკვეულად განსხვავებულია მცხოვრებთა წარმოდგენები ბედნიერებაზე. ამას ადასტურებს, მაგალითად, გაეროს გამოკვლევები მსოფლიოს ქვეყნებში **ცხოვრებით კმაყოფილების** შესახებ. ამასთან, ცხოვრებით კმაყოფილების საერთო მაჩვენებელი (კოეფიციენტის მნიშვნელობა 0-დან 10-მდე) ქვეყნებს შორის გაცილებით ნაკლებად განსხვავდება, ვიდრე ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები. მაგალითად, განვითარების საშუალო დონის ქვეყანაში – ვენესუელაში იგი უდრის 7,5-ს, რაც ასეთივეა მაღალგანვითარეულ ნიდერლანდებში, შვეიცარიაში, ავსტრალიაში, ხოლო უფრო ნაკლებია მსოფლიოს

[1] ეს მოვლნები შთამბეჭდავად და ფართოდაა ასახული ე. ფრომის, ჟ. ბოდრიარის, ჰ. მარკუზეს, პ. ბეკერის , ე. ტოფლერის და სხვათა წიგნებში, რომლებიც საყოველთაოდაა ცნობილი.

ეკონომიკურ ლიდერებში აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ა.შ.[1] შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე **ცხოვრებით უკმაყოფილების** ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა თვითმკვლელობების შეფარდებითი რაოდენობა. მის შესახებ მონაცემები ადასტურებს, რომ იგი უარესია განვითარებულ ქვეყნებში, ვიდრე ნაკლებად განვითარებულში. კერძოდ, 100 ათას კაცზე თვითმკვლელობის რაოდენობა შეადგენდა კორეის რესპუბლიკაში (სამხრეთი კორეა) – 31,1-ს (2009), ლიტვაში – 29,4-ს (2010), იაპონიაში – 24,4-ს (2007), რუსეთში – 20,4-ს (2012), აშშ-ში – 11,1-ს (2009), მაშინ როცა იგი იყო ტაჯიკეთში 2, 6 (2006), საქართველოში 2,2 (2001), გაიტიში – 0,0 (2003), ეგვეპტეში – 0,0 (1947) სირიაში – 0,1 (1945) და ა.შ.[2] საგულისხმოა ისიც, რომ მსოფლიოში დამნაშავეობა უფრო მაღალია განვითარებულ, ვიდრე ეკონომიკურად ჩამორჩენილში ქვეყნებში. დანაშაულის ძირითადი სახეები შეადგენდა 100 ათას მცხოვრებზე აშშ-ში – 239,9-ს ინგლისში –172, 6-ს, პოლონეთში – 150,6-ს, უკრაინაში – 47,4-ს, ინდოეთში – 6,4-ს და ა.შ. [3] ამასთან, რიგ მაღალგანვითარებულ ქვეყნაში ეკონომიკური უზრუნველყოფა არ ამცირებდა დამნაშავეობას. საერთოდ კი განვითარების კვალობაზე დამნაშავეობა ხასიათდება ზრდის ტენდენციით. სათანადო ინფორმაციის წარმომდგენი ქვეყნების ჯგუფში 100 ათას მცხოვრებზე დამნაშავეობა გაიზარდა 1975 წელს 1600-დან 1945 წელს თითქმის 4100-მდე, 1995 წელს – 7000-მდე.[4]

დამნაშავეობის უდიდესი ნაწილი მოდის ეკონომიკური ხასიათის ქმედებებზე. სხვადასხვა ქვეყანაში დამნაშავეობა სრულიად განსხვავებულია რაოდენობისა და სახეობათა მიხედვით. ამგვარი ფაქტების მიხედვით ვრწმუნდებით, რომ

---

[1] ООН . Доклад о развитии человека. 2011. С. 154157.

[2] ru. Wikipedia.org/wiki/ …World Health Organization 92009)

[3] ru.wiipedia.org/wiki/ преступность.

[4] edu.grsu.by/books/criminal/ indx

ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობის ურთიერთდამოკიდებულება რთულია და ცალმხრივად არ უნდა იყოს განმარტებული ცალკეული მონაცემის საფუძველზე.

რეალობის ფაქტები ადასტურებს, რომ ცხოვრების ხარისხის ცალკეული მაჩვენებლები, მართალია, პირდაპირ დაკავშირებული არაა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონესთან, რაც მიანიშნებს მათ მრავალფაქტორულობაზე, მაგრამ ეკონომიკური განვითარება გარკვეულ ეტაპზე ამძაფრებს რა მიდრეკილებას მატერიალური დოვლათისკენ, დამნაშავეობის ნიადაგსაც ანოყიერებს, რაც ჩანს მოტანილი მონაცემებიდან. ეს კი საყოველთაო კეთილდღეობის სასარგებლო მოვლენად ვერ ჩაითვლება. იგი უხეშ ძალადობრივ უთანასწორობას აღრმავებს.

განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ქვეყნებს უფრო ნაკლებად აქვთ სამომხმარებლო ფსიქოლოგიის, ეკონომიკური განვითარების ამ ნეგატიური თანამგზავრის, მავნე გავლენის საფრთხე, ისინი უფრო ინარჩუნებენ ტრადიციულ ურთიერთობებს, ადამიანები ნაკლებად ავლენენ სიხარბის, ამპარტავნობის, ექსპანსიურობის ნიშნებს. ამასთან, გარედან გავლენა, კომერციულ ურთიერთობათა გავრცელება მათაც უქმნის სამხმარებლო ჭაობში გადავარდნის საფთხეს, თუ იგი არ იქნება სათანადო ზომებით დაძლეული.

საკაცობრიო მასშტაბით ზომიერ მოხმარებაზე გადასვლა პირველ რიგში უნდა იყოს ამ საზოგადოებების მობრუნება სწორი გზისაკენ, ნივთების მონობისაგან გათავისუფლება, რაც ჭარბად მომხმარებლისთვისაც უდიდესი მოვლენა იქნება პროგრესის გზაზე. ამის შედეგად განვითარებად ქვეყნებს ჩამოსცილდება აღნიშნული უარყოფითი გავლენა გარედან, ე.წ მომხმარებლური საზოგადოებებისგან. ეს თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი განვითარების წინააღმდეგობრივი ხასიათის ერთ-ერთი გამოვლინების საპასუხო ნაბიჯები იქნება. იგი სათანადო ყურადღებასა და ზომებს მოითხოვს.

საერთოდ, მხოლოდ **ამა თუ იმ ტენდენციის დომინირების** მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ კეთილღეობის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების შესახებ ცალკეულ საზოგადოებაში. ნებისმიერ მათგანში შეიძლება ვიპოვოთ ამა თუ იმ ტიპის წარმომდგენელი, რამდენადაც ინდივიდთა ხასიათი, შეხედულებები, მენტალიტეტი ყალიბდება მრავალი ფაქტორის გავლენით. თანამედროვე ინფორმაციულ და მაღალი მობილურობის, გლობალიზაციის ეპოქაში დიდია საერთაშორისო ფაქტორის როლი. ამასთან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ცალკეულ ქვეყნებს გარკვეული ,,იმუნიტეტიც" გააჩნიათ, კონსერვატიული ტრადიციების წყალობით, გარედან გავლენის მიმართ. ესეც ამ ქვეყნებისთვის ერთ-ერთი გარკვეული პირობაა მომხმარებლური პათოლოგიისაგან თავის დაცვისთვის.

ამდენად, ცხოვრების განახლების, ჰუმანიზაციის, ნამდვილი ადამიანური ცხოვრების მოდელის ჩამოყალიბების პროცესისათვის **აუცილებელია კეთილდღეობის ჭეშმარიტი თეორიის შექმნა და მისი საზოგადოებრივი ცნობიერების საკვანძო კომპონენტად გადაქცევა.** იგი შუქურასავით უნდა უნათებდეს ადამიანებს გზას სწორი სოციალური ქცევისკენ, თავიანთ ცხოვრებაში მეშჩანური, ობივატელური წესებისკენ მიდრეკილებისგან გათავისუფლების გზაზე. მეცნიერებამ უნდა ჩამოაყალიბოს ნათელი, სწორი, **პრაქტიკის სრულყოფაზე ორიენტირებული რეალური კეთილდღეობის თეორია.** ამ თეორიას შეუძლია გზა გაიკვალოს ადამიანებისკენ, რადგან **ადამიანებს ბუნებრივ მოთხოვნილებად აქვთ და ძლიერ სჭირდებათ ჭეშმარიტება ცხოვრების მოვლენებზე და მის საფუძველზე მოქმედება.** მან უნდა გადასძლიოს ის მოტივაციები, რომლებიც ყალიბდება კომერციული ინტერესების გაზვიადებით და გონებას უხშობს ადამიანებს. ამით ისინი გზას გაიკვლევენ ნამდვილი ადამიანური, სასიამოვნო ცხოვრებისკენ, როგორადაც **წარმოგვიდგება საყოველთაო კეთილდღეობის სამყარო.**

2. როგორი მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს? (მოხოვნილებათა განმენდა)

ყოველგვარი სათნოებისა და ღირსების
საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ უარი
ვთქვათ იმაზე, რასაც გონება უარყოფს.
ჯონ ლოკი

სათაური იმთავითვე მიგვანიშნებს, რომ ადამიანთა ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზანშეწონილობა კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა იქნეს დაყენებული, რაც ზემოთ მოცემული მსჯელობების შედეგად მიღებული თვალსაზრისია. მოთხოვნილებები დანაგვიანებულია, მრავალ ზედმეტ და საზიანო ელემენტებს შეიცავს, საჭიროებს განმენდას, მავნე ნაწილის ჩამოცილებას. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ უნდა დავამტკიცოთ, თუ რომელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არაა მიზანშეწონილი და, შესაბამისად, რომლის მიზანშეწონილია. ასევე წამოიჭრება საკითხი, თუ როგორ განვსაზღვროთ კონკრეტულად ერთი ან მეორე ჯუფის მოხოვნილებები და რა კრიტერიუმებით. ზოგადად პასუხი, თუ საერთოდ რა ხასიათის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს და რა სახის არა, მოცემულია ზემოთ. მინიშნებულია მისი განსაზღვრის კრიტერიუმებზე: გონივრულობაზე, ჯანსაღ აზრზე, ზომიერების პრინციპზე და მათგან გადახრაზე. საჭიროდ მიგვაჩნია უფრო კონკრეტულად განვიხილოთ ეს კრიტერიუმები, რაც მთავარია, დავასაბუთოთ, თუ რა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ იწვევს საყოველთაო კეთილდღეობის ზრდას ან ამცირებს მას, მაშასადამე, ფუჭი და საზიანოა. მათი დაკამყოფილების სურვილი კი ადამიანთა ნეგატიური თვისებების შედეგად წარმოიშვება. ამიტომაც მათგან თავის დაღწევა მწვავე საკითხია.

ეჭვს უთუოდ არ ბადეს ის, რომ ინდივიდუუმებისთვის და საზგადოებისთვის მნიშვნელოვანია მოთხოვნილებათა შესახებ, საერთოდ, და მათი ხასიათის, წარმოქმნის მიზეზების,

დაკმაყოფილების ირგვლივ, კერძოდ, ჭეშმარიტი ცოდნის, სწორი შეხედულებების არსებობა, მათი დაცვა. ადამიანთა ქცევა ამ ცოდნას უნდა ემყარებოდეს. არსებული მდგომარეობისას, როცა ადამიანთა ქცევები გადახრილია ჭეშმარიტებისგან და ამ მიზეზით ზიანი ადგება ინდივიდებასა და საზოგადოებას, ამ ცოდნის საჭიროების სიმწვავე მატულობს. ეს ცოდნა წარმოადგენს ადამიანთა მოქმედების ერთ-ერთ საფუძველს, რა თქმა უნდა, სხვა პირობებეთან – მათ უნართან, ხასიათთან, მენტალიტეტთან, ინტერესებთან, გარემოს გავლენასთან ერთად. მოთხოვნილების, როგორც ადამიანთა სოციალური ქცევის ამოსავალი პუნქტის, როლი შეიძლება შემდეგი ვერბალური ფორმულით გამოვხატოთ[1]:

მოთხოვნილება→ინტერესი→მიზანი→მოქმედება→შედეგი

მოხოვნილებები, როგორც ცნობილია, ადამიანის როგორც სოციალური არსების, უნიშვნელოვანესი თვისებაა. შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნილებები გარკვეული აზრით, საერთოდ, ცოცხალ არსებებს ახასიათებთ, არ გააჩნია მხოლოდ მკვდარ სხეულებს, მაგალითად ხის კუნძს. მაგრამ მცენარეს კი აქვს ,,მოთხოვნილებები“ საკვებ ნივთიერებებზე, წყალზე, ჟანგბადზე და ა. შ. იგივე ითქმის ცხოველებზე, რომლებიც უფრო აშკარად ავლენენ თავიანთ საარსებო საჭიროებებს, ზოგჯერ აგრესიულადაც. მაგრამ ალბათ სწორი იქნება, უფრო ზუსტი გაგებით, მოთხოვნილებები რაღაცის მოხმარების, ფლობის ისეთ გაცნობიერებულ საჭიროებად, სურვილად ჩავთვალოთ, რაც მხოლოდ ადამიანებს ახასიათებთ. ამასთან ერთად, **თითქოს უცნაური და პარადოქსული ისაა, რომ ადამიანთა მოთხოვნილებები და მათი დაკმაყოფილება ხშირად მათთვის რეალურ სარგებლობას არ ემთხვევა და საზიანოცაა.** ფსიქოლოგები დაწვრილებით განიხილავენ მოთხოვნილებათა ბიოლოგიურ, სოციალურ და ცნობიერ სა-

[1] იხ. ჩვენი ,,მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია“. თბ., 1995 , გვ. 3637.

ფუძვლებს,[1] მათ როლს ადამიანთა მოქმედებების მოტივაციაში, მაგრამ ნაკლბად ეხებიან მათი ცალკეული სახეების დაკმაყოფილების სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას ადამიანთა ცხოვრებისთვის, გავლენას მასზე, განსაკუთრებით უარყოფით შედეგებს.[2] ამის გარეშე სრული წარმოდგენა ადამიანთა ცხოვრებაში მათ ადგილზე, მათი დაკმაყოფილების კავშირზე კეთილდღეობასთან ვერ გვექნება. ამდენად **კეთილდღეობის თეორიაში აუცილებელია ადგილი დაიკავოს უარყოფითმა მოთხოვნილებებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ კეთილდღეობაზე, კერძოდ, მისი შემცირებით.** ამისი გარეშე კეთილდღეობის სრულყოფილი თეორია ვერ შეიქმნება.

უნდა აღინიშნოს **ადამიანთა ზედმეტი (ჭარბი) სიამოვნებისკენ წაქეზების იდეოლოგიის შესახებ.** სიამოვნება ადამიანთა ნორმალური (ბუნებრივი) მოთხოვნილებაა. მისი უარყოფა გაუმართლებელია. მაგრამ ის, როგორც ადამიანის ყველა სხვა მიდრეკილება, სასარგებლო და კარგად ცხოვრების კომპონენტი შეიძლება იყოს მხოლოდ ზომიერების, გონივრულობის ფარგლებში. საზღვარს გადაცილებული სიამოვნება ხდება არასასარგებლო შედეგის მომტანი – პიროვნული თვი-

---

[1] იგულისხმება ზ. ფროიდის, ა. მასლოუს. დ. უზნაძის, ე. ფრომის, ს. რუბინშტეინის და სხვათა ნაშრომები. ს. რუბინშტეინი, მაგალითად, ხაზს უსვამს მოთხოვნილებათა ფუნდამენტურ ადგილს ადამიანთა ცხოვრებაში: ,,მოთხოვნილებები პიროვნებაა, ეს უწინარესად ცოცხალი ადამიანია სისხლითა და ხორცით, რომლის მოთხოვნილებები გამოხატავს მის პრაქტიკულ კავშირს სამყაროსთან და მისგან დამოკიდებულებას. ადამიანის მოთხოვნილებათა არსებობა ადასტურებს იმას, რომ ის განიცდის რაღაცის საჭიროებას, რაც მის გარეთ იმყოფება – გარე საგნებზე ან ადამიანზე: ეს ნიშნავს, რომ ის არის ვნებითი, ამ აზრით, პასიური არსება. С Рубинштейн. Основы общей психологи. СПБ. 2004 . С. 4.

[2] ა. მასლოუს ცნობილი მოთხონილებათა ხუთსაფეხურიანი პირამიდა მხოლოდ პოზიტიურ მოთხონილეებებს ითვალისწინებს, ყურადღების მიღმა ტოვებს ნეგატიურ მოთხოვნილებებს, რაც მისი, ისევე როგორც სხვა კონცეფციების, ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

სებების, ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვის, გარყვნილების, დეპრესიის, აპათიის და სხვა უბედურების მიზეზი. ნორმალური საზოგადოება უნდა გაემიჯნოს ამ მანკიერებისაკენ ადამიანთა წამქეზებლობის იდეოლოგიას და პრაქტიკას.[1]

მოთხოვნილებების არსის **სწორად გაგება** სოციალური მეცნიერებებისთვის, საერთოდ, და, კერძოდ, ეკონომიკური, უფრო კონკრეტულად კეთილდღეობის თეორიისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის გარეშე სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენათა ახსნა შეუძლებელია. მაგრამ, ჩემი აზრით, სრულიად გაუმართლებლად მას სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ეკონომიკურ, განსაკუთრებით საბაზრო, ურთიერთობათა გავლენით იგი გვერდზე გადაწეული აღმოჩნდა. სანაცვლოდ, კომერციულ ურთიერთობათა დომინირებამ წინ წამოსწია ,,მოთხოვნის", ე.ი. იმ მოვლენის ამსახველი ცნება, რომელზეც დამოკიდებულია საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება, კონკრეტული საბაზრო სუბიექტების ქცევა, რომელიც ორიენტირებულია მეტი და მეტი საქონლისა და მომსახურების გაყიდვისაკენ, მეტი და მეტი მოგების მიღებისკენ. [2]

---

[1] ასეთი იდეები და პრაქტიკა, მისი ზიანი მხილებულია ბევრი პროგრესული ავტორის მიერ, რომლებიც მასში ხედავენ ადამიანთა დეგრადირების საფრთხეს. აქ შეიძლება დავასახელოთ პ. ბიუკენენის, ტ. ჯატის, ჟ. ბოდრიარის, ჰ.მარკუზს და სხვათა ნაშრომები. ალბათ, ზ. ფროიდისეული თვალსაზრისი სიამოვნების როლის შესახებ ადამიანთა ცხოვრებასა და მოქმედების მოტივაციაში გაზვიადებულად უნდა ჩაითვალოს. მისი გავლენა ადამიანებზე არც თუ უვნებელია.

[2] ჯერ კიდევ ადამ სმითი გარკვევით აკეთებს საგულისხმო შენიშვნას საბაზრო ურთიერთობათა პირობებში მწარმოებლის ინტერესის გაუმართლებელი უპირატესობის შესახებ, მიუხედავად წარმოების დანიშნულებისა: ,,მოხმარება წარმოების ერთადერთი მიზანია და მწარმოებლის ინტერესები იმსახურებს ყურადღებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი შეიძლება ემსახურებოდეს მომხმარებელთა ინტერესებს.... ამასთან მერკანტილისტური სისტემის ბატონობის დროს მომხმარებლის ინტერესი თითქმის მუდმივად მწარმოებლის ინტერესებს ეწირება. და ეს სისტემა

ასევე საგულისხმოა, რომ თეორია მოთხოვნილებებზე მსჯელობს ზოგადად, არ გაითვალისწინება მისი ხასიათი. აუცილებელია თეორიამ **ჩამოაყალიბოს მოთხოვნილებების სწორი გაგება დაკმაყოფილების შედეგის მიხედვით, წარმოდგენა მისი ფაქტობრივი რადიკალურად განსხვავებული სახეების შესახებ.** კერძოდ, ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული, რომ **არსებობს გონივრულთან (ჯანსაღთან) ერთად, რომელთა დაკმაყოფილებას ადამიანებისთვის მოაქვს რეალური სარგებლობა, არაჯაანსაღი, არაგონივრული მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება თვით კონკრეტული მომხმარებლისთვის თუ სხვისთვის ზიანის მომტანი ან არაფრის მომცემი, უაზროა, დანაკარგებთანაა დაკავშირებული.**

უნდა ითქვას, რომ მოთხოვნილებათა არაადეკვატური გაგება დიდ ზიანს აყენებს სოციალურ მეცნიერებებს, კეთილდღეობის თეორიას, არარაციონალურ ხასიათს აძლევს საზოგადოების ქცევას. მოთხოვნილებათა შესახებ სწორი შეხედულების (თეორიის) არსებობის გარეშე საზოგადოება ვერასდროს ვერ გადაწყვეტს ჰუმანური, სამართლიანი, ზნეობრივი და ჰარმონიული, ე. ი ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბების პრობლემას, ამა თუ იმ ზომით ცხოვრების თანხმლები ყოველთვის იქნება სიმახინჯე, უკეთურობა. **საყოველთაო კეთილდღეობისთვის პრიორიტეტია ეკონომიკის უშუალოდ ადამიანების აუცილებელი ინტერესებისკენ ორიენტაცია, რაც შეესაბამება მის პირდაპირ, პირველად დანიშნულებას. ამ დროს კი რეალობაში უპირატესობა ეძლევა ბიზ-**

უთუოდ აღიარებს არა მოხმარებას, არამედ წარმოებას ყოველგვარი სამრეწველო და სავაჭრო საქმიანობის საბოლოო მიზნად“. А.Смит. Исследование о природе и причинах богатства народов. Т. II. М. – Л., 1935. С 204. ღრმად თუ ჩავწვდებით, ეს ეხება მთლიანად საბაზრო ურთიერთობებს, რაც არ უნდა ამტკიცონ მათმა დამცველებმა მომხმარებლისათვის თავგამოდებული ზრუნვის შესახებ.

ნესის ინტერესებს. ამის გამო წარმოიშვება წინააღმდეგობა მოთხოვნილებებსა და მოთხოვნას შორის. მოთხოვნის დაკმაყოფილება უშუალოდ გამოხატავს ბიზნესის სუბიექტთა ნაწილის ინტერესებს, მოთხოვნილებისა კი, სწორი ურთიერთობებისა და გარემოს პირობებში, ადამიანთა ჯანსაღი ცხოვრების პირობებს, საყოველთაო კეთილდღეობის წანამძღვრებს შეესაბამება. საბაზრო მოთხოვნის იმპერატივი კი გვიჩვენებს, რომ კმაყოფილდება იმათი მოთხოვნილებები, ვისაც ფული აქვს. ისინი იღებენ კმაყოფილებას მოხმარებისგან. დაკმაყოფილების გარეშე რჩება იმათი მოთხოვნილებები, ვინც ფულს არ ფლობს. ასევე ბაზარი ამ მხრივ ნეიტრალურია. მას ,,აინტერესებს " ფულიანების ყოველგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მათ შორის ჭარბი ფულიანებისა და სხვებისა. ჭარბი და უსარგებლო, საზიანო მოხმარება კი სულაც არაა აუცილებელი და მით უფრო მიზანშეწონილი, თვით ამ უკანასკნელთათვის. როგორც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ის სულაც არ ნიშნავს კეთილდღეობას, რაც არ უნდა თქვან ამაზე ლიბერალებმა თუ ლიბერტარანელებმა. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ადამიანთა ერთი ჯგუფის ასეთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ამცირებს დანარჩენ ადამიანთა, ვისაც ამის გამო აკლდება დოვლათი, საბოლოოდ საერთო კეთილდღეობას. **ამრიგად, ეს წინააღმდეგობა მოთხოვნასა და მოთხოვნილებას შორის საზოგადოებისთვის ზიანის მომტანია. იგი საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. დიდია ეს ზიანი საერთო კეთილდღეობისთვის, მთელი კაცობრიობისთვის.**

ცხოვრებიდან ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანები სხვადასხვა მიზეზით ხშირად მიისწრაფიან ისეთი საგნების მოხმარებისა და ფლობისაკენ, რაც არაფერს მატებს ან ზიანსაც კი აყენებს პირადად მათ, ხოლო ხშირად სხვებს, საბოლოოდ საზოგადოებას. ეს მათი ცნობიერებისა და ხასიათის (მათი ბუნების) მანკიერებიდან, გარემოს სიმახინჯეებისგან წარმოიშვება. კერძოდ, თავიდანვე ამისი მთავარი მიზეზია ნივთების,

მათ შორის რაც შეიძლება ძვირად ღირებულის ფლობისა და მოხმარებისადმი ადამიანთა გადაჭარბებული მიდრეკილება, მახინჯი ჰედონიზმი, საერთოდ, საზოგადოების ცნობიერების გამრუდება, ცდუნებები, ნივთმოყვარეობა, მიუხედავად იმისა, ეს მათთვის რეალური სარგებლობის მომტანია თუ არა.

ხაზი უნდა გაესვას საზოგადოებრივი გარემოს გავლენას მომხმარებლის ქცევაზე, რომელიც ადამიანებს ზედმეტად აქეზებს მოხმარებისა და დაგროვებისკენ, მერკანტილისტური ჩვევებისკენ, წარმოშობს მომხმრებლურ ჟინს, შეჯიბრს მოხმარების სფეროში.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ადგილი აქვს **გონივრულ (ჯანსაღ) და არაგონივრულ (არაჯანასაღ) მოთხოვნილებათა აღრევას.** იგი დაკავშირებულია რეალური და მოჩვენებითი, ილუზიური, ფსევდოსარგებლობის თანაარსებობასთან. აუცილებელია **კეთილდღეობის თეორიამ ყურადღება გაამახვილოს მოთხოვნილებათა აღნიშნულ ხასიათზე.**

აქ უნდა შევჩერდეთ მომხმარებლს სუვერენიტეტის, **მოთხოვნილებათა ავტონომიურობის და მის ჩამოყალიბებაში გარედან ჩარევის დაუშვებლობის ლიბერალურ კონცეფციაზე.** წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ადამიანების მოთხოვნილებები შეუზღუდავად ყალიბდება და არაფერს უწევს ანგარიშს, გარდა ინდივიდების სურვილებისა. თითქოს, საერთოდ, სრულიად სწორი და რაციონალურია ადამიანთა აზროვნება და ქცევა, იგი ზომიერების, გონიერების დაცვას, ჯანსაღად აზროვნებას, ზნეობრივ ნორმებს შეესაბამება. როგორ სურათს მივიღებდით ასეთი მიდგომის შედეგად? ილუზია მოგვეჩვენებოდა სასურველ სინამდვილედ, იდეალად.

სინამდვილე კი გვიჩვენებს, რომ ადამიანებს ყოველთვის არა აქვთ სწორი და ზუსტი წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის მათთვის სასარგებლო და რა საზიანო. თანაც ბევრი მოთხოვნილებაც, მიუხედავად მათი დაკმაყოფილების გაუმართლებლობის შესახებ სწორი ცოდნისა, მაინც არსებობს

და კმაყოფილდება. ამის მაგლითია თამბქოს ნაწარმის მოხმარებასთან მრაავალსაუკუნოვანი ომი, რაც უკანასნელ პერიოდში განსაუთრებით გამძაფრებულია. მაგრამ შედეგი? იგი ძალიან მცირეა. მწეველთა დიდი არმია თავგამოდებით ებრძვის თავის სიცოცხლეს, ამოკლებს მას. ამის შემდეგ იმისი თქმა, რომ ადამიანთა ყოველგვარი მოთხოვნილება თუ არ კმაყოფილდება, თითქოს ეს მათი ინტერესების შელახვაა, ჭემარიტების მიმართ მკრეხელობად არ უნდა ჩაითვალოს?

განა თვით პრაქტიკიდან არაა ცხადი, რომ ადამიანები არარაციონალურები არიან და მათი მოთხოვნილებების დიდ ნაწილიც არარაციონალურია. **ჯანსაღი, გონივრული გაგების მიხედვით, აზრს მოკლებული მოთხოვნილებები არ უნდა კმაყოფილდებოდეს, შეიზღუდოს თვით მომხმარებელთა ინტერესების გამო. ესაა მომხმარებლის სუვერენიტეტის რეალური დაცვა, მის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტა და არა ლიბერტარიანული „უფლებების“ ფეტიშიზაცია, რასაც არც ერთი საღად მოაზროვნე არ იზიარებს. ადამიანთა უაზრო, არაფრისმთქმელი უფლებების „ფასი,“ რომ არაფერი ვთქვათ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების „უფლებებზე,“ მხოლოდ ნეგატიურ კონსტრუქტად წარმოგვიდგება.**

აქაც არ შეიძლება არ შევამჩნიოთ ბიზნესის ინეტერესის მომხმარებელთა ინტერესების მიმართ გაუმართლებელი უპირატესობა, მოთხოვნისა და მოთხოვნილების წინააღმდეგობა რეალური კეთილდღეობის კრიტერიუმის თვალსაზრისით.

ადამიანებს ჩვეულებრივ უფრო მეტი შეცდომებისა და ზიანისაგან იცავს ის, რომ ემორჩილებიან ზნეობის, სამართლის ნორმებს, რაც მათ ათავისუფლებს დაუოკებელი მოთხოვნილებებისაგან. და მაინც, თუ ფაქტებს დაკვირვებით და გავაანალიზებთ, მათი არარაციონალობის გამო არასასარგებლო მოთხოვნილებებისა და მოხმარებისაგან ზიანი, კოლოსალურია. ამიტომ ეკონომიკურმა თეორიამ, საერთოდ, და კეთილდღეობის, თეორიამ, კერძოდ, **უარი უნდა თქვას მომ-**

ხმარებლის სუვერენიტეტის არსებულ გაგებაზე, რომ თითქოს ადამიანთა მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში არავინ არ უნდა ჩაერიოს, არც ერთ შემთხვევაში, რადგან თითქოს ის ყველაზე უკეთ აფასებს თავის მდგომარეობას.

ცნობილია, რომ ლიბერალი ასე ფიქრობს: ,,ვინ განსაზღვრა, თუ რომელი მოთხოვნილებაა გონივრული, ან სადაა საზღვარი გონივრულსა და არაგონივრულს შორის, ან რატომ არ უნდა ჰქონდეს ნებისმიერ ადამიანს უსაზღვრო სურვილი, ეს ხომ მისი წმინდათაწმინდა უფლებაა? ვინ უნდა ჩაკეტოს გზა მის უკიდეგანო სურვილებისკენ, რატომ უნდა ჩაერიოს ვინმე სუბიექტის მოხმარებაში? თითქოს მართებული და შეუვალი აზრებია. მაგრამ ცხოვრების ლოგიკა ამას არ ადასტურებს. ამ აზრებს ხშირად მივყევართ ადამიანის აღვირახსნილობამდე, მისთვის საზიანო ქცევებამდე, გაუმართლებელ სურვილებამდე, სხვა ადამიანების ინტერესების უგულებელყოფამდე, შელახვამდე, გაუმართლებელ, მახინჯ (ჰ. მარკუზე უპატიოსნოსაც უწოდებს) მოთხოვნილებებამდე[1] და ა.შ. ამრიგად, ამ თვალსაზრისს არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან, საკაცობრიო ფასეულობათა გაზიარებასთან. ამასთან, ის, რომ თითქოს არ არსებობს **ზედმეტი მოხმარების** კრიტერიუმები და განსაზღვრის შესაძლებლობა, მოგონილია. **ასეთი კრიტერიუმები ჩამოყალიბებულია კაცობრიობის მიერ ზნეობისა და ქცევის ნორმებში, სიკეთისა და ბოროტების გაგებაში.**

რაც არ უნდა ანტიდემოკრატიზმში (დემოკრატიულ უფლებათა წინააღმდეგი ვინ უნდა იყოს) არ ჩამომართვან, ვიტყვი, რომ ეს უბრალოდ არ პასუხობს თვით ინდივიდუუმების ინტერესებს. მომხმარებლის მოთხოვნილებათა ჩამოყალიბე-

[1] მარტივი ჭეშმარიტება, რომ ყოველივე არსებულის, ბუნებრივის გონივრულად, აუცილებლობად მიჩნევა გაუმართლებელია. ადამიანებს ბუნებრივი ობიექტები და პროცესები ხელოვნურით, მიზანშეწონილით რომ არ შეეცვალათ, ცივილიზაცია არ შედგებოდა და აზრსაც დაკაგავდა.

ბაში ჩარევა (შეზღუდვა) ყოველთვის ხდებოდა, საზოგადოებრივი მსოფლხედვის, წესების,ზნეობრივი, სამართკებრივი ნორმების მხრივ და სხვა. მისი აუცილებლობა გამომდინარეობს თვით მომხმარებელთა ზემოთ აღნიშნული თვისებიდან, ინტერესებიდან. ცხოვრება ადასტურებს, რომ აუცილებელია საზოგადოებრივ ფასეულობათა, ზნეობრივი ნორმების, პროგრესული შეხედულებების გათვალისწინება თითოეული მომხმარებელი ინდივიდის მიერ. ადამიანთა მოთხონილებების ჩამოყალიბებაში არაძალადობრივი ჩარევა მათივე სასარგებლოდ, რაც მათ თავიდან ააცილებს შეცდომებს და დაიცავს თავიანთი თავის, სხვების და საზოგადოების საზიანო მოქმედებების ჩადენისგან, **სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.** ხელი უნდა ავიღოთ ულტრალიბერალების უტოპიურ და უსარგებლო, ილუზიური, ,,ლამაზ" სიტყვებში შეფუთული მოძღვრებისგან და უნდა რეალობას მივსდიოთ, ჭეშმარიტ სასარგებლო წესებს დავემორჩილოთ. ეს იქნება ნამდვილი სიკეთისაკენ გზა, ფსევდო ცნობიერბებისა და მოქმედებისაგან კაცობრიობის გათავისუფლების, ჭეშმარიტების გზაზე დადგომის ერთ-ერთი ფაქტი. **კაცობრიობამ ხელი კი სწორედ ადამიანთა მოთხოვნილებების ჩამოყალიბებაში იმ შენიღბული ჩარევისაგან უნდა აიღოს, რასაც ახორციელებს რეკლამა, მოდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვები საქონლის გამსაღებელთა სასარგებლოდ.** იგი მთავრდება მომხმარებლის სწორი გზიდან გადაცდენით, რომლის შედეგებიც მრავლმხრივ ზიანს აყენებს მას. სახელდობრ ეს კი შეიძლება ჩავთვალოთ **ადამიანთა ცხოვრებაში ბოროტ ჩარევად.** აქ აუცილებლია ნამდვილ და ყალბ უფლებებში სწორად გარკვევა.

კიდევ შევჩერდებით მეტად მნიშვნელოვანი მომენტის შესახებ, რომელიც უგულებელყოფილია კეთილდღეობის თეორიაში. ესაა **ზომიერების პრინციპი.** იგი შემუშავებულია კაცობრიობის მიერ პრაქტიკული და მეცნიერული აზრის საფუძველზე. ეს პრინციპი ნიშნავს ადამიანთა მიერ საქონლისა

და მომსახურების მოხმარებას (დაგროვებას) იმ ფარგლებში, რომელსაც მათთვის რეალური სარგებლობა, გონივრულ, ჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოაქვს, ე.ი. როცა მოხმარებული დოვლათი ტარნსფორმირდება რეალურ (და არა ილუზიურ, ფსევდო) სოციალურ სიკეთეში.[1]

ზომიერების მნიშვნელობა, რაც სათანადოდ არაა გაცნობიერებული პრაქტიკაში და სრულიად არაა ასახული მეცნიერებაში, იმაშია, რომ იგი ადამიანებს თავიდან ააცილებს მრავალ ზიანს, უსამართთლობას, ზედმეტი მოხმარებისა და ზედმეტი სიმდიდრის არსებითად უსაგნო, უაზრო დაგროვებას. სწორედ ზომიერზე ზევით მოხმარებული და დაგროვილი სიმდიდრე ეკონომიკურმა (კეთილდღეობის) თეორიამ და, საერთოდ, მეცნიერებამ და პრაქტიკამ უნდა განიხილოს **როგორც უქმი,** ხოლო ასეთი დოვლათის წარმოება და დაგროვება, გაცვლა, მოხმარება, როგორც **უქმი ეკონომიკა,** რომელიც არაფრის მომცემად ან ზიანის მომტანად გვევლინება.[2]

აქ წამოჭრილი საკითხები ეხება ადამიანთა ყოფის ფუნდამენტურ მოვლენებს რაციონალურ ქცევას, ზნეობრიობას, სამართლიან განაწილებას, ეკონომიკის სოციალურ, ე.ი. საბოლოო ეფექტიანობას. მათ უკავშირდება საერთო კეთილდღეობის ამაღლების რესურსის არსებობა, რომელიც უდანახარჯო ან ნაკლებად დანახარჯიანია. შეიძლება ითქვას, რომ საბოლოო ანგარიშით, აქ იყრის თავს საზოგადოების ცივილიზებულად მოწყობის, ადამიანთა ბედნიერების პირობები.

---

[1] ამის შესახებ იხ. ჩვენი ,,ზომიერი ადამიანი," (2013, ქართულ და ინგლისურ ენაზე), ასევე რუსული ტექსტი ჟურნ ,, Homo Eperansში, „№ 5, 2005 (სანკტ პეტერბურგი), მონოგრაფია ,,მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია" (1995). ცნობილია არისტოტელეს მოძღვრება საშუალოს შესახებ, რომელიც ამ პრობლემას ეხმიანება, ასევე მრავალი გამონათქვამი მეცნიერთა და სხვა დარგის ავტორთა მიერ, ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან.

[2] უფრო დაწვრილებით ჩვენს ნაშრომში ,, უქმი ეკონომიკა".

ზომიერების უგულებელყოფამ, მომხმარებლურმა განწყობამ და ქცევის პრაქტიკამ ბოლო პერიოდში სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა ,,მოწინავე" ეკონომიკის ქვეყნებში, კერძოდ, ე.წ. მომხმარებლური ცნობიერებისა და მომხმარებლური საზოგადოების ჩამოყალიბებამდე, რომელსაც თავისი თეორიული მეურვეებიც გამოუჩნდნენ.

მომხმარებლური საზოგადოება არის საბაზრო კანონების პირობებში ჩამოყალიბებული სოციალური უნივერსუმი, სადაც ბაზრის მომხმარებელზე ზემოქმედება გაყიდვების ზრდის, მოგების გადიდების მიზნით ბიძგს აძლევს უზომო მოხმარებას, მის სხვადასხვა ფორმას აკავშირებს მომსახურების, გართობის ფორმებთან (მაგალითად, შოპინგი სხვა). საბაზრო, ბიზნეს-ურთიერთობები აღვივებს უსაზღვრო მოთხოვნილებების, გონიერების თვალსაზრისით, ზედმეტი, უაზრო, ფუქსავატური, არაფრის მომცემი მოხმარების და დაგროვების სხვადახვა ფორმას. ამისთვის იყენებს მომხმარებელზე ზემოქმედებას. იგი საზოგადოებას აქცევს მომხმარებელთა მასად, უკანა პლანზე აყენებს შემოქმედებით საქმიანობას, ადამიანის ნამდვილ არსს; ადამიანის ცხოვრების აზრს ხედავს მოხმარებაში; მის ღირსებებს ზომავს მოხმარებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობით (ღირებულებით); აუბრალოებს ადამიანურ ღირსებებს, ამახინჯებს ადამიანს ზნეობრივად, ამძაფრებს ადამიანთა შორის დაუნდობელ კონკურენციას სამომხმარებლო სფეროში და, საერთოდ, ყველა ასპარეზზე, მათ დიფერენციაციას ცხოვრების დონის მხრივ; თიშავს საზოგადოებას; არღვევს, თავდაყირა აყენებს ადამიანურ ფასეულობათა სისტემას; საბოლოოდ, აკნინებს ადამიანის არსებას, ადამიანს კონფლიქტში აქცევს ბუნებასთან, ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან და ა.შ.

ეს ხარვეზები კარგადაა ცნობილი თეორეტიკოსთა და რიგით ადამიანთა გარკვეული წრეებისთვის, მაგრამ საზოგადოების გარკვეული დაინტერესებული წრეებისგან წინააღმდეგობასაც ხვდება და ფართო გავრცელებასაც პოულობს

ისევე, როგორც ბევრი სხვა უკეთურობა და საზიანო მოვლენა.

კეთილდღეობის ჭეშმარიტმა თეორიამ გზა უნდა გადაუღობოს მომხმარებლური საზოგადოების კონცეფციას, როგორც ადამიანურ ადამიანთა, ზომიერი მოხმარების, ზნეობრივი, სამართლიანი, ნამდვილად ცივილიზებული საზოგადოების ანტიპოდის მოდელს.[1] ამით ის თავის წვლილს შეიტანს მომავალი ბედნიერი ცხოვრების საფუძვლების შენებაში.

ზემოთ მოცემული მსჯელობებიდან გამომდინარე, შეიძლება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ შემდეგი ლოგიკური დასკვნების გაკეთება.

ჯერ ერთი, **მოთხოვნილებათა დიდი ნაწილი არ შეესაბამება ადამიანთა რეალური კეთილდღეობის ინტერესებს და მათი დაკმაყოფილება არის დიდი ცდომილება კაცობრირობის ცხოვრებაში:**

მეორე, მომავალი ნამდვილი ადამიანური ცხოვრებისთვის, ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობისთვის **აუცილებელია მოთხოვნილებათა გაფილტვრა (გაწმენდა) უაზრო და მავნე სახეებისგან, უარის თქმა შესაბამის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე:** ეს ორ შედეგს იძლევა:ადამიანთა დიდ ნაწილს, საზოგადოებას თავიდან ააცილებს ზედმეტ, არასასარგებლო და საზიანო მოხმარებას; ამავე დროს ამ დოვლათის წარმოებისთვის გამოყენებულ რესურსებს გადართავს გონივრული მოხმარებისთვის საგნებისა და მომსახურების წარმოებისკენ; ამით ადამიანთა დიდ რიცხვს, რომლებიც განიცდიან საარსებო საშუალებათა დეფიციტს, გაუჩენს საჭირო დოვლათს.

მესამე, აღნიშნულიდან გამომდინარე, **გამართლებულია შეწყდეს ადმიანისთვის მავნე ყოვლგვარი პროდუქტე-**

---

[1] ამაში ნათლად გვარწმუნებს მომხმარებლური საზოგადოების ჟ. ბოდრიარის, ჰ. მარკუზეს, ე. ფრომისა და სხვათა მიერ გაკეთებული ანალიზი.

ბის, უაზრო, ფუქსავატური საგნებისა და მომსახურების წარმოება და გასაღება, მათი წარმოების რესურსები უნდა გადაერთოს რეალური სიკეთისთვის საჭირო დოვლათის წარმოებაზე. ეს შეამსუბუქებს ბუნებაზე ადამიანების ზღვარსგადასულ დაწოლასაც.

ბანალური ჭეშმარიტებაა, რომ არავისთვის სასარგებლო არაა ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფიელება, როგორიცაა: თამბაქოს ნაწარმზე, ნარკოტიკებზე, ზედმეტ ალკოჰოლზე, პორნოგრაფიულ ლიტერატურაზე, აზარტულ თამაშებზე და მისთ. ასევე ნორმალური, განათლებული, მაღალზნეობრივი, სამართლიანი საზოგადოების პირობებში ზედმეტია ადამიანის მოსპობისა და დაშინების იარაღების წარმოების მოთხოვნილება და მისი დაკმაყოფილების აუცილებლობა. ამგვარ საზოგადოებაში არ იარსებებდა ე. წ. სამართალდამცავი ორგანოების საჭიროება და მისი დაკმაყოფილების აუცილებლობა, რაც კოლოსალურ მატერიალურ, ფინანსურ და ადამინისეულ რესურსებს შთანთქავს. ყოველივე ამის არსებობა ხომ საზოგადოების სიმახინჯეთა შედეგია!

ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეიცვლება ადამიანთა ცხოვრება, როცა იგი ზედმეტი მოხმარების ბარგისგან გათავისუფლდება, რომელიც მას აჰკიდა ისტორიამ, ცნობიერების ჩამორჩენამ, დაბალმა კულტურამ, შეძენილმა ზნეობრივმა მანკიერებებმა და ა. შ[1]. ეს სასარგებლო

[1] გარკვეული სიმართლე არის განმანათლებლების შეხედულებაში, რომ ადამიანები თავიდან ე.წ. ,,ბუნებრივ მდგომარეობაში“ თავისუფალნი იყვნენ ამ მანკიერებებისაგან, რაც მათი ბედნიერების ერთ-ერთი ძირითადი პირობა იყო. ძველი მოაზროვნეების, მ.შ ჰესიოდეს მოძღვრება კაცობრიობის ოქროს ხანიდან ბრინჯაოს ხანაზე, შემდეგ რკინისაზე გადასვლის შესახებ გვამცნობს, რომ ადამიანებმა ცივილიზაციის შედეგად ზნეობრივი დეგრადირება განიცადეს. ამ აზრს საინტერესოდ გამოთქვამს ჰორაციუსი: ,,რას არ გვიყვება დროის დამღუპველი რბოლა? ჩვენს ბაბუებზე უარესნი ჩვენი მამებია, ჩვენ მათზე უარესნი ვართ, ჩვენი შვილები ჩვენზე ცუდები“. ჰორციუსი. ოდები. III, 6.46-49. ეს აზრი ევრო-

იქნება იმათთვის, ვინც ზედმეტი მოთხოვნილების მატარებელი და ზედმეტის მომხმარებელია (დამგროვებელია), ასევე იმათთვის, ვისაც ამის გამო აკლდება საჭირო დოვლათი, მთელი საზოგადოებისთვისაც, რომელსაც ის დიდ მორალურ და მატერიალურ ზიანს აყენებს.

მაგრამ საქმე ამისათვის აუცილებელი **პირობების შექმნაშია. ცხადია, არ იქნება სწორი მათი ძალადობრივი მეთოდებით დანერგვა, როგორც ეს ხდებოდა ისტორიის სხვადასხვა დროს ახალი წყობის დამკვიდრებისას და ბოლო ხანებში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობათა ექსპანსიის შემთხვევაში. ეს უნდა მოხდეს ადამიანთა შეგნების, ცნობიერების შეცვლის საფუძველზე, მათი შინაგანი რწმენის მოქმედებით, ე. ი. თვით ადამიანთა მიერ მახინჯ მოთხოვნილებებზე და მოხმარებაზე (დაგროვებაზე) უარის თქმით.** გადამწყვეტი როლი მასში უნდა შეასრულოს მოწინავე იდეებმა, იდეოლოგიებმა, ლიტერატურამ, ხელოვნებამ, რელიგიამ, პოლიტიკამ, ხელისუფლებამ, მისმა ღონისძიებებმა, ჰუმანურმა აღზრდამ[1] (ცალკეული ადმინისტრაციული ზომებიც საჭირო შემთხვევაში შეიძლება საკმაოდ ეფექტიანი იყოს). დაძლეული უნდა იქნეს ყალბი (არა გონივრული) ,,ლიბერალური“ შეხედულებები, მერკანტილისტური აზროვნება[2], მეშჩანური ფსიქიკა, რომელთაც ყავლი გაუდის თვით ცხოვრების ლოგიკით.

პელმა განმანათლებლებმაც გაიზიარეს ახალი ინტერპრეტაციით, განსაკუთრებით ჟ. ჟ. რუსომ, რომელმაც ამ საკითხს მთელი გამოკვლევა მიუძღვნა. ზნეობრივი დეგრადირების ცალკეული ნიშნები ყოველ ეპოქაში შეიმჩნეოდა და მათ შორის ჩვენს დროშიც აშკარაა. მაგრამ საერთო პროგრესი უეჭველია.

[1] უნდა დავეთანხმოთ ი. კანტის აზრს, რომ ,,ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ექვემდებარება აღზრდას“.

[2] ამგვარი აზროვნების ზიანს საინტერესოდ ახასიათებდა ჯერ კიდევ ადამ სმითი: ,,მერკანტილიზმი სხვა არაფერია, თუ არა პროტექციონისტული შეცდომების ნაზავი, რომელიც ჩვენმა ვაჭრებმა და მრეწველებმა თავს მოახვიეს ,,გამყიდველ პარლამენტს“

კეთილდღეობის თეორიამ ნათლად და დამაჯერებლად უნდა ჩამოაყალობოს მოთხოვნილებათა ხასიათის, საზღვრების, შინაარსის, როლის მეცნიერული კონცეფცია და მიაწოდოს ის საზოგადოებას. სოციალური მეცნიერებებში, აღზრდის სფეროში ამ საკითხებმა უნდა დაიკავოს წამყვანი ადგილი.

თვით ისტორია ნათლად ადასტურებს ადამიანთა ცნობიერების ცვლილების ფაქტებს, ამასთან, მეტწილად პოზიტიური მიმართულებით. თუნდაც ბოლო წლეულების მანძილზეც დიდ პროგრესს აქვს ადგილი ადამიანის უფლებების, ძალადობის დაუშვებლობის, სამართლიანობის აუცილებლობის გაცნობიერების, ჰუმანური იდეების გავრცელების მიმართულებით. მართალია, ზოგიერთი ნეგატიური ტენდენციის მომძლავრებაც შეიმჩნევა (ტერორისტული და კრიმინალური, მომხრებლური ცნობიერების გავრცელება და სხვა), მაგრამ კაცობრიობას გააჩნია ზნეობრივი და ინტელექტუალური რესურსი პოზიტიური ტენდენციების გამარჯვებისთვის.

და ემყარება უმარტივეს წარმოდგენას, რომ სიმდიდრე არის ფულის ფლობა.“

3. რა მიგვიყვანს საყოველთაო კეთილდღეობამდე?

Глупое сердце, не бойся,
все мы заражены счастьем.[1]
Сергей Есенин

კეთილდღეობაზე მსჯელობისას უპირველესად მის წყაროდ უნა განიხილოს ბუნების მიერ მოწოდებული სიკეთენი – მზის სინათლე, ენერგია, სითბო, ასევე, წყალი, სუფთა ჰაერი, წიაღისეული, მცენარეთა და ცხოველთა სამაყაროს პროდუქტები და ა.შ.. ისინი სრულიად უანგაროდ ფასგადაუხდელად (მუქთად) ეძლევათ ადამიანებს დედაბუნებისგან. ასევე ბუნების ფასგადაუხდელი წყალობაა ადამიანებისთვის ფიზიკური სიჯანსაღე, ნიჭი, სილამაზე, სათნოება და ა.შ. ყოველივე ეს მათი კეთილდღეობის უშრეტი წყაროა, ბედნიერების მიზეზია. გაუგებარია რატომ, მაგრამ ყოველივე ეს, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი ,,გამორჩა" ეკონომიკურ თეორიას, საერთოდ, და კეთილდღეობის თეორიას, კერძოდ.

მხოლოდ ფიზიოკრატებიდან დაიწყო ადამიანთა ცხოვრებაში ბუნების როლის შეფასება, მაგრამ ეს იყო მისი არასრული განხილვა სიმდიდრის შექმნის თვალსაზრისით. მართალია, ადამიანთა ცხოვრებაში ბუნების მნიშვნელობაზე დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა შემდეგაც შეიქმნა, მაგრამ კეთილდღეობის ეკონომიკური თეორიის საკითხებს ისინი არ ეხება. აუცილებელია ეს დიდი ხარვეზი გამოსწორდეს. **საჭიროა აიხსნას მათი როლი და ადგილი ადამიანთა კეთილდღეობაში, თავისებურება, განსხვავება სხვა წყაროებისგან, განსაკუთრებით უსასყიდლო (მუქთი) ხასიათი.** აქ ამ საკითხის ზოგიერთ ასპექტზე შევჩერდებით .

---

[1] გულო, სულელო! ნუ გეშინია, ჩვენ ყველანი ხომ ბედნიერებით ვართ შეპყრობილნი!

ჯერ ერთი, ესაა კეთილდღეობის ბუნებრივად კვლავწარმოებადი, უმთავრესად განახლებადი წყაროები;

მეორე, როგორც აღინიშნა, ისინი ფასგადაუხდელია, ძღვენია ბუნებისგან, რის გარეშე კეთილდღეობის სხვა ანთროპოგენური წყაროები ვერ შეიქმნებოდა, საერთოდ, ადამიანთა არსებობა შეუძლებელი იქნებოდა;

მესამე, მათი დიდი ნაწილი არაა ეკნომიკური ურთიერთობის საგანი, გაუყოფადია, კერძო მითვისების ობიექტი არ შეიძლება იყოს, არ შეიძლება გადადიოდეს ხელიდან ხელში, მითვისებული იყოს ძალადობრივი მეთოდებით.

მეოთხე, ისინი უმეტესად შეუცვლელია;

მეხუთე, მათი რაოდენობა და თვისებები ნაკლებადაა დამოკიდებული ადამიანებზე.

კეთილდღეობის წყაროთა მეორე დიდი ნაწილი ადამიანთა მიერაა შექმნილი, ანთროპოგენურია. ამასთან, მათი შექმნა ხდება ბუნებისა და წარსული თაობების, მთელი ისტორიული განვითარების პროცესის დახმარებით. ადამიანთა კეთილდღეობის ცვლილება (ამაღლება) დამოკიდებულია მათ მოღვაწეობაზე, მათ მიერ ბუნებისა და ისტორიული მემკვიდრეობის გამოყენებაზე. უეჭველია, რომ **არსებობს მაღალი კორელაცია ამ დოვლათსა (სიმდიდრესა) და ადამიანთა კეთილდღეობას შორის.** მის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა მზარდ საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ფიზიკური და სულიერი განვითარება. მხოლოდ პირველყოფილ მდგომარეობაში ცხოვრობდნენ ადამიანები ბუნების მზა პროდუქტებით. კეთილდღეობის დონის ამაღლება განპირობებულია დოვლათის წარმოების გადიდებით, თუმცა არა პირდაპირპროპორციულად. ცხოვრებით ტკბობა, სიამოვნება არასრულად, მაგრამ მნიშვნელოვანწილად ემყარება შექმნილი დოვლათის რაოდენობას, სახეობებს, შესაბამისობას ადამიანთა მოთხოვნილებებთან.

მაშასადამე, **კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის სახით წარმოგვიდგება შრომა**, რომელიც დოვ-

ლათის შექმნის ერთ-ერთი, მაგრამ წამყვანი ფაქტორია, რომელიც იყენებს სხვა ფაქტორებს. ამასთან შრომის როლი კეთილდღეობაში ამითაც არ ამოიწურება. იგი არის ადამიანის თვითრეალიზაციის, განვითარების, სიამოვნების, შექმნილი პროდუქტით ტკბობის წყაროც.[1]

აქვე უნდა ღინიშნოს ეკონომიკური დოვლათის კვლავწარმოების პროცესში **მემკვიდრეობითობის, მიღწეული დონის** მნიშვნელობა. ყოველი მოქმედი თაობა დოვლათის შექმნის პროცესში იყენებს წინა თაობათა მიერ გადმოცემულ ცოდნას, გამოცდილებას, ტექნოლოგიურ მიღწევებს, ძირითად ფონდებს (წარმოების საშუალებებს). საქმიანობას იგი იწყებს და აგრძელებს გარკვეული საფეხურიდან, რომელზეც წინაპრები ავიდნენ. ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერებისთვის, რის გარეშე ადამიანებს თავიდან უნდა დაეწყოთ ყველაფერი, იქნებოდა თითქმის ერთ ადგილზე ტკეპნა. მაშადასამე, **კეთილდღეობის პირობათა დიდი ნაწილი დევს ისტორიის გავლილი გზის შედეგებში, წინაპართა ნამოღვაწარში.** ამ მომენტის გვერდის ავლა სრულიად გამართლებულია. იგი უნდა აისახოს კეთილდღეობის თეორიაში, საერთოდ, ეკონომიკურ თეორიაშიც. [2]

დოვლათის წარმოება კაცობრიობის ისტორიაში **კოლოსალურად გაიზარდა სწორედ ადამიანთა შრომის, შე-**

---

[1] ამის შესახებ საინტერესოა უძველესი ხანის საბერძნეთის, ერთ-ერთი პირველი პოეტისა და ფილოსოფოსის ჰესიოდეს (ძვ. წ.ა. მერვე-მეშვიდე საუკუნები) პოემიდან ადგილი: ,,ხედავს ზარმაცი, რომ მის ახლოს სხვა მდიდრდება, თვითონაც აჩქარდება, რომ დათესოს და ააშენოს სახლი, მეზობელს ეჯიბრება, რომელიც სიმდიდრისაკენ გულით მიილტვის“. „...შრომა ადამიანებს ჯოგსაც გაუჩენს და ყველა დოვლათს. თუ იშრომებ, იქნები უფრო კეთილი. უსაქმურები როგორც ღმერთების, ისე ადამიანებისთვის უკეთურნი არიან. არაა არავითარი სირცხვილი შრომაში, სირცხვილია უსაქმურობა.“ ჰესიოდე. ,,დღეები და შრომები“.

[2] იხ. აგრეთვე ჩემს შრომებში: ,,მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია “, ,,სოციალური ენერგია “.

მოქმედებითი საქმიანობის, გამოცდილებების დაგროვების, განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განვითარების შედეგებისა და შემოქმედებით-გამომგონებლური (კრეატიული) უნარის კუმულაციის წყალობით. მის შედეგად სოციალური ენერგია თოვლის ზვავის წესით იზრდება**. ამ მოვლენას ისტორიის კუმულაციური ეფექტი შეიძლება ვუწოდოთ.** ნათქვამის დასტურია შემდეგი მონაცენმები მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების სიმდიდრის ზრდის შესახებ. მე-20 საუკუნეში მთლიანი მსოფლიო რეალური პროდუქტი გაიზარდა 23,5-ჯერ.[1] 1940-2012 წლებში 3-ჯერ და შეადგინა 71,7 ტრილიონი ა შ შ დოლ.[2] 1994-2012 წლებში ჩინეთის მ შ პ გაიზარდა 4,1-ჯერ, ინდოეთისა – 4,3-ჯერ, ეკვატორული გვინეის – 34,4-ჯერ, ანგოლის – 17,7-ჯრ, აზერბაიჯანისა – 15,1-ჯერ, ინდონეზიის – 9,2-ჯერ, ყაზახეთისა – 9,1-ჯერ, და ა.შ.[3] სხვადასხვა ტემპით, მაგრამ მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც აღემატებოდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდას. ამის შედეგად ერთ მხცოვრებზე გაანგარიშებით მსოფლიოში წარმოებული პროდუქტები და მომსახურება 1940-2012 წლებში მიმდინარე ფასებით გაიზარდა დაახლოებით 4.74-ჯერ, შესადარი ფასებით (რეალურად) 3-ჯერ[4]. ცალკეულ ქვეყნებში ზრდის მაჩვენებლებს განაპირობებდა ბუნებრივი რესურსების ინტენსიური გამოყენება, ადრე მიღწეული დონე, ეკონომიკური, ინსტიტუციური ფაქტორები და ა.შ. შექმნილი სიმდიდრის ზრდამ მსოფლიოში 10 წელიწადში შე-

---

[1] fastcerter.ru/smenshikov/Glava2015 html

[2] www hotel.ludvig.net

[3] knivy.livejurnal.com /30676html

[4] გაანგარიებულია cbonds.ru/news/litem/597175 ის და http://developmentgoals. wordpress.com მონაცემების მიხედვით.

ადგინა 64 %, და 2013 წელს მიაღწია 241 ტრილიონ აშშ დოლარს. [1]

ზრდის ამგავრი ტემპები და დაგროვილი სიმდიდრე წარმოადგენს სასტარტო ბაზას მომავალში მისი შემდგომი გადიდებისთვის. შვეიცარიული ბანკის Credit Suiss-ს მიერ ნავარაუდევია 2014 წლისთვის მსოფლიოს სიმდიდრის 1,4-ჯერ გაზრდა, რის შედეგად იგი მიაღწევს 334 ტრილიონ ა შ შ დოლარს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, 2018 წელს მსოფლიოს მთლიანი პროდუქტი 1940 წელთან შედარებით გაიზრდება 9,4-ჯერ 111,1 ტრილ ა შ შ დოლარამდე.[2]

ამასთან, პრაქტიკა ადასტურებს, რომ დამოკიდებულება **დოვლათის რაოდენობასა (წარმოებასა) და საყოველთაო კეთილდღეობას შორის რთულია.** დოვლათი და კეთილდღეობა ერთნაირად არ იზრდება, ერთმანეთს სცილდება, კერძოდ, **საერთო კეთილდღეობა, როგორც წესი, ჩამორჩება დოვლათის წარმოებას.** ეს უარყოფითი მომენტი კეთილდღეობის ამაღლებაში, **სწორედ უქმი ეკონომიკის არსებობასთანაა პირდაპირ დაკავშირებული.**

კეთილდღეობის ეკონომიკური ზრდისაგან დაცილება შეიძლება გამოვთვალოთ მთელი შექმნილი რეალური დოვლათისა და რაციონალური მოხმარების თვალსაზრისით მისი დანაკარგების (რეალურ სოციალურ სიკეთეში არატრანსფორმირებული დოვლათის) მონაცემების საფუძველზე შემდეგი ფორმულით:

$$Dt\ I = D\ p - (P1 + P2 + P3 + P4 + P\ 5) / Dp,$$

სადაც: Dti არის ეკონომიკური დოვლათის სოციალურ სიკეთეში ტრანსფორმაციის კოეფიციენტი, Dp – შექმნილი რეალური დოვლათი: P 1 ,P2 , P3 , P4 , P5 – შესაბამისად: ადა-

[1] ru .evronews.com

[2] cbonds.ru/news/litem/597175

მიანებისათვის ზიანის მომტანი პროდუქტები (თამბაქოს ნაწარმი, ნარკოტიკები და სხვ.), რომლებიც გამოიყენება მახინჯი მოხმარებისათვის; ადამიანთა და ნებისმიერი დოვლათის მოსპობის იარაღები, რომლებიც ადამიანთა ჰუმანური ურთიერთობის პირობებში ზედმეტი იქნებოდა; ფუჭად, არარაციონალურად მოხმარებული თუ დაგროვილი დოვლათი (სიმდიდრე, პროდუქტები), რომელსაც რეალური სარგებლობა არ მოაქვს ადამიანებისთვის (ფუფუნების და ფუქსავატური მოთხოვნილების საგნები); პროდუქტების გაფუჭება და სხვა პირდაპირი დანაკარგები; ეკოლოგიური ზიანი.[1]

ადვილი გასაგებია, რომ ამ დანაკარგების გამო საყოველთაო კეთილდღეობა ბევრად სცილდება (ჩამორჩება) ეკონომიკური დოვლათის (სიმდიდრის) ზრდას. მსოფლიოს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მონაცემებით, მხოლოდ სასურსათო პროდუქტების დანაკარგები მოხმარების პროცესში, შეადგენს დაახლ. ერთ მესამედს. სავარაუდოა, რომ სხვა მოხმარების საგნების არარაციონალური გამოყენების დანაკარგების მაჩვენებელი უფრო მაღალიცაა. კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანები ბევრ რამეს იძენენ საჭიროზე ზედმეტად, არ იყენებენ ან იყენებენ მხოლოდ ნაწილობრივ, განსაკუთრებით უზრუნველყოფილი ინდივიდები. ისინი პრესტიჟის, გამორჩეულობისთვის, ფუჭი მიზნებით ზედმეტ დოვლათს, ფუფუნების საგნებს იძენენ (სიმდიდრეს აგროვებენ). არაკეთილმოსურნეობის გამო იძულებითი სამხედრო აგრესიის თუ თავდაცვის, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხარჯები სავარაუდოდ მსოფლიოში შექმნილი პროდუქტის 10%-მდეა. ყოველივე ეს კეთილდღეობის შესაძლო დონის (პოტენციალის) შემცირებად უნდა ჩაითვალოს. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, კი იგი

[1] იხ. გ.მალაშხია. ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის დაცილების მიზეზები. შრომების კრ. ,,პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. “თბილისი. 2013.

წარმოგვიდგება კეთილდღეობის რესურსად, თუ მისი გამოყენება ამ მიზნით შესაძლებელი იქნებოდა.

აღნიშნულ მომენტს ყურადღება უნდა მიაქციოს კეთილდღეობის თეორიამ, საერთოდ, მეცნიერებამ.

ამასთან, უტყუარი ფაქტია, რომ მოფლიოში დოვლათის (სიმდიდრის) ზრდა იყო და რჩება ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლების მნიშვნელოვან ფაქტორად. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ დოვლათის ზრდამ შეუწყო ხელი **ადამიანთა სიცოცხლის გახანგრძლივებას**, ჯანმრთელობის განმტკიცებას და საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფას, ასევე სხვა ისეთი პირობების შექმნას, როგორიცაა: განათლების, კულტურის დონის ამაღლება, საერთოდ, ჯანსაღი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საერთო გაუმჯობესება. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მაგალითად, გაიზარდა მეოცე საუკუნის დასაწყისის 30 წლიდან 67 წლამდე .[1]

მაგრამ წარმოების ზრდას ახლდა სხვა უარყოფითი მომენტებიც: ბუნებრივი გარემოს გაუარესება, ადმიანთა უთანასწორობის ზრდა სხვადასხვა კუთხით, მათ შორის ქონებრივი თვალსაზრისით მეტისმეტი უთანასწორობის გაღრმავება. აქედან გამომდინარე, შეინიშნება ადამიანთა უფლებრივი, ცხოვრებით უკმაყოფილების გამწვევება და ა.შ. მაშასადამე, ეს ფაქტორი არარაციონალურ, უქმ მოხმარებასთან ერთად, ამცირებს კეთილდღეობას მორალური (უსამართლობის განცდა, სოციალური დისკომფორტი) ასპექტით. გაეროს სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამის ხელმძღვანელის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1990-დან 2010 წლამდე მსოფლიოში უთანასწორობის მასშტაბები გაიზარდა

[1] globalist.org.ua/novosti/world.by ცივილიზაციის დასაწყისში იგი, არსებული მონაცემებით, შეადგენდა მხოლოდ 20 წელს. ეს მიუთითებს ადამიანის ბიოლოგიური მონაცემების შენარჩუნებისათვის თვით მის მიერ შქმნილი ცხოვრების პირობების მნიშვნელობაზე.

11 %-ით განვითარებად და 9 %-ით განვითარებულ ქვეყნებში. თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის 1 %-ზე მოდის მთელი სიმდიდრის 40 %. (110 ტრილინი დოლ). მოსახლეობის 75 % 2010 წელს ცხოვრობდა უფრო მეტი უთანასწორობის პირობებში, ვიდრე 1990 წელს.[1] მაშასადამე, მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად ადგილი აქვს გაუარესებას, ე.ი. კაცობრიობა ამ მხრივ პროგრესის კი არა, რეგრესის გზით მიდის.

უთანასწორობის ყოველგვარ ზღვარს გადასული ფაქტები გვხვდება შრომის ანაზრაურებისა და შემოსავლების განაწილების სფეროში. ცალკეული ადმიანები ყოველწლიურად იღებენ კოლოსალურ ანაზღაურებას (შემოსავლებს), რომლებიც ათასობით და ათეული ათასობითაც აღემატება რიგითი ადამიანების საშუალო წლიურ, ხოლო ას და მეტ ჯერაც ნობელის პრემიის ლაურეატების ერთჯერად შემოსავალს. იგი სრულიად შეუსაბამოა საზოგადოების დოვლათის შექმნაში მათ მიერ შეტანილ წვლილთან. (ეს, ცხადია, ხდება არა ამგვარი შემოსავლების მიმღები სუბიექტების ნებასურვილის და მცდელობის მიზეზით). აქ კონკრეტულ მონაცემებს არ მოვიტან, ისინი მრავლადაა მეცნიერულ და საინფორმაციო გამოცემებში. ეს ეხება შოუბიზნესის, საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმომადგენლების, ტოპმენეჯერების, მეწარმეობის წარმომადგენლების და სხვათა შემოსავლებს.

გარკვეული წრეების წარმომადგენელთა ამგავრი შემოსავლები განპირობებულია არსებული საზოგადოებრივი გარემოთი, საბაზრო მექანიზმის მოქმედებით, განაწილებით

[1] swissinfo.ch29 იანვარი, 2014 წ. ამგვარი მონაცემები მრავლადაა ცნობილი, რაც არსებული მდგომარეობის საგანგაშო ხასიათს ადასტურებს, რაზეც აუცილებელია ყველამ ზარები შემოვკრათ!

ურთიერთობათა ისტორიული მანკიერებით და სხვა.[1] ასეთი სურათის არსებობისას ვინმე იტყის, რომ თანამედროვე მსოფლიო სოციალური წესრიგი შეესაბამება ჰუმანური განვითარების მოთხოვნებს, ადამიანთა საერთო მიუკერძოებელ ინტერესებს ?

ცხოვრებით კმაყოფილებისა და სიუხვის ურთიერთკავშირი არ ხასიათდება მაღალი მაჩვენებლით, რაც ზემოთ იყო წარმოდგენილი გაეროს მონაცემების მიხედვით. ამრიგად, **ტყუვდებიან ისინი (ადამიანები და ხალხებიც), ვინც კეთილდღეობას პირდაპირ მატერიალური დოვლათის სიუხვეში ეძებს.** ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ დავაკნინოთ მატერიალური პირობების უშუალო და გაშუალებული როლი კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. **ფაქტია ამ როლის შეფარდებითი (არამატერიიალურ სიკეთეებთან შედარებით) კლებადობაც.**

კეთილდღეობის თეორიამ პირდაპირ უნდა ამცნოს საზოგადოებას, თუ რა **არ უნდა ვაწარმოოთ იმის გამო, რომ ის არაა კეთილდღეობის რეალური წყარო ან მავნებელია ადამიანებისთვის** და ამდენად მისი მოხმარება მიზანშეუწონელია. საზოგადოებამ ბევრი რამ ამის შესახებ თავადაც იცის, მაგრამ მეცნიერეულ დონეზე მისი ღრმად გაცნობიერება ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრას. ამას ბაზარი არ დაუჯერებს, მას ეს არ ,,აწუხებს", მაგრამ **ბაზარი უნდა ,,მოითოკოს" ადამიანთა გონიერებით, შეიზღუდოს.** განა სადავოა, რომ გონივრულია შეწყდეს თამბაქოს ნაწარმის, არასასარგებლოდ გამოყენებადი ნარკოტიკების წარმოება, ადამიანთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის გამრყვნელი პორნოგრაფიული ლიტერატურის შექმნა და გამოცემა, უაზრო გასართობების მოწყობა. ადამიანთა მოხმარებიდან უნ-

[1] შემოსავლების განაწილების მექანიზმის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენი ,, მოგების მეტათეორია. ახალი ხედვა." თბილისი 2012.

და ამოვარდეს უაზრო (ფუქსავატური) ფუფუნების საგნები, მაშასადამე, წარმოებაც. ყოველივე ეს ხომ მხოლოდ მახინჯი მოთხოვნილებებისა და ბიზნესის მოგების ინტერესებს ემსახურება და არა ადამიანების სიკეთეს.

არ ვამბობთ, რომ ყველაფერი ეს ძალადობით უნდა გაკეთდეს, მაგრამ უნდა მოინახოს შესაბამისი საშუალებები და ერთ დროს უნდა გაკეთდეს! ამას უთუოდ მიაღწევს ცივილიზებული საზოგადოება. როგორც ვხედავთ, ეს ეხება თანამედროვე წარმოების ერთობ დიდ ნაწილს, რაზეც უზარმაზარი რესურსები იხარჯება. ისინი კი, როგორც ითქვა, შეიძლებოდა ადამიანთა საარსებოდ აუცილებელი დოვლათის შექმნისკენ მიგვემართა.

ამჟამად ბევრმა იცის, თუ რომელია ამგვარი პროდუქტები, მაგრამ **მას აწარმოებს, რადგან ეს მისთვის სარფიანია. ეს, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, მომხმარებელთა არარაციონალურობის, არაგონიერების გამო მათზე მოთხოვნილება არსებობს.** ის დაკავშირებულია ადამიანთა ყალბ წარმოდგენასთან კეთილდღეობის შესახებ, მათ გაუკუღმართებულ მოთხოვნილებებთან, ცდუნებებთან, **ინტერესებთან. საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს წარმოების ადამიანთა ჯანსაღი მოთხოვნილებებისადმი და არა უაზრო, საზიანო მოთხოვნებისადმი შესაბამისობის პრობლემა.** ამით გადაწყდება უქმი ეკონომიკის ლიკვიდირების ამოცანაც. ფსევდო კეთილდღეობის, ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვებისაგან ადამიანთა გათავისუფლება **მათი თავისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება.**

ადამიანთა კეთილდღეობაზე როცა მსჯელობენ, ი.ბენტამიდან მოყოლებული, განსაკუთრებით უსვამენ ხაზს **სიამოვნებას**, მისი მიღების სიკეთეს ადამიანებისთვის, მაგრამ აქაც არაა დაკონკრეტება, თუ რა სიამოვნებაა სასარგებლო

და რა არა. კეთილდღეობასთან დაკავშირებით ამ მომენტის უგულებელყოფა შემეცნების უეჭველი ხარვეზია.[1]

საკითხის ასე დასმა არ ნიშნავს სიამოვნების, როგორც ადამიანის მიდრეკილების, მოქმედების მოტივაციის, როლის დაკნინებას ან უარყოფას. ეს მიდრეკილება და მოტივაცია ადამიანის ბუნებრივი თვისებაა, თანმხლებია და მისი გამორიცხვა უაზრობაა. სიამოვნებას ადამიანის ცხოვრებაში, არსებობის წესში დიდი ადგილი უკავია. ფსიქოლოგები გვკარნახობენ, რომ სიამოვნებას მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია. კერძოდ: წარმოქმნის დადებით ემოციებს და ფსიქოთერაპიულ ეფექტს, კურნავს ფსიქიკურ დაავადებებს; პოზიტიურ გავლენას ახდენს ადამიანის განწყობაზე, აძლიერებს მის ყურადღებას ცხოვრების პოზიტიურ მხარეზე და აღვივებს ოპტიმიზმს; კარგი განწყობა ხელს უწყობს ადამიანის შემოქმედებით აქტივობას, ასტიმულირებს წარმატებებისკენ სწრაფვას და აადვილებს მის მიღწევას; განაპირობებს ადამიანთა შორის ჯანსაღი და თბილი ურთიერთობის არსებობას და სხვა.

სიამოვნებას კმაყოფილების უმაღლეს ხარისხად განიხილავენ. ეს, ერთი მხრივ. მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ მისი მეორე მხარე. ესაა მახინჯი ჰედონიზმისკენ სწრაფვა. სიამოვნების ამ მხარეს უდიდესი ზიანი აქვს მიყენებული

---

[1] სიამოვნებისა და ტანჯვის, როგორც ადმიანთა მოქმედების, ანუ იმისი მოტივაციის საფუძველის გამოთვლის საკითხი, თუ რა უნდა აკეთოს და არ აკეთოს ადამიანმა, რომ ბედნიერებას ეწიოს, ფართოდ ი. ბენტამმა წამოსწია. მანამდეც ადამიანის ცხოვრებაში სიამოვნებისა და ტანჯვის შესახებ სხვადასხვა დროის ფილოსოფოსებიც მსჯელობდნენ, ძველი ბერძნებიდან მოყოლებული და სხვა. მას შემდეგ ადამიანები და მათი მოთხოვნილებები ბევრად შეიცვალა, უფრო ფართოდ გავრცელდა ყალბი, მახინჯი და გაუკუღმართებული სიამოვნება, რაც ყოველთვის ახლდა ადამიანთა ცხოვრებას. კვლავ ხაზს ვუსვამ, რომ აუცილებელია მოთხოვნილებებზე და სიამოვნებაზე ზოგადი მსჯელობა კონკრეტულითა და დეტალურით შეიცვალოს სარგებლობის და არა სარგებლიანობის ცნებების მიხედვით.

ადამიანებისა და მთელი კაცობრიობისთვის. მის გამო მრავალი მსხვერპლია გაღებული ინდივიდებისა და ხალხების მიერ. ჰედონიზმის ფილოსოფიის მამამთავარი ეპიკურე ყოვლგვარ სიამოვნებას კი არ მიიჩნევს ბედნიერების საფუძვლად, არამედ ეთიკურს, გონივრულსა და ობიექტურს. გასაგები უნდა იყოს, თუ რა იგულისხმება ამაში. რა თქმა უნდა, ის სიამოვნება არა, რაც გამანადგურებელია ბიოლოგიურად თუ სულიერად, წუთიერ განცდას ადამიანის ფიზიკურ და სულიერ სიჯანსაღეს შესწირავს. საუბედუროდ, კი ეს იშვიათი როდია ადამიანთა ცხოვრებაში.

მიდგომა, რომელიც ასე დიფერენცირებულად არ განიხილავს სიამოვნებას, მიუღებელი და გაუმართლებლია. ბევრის დარწმუნება, რომ თითქოს ყოველგვარი სიამოვნება გამართლებული და მისაღებია, საფრთხის შემცველია. ფსევდოკეთილდღეობის აპოლოგეტ ლიბერალებს აქაც ვერ დავეთანხმებით, როგორც არ ეთანხმება საკაცობრიო სიბრძნე. ,,დაკმაყოფილებაში ზედმეტობა თავგასულობაა. ის დასაგმობია.“ (არისტოტელე). ,,სიამოვნებისგან ხელის აღებას სჯობს იცოდე ზომიერება ყველაფერში“(ჟ. ჟ. რუსო):

მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს სიამოვნების სასარგებლო და საზიანო სახეებისა და ზომის დადგენა უჭირთ. მას აქვს მაცდური ძალა, მისი მავნეობა აღიქმება სასარგებლოდ ან კიდევ ადამიანები ვერ აღწევენ თავს საზიანო ჩვევებით სიამოვნებას, რისი მარტივი მაგალითია თამბაქოს ნაწარმით, ალკჰოლით, ნარკოტიკებით, უზომო და უქმი სიმდიდრით, დროის უქმად გატარებით ტკბობა და ა.შ. ყალბისა და სასარგებლოს გამიჯვნა, როგორც ბევრ სხვა რამეში, არაა ცალკეული ადამიანისთვის ადვილი.

ეს ყოველივე უდიდესი ზიანია ადამიანებისთვის, რაც ამცირებს კეთილდღეობას, როგორც დიდი საფრთხის შემცველი, მოითხოვს გამძაფრებულ ყურადღებას. მაგრამ, ერთგვარ პარადოქსად წარმოგვიდგება, რომ **კეთილდღეობის თეორია ამ საკითხს გვერდზე ტოვებს, ხოლო საზოგადო-**

ებრივი პრაქტიკაც სათანადო ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა კეთილდღეობის თეორიამ ადგილი დაუთმოს სიამოვნების ფაქტორს, მაგრამ მისი ხასიათის, გონივრულობის გათვალისწინებით, რაც ადამიანთა სწორი ცობიერებისა და ქცევის მნიშვნელოვან მომენტად გვევლინება.[1]

წარმოების საშუალებები, რომლებიც უქმი სიამოვნებისთვის, ცრუ კეთილდღეობისთვის საჭირო საგნების შესაქმნელად მოიხმარება, რესურსების ზედმეტ დანახარჯად, დანაკარგად წარმოგვიდგება. ეს, ერთი მხრივ. მეორე მხრივ, ისინი შეიძლებოდა მიმართული ყოფილიყო დეფიციტური პროდუქტების წარმოებისაკენ. [2]

კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი **დოვლათის განაწილების სამართლიანობის ხარისხია. სამართლიანობაში ვგულისხმობთ იმას, რა აზრიც მასში დიდი ხნის წინ ფილოსოფოსმა პლატონმა ჩადო: ყველას მიერ იმისი მიღება (დოვლათის, თანამდებობის, ჯილდოსი და სხვა), რაც ეკუთვნის** [3]. სიკეთეთა განაწილებისას ადგილი აქვს კანონიერ (სამართლებრივი ნორმებით განმტკიცე-

---

[1] დღეს ჩვენ ეპიკურეს, ჯონ მილის ან ზიგმუნდ ფროიდის ეპოქაში არ ვცხოვრობთ, რომ გვიჭირდეს ჭეშმარიტების დადგენა, თითქოს უფრო ახლოს უნდა ვიყოთ მასთან, მაგრამ ადამიანები სიამოვნების არსის გარკვევისას უფრო მეტად ჩაეფლნენ ცდომილებაში, რომელიც მისკენ უთავბოლო ლტოლვას აძლიერებს და ცხოვრების დიდი დაბრკოლებადაც იქცა. **საჭიროა ადეკვატურად გავიგოთ ეპიკურე, რომელიც გვმოძღვრავს: „როდესაც ვამბობთ, რომ სიამოვნება არის სუვერენული სიკეთე ჩვენ არ ვფიქრობთ აღვირახსნილთა, გარყვნილთა სიამოვნებებზე თუ ფიზიკურ სიამოვნებებზე... სიამოვნება, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ არის ფიზიკური ტკივილის და სულიერი მღელვარების განუცდელობა.»**

[2] დეფიციტი აქ გაგებულია არა როგორც საბაზრო მოთხოვნის მიმართ საქონლისა და მომსახურების ნაკლებობა, როგორც ეს ესმით ეკონომიკის თეორეტიკოსებს, არამედ ჯანსაღი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო პროდუქტების უკმარობა.

[3] Платон. Соч.Т.3. Ч.1 . М., 1971. С. 9.

ბულ), ასევე უკანონო, კრიმინალურ მითვისებას. ამასთან, **თვით კანონიერში არსებობს სამართლიანი და უსამართლო მითვისება. სამართლიანია ის, რაც კუთვნილია, სუბიექტის მიერ დოვლათის შექმნაში შეტანილი წვლილის შესაბამისია. კანონიერი, მაგრამ უსამართლოა ის, რაც ამაზე მეტადაა მიღებული, როცა თვით კანონი არაა სამართლიანი.** ეს უსამართლობა დღემდე ისტორიულადაა დამკვიდრებული არსებულ სინამდვილეში, ცხოვრების ერთ-ერთი სიმახინჯეა. იგი განვითარების, ცივილიზებულობის არასაკმარის დონეს, არასწორ ცნობიერებასა და წესებს, სუბიექტთა არასწორ ქცევებს ემყარება. მეტწილად განაწილების სამარლიანობის საკითხი გამრუდებულადაა ასახული ადამიანთა ცნობიერებაში, მასზე წარმოდგენა დამახინჯებულია. სამართლიანობა ურთულესი ფენომენია, თანაც ისტორიულმა პროცესმა დაამკვიდრა მისი რთული ხასიათი. **შექმნილი დოვლათის მითვისება დასაბამიდან დასცილდა დამსახურების (ობიექტურად კუთვნილის) კრიტერიუმს, დაემყარა აშკარა თუ ფარულ ძალადობას, მოხერხებას (ვინ როგორ შეძლებს ხელთ იგდოს იგი). ეს წესი თანდათან გარკვეული ზომით კარგავდა ძალას, მაგრამ იგი კვლავ მოქმედებაშია. მას, ისევე როგორც ადრეულ ეპოქებში, უსამართლო კანონები უმაგრებს ზურგს. ამდენად უსამართლო განაწილება „კანონიერი“ ხდება. უსამართლობა ადამიანთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს სფეროში (დოვლათის განაწილებაში) გარკვეული ზომით დაკანონებულია თანამედროვე სინამდვილეშიც.**

ამის დასტურად შეიძლება მრავალი ფაქტი მოვიტანოთ, მაგრამ თეორიული მსჯელობით შემოვიფარგლებით. პირველ რიგში დავიმოწმებთ ავტორიტეტულ ავტორებს. პ. სამუელსონისა და უ. ნორდჰაუზის თვალსაზრისით, თანამედროვე საზოგადოებაში, მათ შორის განვითარებულ ქვეყნებში ,,ზოგიერთები არიან ძალიან ღარიბები და არა თავიანთი მიზეზით, სხვები ძალიან მდიდრები, მაგრამ არა მათი

დამსახურებით“.[1] მწერალი ბერნარდ შოუ ნათლად აღიქვამდა განაწილების წესის უკუღმართობას, როცა მიღებული სიკეთე და მისი მიღების საუძველი ერთმანეთთან თანხვედრაში არაა: ,,ყველაზე დახვეწილი ფიზიკური და ზნეობრივი ღირსებები ვერ გაამართლებენ სოციალურ ცოდვას მოხმარებაში მონაწილეობას მის წარმოებაში მონაწილეობის გარეშე.“ ეს წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოცემული წესი ფართოდაა გავრცელებული დღევანდელ სინამდვილეში .[2] ცხადია, ეს ეხება საერთო წესს და არა გამონაკლისს, როცა მომხმარებელს არ აქვს უნარი წარმოებაში იყოს ჩართული. მაგრამ მწერლის მიერ სავსებით სწორად გამოხატული წესი, რომ მოხმარებაში მონაწილეობა უნდა ნიშნავდეს წარმოებაში მონაწილეობას, ერთი დავამატებთ: “შესაბამისი ზომითაც“, სრულიად გვერდზეა გადადებული სინამდვილეში.

ადამიანები ჩვეულებრივ ცდილობენ მიიღონ რაც შეიძლება მეტი და სულაც არ დაგიდევენ იმას, თუ რა ეკუთვნით სამრთლიანობის მიხედვით, რას იმსახურებენ, თავად რა შეუქმნიათ. სწორედ ეს დამოკიდებულება განაწილების მიმართ არის ერთ-ერთი ის მიზეზი, რაც მათ ქცევას ამრუდებს. მისი შეცვლა ძირეული გზათაგანია სამართლიანობისკენ, მაგრამ იგი რთულია, მრავალი წინააღმდეგობა ხვდება – ადამიანთა დაბალ ცნობიერებას, ზნეობრივ მანკიერებას, ზედმეტად გამძაფრებულ მატერიალურ დაინტერესებას, ზომიერების უგულებელყოფას და სხვა.

---

[1] П. самуелон, В . Нордхаус, Экономика. Перевод. М., 1999. С. 143. ამ შეფასებაში კაპიტალისტური ეკონომიკის გამოჩენილი ანალიტიკოსები უთუოდ სანდონი არიან. ისინი ამაში არ ცდებიან, ცდება კი ბევრი, ვინც დაბეჯთებით ამტკიცებს საწინააღმდეგოს.

[2] ამას ადამ სმითი მე-18 საუკუნეში ასე აფასებდა: ,,კულტურულ და აყვავებულ ხალხებში, თუმცა მათში ადამიანთა დიდი ნაწილი სრულიად არ მუშაობს, ამასთან, ბევრი მათგანი ათჯერ და ასჯერ მეტ შრომის პროდუქტს მოიხმარს, ვიდრე მშრომელთა დიდი ნაწილი.“ ა. სმითი. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი. თბილსი. 2007 . გვ 10.

სწორედ ამ პირობებში ჩნდება **უსამართლო ,,კანონიერი“ შემოსავლები და უთანასწორობა, რაც თანამედროვე სინამდვილის თანამგზავრი და დიდი დაფარული წყლულია.**

შევნიშნავთ, რომ სამართლიანობაში **არ ვგულისხმობთ ეგალიტარიზმს, სრულ თანასწორობას, რადგან ეს იქნებოდა უსამართლობა, ისეთივე როგორიც ზღვარს გადაცილებული უთნასწორობაა.**[1]

დოვლათის (სიმდიდრის) სამართლიანი განაწილება კეთილდღეობის მრავალმხრივი პრობლემაა. იგი, ადამიანთა მატერიალურ უზრუნველყოფასთან ერთად, ეხება მორალურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ მხარეს. მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ზედმეტი მოხმარებისა და დაგროვების აღკვეთა, ადამიანთა შორის მოხმარების დონის მკვეთრი განსხვავების, რაც ყოველგვარ ზღვარს სცილდება, მოსპობა. საბაზრო ურთიერთობებმა საგრძნობი გაუმჯობესება მოახდინა ამ მიმართულებით. ამასთან, არსებული სიტუაცია ამ მხრივ სრულიად არასახარბიელო რჩება. კეთილდღეობის თეორია (პარეტოს, პიგუს და სხვა) ამას ამჩნევს, მაგრამ სიღრმისეულად ვერ ხსნის და აქედან სათანადო დასკვნები არ გამოაქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, თეორიის ავტორებს ყურადღება გადანაწილების სფეროზე გადააქვთ, ამით კი ხელუხლებელს ტოვებენ უსამართლობისა და უთანასწორობის საწყის მიზეზს პირველადი განაწილების ხარვეზებს.

---

[1] თანასწორობაზე არასწორი აზრი წარსულიდან მომდინარეობს და დღემდე გავრცელებულია. ისევ პლატონს მივმართავთ. იგი აღნიშნავდა: ,,აბსოლუტური უმრავლესობა იმ აზრს იზიარებს, რომ სამართლიანობა – ეს თანასწორობაა.“ Платон. Соч.Т. 1. М., 1964. С. 314. ეს შეხედულება თანამედროვე ,,ეკონომიკსის“ სახელმძღვანელოებშიც და მეცნიერულ ნაშრომებში გვხვდება. იგი არ შეიძლება სამართლიანობის სწორ გაგებად ჩავთვალოთ ზემოთ აღნიშნული მიზეზის გამო.

სამართლიანობის საკითხი თავიდან უნდა დაისვას სწორედ განაწილების პირველადი ეტაპის მიხედვით. ეს მთელი ისტორიის თანმდევი უმძიმესი პრობლემაა, რომელსაც რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორისაა **იმისი განსაზღვრის სირთულე, თუ ვის რა და რამდენი ეკუთვნის. ადამიანებმა, იციან იმის შესახებ, რომ დოვლსთის განაწილება არაა სამართლიანი, ჩვეულებრივ ცალკეული სუბიექტი იღებს მეტს ან ნაკლებს, ვიდრე ეკუთვნის, რაც კარგად ჩანს ცალკეულის მეტისმეტ სიმდიდრეში.** ეს, ერთი მხრივ. და, მეორე მხრივ, ადამიანთა უმეტესობის მეტისმეტად დაბალ შემოსავლებში განსხვავება, რაზეც წუხდა ა. სმითი, უზომოდ გაზრდილია მის ეპოქასთან შედარებით.

ამასთან, **თუ როგორი უნდა იყოს შექმნილი დოვლათის განაწილება, ამ ქვეყნად სიზუსტით არავინ იცის,** ამდენად ნაკლებადაა პროტესტი ამ მხრივ, თუმცა ის არც ისე იშვიათია. ამასთან, მოითხოვენ რა შემოსავლების გადიდებას იმათგან, ვინც მას იძლევა, ვერავინ ამტკიცებს, თუ ზუსტად რამდენი უნდა იყოს იგი. ასევე, **შემოსავლების მეტნაკლებად თანაბარზომიერი პირველადი განაწილება არ შეესაბამება იმათ ინტერესებს, ვინც მას განკარგავს და ანაწილებს.** ალბათ შეუძლებელია კუთვნილის ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ შეიძლება საკითხის პრინციპულად გადაწყვეტა იმგვარად, რომ **არავინ ისურვოს იმაზე მეტის მიღება დაახლოებით მაინც, რა წვლილიც აქვს მის შექმნაში. დანარჩენი უნდა გადავიდეს საზოგადოების კუთვნილებაში და განკარგვაში პირველადი განაწილების ეტაპზე. აღნიშნული წვლილის განსაზღვრის ობიექტური კრიტერიუმი ალბათ უნდა იყოს ადამიანთა უნარები, მათი გამოყენება და განსხვავება. საზოგადოებამ ობიექტურობისა და ალტრუიზმის პრინციპების გამოყენებით უნდა მოახმაროს შექმნილი დოვლათი მის შექმნაში მონაწილე სუბიექტების, საერთო საჭიროებებისა და უმწეოთა (ვისაც არ შეუძ-**

ლია დოვლათის შექმნაში მონაწილეობა) უზრუნველყოფას.

განაწილების პროცესი – უწინარესად ინდივიდთა (ეკონომიკურ სუბიექტთა) შორის დოვლათის გაყოფა – ძირეული მოვლენაა, სადაც საფუძველი ეყრება საზოგადოების მასშტაბით დოვლათის მითვისების ხასიათს, სოციალურ ბუნებას. აქედან წარმოდგება განაწილება საზოგადოების ფენებს, ჯგუფებს, კლასებს შორის. ეს მასობრივი მოვლენა მთელი საზოგადოების მასშტაბით ქმნის გარკვეულ სისტემას, წესს და ცხოვრების დამახასიათებელ ნიშანს. ფართო გაგებით, განაწილებითი ურთიერთობა მოიცავს გადანაწილებასაც. ერთობლივად კი ეს კეთილდღეობის ერთ-ერთ წამყვან ფაქტორად ყალიბდება.

დოვლათის (სიმდიდრის) განაწილება იღებს **საერთაშორისო მასშტაბსაც, მოიცავს ქვეყნებს შორის სიმდიდრის გადადინებას.** აქაც ვხვდებთ სამართლიან და უსამართლო პროცესებს, რომლებსაც განაპირობებს ეკონომიკური ურთერთიერთობები, ეკონომიკური თუ პოლიტკური ფარული, ასევე აშკარა ძალადობით განპირობებული მიზეზები, მათ შორის არაეკვივალენტური გაცვლისა. ყოველივე ეს თავს იჩენს კეთილდღეობის საერთაშორისო მასშტაბით დარღვეულ დონეთა სახით. უხსოვარი დროიდან ეს უკანაკნელი რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს უკეთურობად.

კეთილდღეობის სხვა წყაროთა განაწილებას რაც შეეხება, მათ მიმართაც იგივე პრინციპი უნდა გამოიყენებოდეს: ,, **ყველამ მიიღოს ის, რაც ეკუთვნის!** “

დოვლათის (შემოსავლების, სიმდიდრის) განაწილების სამართლიანი პრინციპის დანერგვა კაცობრიობის ისტორიული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასთანაც პირდაპირაა დამოკიდებული ცხოვრების პროგრესი. მისი ფძემდებლური პირობებია: ჯერ ერთი, ადამიანთა ზნეობის, შეგნების, კულტურის მაღალი დონე, როცა ისინი ჩვეულებრივ არასდროს განახცადებენ იმაზე პრეტენზიას, რაც

არ ეკუთვნით. უბრალოდ რომ ვთქვათ, არავინ მოისურვებს ხელი წასცდეს იმაზე, რაც არ დაუმსახურებია. მეორე, დოვლათის სიუხვე, რის შედეგად შემცირდება განსხვავება ადამიანთა შემოსავლებში, უმწეოთა რაოდენობა, ინტერესი დოვლათის დიდი, ჯანსაღი გაგებით, საჭიროზე მეტი რაოდენობით ფლობისადმი, რაც ინდივიდის რეალური კეთილ დღეობის თვალსაზრისით აზრს კარგავს.

მატერიალური დოვლათის ფლობა აღნიშნულ პირობებში დაკარგავს იმ მიმზიდველობას, რაც მას აქამდე გააჩნია. უფრო მეტად მიზიდველი და პრესტიჟული იქნება ნამდვილი ადამიანური ღირსებები: შემოქმედებითი შრომა, მისი ნაყოფით ტკბობა, სახელი, საზოგადოების მხრივ დაფასება, პატივისცემა და ა. შ. მესამე, საბაზრო მექანიზმის მომხმარებელთა ფსიქიკაზე, ქცევაზე, პრიორიტეტებზე გავლენის, მათი მატერიალური ინტერესების ზედმეტად გაღვივების შესუსტება, სხვანაირად რომ ვთქვათ, ე.წ. **მერიტოკრატიულ საზოგადოებაზე** გადასვლა.

აქ შეიძლება შევნიშნოთ ერთი განსაკუთრებული ასპექტის შესახებ, რაც თეორიული თვალსაზრისით, ყურადღების გარეშე რჩება. ესაა ის, რომ **ცალკეულ ადამიანთა დიდი სიმდიდრე, თავისი რეალური ფუნქციის მიხედვით, არ შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციულ კერძო დოვლათად. მისი უმეტესი ნაწილი ჩვეულებრივ საზოგადოების სამსახურშია ჩართული, რამდენადაც ხმარდება ინვესტირებას, პროდუქციის კვლავწარმოებას, მის გაფართოებას, სამუშაო ადგილების შექმნას, იხარჯება მშრომელთა ხელფასების სახით და ა.შ. ამრიგად, იგი საზოგადოების სიკეთეს ქმნის.** მიუხედავად ამისა, საბაზრო ურთიერთობათა არსებულ პირობებში მაინც **რჩება განაწილების უსამართლობა, დოვლათის მითვისება კუთვნილზე მეტი რაოდენობით მეწარმეთა და კაპიტალის მფლობელთა მიერ, რომელთა პირად განკარგულებაში იგი გადადის, პირადი**

კეთილდღეობისთვის. ეს უკანასკნელი ამა თუ იმ ზომით ილუზიური, ყალბი, ჯანსაღ აზრს მოკლებული ხდება. აქ წარმოიქმნება ჭარბი, ზომიერზე მეტი, სიმდიდრე, რომელიც **უქმ სიმდიდრედ იქცევა და უქმ ეკონომიკას აყალიბებს.**[1] ეს მეორე მითვისებული ნაწილი ძირეულად განსხვავდება პირველისაგან. ეს, ერთი მხრივ. არის მეორე მხარე: შექმნილი დოვლათის ნაწილის მითვისება **კუთვნილზე მეტი ოდენობით ცალკეულ სუბიექტთა მიერ, მათ საკუთრებაში ამ ქონების გადასვლა, საერთოდ, სამართლიანობის დარღვევად უნდა იქნეს გაგებული.** იგი წარმოშობს ეკონომიკურ ძალაუფლებას, უპირატესობას, სხვა ადამიანებზე ზემოქმედების შესაძლებლობას.

სამართლიანობის დამკვიდრების დიდი პრობლემა გახდა ისტორიის გარკვეულ ეტაპზე წარმოშობილი და უკვე ფართოდ გავრცელებული **არაობიექტურობა შრომის ანაზრაურებაში, მისი მიღებული რაოდენობის კუთვნილი წილისაგან გადახრა ზედმეტობის ან ნაკლებობის მიმართულებით,** რაზეც ზემოთ იყო მსჯელობა უთანასწორობის საკითხის განხილვისას. აქაც დიდ დაბრკოლებებს აქვს ადგილი. რამდენადაც ის საბაზრო მექანიზმს ემყარება და ღრმადაა ფესვგადგმული პრაქტიკაში, ადამიანთა დიდი რიცხვის ინტერესებს ეხება. უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ამ შემთხვევაში ზედმეტი ანაზღაურება დოვლათის შექმნაში სუბიექტების წილის მიხედვით კი არ ხდება, არამედ შემოსავლების გადანაწილების გზით, არსებული გარემოს ხელშეწყობით. ამრიგად, ამ **უსამრთლობის დაძლევა დაკავშირებული იქნება განაწილების მახინჯი მექანიზმისა და წესების გაქრობასთან, რომელიც კაცობრიობისთვის უდიდესი სიკეთე იქნება.**

---

[1] ამის შესახებ იხილე აგრეთვე ჩვენი ,,ზომიერი ადამიანი“ და ,,უქმი ეკონომიკა“.

აქ საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საბაზრო ურთიერობათა პრობებში სამრთლიანობა გარკვეული ზომით ფართოვდება, მაგრამ არა სასურველ (საჭირო) ფარგლებამდე, კვლავ დგას უსამართლობის დაძლევის საკითხი. ტენდენცია სწორედ ესაა. ადამიანებისთვის **სამართლიანობა უნდა იქცეს მოთხოვნილებად შინაგანი მოწოდებით, გარედან იძულების გარეშე და არა სიმდიდრის დაუფლება. ეს გარდუვალია თვით ცხოვრების ლოგიკის მიხედვით, ჯანსაღი ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა, ცივილიზებული, ჰუმანური საზოგადოების არსებობის პირობაა.**

კეთილდღეობაზე მოქმედ პირობებათა შორის ყურადღებას იპყრობს **დოვლათის გამოყენება, მისი მიმართულება, ხასიათი, ზომა, ხარისხი.** აქ პირველ რიგში ორი ასპექტი უნდა გამოვყოთ: დოვლათის გამოყენება ადამიანთა სასარგებლოდ და გამოყენება ზიანის მიყენებისთვის. პირველი ადამიანთა ნორმალურ, ჯანსაღ ქცევას მიეკუთვნება, მეორე დევიანტურს. ამასთან, ამ უკანასკნელშიც შეიძლება ორი შემთხვევა დავინახოთ: ჯერ ერთი, როცა ადამიანები თავიანთი ნებით, მავნე ჩვევების, მანკიერი თვისებების, მიდრეკილებების გამო პროდუქტს, მომსახურებას მოიხმარენ თავისავე და სხვების საზიანოდ: მეორე, როცა პროდუქტები თუ მომსახურება რჩება არასრულად გამოყენებული ან სულაც გამოუყენებელი ჯანსაღი (გონივრული) მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევათა საფუძველზე არსებობს უქმი ეკონომიკა, რაზეც ზემოთ იყო მსჯელობა. ეს ნიშნავს იმას, რომ **არსებული დოვლათი იმ ზომითაა კეთილდღეობის წყარო, რამდენად სრულადაა იგი გამოყენებული ადამიანებისთვის სარგებლობის (სიკეთის) მომტანად ან საზიანოდ.**

ყველასთვის გასაგებია, რომ ნებისმიერი დოვლათი შეიძლება გამოყებენული იქნეს სხვადასხვა ზომით, დანიშნულებით, როცა სარგებლობა მისგან მისი სარგებლობის პო-

ტენციალის სრული შესაბამისი ან მასზე ნაკლები იქნება. ასევე შესაძლებლია შემთხვევა, როცა რაღაც საგანი სრულიად გამოუყენებელი ძევს სხვადასხვა მიზეზით, არაა საჭირო, მაგრამ შეძენილია (რიგ შემთხვევაში ადამიანებს ახასიათებთ ასეთი ყიდვაც) შეცდომით, მომხმარებლის არარაციონალური არჩევანის შედეგად. მომხმარებლის უყაირათობის გამო ნივთი ხშირად სრულიად ან მხოლოდ ნაწილობრივ ან უხეიროდ გამოიყენება, რის შედეგად მას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ან მოაქვს მხოლოდ მისი შესაძლო სარგებლობის ნაწილი.

ფართოდ არის გავრცელებული შემთხვევა, როცა ერთი და იგივე დოვლათი კეთილი ან ბოროტი მიზნებით გამოიყენება მფლობელის ნება-სურვილის მიხედვით. აქ ვლინდება დოვლათის ამბივალენტურობა. ცალკეულ შემთხვევაში კი დოვლათი მხოლოდ საზიანო თვისებისაა და ამ მიზნით გამოიყენება (ამისი მაგალითია უბრალო მოხმარების ისეთი საგნები, როგორიცაა თამბაქოს ნაწარმი, ასევე ადამიანთა დახოცვისა და დაშინების საშუალებები და სხვა).

ყველა ამ შემთხვვაში ადგილი აქვს დოვლათის არარაციონალურ ან ბოროტი მიზნით გამოყენებას. სხვანაირად ამას განიხილავთ **ეკონომიკური დოვლათის სოციალურ ბოროტებად მეტნაკლები ზომით ტრანსფორმაციად.**

დასახელებული შემთხვევების საერთო ნიშანია ის, რომ ადგილი აქვს **კეთილდღეობის დანაკარგებს.** ისინი უშუალოა ან დაკავშირებულია წარმოების რესურსების არასწორ გამოყენებასთან, უყაირათობასთან, გაფუჭებასთან, არარაციონალობასთან. ამისი მაგალითები ძალიან ბევრია პრაქტიკაში.

თვალს თუ გადავავლებთ ისტორიას და თანამედროვე ცხოვრებას, ადვილი შესამჩნევია ამ დანაკარგთა კოლოსალური მასშტაბები. ეს არის კეთილდღეობის უშუალო დანაკარგი, რაც აკლდებათ ინდივიდებს, ხალხებს, მთელ კაცობრიობას. არის არაპირდაპირი ზიანი, როცა დოვლათის, მაგა-

ლითად, ფუფუნების საგნების მოხმარება ადამიანთა ერთი ფენის მიერ იწვევს კეთილდღეობის შემცირებას მორალური თვალსაზრისითაც მეორე ფენისათვის ადამიანების გაღიზიანებას, უსამართლობის შეგრძნებას. ფუფუნებას შეიძლება თან ახლდეს ასევე თვით მომხმარებელთა მორალური დეგრადირება, უაზრო სიამოვნებისკენ მიდრეკილება, ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვა (ცხოვრებით, სიამოვნებით გადაღლა), დეპრესიაში ჩავარდნა და სხვა.

ამრიგად, მოხმარების დაბალი ხარისხი, არარაციონალურობა, უაზრობა, ბოროტი ხასიათი – ნეგატიური მომენტები, საერთოდ, დაბლა სწევს კეთილდღეობას იმ დონესთან შედარებით, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო დოვლათის რაციონალურად, გონივრულად და სრულად მოხმარების პირობებში.

შექმნილი დოვლათის (სიმდიდრის) **გამოყენების ნეგატიური ხასიათის დაძლევა კეთილდღეობის მნიშვნელოვანი რესურსია.** ამ საკითხს სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს კეთილდღეობის თეორიამ. სრულიად გაუმართლებელია მისი უგულებელყოფა. ყოველივე ეს ამ თეორიაში უნდა აისახოს, **უქმი დოვლათი და მოხმარება უნდა გამოირიცხოს კეთილდღეობის რესურსებიდან, თუ გვინდა რეალობის ჭეშმარიტი სურათი მივიღოთ და საყოველთაო კეთილდღეობის სასურველ დონეს მივაღწიოთ.**

4. რა პერსპექტივა აქვს რეალურ საყოველთაო კეთილდღეობას?

სხვის ბედნიერებაზე ზრუნვით
ჩვენს ბედნიერებასაც ვპოულობთ.
პლატონი

ბედნიერების გასაღები არ არსებობს,
კარი მუდამ ღიაა.
აგნეს გონჯა ბოიაჯუ დედა ტერეზა

კაცობრიობისა და ხალხების (ქვეყნების) წინაშე დღეისათვის უმთავრესი გამოწვევაა **ადამინების რეალური კეთილდღეობის ამაღლება, დედამიწაზე ნამდვილი ადამიანური ცხოვრების დამკვიდრება ყველასა და თითოეულისთვის.** საამისოდ აუცილებლი პირობების შექმნის პრობლემა, საერთოდ, მსოფლიოსა და, კერძოდ, ცალკეული ქვეყნების კარზე სხვადასხვა სიძლიერით აკაკუნებს. აშკარა არსებული კატასტროფული განსხვავება ცხოვრების პირობების და დოვლათით უზრუნველყოფის მხრივ ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნით, არ მცირდება. **ადამიანთა ერთი ნაწილის ხელში ზედმეტი, სრულად არასაჭირო რაოდენობის სიმდიდრის დაგროვება და უდიდესი ნაწილისთვის დოვლათის მწვავე უკმარობა მწვავდება საერთო ცივილიზაციური განვითარების კვალდაკვალ. ეს ნათლად ადასტურებს უსამართლობასა და უწესრიგობაში გადასულ უთანასწორობას დოვლათის წარმოების, განაწილების და მოხმარების სფეროებში.** ამაში კაცობრიობის ჩიხში შესვლის დიდი საფრთხე ძევს. იგი ცივილიზებული კაცობრიობის ცხოვრების აუტანელ სიმახინჯედაა ქცეული. ზიგმუნდ ფროიდი დამაჯერებლად აფრთხილებდა ადამიანთა მოდგმას: ,,ჩემი აზრით, წერდა ის, ადმიანებისთვის ფატალური შეკითხვაა, რამდენად შეძლებს კულტურული განვითარება ყოველდღიური ცხოვრების პირობლემების დამარცხებას. აგრესიისა

და თვითგანადგურების ინსტიქტის წყალობით ადამიანებმა იმ დონეზე მოიპოვეს კონტროლი ბუნების ძალებზე, რომ ამ ძალების დახმარებით მათ არ გაუჭირდებათ ერთმანეთის განადგურება თვით ბოლო ადამიანამდე “.[1]

მართლაც, ეს საფრთხე კარგად დაფიქრების შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდება. იგი ორი კომპონენტისგან შედგება: ბუნებასთან კონფლიქტისგან და სოციოგენური აფეთქების მოლოდინისგან. ამ მდგომარეობის გამომწვევნი ძირითადად **თვით ადამიანები არიან, ამისთვის ნიადაგი მათ თვითონ მოამზადეს. მაშასადამე, მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა და გადარჩენისათვის ზრუნვის მოვალეობა. მათვე შეუძლიათ საკუთარი მიზეზით გამოწვეული ზიანის აღმოფხვრაც. მაგრამ მდგომარეობა სავალალო დარჩება, თუ ამას არ გააკეთებენ.**

აქედან გამომდინარე, კეთილდღეობის სამომავლო პრობლემა ამჟამად **თვითგადარჩენის ამოცანით იწყება.** იგი მატერიალური უზრუნველყოფით არ ამოიწურება, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია. კეთილდღეობის საერთო სამომავლო პირობებიდან ორი ამოცანა გამომდინარეობს :

- ადამიანის განვითარება homo faber-ის – დოვლათის შემქმნელის ინტელექტუალური, მწარმოებლური ძალის ზრდა, სწორი ეკონომიკური განვითარება საზოგადოების ჯანსაღ მოთხოვნილებათა და არა საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად. ამ უკანასკნლთა აშკარა ურთიერთდაცილების აღკვეთა.

- უქმი ეკონომიკის გაქრობა, რომელსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დოვლათის ზრდას. ამისთვის გადამწყვეტია homo moralis-ის როლის გაძლიერება საზოგადოების ცხოვრებაში, ადამიანთა ბუნების, მენტალიტეტის, მიდრეკილებების, ფასეულობითი ორიენტაციის ცვლილებები. იგი უნდა გამოიხატოს მატერიალური სიმდიდრით ზედმეტი გატაცებიდან მაღალი ფასეულობებისკენ – სამართლიანობის, ჭეშმარიტების,

[1] S. Freud. Civilization its Discontenst. N.Y. Norton. 2005.P.

ზნეობრიობისკენ მიდრეკილებზე გადართვით. ამის **შედეგად წარმოებიდან და მოხმარებიდან უნდა ამოვარდეს, ჯანსაღი აზრით, უსარგებლო, არაფრის მომცემი, ყალბი კეთილღეობისათვის გამოყენებული პროდუქტები.**

ყოველივე ამისი ამოსავალი პუნქტია ადამიანთა ცნობიერება, ბუნება, ხასიათი, ინტელექტი, კულტურა, რადგან „მოქმედება იწყება აზრიდან“ (რაფ ვალდი). **ცნობიერება და მოქმედება უნდა დაემყაროს ჭეშმარიტებას. ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ მცდარი შეხედულებების, არაწორი ცოდნისგან, მანკიერებათაგან, ცდუნებების, შეცდომებისგან, სიხარბისგან, ეგოიზმისგან, სიძუნწისაგან, ანგარებისგან, ამპარტავნობისგან.** ამის შედეგი შეიძლება იყოს მატერიალური პირობებისგან (ნივთების ბატონობისგან, გაფეტიშებისგან) ადამიანთა გათავისუფლება. ამით პირველ რიგში ბოლო მოეღება არასაჭირო ნივთების წარმოებას, ეკონომიკა უშუალოდ დააკმაყოფილებს მხოლოდ გონივრულ (ჯანსაღ) მოთხოვნილებებს, გაიზრდება ნამდვილად საჭირო საგნების წარმოების მასშტაბები გამოთავისუფლებული რესურსებით. ეს უდიდეს სიკეთეს მოუტანს ხალხებს.

ადამიანთა დიდ ნაწილს შეუძლია დაეუფლოს სწორად აზროვნებას და ქცევას, მათ შორის მოხმარების სფეროში, რომ არა გარემოს მავნე გავლენა. ამ უკანასკნელის შედეგად **ისინი მიმბაძველები ხდებიან.** ნეგატიური ქცევები ქმნის არაჯანსაღ ატმოსფეროს, რომელიც ცხოვრებას ართულებს. მართალია, „ცოდვები იქნება, სანამ იქნებიან ადამიანები“, როგორც ფიქრობდა ტაციტი, მაგრამ ადამიანთა უმრავლესობის მისწრაფებაა იცხოვრონ სწორად, ცდუნებებისა და შეცდომების, ნივთების ტყვეობაში ყოფნის გარეშე. როცა ისინი დიდი უმრავლესობა იქნება, აიძულებენ სხვებსაც მათ წესებს დამორჩილდნენ.

კეთილდღეობის **პირველი პირობა** ადამიანთა ინტელექტუალური განვითარება და მწარმოებლური ძალის, სოციალური ენერგიის ზრდა შედარებით ადვილად და განუხრელად სრულდება რეალობაში, თუმცა საკმარისი ტემპით ისიც არ მი-

დის. ნათლად ჩანს, რომ აქაც დიდი პრობლემებია ხალხებს შორის განსხვავების მხრივ. მაგრამ ის კაცობრიობას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე, შეუძლია ძირითადად გადაწყვიტოს განათლების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მიღწევათა საფუძველზე. ეს ტენდენცია რეალობის ფაქტებით დასტურდება .

მეორე პრობლემა საბოლოოდ **თავს იყრის ზნეობაში.** ის უკავშირდება ადამიანთა მრწამსს, ადათ-ჩვევებს, რელიგიებს, ეროვნულ ტრადიციებს, მენტალიტეტს, ადამიანთა ბიოსოციალურ, ფსიქიკურ თავისებურებებს. არც ეს მხარეა ,,ძნელი კაკალი". მეცნიერება და პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანთა შეხედულებები, ხასიათი, მიდრეკილებები ცვლილებებს ექვემდებარება. აქ დიდია აღზრდის როლი. როგორც ი. კანტი გვკარნახობს, ,,ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელიც ექვემდებარება აღზრდას". მთელი პედაგოგიური მოძღვრება, დაწყებული უძველესი დროის მოაზროვნეებით, ევროპელი განმანათლებლებით და თანამედროვე პედაგოგიკის ფუძემდებლებით დამთავრებული, ადასტურებს, რომ აღზრდას, მოწინავე იდეებს, იდეოლოგიას შეუძლია დიდი წვლილი შეიტანოს ადამიანთა ზნეობრივ სრულყოფაში, მათი სწორი ქცევების დამკვიდრებაში.

სულაც არა უტოპია, რომ ვივარაუდოთ შედარებით ახლო მომავალში ისეთი ზნეობის, კულტურის, მენტალიტეტის, ფასეულობითი ორიენტაციის საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელშიც, თუ ყველას არა, უდიდეს უმრავლესობას ახასიათებს ნამდვილი ადამიანური თვისებები, ღირსებები, კეთილშობილება, კაცთმოყვარეობა, გულუხვობა, ზრუნვა სხვებისთვის, ისევე როგორც თავისავე თავისთვის. გარკვეული ალბათობით, შედარებით ახლო მომავალში შეიძლება ველოდეთ ისეთ ადამიანთა საზოგადოებას, როგორზეც ოცნებობდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქველმოქმედი, გულმოწყალების მისიონერთა ორდენის დამაარსებელი უბრალო ქალი, ნობელის პრემის ლაურეატი აგნეს გონჯა ბოიაჯუ დედა ტერეზა და როგო-

რიც ის თავად იყო. მისი ცხოვრების კრედო იყო ცხოვრებისადმი ბრძნული დამოკიდებულება, ადამიანის სიკეთის პოტენციალის რწმენა, რამაც უნდა განსაზღვროს კაცობრიობის ცხოვრების წესი, ბედნიერი მომავალი. ამისთვის, ადამიანებმა, უნდა შეასრულონ მისი შეგონებანი, რაც შემდეგში გამოიხატება:

სიცოცხლე შესაძლებლობაა, გამოიყენე იგი;
სიცოცხლე სილამაზეა, აღფრთოვანდი მისით;
სიცოცხლე ნეტარებაა, იგემე იგი;
სიცოცხლე ოცნებაა, შეასხი მას ხორცი;
სიცოცხლე გამოწვევაა, მიიღე იგი;
სიცოცხლე შენი ამქვეყნიური ვალია, აღასრულე იგი;
სიცოცხლე ბედისწერაა, თამამად შეები;
სიცოცხლე სიმდიდრეა, ნუ გაფლანგავ;
სიცოცხლე ქონებაა, გაუფრთხილდი;
სიცოცხლე სიყვარულის სასმისია, შესვი ბოლომდე;
სიცოცხლე უბედურებათა მორევია, სძლიე ყოველი;
სიცოცხლე საგალობელია, გაასრულე იგი;
სიცოცხლე ბრძოლაა, გახდი მებრძოლი;
სიცოცხლე შეუცნობადის უსასრულობაა, უშიშრად შეაბიჯე მასში:
სიცოცხლე გამართლებაა, ნუ გაუშვებ ხელიდან;
სიცოცხლე მშვენიერია, არ მოაშთო იგი;
სიცოცხლე შენი სიცოცხლეა, იბრძოლე მისთვის![1]

ვინც ამ პრინციპებით იცხოვრებს, ის არ დაარღვევს ადამიანური ურთიერთობის კანონებს. ასეთ საზოგადოებაში ყველასათვის დამკვიდრდება კეთილდღეობა.

ცხოვრების ეს დიდი სიბრძნე თუ გახდება ადამიანთა რწმენისა და ქცევის გზამკვლევი, პრობლემები ადვილად მოგვარდება.

[1] http://ka.wikiquote.org/wiki

უდიდეს სიძნელეს აწყდება სწორედ ღირსეული, მაღალი ზნეობის, მანკიერი თვისებებისგან თავისუფალი ადამიანის ჩამოყალიბება. ამასთან, **არ არსებობს არავითარი სისხლისმღვრელი რევოლუციების საჭიროება, სწორი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის საკმარისია ზნეობრივი, ჰუმანური რევოლუცია, ზნეობრივი ადამიანების საზოგადოების ჩამოყალიბება.** მაღალი კეთილდღეობისთვის, დოვლათის სიუხვის შესაქმნელად აუცილებელია მაღალი ინტელექტი. ეს არის კეთილდღეობის ანაბანა. მისი ათვისება გახდა კაცობრიობის დიდი პრობლემა, მაგრამ იგი არაა დაუძლეველი.

კაცობრიობის მთელი ისტორია და ცბობიერების განვითარება ადასტურებს, რომ ადამიანის ნამდვილი კეთილდღეობა საზოგადოების ყველა წევრისთვის, და არა გამორჩევით, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ამაღლებული, ჰუმანური, კეთილშობილური თვისებების, მანკიერებათაგან თავისუფალი ადამიანების საზოგადოებაში. **ერთეული ინდივიდების, ადამიანთა ჯგუფების კეთილდღეობა, ჯანსაღი გაგებით, არ არსებობს. ასეთი საზოგადოება მანკიერია, არ შეიძლება ბედნიერ საზოგადოებად ჩაითვალოს.** ეს ნიშნავს, რომ გვერდით არსებობენ გაჭირვებულები, დატანჯულები, რომელთა მდგომარეობის გამო თვით უზრუნველყოფილი პირები თავს კმაყოფილების ნამდვილ სამყაროში ვერ იგრძნობენ. ამ პირობიდან გამომდინარეობს, **რომ ჭეშმარიტი კეთილდღეობა ადამიანური ადამიანისთვის საზოგადოებრივი მოვლენაა და არა კერძო,** როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. მომავალი ასეთი კეთილდღეობისკენ უნდა იყოს ორიენტირებული. **ამისი შეგნება ბევრს რომ არა აქვს, ეს არ ნიშნავს, რომ ის მათთან არ მოვა, არ გახდება ცხოვრების წესის ნამდვილი ფუნდამენტი.**

ეკონომიკური თვალსაზრისით კეთილდღეობის პირობად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ დოვლათის სიუხვის არსებობა მისი წარმოების შედეგად, არამედ იმ დანაკარგების აღკვეთა, რომლებიც დაკავშირებულია **ადამიანთა არარაციონალურობასთან, გონივრულზე ზედმეტ მოხმარებასთან და დაგ-**

როვებასთან. მაშასადამე, საჭიროა იმისი საყოველთაო გაგება, რომ ზომიერება ყველასი და თითოეულის კეთილდღეობის მეტად მნიშვნელოვან პირობად გვევლინება. კეთილდღეობის საყოველთაო ამაღლება ვერ მოხერხდება, თუ არ იქნა გათვალიწინებული ეს მომენტი. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ მომავალი საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება აუცილებლად იქნება ზომიერ ადამიანთა საზოგადოება.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს კეთილდღეობის ნამდვილ შინაარსზე. თითოეული ადამიანი უნდა იყოს **ორიენტირებული რალური და არა ილუზიური, მოჩვენებითი, ფსევდო კეთილდღეობისკენ. სანამ არ შეიქმნება ამგვარი მრწამსის ადამიანთა საზოგადოება, საყოველთაო კეთილდღეობა ვერ დამკვიდრდება.** სწორედ სუბიექტთა მიერ კეთილდღეობის ობიექტურმა შეფასებებმა, რაც შესაძლებლია მხოლოდ საერთო მაღალი ცნობიერების, საკაცობრიო გამოცდილების საფუძველზე[1], შეიძლება ხელი შეუწყოს დანაკარების შემცირებას და რეალური კეთილდღეობის ამაღლებას მთელი საზოგადოებისთვის.

საერთო რეალური კეთილდღეობის წყაროთა კვლევისას ვხედავთ, რომ არსებობს კეთილდღეობის **სრულიად იდეალურ, ეკონომიკასთან დაკავშირებულ არამატერიალურ პირობათა (განათლება, ჯანმრთელობა და ა.შ.) გარდა, ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც დიდი როლს შეასრულებენ საყოველთაო კეთილდღეობის მომავალ ამაღლებაში ყოველგვარი უშუალო დანახარჯების გარეშე.** ისინი დაკავშირებულია საერთოდ ადამიანთა თვისებებთან: მენტალიტეტთან, ხასიათთან, ფსიქიკურ თავისებურებებთან, სათნოებასთან, პატიოსნებასთან, ადამიანურ სითბოსთან, კაცთმოყვარეობასთან, გულმოწყალებასთან, გულუხვობასთან, თუნდაც თავაზიანობასა და თავმდაბლობას-

[1] ჩვენ არ ვიზიარებთ ლიბერალურ თვალსაზრისს, რომ ინდივიდები სწორად აფასებენ თავიანთ კეთილდღეობას. სწორად მხოლოდ საზოგადოებრივი შეფასება მიგვაჩნია . ამის შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი ,,ზომიერი ადამიანი “ (2013).

თან, კომუნიკაბელურობასთან, სილაღესთან, სისდავესთან, სიმშვიდესთან, ტოლერანტობასთან და სხვა. ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების წყალობით საზოგადოებაში ადვილდება საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა. მას ხელს დიდად უშლიან დევიანტური გაგების და ქცევის, ბუნებისა და ხასიათის, მცდარი აზრების, ბოროტი, ეგოისტი, უხეში, ამპარტავანი, ანგარებიანი, ხარბი, ძუნწი, უხალისო ადამიანები, რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, დიდია. **სწორედ მათ ცნობიერებაზე და მენტალიტეტზე ზემოქმედება, მათი „გამოსწორება", ადამიანურ კალაპოტში ჩაყენება უნდა გახდეს საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი. ეს მიუღებლად მოეჩვენება ადამიანის უფლებათა თავგამოდებულ „დამცველებს," მაგრამ სიმართლე ისაა, რომ ამის გარეშე საერთო კეთილდღეობა, რაშიც ამ უფლებათა ჭეშმარიტი დაცვა მდგომარეობს, ყოველთვის არასრულყოფილი, ხინჯიანი, „კოჭლი " იქნება.**

წარმოვიდგინოთ თუნდაც თავიანთი თავის საზიანოდ მოქმედი ადამიანების, მაგლითად, თამბაქოს, ზედმეტი ალკოჰოლური ნაწარმის, ნარკოტიკების მომხმარებლების, მომსახურების ფუჭი და მავნე სახეობათა წარმოებისა და მოხმარების სფეროს წარმომადგენელთა „მოქცევა" გონიერებისკენ, სამხედრო აღჭურვილობის წარმოებისა და გამოყენების შეწყვეტა და სხვა. ადვილი გასაგებია, თუ რა სიკეთეს მოიტანს ყოველივე ამის წარმოებისთვის მოხმარებული რესურსების ჩართვა ადამიანებისთვის აუცილებელი, სასარგებლო დოვლათის შექმნაში. თუ მომავალი საზოგადოება ამ პრობლემას გადაწყვეტს, საყოველთაო კეთილდღეობის ამოცანა ბევრად ადვილად შესრულდება.

პარადოქსია, რომ ამ ელემენტარულ გონივრულ ნაბიჯს დღეს ცივილიზებული კაცობრიობა საკმარისად ვერ დგამს, რომ მას უჭირს ამისი გაკეთება. საუბარიც კი არ არის თამბაქოს, საომარი ტექნიკის წარმოებისა და გამოყენების შეწყვეტის შესახებ. რატომ არ უნდა იყოს? განა ეს საფუძველს მოკლებულია? ამას ხელს უშლის გადჭარბებული ლიბე-

რალზმი და ბიზნეს-ინტერესები, ადამიანთა გარკვეული ფენის ინტერესების გაზვიადებული დაცვა. **საბოლოოდ კი მთელი ყოფითი სისტემა მნიშვნელოვანწილად ანტიჰუმანური ხდება, რასაც როგორც პოლიტიკა და საერთოდ სოციალური მეცნიერებები, ისე ეკონომიკურ თეორია გვერდს უვლის.** ეს ნამდვილად არ შეესაბამება ადამიანთა კეთილდღეობის ინტერესებს! ამდენად უპრიანია ეს საკითხი მწვავედ დაისვას! არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რომ ამ ნეგატიურ მოვლენათა თავიდან აცილების მნიშვნელობა მარტო მატერიალური ასპექტით არ შემოიფარგლება. მას დიდი მორალურ-ფსიქოლოგიური როლიც აკისრია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებაში, ადამიანთა განწყობაზე, ბედნიერების განცდაზე, ხასიათზე, ზნეობაზე ზემოქმდების ძალით. მაშ, განგაში არ უნდა ატეხოს მეცნიერებამ, საზოგადოების ელიტამ ამ გამანადგურებელი სიჩუმის გამო? კეთილღეობის **ზნეობრივ თეორიაში** მას თავისი ადგილი არ უნდა დაეთმოს?

ამ პრობლემის გადაწყვეტის შემადგენელი იქნება **უქმი ეკონომიკის შემცირება და გაქრობა. ეს ერთ-ერთი საკვანძო მოვლენაა. მასში თავს იყრის სამართლიანი განაწილების, რაციონალური მოხმარებისა და გონივრული მოთხოვნილებების, ზომიერების, ზედმეტი და უკმარი მოხმარების, ადამიანის სიკეთისა და ბოროტების, ჰუმანური ცხოვრების საკითხები.** ამდენად, კეთლდღეობის პერსპექტივების კვლევასა და საკითხების გადაწყვეტაში ეკონომიკურმა თეორიამ მათ თავისი ადგილი უნდა მიუჩინოს.

კეთილდღეობის **მოსალოდნელი ამაღლების შესაძლებლობის** პერსპექტივის **თვალსაზრისით** მნიშვნელოვანია **მისი** ორი **ოპტიმისტური და პესიმისტური** ტენდენციის საკითხი**. ისინი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ.**

ოპტიმისტური ტენდენცია ემყარება კაცობრიობის, ხლხების სიბრძნეს, ინტელექტს, დაგროვილ და მომავალში მოსალოდნელ ცოდნას, ადამიანთა კრეატიულ უნარს, მეცნიერულ აღმოჩენებს, გამოგონებებს, რომლებიც უთუოდ მაღალ დონე-

ზე აიყვანს დოვლათის (სიმდიდრის) შექმნისა და გაუმჯობესების პოტენციალს, ასევე ადამიანთა ზემოთ დასახელებულ უკეთურობათა თანდათან შემცირებას და დაძლევას უზრუნველყოფს. ადამიანთა ბუნების, ხასიათის, მენტლიტეტის, მიდრეკილებათა ძირეული ცვლილება მაღალ ფასეულობათა დამკვიდრება ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევებში, ადამიანთა საყოველთაო ჰუმანიზაცია პასუხობს ყველას და თითოეულის — მდიდრის, ღარიბის თუ საშუალო ფენის წარმომადგენლის, მთელი საზოგადოების ინტერესებს. იგი შეესაბამება სტაბილური, ჰარმონიული, ბედნიერი, ხელოვნური წინააღმდეგობების, დაპირისპირებისაგან, სიმახინჯეებისგან თავისუფალი საზოგადოების არსებობას, მაშასადამე, **ადამიანთა იდეალებს.**

მეორე, საპრისპირო, **პესიმისტური ტენდნცია** არის არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ან გაუარესება, რომელიც კეთილდღეობის დანაკარგებთან, ადამიანთა მანკიერებებიდან და ცხოვრების უკურმართობებისგან იღებს სათავეს. იგი შეიცავს უდიდეს სოციოგენურ საფრთხეებს და ცხოვრების გაუარესების, თვით კატასტროფის მიზეზებსაც.

კეთილდღეობის თეორიამ ნათლად და სრულად უნდა აჩვენოს ეს მოლოდინები და თავისი დამოკიდებულება მათ მიმართ, რაც მთავარია, გამოძებნოს პესიმისტური ტენდენციის თავიდან აცილების გზები.

კაცობრიობას დიდი შემობრუნება ელის პროგრესისკენ ან რეგრესისკენ. მეორე მოლოდინი თავიდან უნდა იქნეს აცილებული. ეს კი თვით კაცობრიობაზე და სხვა არაფერზეა დამოკიდებული. მხოლოდ ამ მოლოდინის მიზეზების საყოველთაო გაცნობიერებაა აუცილებელი. **ახალმა ცნობიერებამ,** რომელიც მიმართული იქნება ცხოვრების არსებულ მანკიერებათა დაძლევისაკენ, ამისი უზრუნველყოფა და კაცობრიობის გადარჩენა თავის თავზე უნდა აიღოს. ეს ნიშნავს **ახალი ადამიანის**

და ახალ ადამიანთა საზოგადოების ჩამოყალიბებას.[1] ახალში, ცხადია, იგულისხმება ადამიანთა არა ანატომიურ-ფიზიკური მონაცემები, არამედ ფსიქოლოგიური, სოციალური თვისებები, შეხედულებათა სისტემა, ქცევის ხასიათი და შინაარსი, რაც მნიშვნელოვანწილად **ექვემდებარება შედარებით მოკლე ხანში ცვლილებას.** ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს **ნამდვილი ადამიანური საზოგადოება, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება დღევანდელისგან, თავისუფალია არაადამიანური თვისებებისა და ურთიერთობებისაგან.** იგი თავისუფალი იქნება იმ ზედმეტი ხელოვნური, ისტორიული პროცესის გზადაგზა შეძენილი უკეთურობებისგან, რომლებიც ცხოვრებას უკარგავს თავის კეთილსასურველობას, ამახინჯებს, ძაბავს, აცლის სითბოსა და სილამაზეს. უეჭველია, ადამიანთა დიდი უმრავლესობა ცხოვრების ასეთ ახალ წესს მიესალმება, მხარს დაუჭერს, მისთვის იზრუნებს კიდეც.

ამგვარი ცვლილებებით უკან იქნება დატოვებული **შერჩევითი კეთილდღეობა, „გამორჩეულთა“ ბედნიერება და დაფუძნდება ნამდვილი ადამიანური ცხოვრების სუფევა ყველასთვის, საყოველთაო ბედნიერება.** ასეთი საზოგადოება, კაცობრიობა ზოგიერთისთვის ადვილი წარმოსდგენი არაა. მის შესახებ ცოდნა მეცნიერებამ უნდა მიაწოდოს ადამიანებს, გააცნოს ის ყველას, გააგებინოს მისი ავკარგი, რათა გაჩნდეს ცხოვრების ახალ წესზე გადასვლის შინაგანი საყოველთაო მოთხოვნილება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს თავისთავად არ მოხდება, ყველას როდი შეუძლია გააცნობიეროს ამგვარი აუცილებლობა, სიკეთე ყველასთვის. ბევრს ყოველივე ეს უსაფუძ-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტების პროგრამაში ადამიანის განვითარება, ახალი ცნობიერების, მენტალიტეტის ჩამოყალიბება მესამე ადგილზე იყო გადატანილი საწარმოო ძალთა განვითარების, ეკონომკურ ურთიერთობთა სრულყოფის შემდეგ. მას კი პირველი ადგილი ეკუთვნის, როგორც ამოსავალ ფაქტორს, ის ყველა სხვა ფაქტორის თავი და თავია.

ვლოდ და უზრობადაც წარმოუდგენია, ის, რაც არსებობს, გონივრული და შეუცვლელი ჰგონია.

მაგრამ ამგვარად მოაზროვნეთა შეხედულებებს არა აქვს რაიმე მნიშვნელობა. **სავარაუდოა, რომ მომავალი იქნება კაცობრიობის გამარჯვება ყოველგვარ მანკიერერებებზე სიხარბეზე, ეგოიზმზე, ანგარებაზე, ბოროტებაზე, ქიშპზე, ერთმანეთთან ადამიანთა ფარულ თუ აშკარა სიძულვილზე, ბრძოლაზე, სიცრუეზე, ერთის მიერ მეორის მორალურ თუ მატერიალურ ჩაგვრაზე, ორპირობაზე, ღალატზე, გაუტანლობაზე, დაუნდობლობაზე, მაამებლობაზე, მოტყუებაზე, ფარისევლობაზე და ყოველივე არაადამიანურზე, ასევე წარსულთან მიჯაჭულ ჯიუტ კონსერვატორებზე.**

ოპტიმისტს სწამს ადამიანური საწყისების, ადამიანებს შორის თანამშრომლობის, ურთიერთ თანადგომის, კეთილი ურთიერთობის მადლის აღზევება. ადამიანები შეძლებენ ჩაწვდნენ ჭეშმარიტებას ცხოვრების საზრისის, ადამიანის რეალური ბედნიერების, ამ ქვეყნად ადამიანის დანიშნულების შესახებ.

ადმიანური ცხოვრების მოწყობის ფორმულა მარტივია: **სწორი აზროვნება და სწორად ქცევა, ჭეშმარიტების, ზნეობის გზით სვლა.** მისი განხორეციელება ცხოვრებაში კი ძნელია, მრავალ წინააღმდეგობას აწყდება თვით ადმიანებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს თითოეულსა და ყველას ჭირდება, ყველას უეჭველ ინტრესებშია. მაგრამ, მიუხედავად ნებისმიერი დაბრკოლებისა, **ოპტიმიზმს უნდა ვენდოთ. ეს მოლოდინი უთუოდ ასრულდება. ასეთია ცხოვრების ურყევი ლოგიკა.**

ამ ლოგიკაში კი უძლეველი ძალაა. ეს ძალა სიკეთეშია, საყოველთაო კეთილდღეობის კანონში, რომელიც ამოძრავებს ადამიანთა მოდგმას. იგი უნდა ასხნას კეთილდღეობის თეორიამ. ეს იქნება ადამიანთა რაც შეიძლება დაახლოება ჭეშმარიტებასთან, როცა **ადამიანი და არა ნივთი იქნება ყოველივეს საზომი, როგორც ამას ძველი სიბრძნე გვკარნახობს. საზოგადოების ცხოვრება შავ-თეთრი წარსულიდან უნდა გადვიდეს სოციალური დროის ნათელ მონაკვეთზე. ეს შეიძლე-**

ბა ვუწინასწარმეტყველოთ მომავალ თაობებს, რაც თვით მათზე იქნება ბევრად დამოკიდებული.

მთლიანობაში, ვფიქრობ, შეიძლება ჩამოყალიბდეს კეთილდღეობის შემდეგი მოდელი, რომელიც მოიცავს მის საფუძვლებს (პირობებს), ფორმირების პროცესსა და საბოლოო შედეგს — სოციალურ სიკეთეს.



ნახ. 1. საზოგადოების კეთილდღეობის ჩამოყალიბება

საბოლოოდ შეიძლება შევაჯამოთ და ვთქვათ, რომ მთელი ადამიანური ცხოვრების აზრი კეთილდღეობაში, ცხოვრებით ტკბობაშია. მაგრამ ეს უნდა იყოს ჯანსაღი, ადამიანის ბუნების შესაბამისი, ნამდვილი და არა ილუზიური, მოჩვენებითი ვულგრულ, მახინჯ გემოვნებაზე დამყარებული კეთილდღეობა. ზოგს წარმოუდგენია, რომ საყოველთაო კეთილდღეობა, ყველასთვის კარგი ცხოვრება ნიშნავს ერთფეროვნებას, ადამიანთა შორის ყოველგვარი განსხვავების წაშლას, რაც აზრსა და ინტერესს აცლის მათ ყოფას, განაპირობებს უძრაობასა და რეგრესს. მაშასადამე, ის მიზანშეწონილი არაა.

მაგრამ ეს ასე **არაა. საყოველთაო კეთილდღეობის ფარგლებში შესაძლებელია ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის გაცილებით საინტერესო და შინაარსიანი მრავალფეროვნება, პროგრესის ინიცირების ფაქტორების არსებობა, ვიდრე ეს არის მკვეთრად დიფერენცირებული კეთილდღეობისას.**

ბევრს არა სწამს ადამიანთა სიკეთის, მაღალი ზნეობის, ღირსებათა (ვისაც ისინი არ გააჩნია ან ნაკლებად აქვს) დომინანტობა. სჯერა, რომ ადამიანთა ეგოიზმი, ამბიციურობა, გარეგნული უპირატესობისკენ, ნივთების აურაცხელ გარეგმოში ცხოვრებისაკენ მიდრეკილება, ყველა საშუალებით ამ მიზნის მიღწევის სურვილი გადაულახავია. მაგრამ ამას არ ადასტურებს ადამიანთა უმრავლესობის შინაგანი ბუნებრივი მიდრეკილებები. ნეგატიური შეხედულებები და ქცევა მათთვის მეტწილად თავს მოხვეულია უმცირესი **ექსტრავერტული** (როგორც კ. იუნგი უწოდებდა[1]) ბუნების, სიმდიდრისკენ მიდრეკილი ადამიანების მიერ უდიდესი, **ინტრო-**

[1] К. Юнг. Психологические типы. Перевод . М., 1994. С. 561.

ვერტული ღირსებებისკენ, სულიერი სიმდიდრისკენ მიდრეკილი, მაგრამ უმეტესად მერყევი, უმრავლესობისთვის.

ეს მდგომარეობა არაა მუდმივი, მას საფუძველი ელევა იმ ფაქტორებით, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული. **ადამიანებს ახასიათებთ როგორც ადაპტაცია, ისე გადაჩვევა. ისტორია ევოლუციური და რევოლუციური ცვლილებების ერთიანობაა. იგი კვლავ დარჩება ასეთად. მომავალი დიდი ძირეული მეტამორფოზი კაცობრიობის ცხოვრებაში სწორედ მენტალური მშვიდობიანი რევოლუცია, ჰუმანიზმის დამკვიდრება იქნება.** სხვა გზა კატასტროფისკენ მიდის. ამას კი homo sapiens-ი არ დაუშვებს. ამრიგად, უსაფუძვლოა არსებული ცხოვრების წესის თავგამოდებულ დამცველთა სკეპსისი ამგვარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

გამომცემლობა **„უნივერსალი"**

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge